საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ

(XVIII საუკუნე)

იტალიური და ლათინური ტექსტები თარგმნეს, შესავალი და შენიშვნები დაურთეს **მურმან პაპაშვილმა, ელდარ მამისთვალიშვილმა და ზურაბ გამეზარდაშვილმა**



გამომცემლობა "საჩინო"

თბილისი 2020

Georgian Technical University

EUROPEAN SOURCES ABOUT GEORGIA

(the XVIII Century)

Italian and Latin texts have been translated, preface, and comments have been added by

Murman Papashvili, Eldar Mamistvalishvili, and Zurab Gamezardashvili

Publishing House "Sachino"

Tbilisi 2020

მთელი XVIII საუკუნის მანძილზე კაპუჩინთა ორდენის მისიონერები თბილისში, გორში, ქუთაისში, ონსა და ახალციხეში მეტ-ნაკლები წარმატებით მოღვაწეობდნენ. მათ დიდი და განუმეორებელი ამაგი დასდეს საქართველოს პოლიტიკურ, რელიგიურ, კულტურულ-საგანმანათლებლო, სამეურნეო და დიპლომატიურ ცხოვრებას. ამ ორდენის საქართველოს მისიონის პრეფექტებმა, ვიცე-პრეფექტებმა და მამა-მისიონერებმა 1700-1800 წლებში მრავალი ათეული დიდი თუ მცირე რელაციონი გააგზავნეს საქართველოდან. მათში ასახულია დღემდე უცნობი უამრავი ფაქტი და მრავალფეროვანი ისტორიული მოვლენა საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე, ქვეყნის რელიგიურ ცხოვრებასა და, რასაკვირველია, კათოლიკე მამების საქმიანობაზე. ასევე ეს მასალები გვაძლევენ საინტერესო დაკვირვების საშუალებას ქართულ-ევროპული იდენტობის მახასიათებლებზე, ქართველ პოლიტიკოსთა მიერ დასავლური ფასეულობებისადმი დამოკიდებულებაზე, დასავლურ სივრცეში საქართველოს ადგილზე.

ნაშრომში წარმოდგენილი 34 რელაციონი პირველად ქვეყნდება ქართულ ენაზე. იგი დიდ სამსახურს გაუწევს აღნიშნული თემებით დაინტერესებულ მკვლევრებს, ასევე მკითხველთა ფართო წრეს.

აღნიშნული პროექტი განხორციელდა **შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის** ფინანსური მხარდაჭერით [გრანტი HE17_21]

რედაქტორი: **მურმან პაპაშვილი**, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

პასუხისმგებელი რედაქტორი: **ხათუნა ჩაფიჩაძე**, სოციალური მეცნიერებების დოქტორი, სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

რეცენზენტები:

გურამ კუტალია, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ს პროფესორი

გიორგი სოსიაშვილი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი

პროექტი განხორციელდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში

ISBN 978-9941-9678-8-7

Throughout the eighteenth century, missionaries of the Order of Capuchin served more or less successfully in Tbilisi, Gori, Kutaisi, Oni and Akhaltsikhe. They have greatly and uniquely contributed into Georgia's political, religious, cultural, educational, economic, and diplomatic life. Prefects, vice-prefects and Father-missionaries of the Georgian Mission of this order sent many tens of long or small relations from Georgia in 1700-1800. They contain numerous facts unknown until nowadays, as well as diverse historical events depicting domestic and foreign policy of Georgia, religious life of the country, and certianly, Catholic Fathers' activity. At the same time, these materials provide us with the interesting opportunity to observe characteristics of the Georgian-European identity, Georgian politicians' approaches towards the Western values, and the place of Georgia in the Western world.

34 relations presented in the work are published in Georgian for the first time. The book will be a valuable source for the researchers interested in the related topics, as well as for a broad society of readers.

This project has been made possible by financial support from the **Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG)** [grant HE17_21]

Editor: **Murman Papashvili,** Doctor of Historical Sciences, Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Responsible Editor: **Khatuna Chapichadze,** Ph.D. Degree in Social Sciences, Associate Professor of GTU

Reviewers: **Guram Kutalia,** Doctor of Historical Sciences, Professor of TSU
Giorgi Sosiashvili, Doctor of Historical Sciences, Professor of Gori State Teaching University

The Project implemented at the Georgian Technical University

ISBN 978-9941-9678-8-7

შესავალი

XVII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში თბილისში, გორსა და ქუთაისში დამკვიდრებულმა კაპუჩინმა მისიონერებმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს საკუთარი ეკლესიების დაარსებით, სკოლების გახსნითა და კათოლიკე მრევლის გამრავლებით[1]. ცხადია, ამას ისინი ქართველ პოლიტიკურ მესვეურთა (ქართლის მეფე ვახტანგ V, გიორგი XI, ვახტანგ VI) ხელშეწყობითა და ქართველ საეკლესიო იერარქთა კათოლიკური კონფესიისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულებით აღწევდნენ. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ კათოლიკე მამების წინსელა წინააღმდეგობებს არ აწყდებოდა, უმთავრესად, სომხური გრიგორიანელი და ბერძენი მართლმადიდებელი საეკლესიო იერარქების მხრიდან. ამის მკაფიო მაგალითს წარმოადგენდა თბილისსა და გორში (1679-1698 წწ.)[2] სომხური სასულიერო პირების წაქეზებითა და ხელმძღვანელობით კაპუჩინი მისიონერებისა და სომხური კათოლიკე მრევლის წინააღმდეგ ხუთჯერ მოწყობილი დევნა, რომელთაგან ყველაზე სასტიკი 1698[3] წელს მოხდა. კათოლიკე მისიონერები არაერთხელ აღნიშნავდნენ საქართველოში ბერძენი მღვდლების მიერ შეეიწროებაზე.

XVIII საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში კათოლიკობამ და კაპუჩინი მამების საქმიანობამ ახალ სიმაღლეებს მიაღწია. ამას ერთგვარი საფუძველი შეუქმნა კათოლიკე მისიონერებზე ვახტანგ VI-ის (ჯანიშინი-1703-1714; მეფე-1716-1724) საგანგებო მფარველობამ[4], რაც მისი ევროპული საგარეო პოლიტიკის, კერძოდ, საფრანგეთზე ორიენტაციის ძირითად საყრდენს წარმოადგენდა. ამ პოლიტიკის მიზნისა და საფრანგეთთან დიპლომატიური ურთიერთობის ინიციატივების ჩარჩოებში (საფრანგეთის მეფის ლუი XIV-ის მთავრობის მიერ საქართველოზე გაელით სპარსეთამდე სავაჭრო გზის გაკეთალვის მცდელობა[5], ოსმალეთთან (1673 წლის)[6] და ირანთან (1708 წლის)[7]

---

[1] დაწერ. იხ: **მ. თამარაშვილი**. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. ტფილისი, 1902, გვ. 235-297; **მ. პაპაშვილი**. საქართველო-რომის ურთიერთობა VI-XX სს. თბილისი, 1995, გვ.199-236.

[2] **მ. თამარაშვილი**. ისტორია..., გე. 253-296; ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი). იტალიური და ლათინური ტექსტები თარგმნეს, შესავალი და შენიშვნები დაურთეს **მურმან პაპაშვილმა, ელდარ მამისთვალიშვილმა და ზურაბ გამეზარდაშვილმა**. თბილისი, 2018, გე. 63-69; 125-127.

[3] **მ. თამარაშვილი**. ისტორია..., გე. 296.

[4] **მ. თამარაშვილი**. ისტორია..., გე. 339; **მ. პაპაშვილი**. საქართველო-ვატიკანის ურთიერთობა XVII-XVIII საუკუნეებში. დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი, 1998, გე. 219.

[5] ევროპული წყაროები..., გე. 48-50; 54-55.

[6] **Boogert M. H.** The capitulations and the Ottoman legal system. Bril-Leiden-Boston, 2005, pp.101-105.

[7] **Herbette M.** Une Ambassade persane sour Louis XIV, Paris, 1907, pp.333-336; საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707 წლის მარტი-1714 წლის

დადებული კაპიტულაციების ხელშეკრულების საფუძველზე აღმოსავლეთში კათოლიკეების დაცვაზე საფრანგეთის პრივილეგიები, პარიზის უცხოეთის მისიონის უსაფრთხოების გარანტიები) დიდმა სულხან-საბა ორბელიანმა, ქართველი ერის მამად წოდებულმა[1] (1658-1725), ვახტანგ VI-სთან ირანში გამგზავრებამდე (1712 წ.) შემუშავებული გეგმის მიხედვით[2], დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ გრიგოლი II-სთან (1696-1742) ერთად 1713 წელს შეიმუშავა რელიგიური პროექტი, რომელმაც კონკრეტული სახე ეერსალში, 1714 წლის იანვარ-ივნისში, გამართული დიპლომატიური მოლაპარაკების შედეგად მიიღო. მისი არსი მდგომარეობდა შემდეგში: დასავლეთ საქართველოში საქმიანობას დაიწყებდნენ საფრანგეთის უცხოეთის მისიონის ფრანგი იეზუიტი და სენ-ლაზარის კონგრეგაციის მისიონერები[3]. ისინი დაკავებული იქნებოდნენ საგანმანათლებლო მოღვაწეობით[4] და მისიონერული საქმიანობის საფარველქვეშ დაარსებდნენ საქართველოში კოლეჯს[5] და 12 წლის მანძილზე[6] მნიშვნელოვან გარდატეხას შეიტანდნენ ქართველი ახალგაზრდების პროფესიული განათლების საქმეში. მათ მიერ აღზრდილი ახალგაზრდები საფრანგეთში დაეუფლებოდნენ სამხედრო საქმეს, ხელოსნობას და ვაჭრობას[7]. ამის შედეგად საქართველოში "ნამდვილი ქრისტიანობის", ანუ კათოლიკობის ფართოდ გავრცელება დაიწყებოდა[8] და ამის მეშვეობით ქვეყანას საფრანგეთში განსწავლული პროფესიონალი ინჟინრები, ოფიცრები და დისციპლინირებული ჯარისკაცები ეყოლებოდა[9]. ამგვარი რელიგიური საფარველი ოსმალებისა და სპარსელების თვალში დამალავდა საფრანგეთ-საქართველოს შორის ეკონომიკურ-პოლიტიკური ურთიერთობის მომავალ სამოკავშირეო მიზნებს[10], რადგან საფრანგეთის მისიონის აბატები,

---

დეკემბერი), ნაწილი I. შესავალი, თარგმანი და განმარტებები დაურთო **ილია ტაბაღუამ**, თბილისი, 1975, გვ. 71-72.

[1] საბუთები..., გვ. 128.

[2] **მ. პაპაშვილი.** როდის იყო განსრახული სულხან-საბა ორბელიანის ელჩობა დასავლეთში. ჟურნ.: "საისტორიო ვერტიკალები". დამატება, 2009, №18, გვ.70-78.

[3] საბუთები..., გვ. 164; **ი. ტაბაღუა.** საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი), თბილისი, 1972, გვ. 288.

[4] საბუთები..., გვ. 164; **Tamarati Michel.** L'Eglise géorgienne des origins jusqu' à nos jours, Rome, 1910, p. 603.

[5] საბუთები..., გვ. 219.

[6] Archieves du Ministère des Affaires Etrangères. Paris. "Turquie", t. 39, f. 140v.

[7] საბუთები..., გვ. 222-225.

[8] Archieves du Ministère des Affaires Etrangères. Paris. "Turquie", t. 39, f. 138v; **ლუი კოკე.** საქართველოს ელჩობა საფრანგეთში დიდ საუკუნეში. 1713-1714 წწ. სულხან-საბა ორბელიანი ლუი XIV-სთან. კრებ.: "საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან. ტ. III, თბილისი, 1996, გვ. 91.

[9] საბუთები..., გვ. 225; Archieves du Ministère des Affaires Etrangères. Paris. "Turquie", t. 39, f.140v.

[10] საბუთები..., გვ. 220; Archieves du Ministère des Affaires Etrangères. Paris. "Turquie", t. 39, f.140v.

პირველ რიგში, ევრსალის ინტერესების გამტარებელი ვაჭრობის მისიონერები იქნებოდნენ[1]. ამასთანავე ისინი დასავლეთ საქართველოში, აფხაზეთში, ჩერქეზეთში შეუდგებოდნენ კათოლიკობის გაერცელებას[2] და მოამზადებდნენ ნიადაგს რომაულ-კათოლიკურ ეკლესიასთან გაერთიანებისათვის[3], რომელსაც მუდმივად ეწინააღმდეგებოდა ირანი და ოსმალეთი[4]. ამ პროექტის რეალიზაციაზე გადიოდა საფრანგეთის მეშვეობით საქართველოს დაკავშირება დასავლურ პროგრესთან და ევრსალთან მომავალი ორმხრივი სავაჭრო-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო ურთიერთობების განვითარება.

მართალია, სულხან-საბას პროექტმა და დიპლომატიურმა მისიამ დასავლეთში (1713-1714 წწ.) მარცხი განიცადა, მაგრამ მან დასახა კურსი, ერთმანეთის შესახებ უფრო გააფართოვა ცოდნა, საკუთარი თვალით დანახული და აღქმული დასავლეთი მახლობელად და იდენტურად იქნა მიჩნეული (ამას მკაფიოდ ადასტურებს ს.ს. ორბელიანის სამოგზაურო ჩანაწერთა წიგნი "მოგზაურობა ევროპაში") და საქართველოში კათოლიკე მისიონერებისადმი საგანგებო მფარველობა უწინდებურად გაგრძელდა, რაც დასავლეთის ფასეულობების პრიორიტეტს ადასტურებდა. უფრო მეტიც; მიუხედავად ს.ს. ორბელიანის წინააღმდეგ რეგრესული ძალების (და არა მართლმადიდებლური კონფესიის დამცველების) მკაცრი რეაქციისა[5], მან საქართველოში უფრო ენერგიულად და გულმოდგინედ დაიწყო "...ქადაგება და კათოლიკობის გავრცელება..."[6].

უდაეოა, სულხან-საბა ორბელიანის ავტორიტეტმა ბევრად განაპირობა XVIII საუკუნის პირველ ნახევარის საქართველოში ქართველ კათოლიკეთა გამრავლება და საერთოდ კათოლიკობის წინსვლა. უმთავრესად ეს გამოიხატა შემდეგში: *პირველი*, პროპაგანდის კოლეჯში განათლება მიიღო სამმა ქართველმა. ამათგან დავით პაპაშვილმა, რომელიც სულხან-საბას რეკომენდაციით მოხვდა 1725 წელს აღნიშნულ კოლეჯში[7], 1732 წლის 22 მარტს საჯარო სხდომაზე წარმატებით დაიცვა დისერტაცია ფილოსოფიაში. მან მრავალი სალვთისმეტყველო ნაშრომი თარგმნა იტალიურიდან ქართულ ენაზე[8]. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ დავითმა შექმნა მცირე მოცულობის

---

[1] Archivio di Propaganda Fide, Scritture Riferite nel Congressi, Georgia 1626-1707, vol I, f. 167.

[2] საბუთები..., გვ. 236.

[3] Bonnet Jean. Projet de Mission en Mingrelie ou Gèorgie. Annale de la Congregation de la Mission. Paris, 1902, p. 592; ი. ტაბაღუა. საქართველო-საფრანგეთის...,222.

[4] Archivio della SCPF, SOCG, "Georgia", ff. 432-433v; საბუთები..., გვ. 321-322.

[5] ე. მამისთვალიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 395.

[6] მ.თამარაშვილი. ისტორია..., გვ. 334.; Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia" 1708-1760. V. 2., ff. 39r. აქვე დოკუმენტი №5.

[7] შ. ლომსაძე. გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან. ახალციხური ქრონიკები, თბილისი, 1979, გვ. 57.

[8] მ.თამარაშვილი. ისტორია..., გვ. 343; 346.

ნაშრომი ფი'სიკის დარგში[1]. საქართველოში დაბრუნების შემდეგ მას არ შეუწყვეტია მთარგმნელობითი საქმიანობა. ქუთაისში მოღვაწეობის პერიოდში მან თარგმნა თომა კემპენელის-"ქრისტეს მიბაძვა"[2]. დავითი დიდი სახელითა და გავლენით სარგებლობდა ქართულ სა'სოგადოებაში, რომელმაც დიდი ამაგი დასდო მშობლიურ გორს. მისი თაოსნობით აქ გაიხსნა სკოლა, სადაც ქართველ კათოლიკეთა შვილების გარდა, სწავლობდნენ ქართველ მართლმადიდებელთა შვილებიც. სკოლაში ერთ დროს მამა დავითიც ასწავლიდა[3]. დავითის მერე ქართველ კათოლიკეთა რიგებში გამორჩეული ადგილი უკავია ივანე ჯიყანაშვილს, რომელიც 1729 წლის 18 ივნისს შევიდა პროპაგანდის კოლეჯში, სადაც მან თავი გამოიჩინა ნიჭით, სერიო'სულობითა და სიმტკიცით[4]. 1741 წლის 29 აპრილს მან მიიღო დოქტორის ხარისხი ფილოსოფიასა და ღვთისმეტყველებაში[5]; ***მეორე,*** 1748 წლისათვის პროპაგანდის კოლეჯში უკვე სამი ადგილი დაეთმო ქართველებს[6]. ასე რომ, მისიონერების სკოლები საქართველოში ქმნიდნენ ახალ საგანმანათლებლო ტრადიციებს, ხოლო პროპაგანდის კოლეჯში განათლება მიღებული ქართველები კი ადგილობრივ ეკლესიებს ევროპა'ს ცოდნით ამდიდრებდნენ და ინტელექტუალურ ინსტრუმენტებს აძლევდნენ. ეს გაციცლებით მეტს ნიშნავდა მაშინდელი საქართველოსათვის, ვიდრე დოქტრინალური დავები; ***მესამე,*** სულხანსაბა ორბელიანის რელიგიური პოლიტიკის ნაყოფი იყო ორბელიანთა გვარის წარჩინებული პირთა კათოლიკობა'ზე მოქცევა, როგორიცაა ივანე, ვახტანგ და ქრისტეფორე ორბელიანები. ეს უკანასკნელი იყო წმ. ბასილის ორდენის მოწესე[7] და 1737 წელს დაიკავა თბილისის ეპარქიის ეპისკოპოსის ტახტი, რომლის მრევლს შეადგენდა ქართული ტიპიკონის მქონე კათოლიკეები[8]. საგულისხმოა, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დომენტი IV (1705-1741) "...მას თვალის ჩინივით უფრთხილდებოდა..."[9]; ***მეოთხე,*** 1734-1740 წლებში ახალციხეში აშენდა ყოელაწმიდის სახელობის კათოლიკური ეკლესია, სადაც მღვდელმსახურება ლათინურ-ქართულად მიმდინარეობდა[10]; 1749 წელს

---

[1] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №70, ფურც. 143.

[2] **ზ. ჭიჭინაძე.** უმთავრესი მი'ხე'სები საქართველოს მიმართ რომის ყურადღებისა და გორული პატრი ტულუკაანთ დაეითა. ტფილისი, 1898, გვ. 75.

[3] **ზ. ჭიჭინაძე.** უმთავრესი..., გვ.75.

[4] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №70, ფურც. 50.

[5] **მ.თამარაშვილი.** ისტორია..., გვ. 346.

[6] იქვე, გვ. 362; ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №85, ფურც. 143.

[7] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1708-1760. V. 2., ff. 341r. დოკუმენტი №11.

[8] **მ. პაპაშვილი.** ეპისკოპოს ქრისტეფორე ორბელიანის რომში სტუმრობის მი'სანი. ჟურნ.: "საისტორიო ძიებანი", 2005, №8, გვ. 90.

[9] **მ.თამარაშვილი.** ისტორია..., გვ. 352-353; **Tamarati Michel.** დასახ. ნაშრ., გვ. 618-619.

[10] **შ. ლომსაძე.** დასახ. ნაშრ., გვ. 53.

თბილისში აშენდა კათოლიკეთა ახალი ეკლესია[1]; ***მეხუთე,*** 1750 წლისათვის მომწიფდა აზრი თბილისში ლათინთა საეპისკოპოსოს დაარსების შესახებ[2]; ***მეექვსე,*** კათოლიკობისკენ მიდრეკნენ იმერეთის მეფე ალექსანდრე V (1720-1752), დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ბესარიონ ერისთავი (1742-1769) სამ ბერთან ერთად, როსტომ რაჭის ერისთავი (1749-1769) და მისი შვილი გიორგი[3]. საგულისხმოა, რომ როსტომ ერისთავმა კაპუჩინებს ონში გადასცა სახლი და 1751 წელს საკუთარი ხარჯებით აუშენა ეკლესია[4]; ***მეშვიდე,*** 1755 წლამდე კათოლიკობა მიიღო "60 ქართველმა თავადმა", 10 მაღალი რანგის სასულიერო პირმა[5] და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ I დიდი ბაგრატიონი (1744-1756; 1763-1788) ბასილიანელი გახდა[6].

XVIII საუკუნის მეორე ნახევარის საქართველოში კათოლიკობის მიმართ ქვეყნის პოლიტიკურ მესვეურთა დამოკიდებულება, წინარე პერიოდთან შედარებით, მეტად შეიცვალა. მართალია, ეს უშუალოდ უკავშირდებოდა კახეთის ბაგრატიონების (თეიმურაზ II, ერეკლე II) ტრადიციულ რუსულ პოლიტიკას[7], მაგრამ ქართლის მეფე თეიმურაზ II-ის (1744-1762) ანტიკათოლიკური განწყობა და მოქმედება ძირითადად დაეფუძნა ორ ფაქტორს: ***პირველი,*** სიმხური გრიგორიანელი სასულიერო იერარქების ანტიკათოლიკურ დამოკიდებულებასა და მათ მიერ მისიონერთა პერმანენტულ დევნას საქართველოში; ***მეორე,*** საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ანტონ I-ის კათოლიკობისკენ მიდრეკას. ამ მიზნით თეიმურაზ II-მ 1754 წელს ფაქტობრივად აკრძალა კათოლიკობაზე გადასვლა[8] და მომდევნო წელს (1755) გორსა და თბილისში კაპუჩინ მამებს ჩამოართვეს ეკლესია და ქონება[9].

როგორც წყაროებიდან ირკვევა, მეფე თეიმურაზ II-ს ანტიკათოლიკური განწყობა ბოლომდე არ გაჰყოლია. ჩანს, ის მისი შვილის, კახეთის მეფის ერეკლე II-ის რჩევით, მიხვდა, რომ პროგრესის მოწინააღმდეგე ძალების სურვილს ასრულებდა და ამიტომ კათოლიკეებისათვის ისევ შემწეობა

---

[1] **მ.თამარაშვილი.** ისტორია..., გვ. 363.

[2] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia",1708-1760. V. 2., ff. 444r; 445 r. დოკუმენტი №13; **მ.თამარაშვილი.** ისტორია..., გვ. 363.

[3] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №70, ფურც. 7v-9; №85, ფურც. 41 v.

[4] იქვე.

[5] **მ.თამარაშვილი.** ისტორია..., გვ. 372

[6] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №85, ფურც. 50.

[7] **ე. მამისთვალიშვილი.** საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია. III, თბილისი, 2019, გვ. 514.

[8] **მ.თამარაშვილი.** ისტორია..., გვ. 369; **ე. მამისთვალიშვილი.** დასახ. ნაშრ., გვ. 525; Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1708-1760. V. 2.,f.489r. დოკუმენტი №15).

[9] **მ. თამარაშვილი.** ისტორია..., გვ. 375; **ე. მამისთვალიშვილი.** დასახ. ნაშრ., გვ. 525; Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1708-1760. V. 2.,f.499r. დოკუმენტი №16)

აღმოუჩენია. ამის უტყუარი საბუთია ის, რომ მან ერეკლესთან ერთად 1760 წლის 13 იანვარს წერილი მისწერა ახალციხის კაპუცინთა ეიცე-პრეფექტს ლეონარდო და ვიტერბოს, რათა ერთი მღვდელი გამოეგზავნა თბილისში უმწყემსოდ დარჩენილი მრევლის მოსაელელად[1]. თეიმურაზისაგან განაწყენებულმა ლეონარდომ თითქოსდა იწინასწარმეტყველა პეტერბურგის გზაზე შემდგარი მეფის იქ შესაძლო აღსასრული[2] და ეს იმ საშუალებად მიიჩნია, რომ ერეკლე II-სთან ადვილად გამონახაედა საერთო ენას. ამის საფუძველი მას ჰქონდა, რადგან თეიმურაზისაგან განსხვავებით, ერეკლე, ლეონარდოსავე სიტყვებით, კათოლიკობისადმი "...მიდრეკილია და ჩვენთვის კარგი უნდაო"[3].

1762 წელს ქართლ-კახეთის ტახტზე დამკვიდრებული მეფე ერეკლე II (1762-1798) კათოლიკე მისიონერების მიმართ ფარულ სიმპათიას აცხადებდა, რაც ნაკარნახევი იყო, როგორც პრაგმატული პოლიტიკური მოსაზრებით, ასევე საკუთარ ქვეყანაში უცხოელის მიმართ გამორჩეულად შემწყნარებლური ხასიათის ქართული ბუნებით. ამის ნათელი მაგალითია ის, თუ როგორ აპროტესტებდნენ 1756 და 1775 წელს ქართველი მაღალი იერარქიის მართლმადიდებელი სასულიერო და წარჩინებული საერო პირები კათოლიკე მისიონერებს დევნის[4].

წინამდებარე ნაშრომში მოთავსებული წყაროები, რომელიც აღებულია ვატიკანის არქივებიდან და რომელთა ძირითადი ნაწილი ქართულ ენაზე პირველად ქვეყნდება, ერეკლე II-ის ევროპული საგარეო პოლიტიკის მიზნის შესახებ ადასტურებენ: ***პირველი,*** ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის ფარული სიმპათიები კათოლიკობისადმი უკავშირდებოდა საერთო მტრის წინააღმდეგ (ოსმალეთი) დასავლეთის სუვერენებთან ფინანსური ან სამხედრო დახმარების მიღების მცდელობას, რომელიც ამასთანავე მიზნად ისახავდა გეორგიევსკის გზაზე რუსეთზე შემოქმედების მოხდენას; ***მეორე,*** ერეკლე II-ის დასავლური პოლიტიკის კონკრეტული ამოცანები 80-იანი წლებიდან დაისახა. აქამდე კი ერეკლე მეფე ჭრთხილ დამოკიდებულებას იჩენდა მისიონერების მიმართ, რაც ხშირად მისი მიზნის საწინააღმდეგო მოქმედების გამოვლინებითაც ხასიათდებოდა[5]. ეს კი გამოწვეული იყო ქვეყანაში არსებული რთული პოლიტიკური ვითარებით, რაც ხანდახან სარწმუნოებრივ სა-

---

[1] ვ.თამარაშვილი. ისტორია..., გვ. 377.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1708-1760. V. 2., f.490 v. დოკუმენტი №15; Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1761-1778. V. 3., ff. 331v. დოკუმენტი №19.

[5] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia". 1761-1778. V. 3., ff. 331v. დოკუმენტი №19; Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1779-1790. V. 4., f.11r. დოკუმენტი №21.

კითხებში (კათოლიკეებისათვის ეკლესიების არ დაბრუნება, სომხური სასულიერო იერარქების ანტიკათოლიკური მოქმედებებისათვის მხარის დაჭერა, რუსეთის ეკლესიის კათოლიკობისადმი არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულების გათვალისწინება) დიპლომატიურად ლავირებას მოითხოვდა; ***მესამე,*** საქართველოს გარემომცველი სამყაროს ფონზე კაპუჩინი მამების მიერ აღქმული საქართველო მახლობელია, იდენტურია, რომელიც "...იტანჯება უფლის სიყვარულის გამო"[1]; ***მეოთხე,*** ქართველები ინარჩუნებდნენ მართლმადიდებლობას და მას'ზე ხელის აღებას არ აპირებდნენ, მაგრამ თანამშრომლობისათვის მნიშვნელოვანი იყო მისიონერების საქართველოში ყოფნა, რადგან ისინი იყვნენ ესოდენ საჭირო ექიმები, ევროპული სიახლის მატარებლები ჩვენს ქვეყანაში, დასავლეთთან დამაკავშირებელი ხიდი და ეს სიახლოვე ქმნიდა საერთო იდენტობას; ***მეხუთე,*** კაპუჩინი მამების (დომენიკო და ტრიესტე, მაურო და ეერონა) დასავლეთში დესპანებად გამოყენება თავისებურ სახეს აძლევდა ქართული დიპლომატიის სტილს და, ალბათ, გათვლილი იყო იმა'ზე, რომ დასავლეთის მონარქები (რომის საღეთო იმპერიის იმპერატორი, საფრანგეთის მეფე, სარდინიის მეფე, ნეაპოლის მეფე, ვენეციის რესპუბლიკის მმართველი) უფრო ნდობით მოკიდებოდნენ კათოლიკე მამების მეშვეობით ერეკლე მეფის სათხოვარს; საკუთრივ დესპანებად გაგ'საენილ მამებს თავიანთ ინტერესებში (ერეკლე II-ის მიერ ეკლესიების დაბრუნება, მის მიერ კათოლიკე მამების უსაფრთხო საქმიანობისათვის მფარველობა) არ დაეკლოთ მცდელობა ხსენებული მონარქები მაქსიმალურად დაეინტერესებინათ ერეკლე მეფის სათხოვრის მიმართ; ამით ერეკლე II-ს სურდა დასავლეთის პოლიტიკურ არენა'ზე საქართველოსადმი ინტერესი წამოეწია (დოკუმენტის ენა'ზე: "ევროპის სამეფო კართან დაახლოება")[2] და ასეთ შემთხვევაში რუსეთის თვალში საქართველოს როლი მეტად გაე'სარდა. შესაძლებელია, ერეკლე მფე ითვალისწინებდა იმ ფაქტორსაც, რომ რუსეთის წინსელა კაეკასია'ში, როგორც ეს გერგიეესკის ტრაქტატის დადების შემდეგ უმალვე გაცხადდა, დასავლეთის სახელმწიფოებში იწვევდა ღელვასა და შიშს[3].

მურმან პაპაშვილი
ელდარ მამისთვალიშვილი
ზურაბ გამეზარდაშვილი
ხათუნა ჩაფიჩაძე

---

[1] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1779-1790. V. 4., ff. 205r. დოკუმენტი №27.

[2] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1779-1790. V. 4., f.119v. დოკუმენტი №26.

[3] Venturi Franco. Settecento riformatore. 4,2. La caduta dell'Antico Regime (1776-1789). T. 2. Il patriotisme republicano e gli imperi dell'Est. Torino, 1994, pp.787-796.

დოკუმენტები

ქართული თარგმანებითა და კომენტარებით

№1

1708-1710 წლებში სპარსეთის, საქართველოსა და ალბანეთის მისიონის საქმიანობასთან დაკავშირებული საქმეების საძიებელი

საძიებელი[1]

f. 188 r.

1710 წლის ივნისი. მამა ჯაკომო ვილოტეს, იეზუიტის მიერ სომეხ-კათოლიკების წინააღდეგ შეთავაზებული ზომები.

ფურცელი, რომელზეც მითითებულია იმავე მამა ვილოტეს, სპარსეთსა და სომხეთში ნამყოფი მისიონერის ნაშრომები, რომლებიც წარადგინა წმინდა კონგრეგაციის სარწმუნოების პროპაგანდის კარდინალმა, ამ ნაშრომების გამოქვეყნებისა და ამ ხალხებს შორის მათი ფართოდ გავრცელების მიზნით.

წერილი, დაწერილი....(არ იკითხ.) ჯენაროდან მამა გასპარო ვალიან დი ბარტოლომეო, ცეხინეტოს [გამოგზავნილი], სომხების სამოციქული მისიონერის მიერ კარდინალ საეიპანტისთან, ნაციის მფარველი, სომეხთა მღვდლის, ჯოვანი მინასის[2] რეკომენდაციით. ამ მღვდელზე, სახელგანთქმულ მისიონერზე საქართველოში, საუბარი იქნება შემდეგ რუბრიკაში.

ეჭვები, გამოთქმული სომხების შესახებ, პარიზის პროვინციის ღირსი მამა-კაპუჩინების მიერ, რომლებიც იმყოფებიან კონსტანტინოპოლში.

სომხური წერილი, გადათარგმნილი აგრეთვე იტალიურ ენაზე, დაწერილი ანტეის[3] ეპისკოპოსის ნერსესის მიერ და [გაგზავნილი] კლემენტი XI-სთან თხოვნით, გაეწიოს მფარველობა და დახმარება უსამართლოდ ბრალდებულსა და ცილისწამებულს თავისი მოწინააღმდეგების მიერ, [რომლებიც იმყოფებიან] სომეხთა ნაციის მფაველ კარდინალ საკრიპანტესთან,

---

[1] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia" 1708-1760. V. 2., ff.188r-189 r. **ეს საძიებელი დაწერილია იტალიურ ენაზე და ორიგინალიდან თარგმანი პირველად ქვეყნდება**

[2] იხ. მინასის უარყოფითი შეფასება ასტრახანში ყოფნის დროს.

[3] ანტეი-სენტ-ანდრე-კომუნა ჩრდილოეთ იტალიაში.

საქართველო, სპარსეთი და სპარსეთის მეფის მიერ დამორჩილებული ქვეყნები

სომხური წესის ალბანეთის[1] არქიეპისკოპოს ისაის, ბიაჯოს მემკვიდრის მიერ, დაწერილი წერილი ინოკენტი XII-ის[2] საპასუხოდ, რომელშიც აღწერს იმ ტანჯვას, რასაც განიცდიან ქრისტიანი კათოლიკეები სპარსეთის მეფის მიერ დაამორჩილებულ ქვეყნებში. [წერილი] დაწერილია შემახაში 1700 წლის დასაწყისში.

აქტები, როლებიც ეხება 1702 წლის 4 სექტემბერს გამართულ წმინდა სარწმუნოების კონგრეგაციის საერთო კრებას. მათ შორის არის მამა ფრა' ფელიჩე და სელანოს, კაპუჩინის ანგარიში, სპარსეთის მეფის კარზე ყოფნის შესახებ, რომელიც იქ გაგზავნა წმინდა კონგრეგაციამ 1699 წლის 12 იანვარს ინოკინტი XII-ის წერილით სპარსეთის შაჰთან საქართველოს მისიონის

f. 188v.

საჭიროებათა შესახებ. გარდა ამისა, ანგარიშში ლაპარაკია სპარსეთის საქმეებზე, სომხებზე, სირიელებზე, ბერძნებზე და სხვა ხალხებზე, რომლებთანაც მუშაობდნენ სამოციქულო მისიები, სახელდობრ მაკედონიაში, ეთიოპიაში, კაიროში, იბერიაში, კონგოში, სან ტომეში, რეციაში; ჩრდილოეთის მისიებზე, დალმაციის და რუტენების[3] შესახებ; აქ არის, აგრეთვე ფეხშიშველი კარმელიტების ასფახანის[4] ეპისკოპოსის ფრა' ელიას სამახსოვრო ბარათი და სარეკომენდაციო წერილი კლემენტი XI-სთან, ანგარიში სპარსეთში რელიგიის საქმეებისა და კათოლიკების მდგომარეობის შესახებ, მისი მოღვაწეობის შესახებ ვენეციის სენატში სომხების

სასარგებლოდ. იმავე ეპისკოპოსის მიერ ვენეციის დოჟთან წარდგენილი სამახსოვრო ბარათის ასლი.

იმავე ეპისკოპოსის წერილი ვენეციის მმაროველთან და უმაღლეს კოლეგიასთან სპარსეთის საქმეების, სომხეთში კათოლიკური რელიგიისა და მორწმუნე-კათოლიკების მდგომარეობის შესახებ.

კიდევ ერთი სამახსოვრო ბარათი, წარდგენილი მის უწმინდესობასთან[5] იმავე ეპისკოპოსის მიერ, რომელიც 26 წლის განმავლობაში მუშაობდა

---

[1] ალბანთში შეიძლება იგულისხმება ყარაბაღი, სადაც ცხოვრობდნენ გრიგორიანელი სომხები და მათი ეპისკოპოსი.

[2] პაპი ინოკენტი XII (1691-1700), ერისკაცობაში ანტონიო პინიატელი.

[3] რუსების ლათინიზირებული ეთნონიმი.

[4] ისპაჰანი/ისპაანი — ირანის ძველი დედაქალაქი XVI-XVII საუკუნეებში.

[5] რომის პაპი.

სპარსეთში სამოციქულო მისიებში და უკანასკნელი ცხრა წლის განმავლობაში იყო ეპისკოპოსად იმავე სამეფოში; [ბარათი] ქრისტიან-კათოლიკეებისა და მისი ეპისკოპატის მდგომარეობის შესახებ.

წერილი, წარდგენილი მისი უწმინდესობისათვის იმავე პრელატის[1] მიერ, რომელიც შეიცავს მოსაზრებებს სპარსეთში კათოლიკური რელიგიის გაუმჯობესებისა და სამოციქული მისიების მუშაობის წესის შესახებ.

ასპახანის[2] იმავე ეპისკოპოსის წერილი კარდინალ კარლო ბანდერინის, რწმენის პროპაგანდის კონგრეგაციის პრეფექტისადმი, რომელშიც არის ცნობები [ისპაანის] ეპისკოპატის მოღვაწეობისა და მიმდინარე მუშაობის შედეგებზე, არსებული ვალებისა და საჭიროებების შესახებ, რომელიც უნდა დაკმაყოფილდეს, რათა შეინარჩუნოს მისიონისათვის საჭირო ღირსება.

ფრა' ელიას, წმ. ალბერტის ორდენის, ასპახანის რწმენის წმინდა კონგრეგაციის პროპაგანდის ეპისკოპოსის სამახსოერო ჩანაწერების მოკლე გადმოცემა, რომელიც შეთავაზებულ იქნა ბოლოს, მაგრამ აქამდე ვერ პოვა რამე გადაწყვეტა.

f. 189 r.

ჩანაწერი იმავე ეპისკოპოსის მიერ წარდგენილი წმინდა რწმენის პროპაგანდის კონგრეგაციის კარდინალ-პრეფექტისათვის რწმენის აღსარების იმ ფორმულის შესახებ, რომელიც უნდა წარმოსთქვან სომეხმა ეპისკოპოსებმა, მიუთითებს იმ სიტყვებზე, რომლებიც მას მიაჩნია ზედმეტად, აგრეთვე იმ სიტყვებზე, რომლებიც აუცილებლად მიაჩნია, მაგრამ არ არის ამ ფორმულაში.

ფრა' რეჯინალდო და ლენტინის 1709 წლის 18 აგვისტოს წერილი, რომელიც არის სამოციქულო მისიონის ხელმძღვანელი თბილისში, რწმენის პროპაგანდის კარდინალ-პრეფექტს.

ანგარიში სპარსეთის მეფესთან ელჩობის შესახებ, რომელიც მოაწყო იზრაელ ორიმ[3], სომეხმა, 1708 და 1709 წლებში, უკანასკნელი სამოციქულო მისიებისათვის სპარსეთში მიყენებული ზიანის შესახებ. ერთეის მრავალი ისტორიული დოკუმენტი

ანგარიში საქართველოს მისიების ამჟამინდელ მდგომარეობაზე.

ასლი მამა პიეტრო დ'ისუნდენის[4], სპარსეთში მისიონერ-კაპუჩინის საამახსოერო ბარათის, რომელიც დაწერა ასპახანში 1711 წლის 7 მაისს და

---

[1] კათოლიკური და ანგლიკანური ეკლესიის უმაღლესი სასულიერო პირი

[2] ასპაჰანი/ისპაანი.

[3] სომხეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწე (1658-1711).

[4] პიეტრო დ'ისუნდენი/მამა პიერ დ'ისუდენი – კაპუჩინების მისიონერი ირანში. ცნობილია მისი რამდენიმე წერილი (1413 წლის 20. 01, 11. 05, 15. 05; 1714 წლის 08.

გაუგზავნა გრაფ ალეევსს, საფრანგეთის მეფის რეზიდენტს კონსტანტინოპოლში.

დოკუმენტები, რომლებიც ეხება ჯოვანი მინასს, სომხური აღმსარებლობის მღვდელსა და მისიონერს, რომელსაც დიდი დამსახურება აქვს კათოლიკური რელიგიის წინაშე საქართველოსა და სპარსეთში.

სამახსოვრო ბარათი მის უწმინდესობას კლემენტი XI-ს, წარდგენილი ჯოვანი მინასის, სომეხი მღვდლის მიერ, რომელმაც კათოლკობაზე მოაქცია თითქმის მთელი ქალაქი ახალციკე[1] საქართველოში.

მოწმობა ამ მღვდლისათვის, რომელიც გასცა ფრა' რეჯინალდო და ლენტინიმ, სამოციქულო მისიონის პრეფექტმა საქართველოში. თბილისის თავშესაფრიდან, 1708 წლის აპრილი.

№ 2

პაპი კლემენტე XI-ის წერილი საფრანგეთის მეფე ლუი XIV-ს ვახტანგ VI-სადმი დახმარების აღმოჩენის შესახებ

რომი, 1714 წლის 20 ივლისი

ქრისტეს მიერ საყვარელ ჩვენ შვილს,
უქრისტიანეს საფრანგეთის მეფეს პაპი კლემენტ XI[2]

f. 36r.

ქრისტეს მიერ საყვარელო ჩვენო შვილო, მოგესალმები შენ. ყველაფერში, რაც შეეხება ჩვენი სარწმუნოების დაცვას და გამრავლებას, შენ შენი გულმოდგინებით აღემატები ყველა სხვას, როგორც აქამომდე მოწმობდა მრავალრიცხოვანი ნიშანი შენი მეფური მართლმორწმუნეობისა. დაუღალავად იღწვი ღმერთის სადიდებლად და სულების გადასარჩენად, რაც განსაკუთრებით ნათელია ახლა, როცა გავიგეთ, რომ შენ მფარველობ მისიებს, რომლებიც

---

06) გაგზავნილი კონსტანტინოპოლში საფრანგეთის ელჩის, გრაფ დეზალორისადმი, ირანში მყოფი ვახტანგ VI-ის შესახებ. აღსანიშნავია, რომ მას პირადი ურთიერთობა ჰქონდა ქართლის მეფესთან. პიერ დ'ისუდენის ხელმძღვანელობითა და სულხან-საბას და ჟან რიშარის მონაწილეობით შედგენილ მემორანდუმში მნიშვნელოვანი ადგილი ჰქონდა დათმობილი საქართველოს. მასვე ეკუთვნის სანდალური წერილები კათალიკოს-პატრიარქ დომენტი IV-ზე. საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707 წლის მარტი – 1714 წლის დეკემბერი), ნაწილი I / შესავალი, თარგმანი და კომენტარები დაურთო **ილია ტაბაღუამ**, თბილისი, 1975, გვ. 299; 359-360 ერცლად: ტაბაღუა ი., საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი), გვ. 303-305.

[1] ახალციხე.

[2] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia" 1708-1760. V. 2., ff.36r-37r. **წერილი დაწერილია ლათინურ ენაზე და ორიგინალიდან თარგმანი პირველად ქვეყნდება.**

დაარსებულია სპარსეთის სამეფოში, ყურადღებას არ აკლებ მათ, და მზადაც კი ხარ გამოიჩინო სულის სიდიადე, აღმოუჩინო მათ დახმარება და გაუგზავნო [ყველაფერი] აუცილებელი მათი საჭიროებისათვის, რათა იქაური უბედური ხალხი, თუნდაც ისინი გადარჩენილი და გამოსყიდული ჩვენი უფალი იესო ქრისტეს ძვირფასი სისხლით, მიუხედავად ამისა, მაინც აგრძელებენ ცხოვრობას ან როგორც ბრმები ურწმუნოების სიბნელეში, ან დაეხეტებიან განხეთქილების ცდომილებაში, ვერ ახერხებენ კათოლიკური სარწმუნოების ჭეშმარიტებამდე მისვლას. ჩვენ კი, ვევარაუდობთ, რომ პაპის მთავარი საზრუნაი უნდა იყოს ღვთიური კულტის შემდგომი გაფართება და სულების გადარჩენა. აღვიესეთ უდიდესი სიხარულით, როდესაც გაეიგეთ ამ შენი არც თუ დიდი ხნის წინანდელი და მშვენიერი მისწრაფების შესახებ, ასევე დიდად საიმედოა, რომ შენი უდიდებულესობის ხელისუფლებითა და ავტორიტეტით მოთოკილნი იქნებიან ისინი, ვინც მიისწრაფის ააფეთქოს და მოშალოს იქაური მისიები, ეს მისიები კი ღვთის დალოცვით მოიტანენ სარწმუნოების უხვ მოსავალს. ასევე ვიცით, რომ თქვენს სათნოებას არაფერი უნდა ისეთი, რაც არ იქნება

f. 36v.

მიმართული იმ ხალხის სულიერ სიკეთისაკენ. ჭეშმარიტად, ასეთი სიყვარულისათვის, რომელიც უნდა გაეავრცელოთ ყველა ხალში და იმ ბედნიერებისათვის, რომელსაც ჩვენ მთელი სულიერი ძალებით ვესურვებთ, არ შეგეიძლია არ მოგმართოთ დიდი თხოვნით, რომელსაც შენ, ეჭვი არ გვეპარება, დიდი მონდომებით აღასრულებ. იქიდან გამომდინარე, რასაც მოგეიყვნენ საყვარელი შვილები – სოლზან საბა ორბელი[1], წმ. ბასილის ორდენის[2] ბერი და საქართველოს მეფის, ან მთავარის ნათესავი, და იოანე რიკარდო[3], რწმენის პროპაგანდის კონგრეგაციის მისიის მღვდელი, ნათლად გავიგეთ, რომ იქაური მისიის სარგებლობისა და აყვაეებისათვის აუცილებელია ყოველმხრივ მივაღწიოთ, რომ საქართველოს მეფე, ან მთავარი, რომელიც ამჟამად თავისი ნების საწინააღმდეგოდ სპარსეთის შაჰს დაკა-

---

[1] სულხან-საბა ორბელიანი

[2] ბასილიელები, წმინდა ბასილის სამონაზვნო ორდენის მიმდევარნი. ბასილიანთა ორდენის ფუძემდებელი იყო ბერძენი საეკლესიო მოღვაწე ბასილი დიდი კესარიელი (330-379). ორდენი დაარსდა 1579 წ. 1 ნოემბერს. ბასილიანელთა ლათინურ ბერმონაზვნურ ორდენად მისი გარდაქმნა მოხდა XVII საუკუნიდან და მიიღო უნიატური ხასიათი. ბასილიანელთა ორდენის წევრი თითქმის ყველაფერში იცავდა მართლმადიდებლური ეკლესიის პრინციპებს. რელიგიურ საიდუმლოებასა და მარხვის დაცვაში მთლიანად ეყრდნობოდა აღმოსაელური ეკლესიის წესდებასა და ტრადიციებს. კათოლიკური იყო მხოლოდ ორი რამ: ორდენის წევრს უნდა ეღიარებინა რომის პაპის უზენაესობა და სარწმუნოების სიმბოლოზე დაემატებინა, რომ სული წმინდა გამოდის არა მხოლოდ მამისგან, არამედ ძისგანაც.

[3] უნდა იყოს ფრანგი მისიონერი ჟან რი'მარი.

ვებული ჰყავს თავის კარზე, მიეცეს შესაძლებლობა თავისუფლად დაბრუნდეს თავის სამფლობელოში. დიდი იმედია, რომ ეს ქართველი მმართველი, რომელიც დიდი ხანია შეუპოვრად უარს ამბობს შეუერთდეს უწმინდურ მაჰმადიანურ სარწმუნოებას, მოიპოვებს თუ არა ძველ თავისუფლებას, მაშინვე ჩამოშორდება განდგომილთა სარწმუნოებას[1], რომელშიც ის დაიბადა და გაიზარდა და მიიღებს ჩვენს წმინდა სარწმუნოებას. ამის მიზეზით, როგორც უკვე გთხოვდით შენ ამა წლის 13 აპრილის ჩვენს სხვა წერილში, ეაახლებთ ჩვენს დაჟინებულ თხოვნას, ეაყალიბებთ რა რამდენადაც

f. 37r.

შესაძლებელია მეტი დამაჯერებლობით, რათა გამოიყენო ყველა ის შესაძლებელი და ყველა ღონე, რომლებსაც თქვენი კეთილგონიერება მიიჩნევს მიზანშეწონილად, რათა მიღწეულ იქნას საქართველოს მთავრის უსწრაფესი განთავისუფლება; ეს მხოლოდ შემატებს ახალ ქებას და დამსახურებას შენს ყველა დიდებულ საქმეს. დაწერილებით ამ საქმეზე, აგრეთვე დასახელებული მისიის სხვა საჭიროებებზე მოგიყვება გალიაში[2] გამოგზავნილი იოანე რიკიარდო[3], რომელსაც, გთხოვ გულმოწყალედ მოუსმინო, რადგან ის, როგორც შენც დარწმუნდები, აერთიანებს ღვთისმოსაობას გონებასთან. ის ღირსია კეთილგანწყობილი მიღებისა და მეფური წყალობის. დასასრულს აღვაელენთ უმდაბლეს ვედრებას ყოელის შემძლე ღმერთთან, მან ხანგრძლივად დააიცვას შენი დიდებულება ბედნიერებასა და აყვავებაში, როგორც კათოლიკური საქმის ერთგული დამცველის, რომელსაც ეუგზავნით ჩვენს სამოციქულო დალოცვას.

რომი, სანტა მარია მაჯორე, 1714 წლის 20 ივლისი, 1714 წლის 26 ივლისი.

№3

წმინდა კონგრეგაციის კარდინალ პრეფექტის ჯუზეპე საკრიპანტის[4] რელაცია სულხან-საბა ორბელიანის დიპლომატიური მისიის ამოცანებისა და მიზნების შესახებ[5]

რომი, 1714 წლის 24 ივლისი

საფრანგეთის სამეფო კარიდან რომში ჩამოვიდა მამა სულხან საბა, წმ. ბასილის [ორდენის] კათოლიკე ბერი, ბატონი ორბელი, საქართველოს

---

[1] იგულისხმება ბერძნულ-აღმოსაელური მართლმადიდებლობა. .

[2] უნდა იყოს საფრანგეთში.

[3] უნდა იყოს ფრანგი მისიონერი ჟან რიშარი.

[4] ჯუზეპე საკრიპანტი, წმინდა კონგრეგაცია "დე პროპაგანდა ფიდეს" კარდინალ პრეფექტი (1700-1727).

[5] Acta Sacra Congregazione de Propaganda Fide. Anno 1714, fol.442, №32-"Georgia". **რელაცია დაწერილია იტალიურ ენაზე და ორიგინალიდან თარგმანი პირველად ქვეყნდება.**

პროვინციიდან, საქართველოს მთავრისა და მეფის ვახტანგის ახლო ნათესავი. მის უწმიდესობას მოუთხრო იმ მიზეზის შესახებ, რამაც ის მიიყვანა საფრანგეთის სამეფო კარზე, ასევე [იმ] სურვილზე, რომ წინ წასწიოს წმინდა კათოლიკური სარწმუნოება. ის ამბობს, რომ 13 წელია [ამ მხრივ] საქმიანობს არა მხოლოდ საქართველოში[1], არამედ სამეგრელოში, აფხაზეთში, ჩერქეზეთსა და სხვა მეზობელ ქვეყნებში. სამეგრელოს პატრიარქის[2] უმთავრესი პრინციპია, რომ მიიღოს წმინდა სარწმუნოება და ხელი შეუწყოს თავის ქვეშევრდომებს შორის მის [გავრცელებას], ასევე მისცენ მისიონერები, რათა ისინი წარგზავნონ სამ ამ სახლში[3]. სანამ ხსენებული მეფე, მისი ნათესავი, რომელიც ახლა სპარსეთის სამეფო კარზეა და წართმეული აქვს თავის სახელმწიფოში ყოფნის უფლება, უწინდებურად მზადაა, გახდეს კათოლიკე და საქართველოში მისი დაბრუნებით წმინდა სარწმუნოების გაერცელებას დიდი წარმატება ექნება. იგივე ბერი ამბობს: იმიტომ ჩავიდა საფრანგეთში, რომ უქრისტიანესი მეფისათვის[4] ეთხოვა მფარველობა, რადგან მას ოფიციალურად მიემართა სპარსეთის მეფისათვის[5], რათა ზემოხსენებული მეფე გაეთავისუფლებინა და საქართველოში დაებრუნებინა. ასევე დაეფინანსებინა [საფრანგეთის მეფეს] რამდენიმე მისიონერი და როგორც ის ამბობს, მისმა უდიდებულესობამ დიდი მისწრაფება გამოავლინა, თუმცა თვით მისიონერების გაგზავნაზე მზრუნველობა ჩვენმა უწმიდესმა ბატონმა[6] უნდა აიღოს თავის თავზე, რაც მის უწმიდესობას მოეწონება.

ვინაიდან ზემოხსენებული ბერი ითხოვს:

I. მისმა უწმინდესობამ გაუგზავნოს ეპისტოლე მის უქრისტიანეს უდიდებულესობას[7], რომ დანიშნოს მისიონერები, რომელთაც პატივისცემით მოეკიდებიან და ახალ მისიონში საგანმანათლებლო საქმით იქნებიან დაკავებულნი. ასევე დაარწმუნოს[8] მისი უდიდებულესობა,[9] რომ ზემოხსენებული ქართველი მეფის გათავისუფლებას ეცადოს, და როგორც მას სჯერა, სპარსეთის მეფე[10] საფრანგეთთან ვაჭრობის დამყარების სურვილით, ამას

---

[1] იგულისხმება აღმოსავლეთ საქართველოში.

[2] იგულისხმება დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი გრიგოლი II (1696-1742).

[3] ე.ი. სამ მხარეში-სამეგრელოში, აფხაზეთში, ჩერქეზეთში.

[4] იგულისხმება საფრანგეთის მეფე ლუი XIV (1643-1715).

[5] უნდა იყოს სპარსეთის შაჰი.

[6] ე.ი. რომის პაპმა.

[7] ე. ი. საფრანგეთის მეფე ლუი XIV-ს.

[8] რომის პაპმა.

[9] საფრანგეთის მეფე ლუი XIV.

[10] სპარსეთის შაჰი.

ადვილად დათანხმდება. ამ მიზნით[1], ამბობს ის, მან[2] პარიზში გაგზავნა ელჩი, რომელიც ადრე არ ყოფილა პრაქტიკაში, ასევე მან რეკომენდაცია გაუწიოს მისსიონერ ჟან რიშარს სპარსეთში, საიდანაც მე რომში ამ ბერთან ერთად ჩამოვედი. რაც შეეხება მისიონერებს, ის გვთავაზობს, რომ იყვნენ ჯანსაღნი.

2. ისინი[3] აიყვანონ პარიზის მისიონის სემინარიიდან და იეზუიტთა საზოგადოებიდან, რომელნიც სხვადასხვა პროვინციებში[4], ერთგან შეძლებენ კოლეჯის, ხოლო სხვაგან სემინარიის დაარსებას.

ზემოხსენებული ადგილებისა და პროვინციების ზოგიერთი მისიების წესრიგზე, მის მდგომარეობაზე, ფორმებსა და ხერხებზე, ურთიერთობებზე, რომლებიც იქ იყო გამოყენებული, მის ყოლადუწმინდესობას შეუძლია აიღოს საარქივო მასალების ანგარიშებიდან.

3. მის უქრისტიანეს უდიდებულესობას გადაეცეს მადლობის წერილი გამოხატული პოზიციისათვის, რომელიც აუცილებელია ამ პროვინციებში გაგზავნილი მისიონერების უსრუნველსაყოფად.

4. დიდად აფასებს გრაფ პონშარტრენის[5], მისი უდიდებულესობა სახელმწიფო მინისტრისა და ბატონის მხურვალე რჩევებს, რომელიც განსაკუთრებით უჭერდა მხარს ამ ახალ მისიონებს და საქართველოს მეფის გათაეისუფლებას [ირანის ტყვეობიდან]. გარდა ამისა, ხსენებულმა ბატონმა გრაფმა პონშარტრენმა სარეკომენდაციო წერილები მისცა ხსენებულ ბერს მის ყოვლადუწმინდესობასთან[6].

5. [სულხან-საბა] ასევე თელის, რომ მისწერონ და გაუწიონ ეფექტიანი რეკომენდაცია კონსტანტინოპოლში საფრანგეთის ელჩთან მის გარიგებას, ასევე მოაქვს მიზეზები, რომელიც შეიძლება ამ შეთანხმებაში აღმოჩნდეს, განსაკუთრებით იმაზე, რომ უზრუნველყოფილი იქნეს მისი დაბრუნება საქართველოში. კათოლიკეებისა და მისიონერების ღირსებას იქ ყოველთვის იცავდნენ. გადაწყვეტილია მის სახელმწიფოებში[7] კათოლიკობის გამოცხადება. ჩვენი წმინდა სარწმუნოება უდიდეს წარმატებას მიაღწევს მისი[8] დაბრუნების შემდეგ, რადგან მისი მეშვეობით ჩერქეზეთი, რომლის მთავრის და მისი მეუღლეა, მოქცეულა [კათოლიკობაზე] და სხვა მსგავსი რამ.

---

[1] იგულისხმება 1715 წელს საფრანგეთსა და ირანს შორის დადებული სავაჭრო ხელშეკრულება.

[2] სპარსეთის შაჰმა.

[3] ე.ი. მისიონერები.

[4] იგულისხმება საქართველოს სხვადასხვა მხარეში.

[5] გრაფი ლუი ფილიპო დე პონშარტრენი, საფრანგეთის საზღვაო მინისტრი და კანცლერი (1699-1714)

[6] ცხადია, რომის პაპთან.

[7] ცხადია, იგულისხმება საქართველოს სამეფო სამოაერიოებში.

[8] ცხადია, ეახტანგის საქართველოში.

6. [სულხან-საბა] მიიჩნევს, ერთგვარად კარგია, თუ მისი უწმიდესობა სამადლობელ ეპისტოლეს გაუგზავნის იმავე მეფეს[1], რომლის მფარველობით სარგებლობენ მისიონერები და კათოლიკეები. [ამ ეპისტოლეთი მისი უწმიდესობა] გაამხნევებს [ვახტანგს], რათა, რაც შეიძლება მალე განახორციელოს თავისი აზრი და გახდეს კათოლიკე.

7. [სულხან-საბა] ასევე უმჯობესად მიიჩნევს, რომ მისიონერებს დაუდგინდეს მეთაური და იღუმენი, რომლებიც მათ გააგზავნიან ხსენებულ სამეფოებში, სადაც იბრწყინებს ლათინი ეპისკოპოსი, რომელიც ბინას დაიდებს ან საქართველოში[2], ან სამეგრელოში. მისი იურისდიქცია უნდა გაერცელდეს მთელ ზემოხსენებულ პროვინციებში [მისიონერების] გამოსწორებისა[3] და დათხოვნის უფლებით. იმედოვნებს, რომ მისი უქრისტიანესი უდიდებულესობა[4] ამას უზრუნველყოფს და დიდად სჯერა [სულხან-საბას] ამაში მისი სამსახურის.

8. ფრანგმა მისიონერმა, ბატონმა [ჟან] რიშარმა, დიდად მცოდნე პირმა, რომელიც ბეერს გაისარჯა ისპაანში კათოლიკეებს და მისიონერებს დახმარებოდა, სამეგრელოს პატრიარქისა და ხსენებული მეფის[5], რომელიც საფრანგეთის მეფის გეგმის ინტერესებში მოქმედებას დათანხმდა[6], დიდი ნდობა მოიპოვა. [სულხან-საბა] მიიჩნევს, რომ პარიზში მისიონის სემინარიის დირექტორმა ჯერ კიდევ ვერ მოძებნა საუკეთესო პირი, რათა შეცვალოს კოადიუტორი მონსინიორი პიდო[7], ბაბილონის ეპისკოპოსი, რომელიც ამჟამად არის მთავარი ვიკარიუსი. დაბოლოს, [ჟან] რიშარს უფრო შეუძლია საკუთარი ღირსების გრძნობით ზემოხსენებულ მეფესთან დაკავშირებით აწარმოოს [შაჰის კარზე] მნიშვნელოვანი და მიზანმიმართული მოლაპარაკებები.

9. რომ ჩვენმა ბატონმა[8] უკან გაგზავნოს [ჟან რიშარი] საფრანგეთსა და შემდეგ სპარსეთში რამდენადმე განსხვავებული ნიშნით[9]. ამ ეტაპზე მისმა ყოვლადუწმინდესობამ გამოძებნოს საშუალება იმ მისიებსა[10] და სპარსეთის

---

[1] იგულისხმება ვახტანგ VI-ს.

[2] იგულისხმება ქართლის სამეფოში.

[3] ალბათ, იგულისხმება ის მისიონერი, რომელიც თავისი მისიონერული საქმიანობისა და ცხოვრების წესს დაარღვევს.

[4] ე. ი. საფრანგეთის მეფე ლუი XIV.

[5] იგულისხმება ვახტანგ VI.

[6] იგულისხმება ირანის იმპერიაში ლუი XIV-ის რელიგიურ და სავაჭრო-ეკონომიკური მიზნებზე თანხმობა.

[7] ლუი მარია პიდო სენ-ოლონი (1637-1717), აღმოსავლეთმცოდნე და ისლამური სამყაროს ღრმა მცოდნე, 1687 წელს დაინიშნა ბაბილონის ეპისკოპოსად და 30 წელი ეკავა სპარსეთში საფრანგეთის კონსულის თანამდებობა.

[8] იგულისხმება რომის პაპი.

[9] ალბათ, იგულისხმება ჯან-რიშარის საგანგებო უფლებებით აღჭურვა.

[10] ალბათ, თბილისის მისიონში.

მისიებში უსრუნველყოს სიწყნარე, ასევე წმინდა კათოლიკური სარწმუნოება იქ წაახალისოს და ა.შ.

10. მისმა უქრისტიანესმა მეფემ[1] სცადოს, რომ დაამხოს ეჩმიაძინის სომეხთა საპატრიარქო ტახტი და მოსე ვართაპეტის (Moese Vartabiet) ჯულფას საარქიეპისკოპოსო ეკლესია, როგორც კათოლიკეების ყველაზე შეუპოვარი მდევნელები, რაც ამ მხარეების ურთიერთობებს ზიანს აყენებს.

11. ანალოგიურად, უქრისტიანესი უდიდებულესობის[2] შეწევნით წმინდა კონგრეგაციის [კოლეჯში] ორი [ქართველი] მოსწავლის მიღების [ნება] აღუდგინონ. როგორც საფრანგეთის, ასევე სპარსეთის მეფეების მიერ მარტივად განიხილება: პირველი, მეტად გაბრაზებულია იმავე პრელატებზე[3], რადგან სპარსეთის შაჰის კარისაგან ქრთამის ძალით მოპოვებული ნებართვით, ისინი შაჰის მიერ მისიონერებსა და კათოლიკეებზე ბოძებულ ყველა წყალობას, რომლის შესრულებას ახლა თვითონ ირანის შაჰი ითხოვს, ზიანს აყენებენ. მეორე, როგორც ზემოთ ვახსენეთ, მიისწრაფვის მის უქრისტიანეს უდიდებულესობასთან მეგობრობისაკენ. ის მიიჩნევს, რომ პატრიარქისა და არქიეპისკოპოსის ტახტიდან გადაგდებას სომეხი სქიზმატიკოსები ადვილად შეეგუებიან, რადგან სერიოზულად არიან მათ წინააღმდეგ გახელებულნი 150 სკუდოს უხეშად გამოძალვით, რათა აღასრულონ ზემოხსენებული მცნება[4] და დევნონ კათოლიკეები. [ამით] ბევრი გაირყვნა და დაახლოებით 30 სოფელი გადავიდა მუსლიმობაზე იმის გამო, რომ ისინი უკიდურესად აწამეს და არ დაიცვეს და ა.შ.

12. მან[5] შემდეგ რეზიუმე წერილობით წარუდგინა გენერალ მამა პრიორს, რომელშიც ითხოვდა ახალ მისიონერებს მისი სარწმუნოების მხარდასაჭერად და განსაკუთრებით იტალიელ კაპუჩინ მისიონერებს, რომლებიც საქართველოს მახლობელ ოთხ პროვინციაში[6] დაიწყებენ [საქმიანობას], სადაც სხვადასხვა მოტივებისა და შემწეობის მეშვეობით მისიონერების სარწმუნოებრივი [მოღვაწეობიოსათვის] არის სტაბულური მდგომარეობა.

ზემოხსენებულ საქართველოს მისიონში[7] იტალიელი მამა კაპუჩინები მეტად დამსახურებულნი არიან, რომლებმაც უკვე მრავალთა გონება განავითარეს. სამეგრელოს პატრიარქი მხოლოდ მათ და არა სხვა ბერებს ითხოვს მისიონერებად, რომლებიც კარგად არიან ცნობილი ზოგიერთ

---

[1] იგულისხმება საფრანგეთის მეფე ლუი XIV.
[2] ე.ი. საფრანგეთის მეფის.
[3] იგულისხმება ეჩმიაძინის პატრიარქი და ჯულფას ეკლესიის ვართაპეტი.
[4] ალბათ, საუბარია ათ მცნებაზე.
[5] იგულისხმება სულხან-საბა ორბელიანი.
[6] იგულისხმება აღმოსავლეთ საქართველოს მახლობელი ოთხი პროვინცია.
[7] იგულისხმება თბილისის მისიონი.

პროვინციაში. სხვა დროს წმინდა კონგრეგაციამ სამეგრელოში დანიშნული მისიონერები ახალციხის კათოლიკეებში გაგზავნა.

მისმა უქრისტიანესმა უდიდებულესობამ სპარსეთის სამეფო კარზე მას[1] რეალური მფარველობა გაუწიოს, რითაც საქართველოს მისიონს პრივილეგიები და მეტად კარგი მდგომარეობა ექნება.

მისი უდიდებულესობა უნდა მზად იყოს, რათა უზრუნველყოს თავისი[2] მისიონერები, რომლებიც გაიგზავნებიან ამ ახალ მისიონში ურთიერთობებში განსაკუთრებული დაცვალების გარეშე, ანდა სხვა რამისათვის. და ბოლოს: იმისათვის, რომ კაპუჩინებს ჰყავდეთ საკმაო რაოდენობის უნარიანი პირები და მარტივად შეძლონ იმ პროვინციების მისიონერებით მომარაგება, ასევე აღენთონ კარგი წარმატების იმედით, აუცილებელია თავის სახელმწიფოში საქართველოს მეფის დაბრუნება და სხვა საქმეები, რისთვისაც აგზავნის მათ მისი ყოვლადუწმინდესობა.

13. [უან] რიშარმა წარმოადგინა უფრო ერცელი რელაცია სამეგრელოს ზემოხსენებული პატრიარქის[3] შესახებ, რომელსაც, როგორც ამბობს, გრიგოლის ეძახიან და არის 40 წლის, გააფართოვოს თავისი იურისდიქცია სამეგრელოს ფარგლებს გარეთ, აგრეთვე გურიის, აბაზასა[4] და იმერეთის პროვინციებში. საქართველოში ზემოხსენებული ბერის სულხან-საბას მიერ ხელშეკრულების მიხედვით მეგობრობაზე[5] ინსინუაციებმა დაბადა დიდი სურვილი [საქართველოში] კათოლიკობის მიღებისა და ყველა პროვინციაში, რომელიც მას ემორჩილება მისიონერების დახმარებით წმინდა სარწმუნოების წინ წაწევისა, როგორც ეს ზემოთაა ნახსენები. მან[6] პირობა დადო, რომ ზემოხსენებულ სამ პროვინციაში[7] კერძო საკუთრებაში [მისიონერებს] მისცემს საცხოვრებელ სახლს და თავის ხალხს მოაქცევს [კათოლიკობაზე].

[სულხან-საბა] შენიშნავს, რომ პატრიარქის აზრით, წარგზავნილი მისიონერები აუცილებელია იყვნენ არა მხოლოდ სანიმუშო უნარისანი, ზომიერნი და ძალიან მოკრძალებულნი, არამედ კარგი ჯამაგირით უზრუნველყოფილნი და ისინი, როგორც მიიჩნევს, არ უნდა მიდიოდნენ იმისათვის, რომ აიღონ [გასამრჯელო] ხალხისაგან, არამედ იმისათვის, რომ გაიღონ, ასევე იყვნენ [ადგილზე] კეთილმოწყობილნი, შეძლონ იყიდონ მიწა და ჰყავდეთ მსახურები და თუ

---

[1] იგულისხმება შაჰის კარზე დაკავებული ვახტანგ VI.

[2] ე.ი. საფრანგეთის მისიის მისიონერები

[3] იგულისხმება დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი გრიგოლი II.

[4] ცხადია, აფხაზეთის.

[5] იგულისხმება 1715 წელს საფრანგეთსა და ირანს შორის დადებული სავაჭრო ხელშეკრულება.

[6] იგულისხმება სულხან-საბა ორბელიანი.

[7] ალბათ, იგულისხმება იმერეთი, სამეგრელო და აფხაზეთი.

აუცილებელია ჩამოიტანონ დიდი ოდენობით მედიკამენტები, სხვადასხვა სახის იაფი გალანტერეა, ისეთები როგორიცაა: დანები, ჩანგლები და ა.შ.

14. მეორე მხრივ, როგორც მან[1] ზემოთ ქარაგმულად თქვა, უმჯობესია [საქართველოში] მისიონერები გაგზავნონ სხვადასხვა დაწესებულებიდან, ე.ი. მღვდლები მისიონების სემინარიიდან და იეზუიტები, ახლა ამბობს, რომ უკეთესად მიაჩნია ყველა ისინი ერთი [ორდენის] ბერები იყვნენ.

XV. ის[2] კიდევ ამბობს, რომ აბაზას[3] პროვინცია, რომელიც მდებარეობს შაეი ზღვის სანაპიროზე, ექვემდებარება გარკვეულ აბსოლუტურ მთავარ ბატონს და სრულიად დამოუკიდებელია რომელიმე სახელმწიფოსაგან და იგი მისიონერებისათვის უსაფრთხო თავშესაფარი იქნებოდა თურქების ანდა სხვების მიერ დევნისას. ის[4] მიიჩნევს, რომ ეს მთავარი[5] ქრისტიანია და ადვილად მოექცევა [კათოლიკობაზე]. ის[6] დიდი ღვთისმოშიშია და მეტად ენდობა პატრიარქს[7], რომელმაც ასევე [აფხაზი] ხალხის დიდი სიყვარული მოიპოვა.

---

[1] ცხადია, სულხან-საბამ.

[2] ცხადია, სულხან-საბა.

[3] ცხადია, აფხაზეთის სამთავრო.

[4] სულხან-საბა.

[5] იგულისხმება აფხაზეთის სამთავროს მთავარი. ამ რელაციის შედგენის დროს აფხაზეთის მთავარი იყო როსტომ შერვაშიძე (1700-1730).

[6] ე.ი. აფხაზეთის მთავარი.

[7] იგულისხმება დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი გრიგოლი II.

№4

პაპი კლემენტე XI-ის წერილი სულხან საბა ორბელიანს[1]

რომი, 1715 წლის 7 მაისი

ქრისტეს მიერ საყვარელ შვილს ღეთისმოსაე აბატს, სულხან საბას, საქართველოს ერთ-ერთ თავადთაგანს, წმ ბასილის ორდენის ბერს[2].

პაპი კლემენტ XI[3]

f. 38r.

ქრისტესმიერ საყვარელო შვილო, მოგესალმები. თუმცა გეაქვს იმის დამაჯერებელი და უხვი მოწმობები, რომ ისეთიეე გულითადი ღეთისმოსაობით, მრავალრიცხოვანი და სახელოვანი მოგონებები[4] რომ დატოვე ჩვენს მშობლიურ ქალაქში, შენ შეხედები სამოციქულო მისიონერებსაც, რომლებიც, შენი დაჟინებული თხოვნის შესაბამისად, მალე წამოვლენ [მაგ] მხარეში[5]. მიუხედავად ამისა, მათ დაჟინებით ეუსურვებთ სრულად ისარგებლონ შენი კეთილი ნაყოფით და იმყოფებოდნენ შენი ავტორიტეტით დაცულნი, ეერ ვიკავებთ თავს, რომ დაბეჯითებით არ ჩაგაბაროთ ისინი შენი მსრუნველობის ქვეშ[6]. ყველა სიკეთე,

---

[1] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia" 1708-1760. V. 2., f. 37r. **წერილი დაწერილია ლათინურ ენაზე. იგი პირველად ქართულ ენაზე თარგმნა და გამოაქვეყნა თავის ცნობილ წიგნში პატ. მიხეილ თამარაშვილმა** (მ. თამარაშვილი, "ისტორია კათოლიკობისა ქაერთეელთა შორის, ტფილისი, 1902, გე. 332). **ორიგინალიდან წინამდებარე თარგმანი გარკვეულ განსხვავებას ავლენს პატ. მ.თამარაშვილის თარგმანთან შედარებით.** ამაზე აქ არ შეეჩერდებით. სწორედ ამიტომ გადაეწყვიტეო მისი გამოქვეყნება.

[2] "წმ ბასილის ორდენის ბერს"("monacho ordinis Santi Basilij") პატ. მ. თამარაშვილი თარგმნის: "ბასილის წესის მონაზონს უფროსს" (**მ. თამარაშვილი**, დასახ. ნაშრ., გე. 332), რაც დიდ აზრობრივ სხვაობას ქმნის. გამოდის, რომ სულხან-საბა ორბელიანი წმ. ბასილის ორდენის უფროსი იყო, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება.

[3] პაპი კლემენტე XI (1700-1721) თავისი დროისათვის ყოველმხრივ განათლებული ადამიანი იყო. კანონიკური და სამოქალაქო სამართლის დოქტორის განუხრელი ინტერესის საგანს წარმოადგენდა რომის სიძველეთა გადარჩენა და შესწავლა. ის ცნობილია, როგორც მეცნიერებისა და ხელოვნების მფარველი. მან დიდად შეუწყო ხელი საერთაშორისო არენაზე პაპობის ავტორიტეტის ამაღლებას.

[4] "...გულითადი ღეთისმოსაობით, მრავალრიცხოვანი და სახელოვანი მოგონებები რომ დატოვე ჩვენს მშობლიურ ქალაქში, შენ შეხედები სამოციქულო მისიონერებსაც, რომლებიც, შენი დაჟინებული თხოვნის შესაბამისად, მალე წამოვლენ [მაგ] მხარეში". ამას პატ. მ. თამარაშვილი თარგმნის: "...დიდად დარწმუნებული ვართ შენს მხურვალებაზე, რომლისაც მრავალნაირი და წარჩინებული ნიშნები გვიჩვენე ამ ბრწყინვალე ქალაქში ყოფნის დროს და მზათ ხარ შეეწიო." (მ. თამარაშვილი. ისტორია..., გე. 332).

[5] ცხადია, საქართველოში.

[6] ერთ ანონიმურ წერილში (1714 წ. ივნისი) გადმოცემულია სულხან-საბას საფრანგეთსა და რომში მოგზაურობის მიზნებსა და მათი განხორციელების გზების შესახებ. მის თანახმად, სულხან-საბამ საფრანგეთში მეფეს თხოვა ორი წყალობა:

რომელსაც მათ გაუწევე სიყვარულითა და ადამიანობით, რომლებიც ხელს შეუწყობს მათს სამოციქულო სამსახურს, მივიღებთ განსაკუთრებული მადლიერებით, როგორც ამის შესახებ შეიტყობ, როცა საშუალება გეექნება გამოეხატოთ შენს მიმართ ეს ჩვენი მადლიერება. იმავე დროს დაუღალავად შეეთხოეთ უზენაეს მამას, რომ გამოუგზავნოს წარმატება ჩვენი მისიონერების შრომას, შენ კი, ღვთიური სიკეთის გამრავლება და ყოველგვარი ბედნიერება; ჩემთავად გიგზენი სიყვარულს, როგორც ჩვენი სამოციქულო დალოცვის წყალობის საწინდარს.

რომი, 1715 წლის 7 მაისი.

№ 5

კაპუჩინი მისიონერის ანტონიო და რომანოს მოხსენება წმინდა კონგრეგაციას საქართველოს მისიონის შესახებ

[შედგენილია 1717 წლის შემდეგ]

დიდად პატივცემულო და წმინდა ბატონებო[1]

f. 39r.

მამა ანტონიო და რომანო[2], კაპუჩინი, რომელიც დაბრუნდა საქართველოს მისიიდან, თქვენს მაღალ ყოველად სამღვდელოებას მოახსენებს იმ

მეფე ეახტანგისათვის დახმარება და 12 მისიონერის გაგზავნა სამეგრელოსა და აფხაზეთში. ლუი XIV ელჩს დაპირდა, რომ ის თანახმა იყო მისი ორივე მოთხოვნა დაეკმაყოფილებინა, მაგრამ საჭიროდ მიაჩნდა ყოველივე ამის შესახებ აცნობოს მის უწმინდესობა პაპს. მეფე სიამოვნებით გააკეთებს ყველაფერს, რაზეც პაპი მიუთითებს პაპმა იმ ორ თხოვნაში, რომლებიც ქართველ ელჩს ჰქონდა, დაინახა ორი ერთმანეთისგან განსხვავებული, რამ: ჯერ ერთი, საქართველოს მეფე ეახტანგის განთავისუფლება მთლიანად დამოკიდებულია ირანის სეფიანთა შაჰის კარზე. საფრანგეთის მეფემ მათთან საეჭრო ურთიერთობის მოგვარებით შეიძლება მოაგვაროს ეახტანგის საქმეც. ამ საქმის წარმატებით დასრულებაში გარკვეული მნიშვნელობა ექნება ირანის ელჩის ჩასვლას საფრანგეთში და მასთან მოლაპარაკებას. რაც შეეხება 12 მისიონერის გაგზავნას და მათ რჩენას, მეფემ და პაპმა ჩათვალეს, რომ ამას არავითარი საერთო არ ჰქონდა არც ირანის ელჩთან და არც საქართველოს მეფის გათავისუფლებასთან: „1. იმიტომ, რომ სამეგრელოს არავითარი კავშირი არა აქვს ქართლთან, რომელსაც ჰყავს თავისი ცალკე მთავარი და რომელიც დამოკიდებულია სულთანზე. 2. სამეგრელოს პატრიარქს, რომელმაც ითხოვა ეს მისიონერები, თეითონ სურს მხარი დაუჭიროს მათ, დაკავშირებულია რა ამ მხარის მთავართან და დიდებულებთან. (საბუთები საქართველო-საფრანგეთის..., გვ. 304-305.)

[1] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia" 1708-1760. V. 2., ff. 39r-40 v. **მოხსენება დაწერილია იტალიურ ენაზე და ორიგინალიდან თარგმანი პირველად ქვეყნდება.**

[2] თუ ეს კაპუჩინი მისიონერი ის ჯუზეპე ანტონიო და რომანოა, რომელიც საქართველოში ჩამოვიდა 1669 წელს (მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა..., გვ.235) და 1675-1677 წლებში შეუპოვრად შეეწინააღმდეგა წმინდა კონგრეგაციის გადაწყვეტილებას, რომ საქართველოში დაეარსებინათ საფრანგეთის უცხოეთის მისიონი (დაწერ. იხ: ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის

მდგომარეობას და წარმატებებს, რომლებიც აქვს და შეიძლება ჰქონდეს ამ მისიონს. ის ამბობს, რომ ტფილისში, საქართველოს დედაქალაქში, სადაც ცხოვრობს ამ პროვინციის მთავარი[1], ცხოვრობს აგრეთვე საბა, ბასილიანელი ბერი, რომელიც 1714 წელს იმყოფებოდა რომში. ამ ბერის კათოლიკურ სარწმუნოებაზე მოქცევის გამო, რომელსაც თან ახლდა სხვა პირთა მიერ კათოლიკობის მიღება, გამოწვეული იყო მისი ქადაგებებით, ქართველებში იფეთქა ახალმა მტრობამ მამა მისიონერების მიმართ, არა ნაკლები, ვიდრე სომხების მხრიდან[2], რამდენადაც ერთნიც და მეორენიც ხედავდნენ, რომ ხალხი ტოვებს მათ ეკლესიებს და უერთდება რომაულ-კათოლიკურს. ისინი ამის გარეშეც მტრობდნენ ერთმანეთს რელიგიის გამო, მერე კი შესაბამისად გადავიდნენ... (არ იკითხ.), რამდენადაც კათოლიკური სარწმუნოება აწყლულებს ხალხს. ასე მოხდა... (არ იკითხ.) სომხებმა 1717 წელს ჩაიდინეს ჩვენი სახლის წინააღმდეგ, რომელიც გაძარცვეს და დაანგრიეს, რაც ცნობილი უნდა იყოს თქვენი ყოველად მაღალი სამღვდელოებისათვის; ამაში...(არ იკითხ.) თავიანთი ჩვეულების საწინააღმდეგოდ ასევე მონაწილეობდნენ ქართველებიც...(არ იკითხ.) ხალხის გაშმაგება, როგორც სომხებიც[3]; ორი მტრის,

---

უკანასკნელი მეოთხედი), თბ., 2018, გვ. 59-116), გამოდის, რომ ანტონიო და რომანომ საქართველოში დაჰყო 47 წელზე მეტი.

[1] იგულისხმება ქართლის მეფე.

[2] 1716 წლის მაისში სულხან-საბა ორბელიანი სამშობლოში დაბრუნდა. მას თავის და ეახტანგის მოწინააღმდეგეებმა „ცოდვები" არ აპატიეს. იმაზე, რაც მას გადახდა, გაგვაჩნია ურთიერთსაპირისპირო ცნობები. ესენია მისიონერების ცნობები და თვით საბას მონათხრობი მისი მოგზაურობის აღწერის დასასრულს. მისიონერების ცნობებით, ევროპიდან დაბრუნებულმა სულხან-საბამ ქადაგება და კათოლიკობის გავრცელება დაიწყო და ბევრი მომხრეც გაუჩდა. მაგრამ მის ამგვარ საქმიანობას საერო და სასულიერო დიდკაცობის მკაცრი რეაქცია მოჰყვა. სომხებმა მართლმადიდებელი ქართველების მხარდაჭერით დაიწყეს კათოლიკეებისა და პატრების დევნა, რომლის მსგავსი მანამადე საქართველოში არ მომხდარა. პატრი ანჯელო და პოპი თაერიზიდან რომში გაგზავნილ წერილში (1718 წ. 8 აპრილი) მოგვითხრობს, როგორ დაარბიეს მისიონი თბილისში. „ახლა ჩვენი საბრალო პატრები დარჩნენ უმონასტროდ და უეკლესიოდ, დგანან ერთ პატარა სახლში. მანდეთ და რომში ნამყოფ ბატონ საბაზე განრისხებულ ქარ-თველებს, თუმცა ასეთი მკრეხელობა და უღმრთო დევნულობა არ ჩაუდენიათ, მაგრამ კი წააქეზეს სომხები და ჩაადენინეს ასეთი უღმერთობა... ასეთი უწყალობის ქმნა არ შეეძლოთ (სომხებს – აეტ.), ქართველებს რომ ნება არ მიეცათ". (მ. თამარაშვილი. ისტორია..., გვ. 334-336; მისივე, პასუხად სომხის მწერლებს, თბ., 1904, გვ. 68-69). ევროპიდან სამშობლოში ახალდაბრუნებულ დასნეულებულ და ვალებში ჩავარდნილი სულხან-საბას კეთილი შეხვედრა არ მოუწყეს. (ბარამიძე ალ., სულხან-საბა ორბელიანი, თბილისი, 1959, გვ. 103-109). საბა არაფერს ამბობს აღშფოთებული თბილისელების მიერ კათოლიკეთა მისიისა და ეკლესიის აკლებაზე. ის მხოლოდ თავს დატეხილ უბედურებასა და ვალების შესახებ გადმოგვცემს. (დაწვრ იხ: ე. მამისთვალიშვილი, საქართველოს საგარეო პოლიტიკა დიპლომატია, III, თბ., 2019, გვ. 395-405).

[3] პატ. მ. თამარაშვილი, პატრი ანტონიო და რომანოს ამ ცნობას, შემდეგნაირად ციტირებს: „1717 წ. სომხებმა ჩვენი სახლი გაძარცვეს და ერთიანად დაანგრიეს. თავიანთი ჩვეულების წინააღმდეგ, ქართველებიც შეუერთდნენ, თუმცა ისეთის სიბრაზით არ მოქმედებდნენ, როგორც სომხები, გარნა მაინც კი ცეცხლის გაღვივებას

სომხებისა და ქართველების სახლში[1] ყოფნისას, აუცილებელია დიდი სიფრთხილე და წინდახედულება, რათა მისიონერები არ ჩაერთონ ქართველებთან რელიგიაზე კამათში; უფრო მეტიც, ვიტყოდი, რომ უკეთესია ისინი დატოვო ასეთ მდგომარეობაში, ვიდრე ღმერთი არ იზრუნებს მათზე; ეს აუცილებელია იმისათვის, რათა არ დაიკარგოს, როგორც ერთ ისე მეორე მხარესთან მონაპოვარი, რადგან ერთხელაც, ისინი ერთმანეთთან გაერთიანებულნი ჩვენ გაგვაძევებენ. ....(არ იკითხ.) ამ პროეინციის მმართველის შეცვლის შედეგად მისიონერები, კონსტანტინოპოლის ძალაუფლების ქვეშ მოხვედრილი, მიყვანილი იქნებიან ასეთ მდგომარეობამდე, თუ არ გატარდება ზომები ....(არ იკითხ.) დიდი თურქისგან[2] და მოჭკვიანებული ....(არ იკითხ.), რომელიც შეიძლება სომხებმა ჩაიდინონ მისიონერების წინააღმდეგ ფაშის (1 ხაზი არ იკითხ.) ფულით დაქირავებული.

ამ მისიონის პრეფექტი ცხოვრობს ტიფლისში. ამ ქალაქში ცხოვრობს 20 ათასი სული ქართველი და სომეხი. მათგან ორიოდე სქესის დაახლოებით 500 [სული] ღიად აღიარებს კათოლიკურ საეწმუნოებას. მრავალი დიდებული სომეხი დადის ჩვენს ეკლესიაში და [იზიარებს] საიდუმლოებებს. ეს უკანასკნელიც ღიად აღესრულება ეკლესიაში საჯარო ქადაგებების დროს, მაგრამ უმეტესად კერძო

f. 39 v.

სახით, მკურნალობის მომიზეზებით ან სხვა საჭიროების დროს. როდესაც მათი საუბარი ეხება რელიგიურ თემებს, მისიონერი ცდილობს, გამოიყვანოს ისინი ცდომილებიდან, წიგნებში უჩვენოს მათი შეცდომები, მოუთხროს როგორ დიდი ხნის განმავლობაში იყვნენ გაერთიანებულნი რომის ეკლესიის მეთაურობით...(არ იკითხ.), რომელთა პატრიაქი ინიშნებოდა ფულის გაღების ძალით...(არ იკითხ.) თურქი მთავრის მიერ[3], რომლის ხელშიც მონობაში ჩავარდნენ ღმერთის სამართლიანი სასჯელის სახით. მეტს აღწევენ ჩვენი კათოლიკეები, რომლებსაც გააჩნიათ მეტი გამოცდილება ამ საქმე'ში, ურთიერთობენ ერეტიკოსებთან, რომლებიც...(არ იკითხ.) თავიანთი მშობლიური ენა (ღვთის შეწევნით) ისინი მათ განაწყობენ იმისათვის, რათა მიმართონ...(არ იკითხ.) მამა მისიონერებს, მიუხედავად იმისა, რომ სომეხი, რა თქმა უნდა, მთლიანად ჩაფლულია თავის მოგებაში...(არ იკითხ.), სრულიად

ხელი შეუწყეს". (მ. **თამარაშვილი**. პასუხად..., გვ. 67. პატრი ანჯელო და პოპი თავრიზიდან რომში გაგზავნილ წერილში (1718 წ. 8 აპრილი) კი როგორც ენახეთ წერს: "ასეთი უწყალობის ქმნა არ შეეძლოთ (სომხებს – აეტ.), ქართველებს რომ ნება არ მიეცათ" (მ. **თამარაშვილი**. ისტორია..., გვ. 335-336; **მისივე**, პასუხად..., გვ. 69.

[1] იგულისხმება მხარეში, ქვეყანაში.

[2] ამ შემთხვევაში იგულისხმება ოსმალეთის სულთანი.

[3] უნდა იყოს ოსმალეთის სულთანი.

დაივიწყა სულის შესახებ, ხარბ ანგარიშებში, კათოლიკეებისა და მისიონერების დევნაში, იღვიძებს ძილისაგან...(არ იკითხ.) რელიგიაზე საუბარში, და ღვთიური მადლის გაელენით, რომელსაც უფალი უხვად უგზავნის ყველას...(არ იკითხ.) ჩვენს სარწმუნოებაზე მოქცა მეტი, ვიდრე წარსულ დროებაში.

ჩვენი ეკლესია რიგიანად მორთულია...(არ იკითხ.) და სადღესასწაულო დღეებში გამოიყენება...(არ იკითხ.), როცა მესაზე[1] და დაკრძალვაზე...(არ იკითხ.) იკრიბება ბევრი ხალხი, მაგრამ ხშირად იფეთქებს ჩხუბი კათოლიკეებსა და...(არ იკითხ.). საქმე იმაშია, რომ ისინი ხშირად ასაფლავებენ ისევე, როგორც ჩვენი მრეელის მორწმუნეებს, მაგრამ მიაჩნიათ, რომ ისინი...(არ იკითხ.) ღირსნი არ არიან ასეთი წეს-ჩვეულებისა...(არ იკითხ.) მათი კანონებით და მამა მისიონერები... (არ იკითხ.), ვინც არ დაეთანხმნენ ამას, იძულებული გახდნენ...(არ იკითხ.) ისინი დაეკრძალათ...(არ იკითხ.), ისე როგორც ისინი აკეთებენ ამჟამადაც. ერეტიკოსებმა შემდგომში ინანეს ამის გამო, როდესაც დაინახეს როგორ სწრაფად იზრდებოდა კათოლიკეების რიცხვი და, შესაბამისად, მცირდება მათი შემოსავალი. ამიტომ კათოლიკეებმა, რომლებსაც უნდათ შეინარჩუნონ მათი პრივილეგია, დაიკრძალონ მისიონერების მიერ, ეხლა...(არ იკითხ.) გადაიქცნენ ერეტიკოსების მრისხანების სამიზნედ. ვფიქრობ, აუცილებელია დაეეალოთ კათოლიკეებს...(არ იკითხ.) დაკრძალვები მოახდინონ ერეტიკოსებმა, მაგრამ არა...(არ იკითხ. 1 ხაზი) სიმშვიდისათვის, რამდენადაც... (არ იკითხ.).

(არ იკითხ. 2 ხაზი) ვაჭრობა და ფულის აკრება. მათ შორის არიან ისეთებიც, რომლებიც არ...(არ იკითხ.) მისიონერებთან, მაგრამ უნდათ იყვნენ დამოკიდებულნი... (არ იკითხ.) ხანდისხან იარონ სომხებთან ეკლესიაში (0,5 ხაზი არ იკითხ.) ეკრძალებათ მისიონერებთან, რამდენადაც, მათი აზრით, ეს მიიყვანს გახრწნამდე. მცდარი მოსაზრებების პროპაგანდა უმეტესად [გამოწვეულია] უმეცრებით, ვიდრე ბოროტი ხასიათით, ამყოფებს კათოლიკეების სულს უპირატესად შფოთვაში, ვიდრე სიმშვიდეში. ასევე ელზერუმში[2], სადაც ეიცხოყრე რმდენიმე თვე, ეეხმარებოდი რა მამა ბერნარდოს, იეზუიტს...(არ იკითხ.) ერთი, ასევე ხდება მსგავსი არეულობები, რამდენადაც მეტი მორწმუნე ჰყავს ამ მისიას, იმდენად მეტად განიცდის ტანჯვას

f. 40r.

მუშაკების ნაკლებობისა და..(არ იკითხ.) დიდი თურქისაგან[3]. (არ იკითხ.) მას შემდეგ, რაც მამა მისიონერები საუკეთესოდ, თუ...(არ იკითხ.) სააერო

[1] მესა (Messa)-წირვა კათოლიკურ ეკლესიაში.

[2] ცხადია, ერზერუმი.

[3] ე.ი. ოსმალეთისაგან.

ტანსაცმელში თავისუფლად გადაადგილდებიან, როგორც მკურნალები და სარგებლობენ ქვეყნის ზოგიერთი მღვდლის ყოფნით, მოსახდენად...(არ იკითხ.) ქალაქსა და სოფლებში... (არ იკითხ.) რამდენადაც მათ ეკრძალებათ ქადაგება სომხურ ეკლესიაში, მორწმუნეთა უმრავლესობა არ ისმენს მესას და არ იღებს საიდუმლობებს მრავალი წლის განმავლობაში...(არ იკითხ. 0,5 ხაზი) ხსენებული მამა ბერნარდოს სიკედილში... (არ იკითხ. 3 ხაზი) და მიზეზი, რის გამოც იქიდან წამოვედი ამ მამის სიკედილის შემდეგ, არ დარჩა ქართული ენის მცოდნე მისიონერი. მხოლოდ ქართულის ცოდნით იყო შესაძლებელი ჩამოსულებთან ურთიერთობა და იმთთან, ვინც ეს ენა იცოდა, არ შეიძლებოდა...(არ იკითხ.); არც შემეძლო ბევრისთვის მიმელწია საქართველოში იმის გამო...(არ იკითხ.).

მისიაში ჩემი ყოფნის მთელი დროის განმავლობაში ვიმყოფებოდი გურში[1], სადაც გამაგზავნა ჩვენმა პრეფექტმა...(არ იკითხ. 8,5 ხაზი). ამ ახალგაზრდა კათოლიკეთა შორის, სრულიად...(არ იკითხ.) იმყოფება ერთი დაბალი ტანის, წმინდა წიგნების ცოდნის გამო დიდი პატივით მოსილი [კაცი]; ამას უნდა დავუმატოთ აგრეთვე [მისი] კარგი მანერები. მის მოსაზრებას უსმენდნენ ერეტიკოსებს შორის რელიგიაზე კამათის დროს, ხოლო რამდენადაც ის ატარებს კათოლიკური სარწმუნოების სინათლეს, მას შეუძლია დაარწმუნოს იმდაგავარად, რომ ისინი მოდიან ჩვენს მამებთან და იღებენ ჩვენს სარწმუნოებას. ამგვარად მიიღო კათოლიკური სარწმუნოება...(არ იკითხ.) გორის ოთხმა წარჩინებულმა მოსახლემ, ხოლო მათთან ერთად, მცირე დროის განმავლობაში, კიდევ 20 კაცმა. დიდად იკლო იმათ შიშმა, ვინც ჩვენს მისიონერებთან მოდიოდნენ და ეშინოდათ, რომ დევნას დაუწყებდნენ. თანდათანობით შეწყდა კათოლიკეებზე თავდასხმები, რამდენადაც კათოლიკე გახდა ის ოთხი წარჩინებული კაცი; შეიძლება გვქონდეს იმედი სულების კიდევ მეტ მოსავალზე. გორიდან ჩემი გამომგზავრების დროისათვის მყავდა ოცდაათი...(არ იკითხ.) კათოლიკე, სხვები კი მზათ იყვნენ ჩვენს სარწმუნოებაზე გადმოსასვლელად.

f. 40 v.

იმავე გორის მისიაში არ არიან ქალი-კათოლიკეები, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე ...(არ იკითხ.) და სურვილით აღვსილებს გამოვიდნენ სიბნელიდან სინათლეში, მაგრამ ყველა ისინი არიან დაბნეულები, რადგან ეშინიათ... (არ იკითხ.) ატარონ „მედასავლეთე" [ქალის] მეტსახელი, რომელიც შეურაცხყოფად ითვლება სომხებში, მაგრამ უფრო მეტად...(არ იკითხ.) ჩვენი პატარა ეკლესია [არსებული] საიდუმლო ადგილას. ისინი...(არ იკითხ.) შეიძლება გასწორდეს დროის განმავლობაში, როცა გაიზრდება მორწმუნეთა რიცხვი; როცა გაქრება...(არ იკითხ.) და პატივისცემა, რომელიც [ქალს] ჩააგონა მტერმა. ეკლესიის ასაგებად...(არ იკითხ.) საკუთარი ადგილი სახლის

[1] ცხადია, გორში.

სიახლოვეს...(არ იკითხ.) ეს გრძნობა...(არ იკითხ.) შემცირდება ამ მიზნით მისიის ხარჯები. მაგრამ, რამდენადაც არ არსებობს შემოსავლის ასეთი წყარო, როგორც ჩვეულებრივ იყო მკურნალობა[1], არ შემიძლია განვახორციელო ის, რაც ჩავიფიქრე. რომ ყოფილიყო თუნდაც მცირე ფული, მაშინ კათოლიკეები დაგეხმარებოდნენ აგვეგო ეკლესია. მათ არ შეუძლიათ თავიანთ თავზე აიღონ ყველა ხარჯები, რადგან განიცდიან მრავალი სახის შევიწროებას...(არ იკითხ.) [რომელსაც] განიცდიან სომხები...(არ იკითხ.) უმეტესად მთავრობის ცვლილებისა და გადატანილი ომების გამო. იმედი მაქვს ღმერთის მოწყალების, რადგან ვგრძნობ, რომ ეს მისიონი უფრო მეტად აყვავდება, ვიდრე სხვები და რომ...(არ იკითხ.) მეტად დაყოვნდა...(არ იკითხ.) ვიმედოვნებ, რომ ის მოიტანს მეტ ნაყოფს. არის სხვა გრძელი...(არ იკითხ.) სომხები სამეგრელოს საზღვარზე, სადაც შეიძლებოდა...(არ იკითხ.) იმედიანად მიღება ახალი მორწმუნეების, ერთ-ერთ მათგანში მიმიწვია ჩვენმა ერთმა კათოლიკემ...(არ იკითხ.), რათა მემკურნალა მისი ძმისთვის, მაგრამ არა იმდენად სამკურნალოდ, რამდენადაც, გზა გამეხსნა მისიისათვის მის სამშობლოში. (არ იკითხ.) სომხური ეკლესიები დაბრკოლებებით ემსახურებოდნენ ჩვენ სარწმუნოების აღსარებას...(არ იკითხ.) მე მათ ვუპასუხე, რომ ისინი მოლაპარაკებოდნენ სხვა მღვდლებს და მათთვის ეჩვენებინათ საკამათო წიგნები...(არ იკითხ. 1 ხაზი) სული, და ყველაფერი იმისგან შორს, რისაც ეშინოდათ მსგავსად აკუტსიხეს[2] მცხოვრებლებივით...(არ იკითხ.) და მე გავემგზავრე ჩემს თავშესაფარში, გორში, რამდენიმე თვის შემდეგ... (არ იკითხ.) ელზერუმი[3], იქიდან კი გავიქეცი იტალიაში.

იქაურ მისიებში არ არსებობს მოწყალება მესას[4] შემთხვევაში, გარდა ტიფლისისა. ექიმობა იყო თავის რჩენის საშუალება (არ იკითხ.) და ნაკლებად

---

[1] კაპუჩინები განიცდიდნენ უკიდურეს მატერიალურ სიდუხჭირეს, რადგან წმ. კონგრეგაცია "დე პროპაგანდა ფიდე" მათ კუთვნილ ჯამაგირს წლობით აგვიანებდა. ამიტომ პატრების რწენის ერთგვარ წყაროს *საკუთრივ საქმიანობიდან გასამრჯელოს აღება* წარმოადგენდა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ღარიბებისაგან გასამრჯელოს არ იღებდნენ, ამან მაინც მისიონს დიდი ზიანი მიაყენა, რადგან გასამრჯელოზე მკურნალობამ მოსახლეობის პატრებისადმი დამოკიდებულებაზე ცუდად იმოქმედა, რაც წმ. პროპაგანდის უმაყოფილებას იწვევდა (Archvio di Propaganda Fide, Archvio di Propaganda Fide, Scritture Fiferite nel Congressi, Georgia 1626-1707, vol. I, f.167) ეკონომიურად გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩაყარდნილმა მისიონერებმა გადაწყვიტეს მკურნალობისათვის გასამრჯელო აეღოთ.

პატრი ჯუსტინოს აზრით, მოსახლეობას თუ არ ეცოდინებოდა, რომ მისიონერებს ინახავდა წმინდა კონგრეგაცია, მაშინ ისინი ვერ ისარგებლებდნენ პატივისცემითა და ავტორიტეტით. ალბათ, არსებობს დოკუმენტი, რომლის ძალითაც მისიონერებს აეკრძალათ მკურნალობისათვის გასამრჯელოს აღება, რაზეც წუხილით აღნიშნავს კაპუჩინი მამა ანტონიო დი რომანო.

[2] ალბათ, ახალციხე.

[3] ცხადია, ერზერუმში.

[4] მესა (Messa)-წირვა კათოლიკურ ეკლესიაში.

დასაჯერებლად მიმაჩნია, რომ ეს მისიები იარსებებენ კიდევ დიდ ხანს, რადგან (არ იკითხ.) ამ პროვინციაში, რამდენადაც სომხები არიან მშიშარები, როგორც კურდღლები, როცა სცემენ, მაგრამ თუ მუდმივად არ ექნებათ სიმშვიდე (არ იკითხ.) ყოველთვის მეტად კეთილგანწყობილად უყურებდნენ ამ მისიებს, ვიდრე (არ იკითხ.), ვიმედოვნებ, რომ ასე გაგრძელდება მომავალშიც. ვითხოვ მათთვის ღვთისაგან დალოცვას (არ იკითხება).

№6
კაპუჩინი მისიონერის ანტონიო მარია დ'ამელიას ანგარიში წმინდა კონგრეგაციის წინაშე

წარდგენილია 1723 წლის შემდეგ

მამა ანტონიო მარია დ'ამელია, მოქადაგე-კაპუჩინი და მისიონერი საქართველოში, ასტრახანის ახალი მისიიდან დაბრუნებული რომში, ანგარიშით წარსდგა წმინდა კონგრეგაციის წინაშე ამ მისიონის დაარსებისა და მუშაობის დაწყების შესახებ და მოგვითხრო შემდეგი[1].

f. 41r.

როდესაც ეს მამა იყო გორის მისიონის უფროსი, მოულოდნელად მიიღო განკარგულება ღირსი მამა...(არ იკითხ.) ფლორენციელი, იმ დროს კაპუჩინების მთავარ პროკურატორისგან, [დათარიღებული] 1717 წლის 16 მაისით, რომლითაც მას ებრძანა ამ განკარგულების ძალით, გამგზავრებულიყო ასტრახანში და ჩაებარებინა იქაური მისიონის უფროსობა, რომელიც უნდა დაეარსებინა წმინდა კონგრეგაციის დეკრეტით. ეს მამა, როგორც მორჩილი შვილი, უფროსთა ბრძანების აღსასრულებლად, იმ ხიფათის მიუხედავად, რომელსაც ის აუცილებლად გადაეყრებოდა, როგორც ხმელეთზე ძარცვისა და თავდასხმების შედეგად, რომლებსაც ლესკები[2] (ნამდვილი ყაჩაღები) რომ ახდენდნენ ამ დროს იქაურ გზებზე, ასევე ზღვაზე, რადგან კასპიის ზღვაზე ცურვა იშვიათად [მთავრდებოდა] გემის დაღუპვის გარეშე. ის გაეშურა გორიდან, შემდეგ ტფილისიდან...(არ იკითხ.) 1718 წლის მარტში და ღვთის კურთხევით, იმავე წლის 16 აპრილს მთელი და დაუზიანებელი [ჩავიდა] ასტრახანში, სადაც შეხვდა ორ მისიონერს, ესე იგი მამა ბონავენტურას ქალაქ კასტელოდან და მამა ჯოვანი მარია და ნორჩას, რომლებიც

[1] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia" 1708-1760. V. 2., ff. 41r-48v. **მოხსენება დაწერილია იტალიურ ენაზე და ორიგინალიდან თარგმანი პირველად ქვეყნდება.**

[2] დაღესტნელების ტრადიციული ქართული სახელწოდება. ძირითადად იგულისხმებოდნენ დაღესტნის სამხრეთში, საქართველოს მოსაზღვრე ტერიტორიაზე მცხოვრები დაღესტნელი ტომები: ლე'სგები, ლაკები, ხუნძები და სხვები.

ცხოერობდნენ საცოდავ ქოხში ქალაქიდან შორს (სახლი, რომელიც იყიდა ქალაქ'ში მამა პატრიციო მილანელმა მის ჩასვლამდე ცოტა ხნის წინათ, დაიწვა ხანძრის დროს)[1], სადაც ისინი საქმიანობდნენ მხოლოდ იმას, რომ ამ ქოხის ერთ-ერთ ოთახში ლოცულობდნენ მესას[2]. რამდენადაც მათ არც ერთი ენა არ იცოდნენ, არ შეეძლოთ ხელი მოეკიდათ სხვა რომელიმე სამისიონერო საქმისათვის. საწყალი მამა [ანტონიო მარია დ'ამელია] კინაღამ მოკედა, როცა დაინახა ასეთი სიღატაკე, და კიდევ უფრო შეწუხდა, როდესაც გაიაზრა, როგორ სულიერ ზიანს განიცდიდნენ ადგილობრივი კათოლიკეები, რადგან არც ერთმა მისიონერმა არ იცოდა ენა, არ შეეძლოთ მიეღოთ აღსარება იმ შემთხვევაშიც კი თუ ვინმე ავადმყოფობდა...(არ იკითხ.). მამამ საქართველოში შეისწავლა ქართული ენა...(არ იკითხ.), მაგრამ რამდენადაც ამ ენას [ასტრახანში] არავინ ხმარობდა, მას ვერ იყენებდა. იმავე დროს ასტრახანში ცხოერობენ სომხები. მათთვის ჩვეულებრივია და შესაბამისად მისიონერებისთვისაც აუცილებელი – თურქული ენა. ამიტომ მამა, მიისწრაფოდა რა თავისი მოვალეობის აღსასრულებლად, იძულებული გახდა თავის თავზე აეღო ამ ენის შეწავლისათვის მძიმე შრომა, რომელსაც ის დაეუფლა.

f. 40 v.

ოთხი თვის შემდეგ, რომელიც მამას დასჭირდა იმისათვის რათა საკმაოდ დაუფლებოდა ენას და გამოეყენებინა ყოველდღიური საჭიროებისათვის, დარწმუნდა, რომ ეკლესიისა და სახლის აშენების გარეშე შეუძლებელი იყო ფიქრი მისიონის დაარსებაზე, მაგრამ დაუსრულებელი წინააღმდეგობები, როგორც ის ითვალისწინებდა, განსაკუთრებით კი ფულის უქნლობა, ხელს უშლიდა განეხორციელებინა ის, რაც ჩაიფიქრა. როცა გაიარა რამდენიმე ხანმა, მიუნდო ღმერთსა და ღვთიურ განგებას და გადაწყვიტა, დაეწყო ეს დიდი საქმე, რომელიც წარმატების შემთხვევაში მოემსახურებოდა ღმერთის დიდებას და მოიყვანდა მრავალ ახალ სულს სარწმუნოების მისაღებად. ამგვარად მამამ შეადგინა არზა მისი სამეფო უდიდესობულების[3] სახელზე

---

[1] ასტრახანში ხის ნაგებობები ჭარბობდა, რის გამო, ხშირად ქალაქის მნიშვნელოვანი ნაწილი ხანძრით ისპობოდა. რუსეთში გადასახლებული არჩილ II ასტრახანში ცხოერობდა სამი წლის განმავლობაში. მან თან წაიღო ზოგიერთი სიწმინდე, რომლებიც სხვა ქონებასთან ერთად დაიწვა: ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „ხოლო დღესა ახალწლისასა აღუნთეს ლამპარი დიდი სამსჭუალსა, მოეკიდა ცეცხლი სასუენსა მას, რამეთუ არიან სახლნი სრულიად ხისანი და დაიწუნენ ყოველნი სიწმინდენი და საგანძურნი არჩილისანი. არამედ პოვნეს სამსჭუალნი და ნაწილნი უენოდ, კუალად დაუჯდომელი, დაეწვაეი ცეცხლსა მას შინა". (ქართლის ცხოერება, IV, გვ. 845).

[2] მესა (Messa)-წირვა კათოლიკურ ეკლესიაში.

[3] ე.ი. პეტრე I-ის სახელზე. ასტრახანის მხარის ინტენსიური კოლონიზაცია დაიწყო პეტრე პირველის დროს (1682-1725). მისი ბრძანებით (1717 წ. 22 ნოემბერი) წარმოიქმნა ასტრახანის გუბერნია. ასტრახანმა მიიღო საგუბერნიო ქალაქის სტატუსი. იწყება მისი სწრაფი განვითარება. დიდი იყო მისი მნიშვნელობა რუსეთის სახელმწიფოს საგარეო ვაჭრობაში.

და წაიღო იმ ქალაქის სამეფო კანცელარიაში. ამ არზაში ნათქვამი იყო, რომ წმინდა მამა-მისიონერები და კათოლიკენი სთხოვენ მის უდიდებულესობას შეიძინონ ცარიელი ადგილი, რომელიც მათ უკვე მოძებნეს, სახლის ასაშენებლად და ყველაფერი იმისათვის, რაც საჭიროა კათოლიკური სარწმუნოების აღსრულებისათვის. ეიცე-გუბერნატორმა, რომელსაც მამამ ადრე უკვე მიმართა, მის თხოვნაზე კეთილგანწყობილი პასუხი მისცა და შესაბამის მოხელეებს უბრძანა, გამოეყოთ მიწის ნაკვეთი: გაუზომავთ დიდი....(არ იკითხ.), ოთხი მხრიდან მოენიშნათ მიჯნები, შემდეგ კი შეედგინათ წერილობითი შეთანხმება....(არ იკითხ.) და შესაბამისი თანხის გადახდის შემდეგ გადაეცათ მამასთვის. ნაკვეთის ზომები იყო: სიგრძეში 26 და სიგანეში 20 საჟენი[1]. საჟენი არის მიახლოებით ჩემი ნაბიჯის სიგრძე, ერთი ხელისგულით მოკლე ან გრძელი.

როცა სომეხმა სიზმატიკოსებმა [შეიტყეს] მამის გადაწყვეტილებისა და იმის შესახებ, რომ უკვე მიღებულია ნაკვეთი მშენებლობისათვის, სიბრაზისაგან აცახცახდნენ, მით უმეტეს, რომ....(არ იკითხ.) დეენა, თითქმის თანაზომიერია მათი უდიდესი უნამუსობისა და გადაწყვიტეს გაეკეთებინათ ყველაფერი, რათა წინაღდგომოდნენ [მშენებლობას], მოესყიდათ მოხელეები, თუკი ღმერთი უარს ეუბნება მოწყალებაზე. საქმე შეფერხდა მანამდე, ვიდრე დაიწყებოდა. უკვე გავიდა ორი თვე მას შემდეგ, რაც გამოყოფილი და მონიშნულ იქნა ნაკვეთი. მიუხედავად იმისა, რომ მამა თითქმის ყოველ დღე დადიოდა კანცელარიაში, რათა მიეღო ასე ნანატრი ხელშეკრულება, საქმე სულ გადაიდებოდა დღიდან დღეზე, გადიოდა კვირეები და ხელშეკრულების მაგიერ მამა იღებდა მხოლოდ ათას დაპირებას და დაიმედებას. ....(არ იკითხ.) მამამ, ამგვარი დაბრკოლებებისა და გაჯანჯლების, განსაკუთრებით გულდამძიმებულმა, არ იცოდა რა ეფიქრა, უფრო მეტიც, რაც უფრო მეტს ფიქრობდა, მით უფრო ნაკლებად ესმოდა შეფერხების მიზეზი, და უფრო მეტად ეშინოდა წარუმატებლობის, რადგან ხედავდა, როგორ გაციებდნენ მოხელეები მის სასარგებლოდ თავდაპირველი კეთილგანწყობილი აღტკინების შემდეგ.... (არ იკითხ.). მამას ეჭვი გაუჩნდა ეიცე-გუბერნატორის მიმართ, მაგრამ მას არ ჰქონდა საკმარისი საფუძველი, ამიტომ როცა კიდევ მიემატა... (არ იკითხ.), ის

f. 42r.

ეხლა ცხოვრობდა უკიდურესად განაწყენებულ მდგომარეობაში, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ღმერთმა დაამშვიდა იმით, რომ აუხსნა ხელშეკრულების

---

[1] სიგრძის საზომი ერთეული ძველ რუსეთში. ძველი რუსული წყაროების მიხედვით, XI–XVII საუკუნეებში საჟენის ზომა იყო 152 და 176 სმ. ეს იყო ე.წ. სწორი საჟენი, რომელიც, განისაზღვრებოდა ადამიანის გაშლილი ხელების სიგრძით, ერთი ხელის თითების ბოლოებიდან მეორე ხელის თითების ბოლოებამდე. ე. წ. ირიბი საჟენი, ზომით 216 და 248 სმ., განისაზღვრებოდა სიგრძით ტერფის ძირიდან დიაგონალურად გაშლილი ხელის თითების ბოლოებამდე.

გაცემის შეფერხების მიზეზი. ერთმა მქადაგებელმა, აღმსარებლობით სქიზმატიკოსმა და მამას მეგობარმა, მოუთხრო მას იმ მოლაპარაკებებსა და შეთანხმებებზე, რომელიც ჰქონდათ და აქვთ სომხებს მოხელეებთან და საიმპერატორო კანცელარიის მდივანთან იმ მიზნით, რომ ხელი შეეშალათ დოკუმენტის გაცემისათვის და ამგვარად შეეფერხებინათ ეკლესიისა და სახლის მშენებლობა. მთელი ორი თვის განმავლობაში, სომხებმა ამ მიზნით, სხვა საჩუქრების გარდა, მხოლოდ ფულის სახით, მოხელეებს გადასცეს 200 სკუდოზე[1] მეტი. უკანასკნელებმა ამის გამო დაარწმუნეს სომხები, რომ მამა ვერასოდეს მიაღწევდა თავის მიზანს. ასეთმა მოულოდნელმა უსინდისობამ სომხების მხრიდან, დათრგუნა მამა, მაგრამ იმავე დროს იცოდა, რომ ვიცე-გუბერნატორი არ მონაწილეობდა ამისთანა სისაძაგლეში და არ იცოდა ჩინოვნიკების მოქმედებაზე. მას გაუჩდა იმედი, რომ შეძლებს...(არ იკითხ.) მზაკვრობა, რომ მასში ჩაცვივდებიან თვით ისინი, ვინც მას ქსოვდნენ, თუკი ეს იქნება აუცილებელი. მაშინ მამამ, მოიკრიბა ძალა და მიენდო ღმერთს, გაეშურა ვიცე-გუბერნატორისაკენ. მოუყვა მას ამ საქმის შესახებ და იმაზე, როგორ ზარალს განიცდიდა დოკუმენტის დაგვიანების გამო. მოკრძალებით სთხოვა უბრძანოს მოხელეებს ბოლოს და ბოლოს გასცენ ბედშაეი ხელშეკრულება. ვიცე-გუბერნატორმა მოიბოდიშა და სთქვა, რომ მოწმობის გაცემის შეფერხებაში მას ბრალი არა ჰქონდა, მოხელეების ბრალი იყო, რომლებმაც გამოიჩინეს დაუდევრობა. მამა მოკრძალებით შეეპასუხა, რომ მისი აზრით, მოხელეები ატყუებენ მის მოწყალებას და თვითონ მასაც. ამ სიტყვებმა გააკვირვა ვიცე-გუბერნატორი და სცადა აეძულებინა მამა ყველაფერი ეთქვა, მაგრამ მან ღრმა პატივისცემით სთხოვა ამაზე მეტი არ გაეგრძელებინა საუბარი. ვიცე-გუბერნატორი რაღაცას ეჭვობდა, მაგრამ როგორც კეთილგონიერმა ადამიანმა აღარ დააძალა, თავისთან გამოიძახა მდივანი, და მამის თაანდასწრებით მკაცრად დატუქსა მისი დაუდევრობისათვის და უბრძანა, ჯოხით გაროზგვის შიშით (ჩვეულებრივი დასჯა იმ მხარეებში), შემდეგ დილას თავისი ხელით მოიტანოს დოკუმენტი. შემდეგ მიუბრუნდა მამას და უთხრა: მამაო, ხვალ მოდით ჩემთან და მიიღებთ იმას, რაც გინდათ. მამამ შეებით ამოისუნთქა ამ წარმატების გამო, ღმერთს მადლობა შესწირა, მოუთმენლად დაელოდა შემდეგ დილას, რათა ენახა რით დამთავრდებოდა ეს ყოველივე. ის დილაადრიან მივიდა და მისაღებში დაჯდა. როცა ვიცე-გუბერნატორმა ის დაინახა, მაშინვე თავისი მსახური გაგზავნა მდივანთან, რომელიც გამოცხადდა დოკუმენტით. ვიცე-გუბერნატორმა ხელი მოაწერა მას და მამას გადასცა. მამამ, რომელსაც უკვე დიდიხანია გამზადებული ჰქონდა [საამშენებლო] მასალებიც და ოსტატებიც [მზად იყვნენ], დროის დაუკარგავად, იმავე დღეს, 1719 წლის 23 სექტემბერს, შეუდგა

[1] სკუდო (იტ. Scudo) XVI-XVIII სს. იტალიის რიგ სახელმწიფოებში ვერცხლისა და ოქროს მონეტა. უტოლდება 5 ლირას.

მშენებლობას. უპირველეს ყოვლისა, მამამ აუცილებლად ჩათვალა ნაკვეთისთვის შემოეველო

f. 42 v.

ღობე, არა იმდენად იმისათვის, რომ მშენებლობა ეწარმოებინა დაფარულად, არამედ იმიტომ, რომ მას რამდენიმე საშიში დაავადების მქონე [პირი] ჰყავდა და ისინი, რომ დახოცილიყვნენ, შეეძლებოდა მათი ღობის შიგნით დაკრძალვა, იმ ადგილას, რომელიც უკვე გამოყოფილი იყო სასაფლაოდ. როგორც ვარაუდობდა, ასეც მოხდა. რამდენიმე დღის შემდეგ ერთ-ერთი ავადმყოფი მოკვდა და ის იყო პირველი, რომელიც ჩვენს ნაკვეთზე დაიკრძალა. ღობის შემოვლების შემდეგ დაიწყო ეკლესიის მშენებლობა, რომელიც დაშორებული უნდა ყოფილიყო სახლისგან (ასეც არის სინამდვილეში). მაგრამ, რადგან ეკლესიის შესახებ თხოვნაში განსაკუთრებით არ იყო ნათქვამი (მამამ იცოდა, რომ მეფის სპეციალური ნებართვის გარეშე ეკლესიის აშენების ნებას არ მისცემდნენ). ეკლესია შენდებოდა არა საჯარო წირვისათვის, ესე იგი მასზე არ იყო ეკლესიის გარეგნული ნიშნები, თუმცა ყველამ იცოდა, რომ ეს იყო ეკლესია, შიგნით კი შემკული იყო ყველა მორთულობით, რომლებიც შეშვენის ნამდვილ ეკლესიას. რამდენადაც სომეხ ქალებში არ არის მიღებული ეკლესიაში სიარული მამაკაცებთან ერთად, ამიტომ, ამ ქალებისთვის მოხერხებული რომ ყოფილიყო (ისე, როგორც მიღებულია აღმოსავლეთში), ამიტომ ეკლესიის ნახევარ სიმაღლეზე და სიგრძეზე გამოყო განსაკუთრებული [ფართი], რაღაც გალერიის მსგავსი ცხაურიანი ტიხარით, როგორც კეთდება ჩვენი მონაზვნებისათვის. ეკლესიაში შემოსული ქალები კიბით ადიან მაღლა, სადაც სრულ სიმშვიდეში იმყოფებიან, უჩინარნი ყველასათვის, მთელი დროის [განმავლობაში], ვიდრე ეკლესიაში მიმდინარეობს მესა[1] და სხვა ლოცვები. ეკლესია დამთავრდა, მოირთო და მოეწყო აუცილებელი [საეკლესიო] ნივთებით, დაახლოებით 1720 წლის 22 თებერვალს, ხოლო იმავე თვის 26 რიცხვში მამამ დაამთავრა პირველი მესა დიდძალი ხალხის [თანდასწრებით], მღვდელი-სქიზმატიკოსების და ერეტიკოსების გასაბოროტებლად, რომლებმაც დაკარგეს წონასწორობა კათოლიკური რელიგიის ასეთი წარმატების გამო. ეს ეკლესია სიგრძით არის შვიდნახევარი ნაბიჯი, სიგანეში ოთხნახევარი, რაც წარმოადგენს კარგ პროპორციას. როცა ეკლესია დამთავრდა, დაიწყო სახლის მშენებლობა. პირველსავე ოთახში, რომელიც აშენდა, მამა გადავიდა საცხოვრებლად. ეს მოხდა იმავე წლის 28 მარტს. სახლი არის საკმაოდ მოხერხებული, პირველ სართულზე არის ოთხი ოთახი, განლაგებული ერცელი დარბაზის გვერდებში, ხოლო...(არ იკითხ.) კარისგან არის...(არ იკითხ.) ორი სახელოსნოთი. მეორე სართულზე, რომელიც საზაფხულოა, კიდევ არის ორი მოხერხებული ოთახი, ერთი ერთი მხრიდან, მეორე – მეორე მხრიდან, მათ შორის არის

[1] მესა (Messa)-წირვა კათოლიკურ ეკლესიაში.

განიერო გასასელელი. ყველაზე კარგი აქ ის არის, რომ სახლი დგას განცალკევებით. რადგან მის გარშემო არის ცარიელი სივრცე, ამიტომ ხანძრების დროს, რომლებიც იქ ხშირად ჩნება, ცეცხლი მისთვის საშიში არ არის.

ამგვარად, ეკლესიისა და სახლის აშენების შემდეგ, მამა კი არ დამშვიდდა, არამედ დაიწყო ფიქრი იმაზე, როგორ მოეწყო სასულიერო საქმეებიც. მამა ნათლად ხედავდა, რომ არ შეიძლებოდა იმის იმედი ჰქონოდა, რომ მიაღწევდა რაიმე პროგრესს კათოლიკეების რიცხვის გაზრდასა და კთოლიკური სარწმუნოების გავრცელებაში, თუ არ ექნებოდა მრევლის ყოლის სრული უფლება. ამიტომ, რათა სრულად აღესრულებინა თავისი მოვალეობა, გადაწყვიტა ასეთი

f. 43r.

უფლება მოეპოვებინა. უნდა ვიცოდეთ, რომ ეს არის სრულიად დელიკატური მომენტი სომეხი ეპისკოპოსებისა და მღვდლებისათვის, განდგომილთა და ერეტიკოსებისათვის, რომლებიც გამუდმებით კანკალებენდნენ, რადგან ეშინოდათ ასეთი უფლების დაკარგვის შესახებ გაფიქრებისაც კი. რამდენადაც ისინი იღებენ ფულს ყველა ლოცვისა და საიდუმლოებისათვის, მთელ თავიანთ შემოსავალს ისინი იღებენ ნათლობის, ქორწინებისა და დაკრძალვის დროს. (არ იკითხ.)...როდესაც წმინდა მამებს სურთ, რომ შეეხონ ამ მომენტს, ისინი [სომეხი მღვდლები] გადაიქცევიან ეშმაკ, საშინელ ფურიებად...(არ იკითხ.), და ყოველგვარ ფასად ცდილობენ არ დაუშვან, რომ მისიონერებმა მიიღონ უფლება ჰყავდთ მრევლი სომხებს შორის. (არ იკითხ.).... მამა ყოველივეს ხედავდა თავისი თვალით, ყველა მისიაში, სადაც მუშაობდა. ყველაფრისდა მიუხედავად, სუფთა თავგამოდებით მოინდომა ეცადა, აღესრულებინა ეს განსაკუთრებით მნშვნელოვანი საქმე. პირველი შემთხვევა, რომელიც...(არ იკითხ.) დაკავშირებული იყო სომეხი მშობლების მიერ ბავშვის კათოლიკური წესით მონათვლასთან. გაიგეს რა ამის შესახებ, სომეხმა მღვდლებმა თავიანთი დამქაშებით ატეხეს საშინელი ხმაური და ჩხუბი. მამა-მისიონერის გამო, ბავშვის მამასაც დაუწყეს დევნა საშინელი გაბორეტებით, რათა დაეშინებინათ სხვები, მაგრამ ჩვენმა მამა-მისიონერმა, იცოდა რა თავისი სიმართლე, არ დაემორჩილა მათ მუქარას და უკან არ დაიხია დევნის წინაშე. სომხებმა მიაღწიეს იმას, რომ ვიცე-გუბერნატორმა ცერემონიის ორი დღით ადრე აუკრძალა [მამას] ამ ქალაქში აღესრულებინა პირველი კათოლიკური ქორწინება. მაგრამ მამა წავიდა მასთან და დაუფარავად იჩიელა ამის გამო, რამდენადაც ასეთი აკრძალვა ეწინააღმდეგებოდა ნებართვას, რომელიც მიანიჭა მისმა უდიდებულესობამ [მეფემ] მისიონერებსა და კათოლიკეებს, რომ შეესრულებინათ თავიანთი რელიგიური წესები. ამიტომ ერთიცა და მეორეც, მისგან მოითხოვდნენ სამართლიანობას, გამოხატულს საბოლოო განაჩენით, [მამამ] განაცხადა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი მიმართავენ მის უდიდებულესობას [მეფეს]. ვიცე-გუბერნატორი (ღმერთის განგებით) გონს მოეგო და წმინდა კათოლიკური

ეკლესიის მტრების სამწუხაროდ და ჩვენი მამის სასარგებლოდ გამოიტანა განაჩენი. სქიზმატიკოსებმა, როდესაც გარდაიცვალა პირველი სომეხი-კათოლიკე, განიზრახეს ძალით მოეტაცათ მის სხეული და დაეკრძალათ. მაგრამ ჩვენმა მამამ, ძალადობას დაუპირისპირა სიფრთხილე. მანამდე, ვიდრე ისინი რამეს მოიმოქმედებდნენ, [მიცვალებული] დაკრძალეს უხმაუროდ. ამგვარად, პირველი დაბრკოლებების გადალახვის შემდეგ, რომლებიც ხელს უშლიდნენ ყველა საქმის მოგვარებას, მამამ გააგრძელა სამწყსოს მიერ მოპოვებული უფლების შეუფერხებლად განხორციელება. მამა დაწერილებით არ ჩერდება [წერილში] იმაზე, რამდენი შეურაცხყოფის, ცილისწამების, მუქარის და სიძულვილის გადატანა მოუხდა სქიზმატიკოსებისგან, სამწყსოს ყოლის სრული უფლების მოპოვების გამო. პირველი, იმიტომ, რომ ამაზე არ არის საუბარი, ხოლო მეორე, ეს ნიშნავდა, რომ არასოდეს ისურვო...(არ იკითხ.). სამაგიეროდ ის რამდენჯერმე გააფრთხილეს და მოუწოდეს, იმათაც კი, ვინც კათოლიკე არ იყო, რომ მარტო არ გამოსულიყო გარეთ, რადგან სომხებმა ჩაიფიქრეს მისი მოკვლა.

f. 43 v.

მაგრამ მამას თვალწინ და გულში ჰქონდა ღმერთის დიდება, გავრცელება წმინდა, უბიწო და უცოდველი კათოლიკური სარწმუნოებისა და სულების გადარჩენა. სრულად ირწმუნა რა ღვთიური მფარველობა, იმედოვნებდა, რომ ღმერთი შეეწეოდა და დაიცავდა თავდასხმებისა და შეურაცხყოფისაგან, როგორც მოხდა კიდეც, სასწაულებრივად: უზენაესმა გაათავისუფლა ის ამ ხიფათისა და სხვა მრავალი უსიამოვნებისგანაც.

ამგვარად, მამამ მოაწესრიგა ყველაფერი ძირითადი სამუშაო მისიონში. ახლა დარჩა მხოლოდ ეკლესიის გახსნა საჯარო მსახურებისათვის, რაც იქნებოდა უდიდესი წარმატება კათოლიკური რელიგიის სადიდებლად. ყველა წირვა-ლოცვა მიმდინარეობდა ღიად, ასე, რომ უფლის სხეულის დღესასწაული[1], რომელიც დადგა უშუალოდ ეკლესიის მშენებლობის დასრულებისთანავე, მამამ ისეთი ზეიმით და... (არ იკითხ.) ტკაცუნების აფეთქებით, რომ ბევრი ხალხი მოვარდა, რათა ენახათ ასეთი არნახული სანახაობა...(არ იკითხ.). უნდა ითქვას, რომ შამახიაში[2] ყოფნის დროს მამამ ახლოს გაიცნო არტემი ეოლესკი[3], მოსკოველი დიდებული, რომელიც იმ დროს იყო მისი დიდებულების განსაკუთრებული ელჩი სპარსეთში. როცა ეს უკანასკნელი

---

[1] ქრისტეს სხეულისა და სისხლის დღესასწაული, კათოლიკურ ეკლესიაში, წარმოიშვა მე -13 საუკუნეში. აღინიშნება ხუთშაბათს სამების დღეს, ანუ სულთმოფენობის მეათე დღეს, აღდგომის მე-60 დღეს. არის უმაღლესი ხარისხი კათოლიკური დღესასწაულების იერარქიაში.

[2] შემახია=შირვანი

[3] არტემ პეტრეს ძე ეოლინსკი (1689-1740), პეტრე I-ის მიერ დაწინაურებული სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი. ის პეტრე I-მა 1719 წელს დანიშნა ასტრახანის პირველ გუბერნატორად.

თავისი ელჩობიდან ბრუნდებოდა, ვიდრე გზას გააგრძელებდა მოსკოვისკენ, მანამდე რამდენიმე კვირით შეჩერდა ასტრახანში და ამ დროს მან პატივისცემის ნიშნად [მამა] მიიწვია სადილზე, მის მიმართ გამოხატა აგრეთვე სიმპათიის სხვა ნიშნებიც. მამამ გადაწყვიტა ესარგებლა ამით და მოუყვა მის აღმატებულებას მისიონის საქმეებისა და იმ სიძნელეების შესახებ, რომლისაც ეშინოდა, რომ წააწყდებოდა. სთხოვა მას დაცვა და მისიონერებისა და კათოლიკეების სახელით გადასცა თხოვნა მისი უდიდებულესობის [მეფის] სახელზე. მისი აღმატებულება დაპირდა ყოველივე შესაძლებელის გაკეთებას, რათა მიღწეული ყოფილიყო ის, რაც მამას სურდა. მისი აღმატებულება წავიდა, მაგრამ რამდენადაც რჩებოდა აუცილებლობა რამენაირად დაეწყო მუშაობა მისიას, მამამ, რათა საქმე აღარ გადაედო, მისი აღმატებულების პასუხის ლოდინში, წავიდა სხვა გზით და დაასრულა საქმე, რაზეც უკვე ითქვა.

ისე მოხდა, რომ როცა მის უდიდებულესობას უნდა დაენიშნა ასტრახანის სამეფოს ვიცე-მეფე (ასე უწოდებენ რუსები) მან ამ თანამდებობაზე დანიშნა, როგორც განსაკუთრებით გამოჩენილი, მისი აღმატებულება ეოლესკი[1]. ეს იყო მამისათვის უდიდესი ნუგეში, რამდენადაც იმედოვნებდა, რომ მისი ჩამოსელა იქნებოდა მისიონისათვის დიდათ სასარგებლო. ამგვარად, რამდენიმე ხნის შემდეგ მისი აღმატებულება ჩამოვიდა ასტრახანში. მამა მაშინვე წავიდა მასთან მისასალმებლად და ბედნიერად ჩამოსვლის მისალოცად. მისმა აღმატებულებამ კმაყოფილება გამოხატა მამის ვიზიტის გამო, იმავე დროს აგრძნობინა, რომ მასთან

f. 44r.

მიმართებაში შეინარჩუნა იგივე სიმპათია, რომლითაც ადრე იყო განწყობილი. მამამ იმ პირველი ვიზიტის დროს უხერხულად მიიჩნია დაეწყო საუბარი მის აღმატებულებასთან თავის პირად საქმეებზე და გადასდო უფრო შესაფერისი დროისათვის. რამდენიმე დღის შემდეგ, როცა მამის აზრით, მისმა აღმატებულებამ მოახდინა ყველა აუცილებელი ვიზიტი, ის ისევ შეეიდა მასთან, რათა გაეგო რაიმე წერილმანები თავისი საქმის მსვლელობაზე. ღმერთმა ისე მოაწყო, რომ მისმა აღმატებულებამ სრულიად ძალდაუტანებლად თვითონ წამოიწყო ლაპარაკი ამ თემაზე. ჩვეულებრივი კომპლიმენტების შემდეგ მისმა აღმატებულებამ, ღიმილით უთხრა მამას: მამაო, გავიგე, რომ თქვენ აქ ააშენეთ ლამაზი სახლი, გილოცავთ. მამამ, სიხარულით გადარეულმა, რადგან დაინახა, რომ მისი მიზნისკენ მიმავალი გზა იხსნებოდა, უპასუხა: თქვენო აღმატებულებავ, შეიძლება ლამაზი სახლი ეწოდოს საცოდავი კაპუჩინების მოკრძალებულ საცხოვრებელს, მაგრამ მასში თუ არის რაიმე ლამაზი, ეს სილამაზე მოველინა თქვენი აღმატებულების

[1] უნდა იყოს არტემი ვოლინსკი.

ღეთისმოსაობითა და გულუხვობით. მისმა აღმატებულებამ უთავაზიანესი სიტყვებით უპასუხა: მისთვის განსაკუთრებული ღირსება იქნება, თუ შეძლებს რაიმეთი დაეხმაროს ღირს მამა-მისიონერებს. მაშინ მამამ მოიბოდიშა იმისათვის, რომ მშენებლობა დაასრულა მის დაბრუნებამდე და რაიმე პასუხის მიღებამდე, გასამართლებლად დაასახელა მისიონის არსებული საჭიროებანი, რომლებიც არ აძლევდნენ საშუალებას შემდგომისათვის გადაეწია მშენებლობის დაწყება სერიოზული ზარალის გარეშე...(არ იკითხ.), მაგრამ, მიუხედავად ამისა, მან ვერ გაბედა მისი აღმატებულების დაბრუნებამდე და მისი აღმატებულების პასუხის მიღებამდე გაეხსნა საჯარო ეკლესია ან გარედან მოეთავსებინა ეკლესიის რაიმე ნიშანი, ესე იგი ჯვარი. ეს იყო ის სილამაზე, რომელიც განკუთვნილი იყო მისი აღმატებულების სიკეთის განსადიდებლად. ამ სიტყვებზე მისმა აღმატებულებამ მრავალი მაღაჩინოსანის თანდასწრებით, რომლებიც იქ იმყოფებოდნენ, თქვა: წმინდა მამაო, თქვენ შეგეძლოთ ეს გაგეკეთებინათ მაშინვე, რადგან მისმა უდიდებულესობამ დაგვრთო ნება, მაგრამ რამდენადაც თქვენ ინებეთ ეს პატიე მე მომანიჭოთ, მე თქვენ გეუბნებით: გახსენით საჯარო ეკლესია, დააყენეთ ჯვარი, რადგან მისმა უდიდიდებულესობამ გასცა ასეთი ნებართვა. იოლად შეიძლება წარმოდგენა, რამდენად იყო ნუგეშცემული მამა კათოლიკური რელიგიის ამგვარი ღირსეული და დიდებული წარმატებით. ამიტომ დროის დაუკარგავად, რამდენადაც მას ყველა მასალა გამზადებული ეწყო, იპოვა ოთხი კარგი ოსტატი, მისცა ნახაზი და შეუთანხმდა რა სამუშაოს ფასზე, უბრძანა, აეღოთ აუცილებელი ზომები მიწაზე, უხმაუროდ და ფაციფუცის გარეშე, კათოლიკური სარწმუნოების მტრებისთვის უკანასკნელ წუთამდე დაემალათ ნებართვის მიღება. გაკეთდა ახალი გადახურვის მთელი ჩონჩხი, განსაკუთრებით მისი საყრდენი, რომელიც უნდა დაედგათ ეკლესიაზე, მასზე უნდა მიემაგრებინათ ხის დიდი ჯვარი, რომელიც პატარა კოშკივით უნდა აღმართულიყო ეკლესიის შუაში. რანდენადაც მოდიოდა

f. 44 v.

უწმინდესი ღვთისმშობლის ამაღლების დღესასწაული (ეს დღესასწაული რუსებთანაც აღინიშნება დიდი ზეიმით), მამას უნდოდა, რომ ამ დღისთვის, ყველას დასანახად ეკლესიაზე აღმართული ყოფილიყო წმინდა ნიშანი. ამიტომ ოსტატებს დაპირდა კარგად დასაჩუქრებას, თუ იმუშავებდნენ დღე და ღამე, ჯვარს მიამაგრებენ თავის ადგილზე დღესასწაულის დილას. ოსტატები, წაქეზებულნი კარგი გამომუშაევებით და დამატებითი დახმარეების მიღებით, რომლებიც მამამ გამოძებნა, ისე კარგად იმუშაევს, განსაკუთრებით დღესასწაულის წინა ღამეს, რომ ჯერ კიდევ გათენებამდე, დღესასწაულის დილას ჯვარი დაყენებული და მიმაგრებული იყო თავის ადგილზე, ეკლესიაზე ღმერთისა და უწმინდეს ქალწული მარიამის სადიდებლად.

ძნელია ამის დაჯერება, მაგრამ სიმართლეა. ახალი ჯვრის გამოჩენამ ამ ველურ მხარეში გამოიწვია პანიკა ყველა ეშმაკულ სულში, მაგრამ ისინი, იმის მაგიერ, რომ გაფანტულიყვნენ და გაქცეულიყვნენ ამ წმინდა ნიშნის დანახვისას, ყველანი იქ შეიკრიბნენ, რათა კათოლიკური რელიგია, კათოლიკეები და ჩვენი მამა დაესიანებინათ. ერეტიკოსებისა და სქიზმატიკოსთა და მათი მიმდევრების სულებში გაჩაღებულმა შეურიგებელმა ღვარძლმა კათოლიკური რელიგიის ტრიუმფის დანახვისას, (არ იკითხ.)... გაერთიანებულებმა ამ ქალაქის ეპისკოპოსის, თავიანთ წინამძღოლის გარშემო, განიზრახეს ეკლესიის დანგრევა. ყველა ერეტიკოსმა და სქიზმატიკოსმა, განსაკუთრებით სომხებმა, რომლებიც თავიანთი დანაკარგის გამო მძიმედ არებდნენ, მიმართეს ეპისკოპოსს (რომელიც ამ მომენტამდე არც ერთხელ არ ჩარეულა), რათა მას გამოეყენებინა თავისი სასულიერო ხელისუფლება და არა მხოლოდ წინაღდგომოდა კათოლიკური რელიგიის წარმატებას, არამედ მთლიანად განედევნა კათოლიკეები თავის სამფლობელოდან. ჯვრის აღმართვიდან სამი თუ ოთხი დღის შემდეგ, ეპისკოპოსმა თავისთან დაიბარა მამა. მამა წავიდა მასთან. როცა მან დაინახა მამა, აღელვებული სახით...(არ იკითხ. 0,5 ხაზი). შემდეგ, ქედმაღლური ტონით, რომელიც კარგად აჩვენებდა, რამდენ ბოღმას ინახავდა გულში, ჰკითხა მამას, ვინ მისცა მას უფლება აეშენებინა სახლი და ეკლესია ასტრახანში. მამამ ამოიღო უბიდან მიწის ნაკვეთის ყიდვა-გაყიდვის საბუთი, რომელიც შედგენილი იყო მისი უდიდებულესობის [მეფის] სახელზე და გაუწოდა ეპისკოპოსს. მან ყურადღებით წაიკითხა, მაგრამ იქ ვერ აღმოაჩინა გარკვეული მითითება ეკლესიაზე, დიდი კადნიერებით შეეკამათა, რომ მასში არ იყო აღნიშნული ეკლესიის, მითუმეტეს საჯარო ეკლესიის აშენებაზე. მამამ უპასუხა, რომ ის თუ ნახავდა ისე, როგორც საჭიროა, აღმოაჩენდა ასეთ ნებართვას, რაც შეეხება საჯარო ეკლესიის ქონების ნებართვას, ასეთი ნებართვა მიიღო მისი აღმატებულებისაგან, ეიცე-მეფისაგან, რომელმაც განაცხადა, რომ ამის უფლება მისცა მისმა დიდებულებამ. ეპისკოპოსმა უპასუხა, რომ მამა ტყუის და ამიტომ მას თუ არა აქვს მისი უდიდებულესობის წერლობითი ნებართვა, ის [ეპისკოპოსი] უკრძალავს მას მესას, ასევე სხვა რელიგიურ მსახურებას და უბრძანა ეკლესიის დაკეტვა, მანამდე ვიდრე არ იქნება მიღებული სხვა გადწყვეტილება. მამამ გაიცინა და მტკიცედ განაცხადა, რომ ასტრახანში, ისევე, როგორც რუსეთის მთელ სამეფოში, ის აღიარებს თავის ერთადერთ მბრძანებლად მის სამეფო უდიდებულესობას, და რამდენადაც ის არ არის რუსი მღვდელი, არ ემორჩილება ეპისკოპოსს, და ამ უკანასკნელს არ გააჩნია მასზე არავითარი ძალაუფლება. ამიტომ [მამა] დაემორჩილება [ეპისკოპოსის] ბრძანებას მხოლოდ იმ შემთხვევაში,

f. 45r.

თუ ასეთი რამ წარდგენილი იქნება მისი უდიდებულესობის ბრძანებით წერილობითი სახით. საბოლოოდ, ხანგრძლივი კინკლაობის შემდეგ, როცა

დაღამდა, ეპისკოპოსმა თქვა: რადგან ამბობთ, რომ ნებართვა მოგცათ ეიცე-მეფემ, ხვალ მოველაპარაკები მის აღმატებულებას, და ამის მერე გამოვიტან საბოლოო დაგაწყვეტილებას. მან ამ სიტყვებით გაუშვა მამა. გვიან დრომ არ მისცა საშუალება მამას წასულიყო ეიცე-მეფესთან, მაგრამ შემდგომ დღეს, დილით ადრე ის სწრაფად წავიდა სასახლეში. შეიყვანეს იქ, სადაც იმყოფებოდა მისი აღმატებულება მრავალ მოხელესთან ერთად. როცა ეიცე მეფემ დაინახა, მაშინვე ჰკითხა (მან უკვე გუშინ იცოდა, რომ ეპისკოპოსმა დაიბარა ის): მამაო, რა უნდა ეპისკოპოსს შენგან? მამა მოუყვა მომხდარის შესახებ და როცა ეიცე-მეფემ მას მოუსმინა, თქვა, რომ მას ულაპარაკია და მოქცეულა კარგად და სწორად. შემდეგ გამოიძახა მდივანი, რომელსაც გაღიზიანებულმა უთხრა: ეხლავე წადი ეპისკოპოსთან და ჩემგან გადაეცი, რომ თუ ის ეპისკოპოსია და სურს შეასრულოს თავისი მოვალეობა ისე, როგორც წესია, წავიდეს ლუთერანებთან[1], სომხებთან, თათრებთან, ინდოელებთან (ისინი არიან კერპთაყვანისმცემლები) და სხვა ხალხებთან, რომლებიც ცხოვრობენ ასტრახანში და ნახოს, როგორი ნებართვა აქვთ აქ საჯარო ეკლესიების ფლობის შესახებ. რაც შეეხება ღირს მამებს, მათ გმო ნუ შეწუხდება, რადგან მე მაქვს მისი უდიდებულესობის ნებართვა, დაანებოს [კათოლიკეებს] თავი, წინააღმდეგ შემთხვევაში მე თვითონ ვაცნობებ მის უდიდიდებულესობას ეპისკოპოსის საწუხარის შესახებ. შემდეგ მოუბრუნდა მამას და უთხრა: წადით და თუ კიდევ ვინმე გკითხავთ საიდან გაქვთ ეკლესიის მშენებლობის ნებართვა, პირდაპირ უპასუხეთ, რომ ნებართვა მოგეცით მე. თუ ვინმე მოისურვებს ნებართვის ნახვას და შემოწმებას, მოვიდნენ ჩემთან და ყველაფერს ეაჩვენებ და ვეტყვი, რომ რადგან მე გაეცემ ნებართვას, ის ჩემთან ინახება. ასეთი საყვედურის შემდეგ, ერთი შეხედვით, ეპისკოპოსი დამშვიდდა, მაგრამ სინამდვილეში ის არ დაწყნარდა და თავის დამქაშებთან ერთად იმაზე ფიქრობდა, როგორ მიეღო ახალი, უფრო მოქმედი ზომები თავისი მიზნის მისაღწევად. შემდეგი მონაყოლის უკეთ გაგებისათვის უნდა ითქვას, რომ წინათ რუსებს ჰყავდათ პატრიარქი, მაგრამ ის გაერია ბოლოდროინდელ ამბოხებაში. მეფის ბრძანებით ის დასაჯეს (მისი მოკვეთილი თავი ჩამოცმული რკინის სარზე აქამომდე გამოფენილია მოსკოვის მოედანზე). იმ დროიდან მისმა უდიდებულესობამ, მიუხედავად სულიერი მამების თხოვნისა, აღარ ინება პატრიარქის დანიშვნა, მის მაგიერ, სასულიერო საქმეების განგებისათვის შექმნა რეა ეპისკოპოსისაგან შემდგარი კონგრეგაცია, რომელსაც რუსეთში უწოდებენ სინოდს[2]. თვით სულიერ

[1] ლუთერანიზმი – ერთ-ერთი უძველესი პროტესტანტული მოძრაობა ქრისტიანობაში. იგი დაკავშირებულია პროტესტანტული კონცეფციის წარმოშობასთან, რადგან სწორედ ლუთერანელები იყვნენ ისინი, ვინც პირველები იწოდნენ პროტესტანტებად.

[2] სინოდი, რუსეთის ეკლესიის საეკლესიო-სახელმწიფოებრივი ადმინისტრაციის უმაღლესი ორგანო, ე.წ. სინოდურ პერიოდში (1721-1917). წმინდა სინოდი იყო რუსეთის ეკლესიის უმაღლესი ადმინისტრაციული და სასამართლო ხელისუფლება. მას

მამებს მიაჩნიათ, რომ ეს კონგრეგაცია დამოუკიდებელია სასულიერო საქმეებში მეფისგანაც კი, მაგრამ ეს ასე არ არის.

ეხლა კი, ეპისკოპოსმა, სხვა სულიერ მამებთან ერთად, მიმართა ამ კონგრეგაციას. მან მამაზე შეაგროვა მრავალი ბრალდება. იმედოვნებდა, რომ ამ საშულებით ისინი მოშლიდნენ უკვე აწყობილ მისიონს. უბრალო ხალხშიც გავრცელდა ხმა, რომ ახლო მომავალში დაიწვება კათოლიკეების ეკლესია. ამამ

f. 45v.

საჩუქრების საშუალებით მოიპოვა ეპისკოპოსის ერთ-ერთი მდიენის კეთილგანწყობილება, რომელიც მას აცნობებდა იმის შესახებ, რაც ხდებოდა ეპისკოპოსსა და სქიზმატიკოსებს შორის. მან მოუთხრო კონგრეგაციაში მიმართვის შესახებ და იმედებზე, რომლებიც მათ ჰქონდათ. ამ უკანასკნელ შემთხვევაზე მან დაამტკიცა, რომ ის არ იტყუებოდა, რადგან რამდენიმე დღის შემდეგ ის ღამით მოვიდა მამასთან და აცნობა, რომ ეპისკოპოსმა კონგრეგაციიდან მიიღო პასუხი. კონგრეგაცია უბრძანებდა ეპისკოპოსს გამოეცადა მამა კონგრეგაციის მიერ შემუშაევებული ზოგიერთი მუხლის მიხედვით. მდივანმა გადასცა აგრეთვე, რომ ეპისკოპოსმა ძალიან გაიხარა ასეთი დაჟალებით და დიდად ტრაბახობდა, რომ ახლო მომავალში ის მამას დაადებდა ბორკილებს. სიმართლე ითქვას, მამა არ შეშინდა, მით უმეტეს, რომ ის განუწყვეტლივ ლოცულობდა ღმერთის სახელზე, შესთხოვდა ძალას და მხნეობას, რათა ყოველივე იმისათვის გაეძლო, რაც შეიძლება მომხდარიყო. ის მოეთათბირა...(არ იკითხ.) მის აღმატებულებას იმის შესახებ, როგორ მოქცეულიყო იმ შემთხვევაში, თუ ეპისკოპოსი დაუძახებდა და უნდა გამოცხადდეს თუ არა ამ გამოცდაზე. მისმა აღმატებულებამ ურჩია მიეღო გამოცდა, რამდენადაც, როგორც მან სთქვა, ამით თავიდან აცილებული იქნებოდა დიდი სკანდალი. იმავე დროს, მან გაამხნევა ის და მოუწოდა არ შეშინებოდა. ბოლოს, ეპისკოპოსმა მამა თავისთან დაიბარა. მამა წავიდა მასთან. ეპისკოპოსმა თავხედური და ქედმაღლური სიტყვებით გამოუცხადა მას კონგრეგაციიდან მიღებული ბრძანება მისი გამოცდის შესახებ. მამამ მოიკრიბა მხნეობა და უთხრა: მონსინიორ[1] მე შემეძლო თქვენი მაღალ უსამღვდელოესობისათვის მეთქვა ის, რაც წინათ ეუთხარი, სახელდობრ: ამ სამეფოში მე არ ვცნობ სხვა რომელიმე მბრძანებელს, გარდა მისი უდიდებულესობისა [პეტრესი], მაგრამ, რადგანაც ყოველთვის მაქვს ამის

ეკუთვნოდა პირველი ინსტანციის სასამართლოს უფლება ანტიკანონოკური მოქმედებებში ბრალდებულ ეპისკოპოსებთან მიმართებაში, სინოდსაც ჰქონდა საბოლოო გადაწყვეტილებების მიღების უფლება განქორწინების საქმეებზე, სასულიერო პირებისათვის ღირსების აყრის, საერო პირების ანათემის უფლება; ხალხის სულიერი განმანათლებლობის საკითხები ასევე იყო სინოდის იურისდიქციაში.

[1] მიმართვა ეპისკოპოსისადმი: თქვენო უგანათლებულესობავ, თქვენო უმაღლესობავ, თქვენო უსამღვდელოესობავ.

თქმის საშუალება, აგრეთვე იმიტომ, რომ მინდა კონგრეგაციამ იცოდეს ის, რაც მოხდა და არ დაუჯეროს ჩემი მტრების მონაჩმახს ჩემზე, მოხარული ვარ თუ გამომცდიან, ამიტომ წამიკითხეთ რომელი კითხვებით უნდა გამომცადონ. ეპისკოპოსმა წაიკითხა კონგრეგაციის ბრძანება, რომელშიც მითითებული იყო, რისი გაგება სურდა კონგრეგაციას. პირველი: მას უნდოდა სცოდნოდა ვინ არის მამა; მეორე: საიდან მოვიდა; მესამე: რისთვის მოვიდა; მეოთხე: ვინ გამოგზავნა; მეხუთე: რა უფლების ძალით ააშენე სახლი და ეკლესია; მეექვსე: წმინდა მამებმა ჩაიდინეს რაიმე ბოროტმოქმედება და თუ არა, ხომ არ აპირებდნენ ჩადენას. ეპისკოპოსმა დაუძახა მდივანსა და მოწმეებს და როცა ისინი მოვიდნენ, დაიწყო ოფიციალური გამოცდა. პირველ კითხვაზე მამამ უპასუხა და მიუთითა თავის ჩინსა და მდგომარეობაზე; მეორე [კითხვაზე] უპასუხა, რომ ამჟამად ის მოვიდა სპარსეთიდან, მაგრამ ბევრად ადრე [სპარსეთში] მიეიდა რომიდან; მესამე კითხვაზე უპასუხა, რომ მოვიდა იმისათვის, რათა ამ მხარეში მცხოვრებმა კათოლიკეებმა, რომლებიც იმყოფებიან მისი უდიდიდებულესობის სამსახურში, შეძლონ თავიანთი რელიგიის აღიარება იმ ნებართვის მიხედვით, რომელიც მისმა უდიდიდებულესობამ მისცა ყველა ხალხს, როცა მოინდომა მათთან ვაჭრობა; აქ მამას ჰკითხეს კათოლიკეთა რაოდენობის შესახებ, განსაკუთრებით სომხებზე. მან [დაასახელა] რიცხვი და მოითხოვა [მისი პასუხი] შეეტანათ გამოცდის ანგარიშში; მეოთხე კითხვაზე უპასუხა, რომ ის გამოგზავნა მისმა უწმინდესობამ [პაპმა] და კარდინალების მაღალუსამღვდელოესობამ; ამის შემდეგ ეპისკოპოსმა ჰკითხა, აქვს თუ არა სარეკომენდაციო წერილები: მამამ უპასუხა, რომ აქვს. ეპისკოპოსმა უბრძანა ეჩვენებინა ისინი, რაზეც მამამ უპასუხა, რომ არ აჩვენებს არც მას და არც კონგრეგაციას, [აჩვენებს] მხოლოდ მის

f. 46r.

დიდებულებას, როდესაც ის ინებებს მათ ნახვას. მეხუთე კითხვაზე უპასუხა, რომ

ეკლესია და სახლი ააშენა მისი უდიდებულესობის ნებართვით, რასაც მოწმობს ოფიციალური ქაღალდი. მას ჰკითხეს საჯარო ეკლესიის შესახებ, რაზეც უპასუხა ზუსტად ასეევე. რაც შეეხებოდა უკანასკნელ კითხვას, მამამ შენიშნა, რომ ის საკუთრივ გამოცდას არ ეხება, კონგრეგაციამ მისცა მხოლოდ ცნობისათვის, რომელიც ეპისკოპოსმა ითხოვა, მაგრამ ეს უკანასკნელი გამოცდაში შეიტანა თავისი უმეცრების გამო. ამიტომ მამამ უპასუხა, რომ არ შეუძლია და არც აქვს ვალდებულება უპასუხოს ამგვარ კითხვაზე, რადგან სიმართლეც რომ სთქვას, მაინც სულერთია არ დაუჯერებენ. ამიტომ, რათა მიიღონ მათთვის საინტერესო ცნობები, მათ შეუძლიათ ისინი მოძებნონ სახელმწიფო კანცელარიებში, სადაც იწერება ცნობები ყველა ბოროტების შესახებ, ამიტომ ისინი იოლად აღმოაჩენდნენ ჩანაწერს წმინდა მამების დანაშაულებათა შესახებ, თუ მათ ასეთი რამ ჩაიდინეს. ამგვარად, ისინი

ვისაც ევალებათ მოძებნა, თვითონვე ნახავდნენ, შეუძლიათ თუ არა წმინდა მამებს ბოროტების ჩადენა. ამით დამთავრდა გამოცდა, მამამ ხელი მოაწერა ოქმზე და ეპისკოპოსმა ის გაუშვა შემდეგი სიტყვებით: წადით, მაგრამ თავის დროზე მოვილაპარაკებთ.

მამა წავიდა, მაგრამ გაბრაზებულმა, დროის დაუკარგავად კონგრეგაციაში მყოფ ეპისკოპოსებს მისწერა წერილი, რომელშიც ჩიოდა: პირველი. იმის გამო...(არ იკითხ.), რომლებსაც არამართლზომიერად ეკითხებოდა ეპისკოპოსი; მეორე: (არ იკითხ.)...თუ განვიხილავთ დასმულ კითხვებზე გაცემულ პასუხებს იმგვარად, რომ ისინი ჭეშმარიტად იქნენ განხილული, რამდენადაც შეიძლება საქმე წარიმართოს სხვაგვარად. მამა აცხადებდა, რომ არასოდეს დათანხმდებოდა მიკერძოებულ გადაწყვეტილებას; თუ ის დათანხმდა, რომ გამოცდილიყო მათ საამებლად, ეს არ ნიშნავს, რომ აპირებს დაემორჩილოს მათ, როგორც თავის სრულუფლებიან მოსამართლეებს; ის დაუყოვნებლივ მიმართავს მის უდიდებულესობას, რომელსაც მიიჩნევს თავის ერთადერთ მოსამართლედ. ზემოხსენებული მდივნისგან მამამ გაიგო, რომ ეპისკოპოსმა უკვე გადაგზავნა გამოცდის ოქმი და, განიხილა რა მამის პასუხები, როგორც საჭირო იყო, უთხრა სომხებს, რომ მათ მცირე რამის იმედი უნდა ჰქონდეთ. როგორც აღმოჩნდა, მან სწორად განსჯერიტა, რადგან რამდენიმე კვირის შემდეგ ეპისკოპოსმა მიიღო პასუხი, რომ კონგრეგაციამ მოიწონა ყველაფერი, რაც მამამ გააკეთა. მამამ მადლობა შესწირა ღმერთს ასე სწრაფი და წარმატებული დასასრულისათვის და იფიქრა, რომ ამის შემდეგ დასტოვებდნენ მშვიდად, მაგრამ სქიზმატიკოსმა ეშმაკისეულმა სულმა არ მოისვენა. რამდენიმე დღის შემდეგ მოვიდა მისი მეგობარი და აცნობა, რომ ეპისკოპოსმა სომხების ჩაგონებით, კვლავ მიწერა კონგრეგაციაში, ამჯერად იმის შესახებ, რომ მამამ კანონის დარღვევით ააშენა ეკლესია სომეხთა ერთ ერთი ეკლესიის გვერდით, ასე, რომ აუცილებელია...(არ იკითხ.) მისი დანგრევა. მამამ, რომელმაც მიწის ნაკვეთის შეძენამდე იზრუნა თავიდან აეცილებინა ასეთი სახის სირთულეები, მხოლოდ გაიცინა, როდესაც მოისმინა ეპისკოპოსისა და მისი დამქაშების ამ პრეტენზიის შესახებ. ეს ყოველივე მით უფრო სასაცილო და უხიფათო იყო, რომ ლუთერანული, ასევე ერთი სომხური ეკლესია მდებარეობდა ბევრად ახლო

f. 46v.

რუსულ ეკლესიასთან, ვიდრე კათოლიკეების ეკლესია. მიუხედავად ამისა, დაელოდა როგორ პასუხს მიიღებდნენ. საბოლოოდ კონგრეგაციამ გონივრულად ურჩია ეპისკოპოსს, რომ მოეხდინა აუცილებელი გაზომვები და ეცნობებინა რამდენი საჟენის დაშორებით მდებარეობდა ეკლესია. ეპისკოპოსმა ბრძანა გაზომვა და აღმოჩნდა, რომ ეკლესია მდებარეობს 120 საჟენის (რამდენს უდრის 1 საჟენი, ითქვა ზემოთ) დაშორებით. დადგენილი მანძილის შესახებ აცნობეს. ეპისკოპოსმა კონგრეგაციიდან მიიღო საყვედური ცრუ

განგაშის გამო. ერთადერთი იმედი, რომელიც დარჩათ კათოლიკური რელიგიის მტრებს, დაკავშირებული იყო მეფის ასტრახანში ჩამოსვლისთან ლოდინში. ისინი ფიქრობდნენ, რომ შეძლებენ დევნის განახლებას და გამრავლებას და ამიტომ წინასწარ ტაბებოდნენ [მეფის] ჩამოსვლის მამისათვის დამღუპველი შედეგებით. მაგრამ არც ეს დაუშვა ღმერთის განუსაზღვრელმა გულკეთილებამ, რადგან მისი უდიდებულესობის ჩამოსვლამ სინამდვილეში მოუტანა ნუგეში მამას და ყველა კათოლიკეს, რადგან, როგორც პირველი აუდიენციის, ასევე მეორეს დროსაც, რომელიც მამას ჰქონდა მის უდიდებულესობასთან, მეფემ მოიწონა მამის ყველა მოქმედება, გამოამჟღავნა დიდი კეთილგანწყობა და სიხარული იმ ყველაფრის გამო, რაც მამამ იქ გააკეთა. ამის შემდეგ ყველა მტერი დარჩა შერცხვენილი და თავს ვეღარ სწვედნენ მაღლა.

ესენი კი გაჩუმდნენ, მაგრამ ვერ დამშვიდა ეშმაკი, რადგან, რასაც მან ვერ მიაღწია ამდენი დევნითა და ხრიკებით, მამა მიიყვანა იმ მდგომარეობამდე, რომ მან გადაწყვიტა [მიზნისათვის] მიეღწია იმდენად საშიში მტრის დახმარებით, რომელიც იყო უფრო ცბიერი, ვერაგი, უსინდისო და დამნაშავე. ეს იყო ვინმე მინას[1] ვართაბიეტი[2], სომეხი, რომელიც რომში ყოფნის დროს (როგორც მამამ შეიტყო), თავისი ცბიერებით და ტყუილით შეძლო ბევრის შეცდომაში შეყვანა. რადგან თავს ასაღებდა კათოლიკედ, მიიღო ბევრი ფული, საჩუქრები და სარეკომენდაციო წერილები და წავიდა მოსკოვში, სადაც იმყოფება ამჟამადაც. სინამდვილეში ეს არის მსოფლიოში ერთი ყველაზე ვერაგი სქიზმატიკოსი და ერეტიკოსი, ყველას შეუძლია თვითონ განსაჯოს არის თუ არა ასე, როცა მოისმენს, რის მოყოლასაც აპირებს მამა.

ეს მინას ვართაბიეტი, მას შემდეგ რაც იმყოფებოდა რომში, გადაიხადა დიდი თანხა, რის გამოც ალბანეთის პატრიარქმა[3] (Patriarcha d'Albania), ან ხან საზარმა[4], ერეტიკოსმა და სქიზმატიკოსმა, ის გამოაცხადა ყველა იმ სომეხის ეპისკოპოსად, რომლებიც ცხოვრობენ რუსეთში. ამ კეთილმა ეპისკოპოსმა [მინასმა] თავისი ეპისკოპოსის წოდების შესახებ გამოაცხადა მხოლოდ მაშინ, როცა გაიგო ღირსი მამების დამკვიდრება ასტრახანში, მათ მიერ დიდი ხნის

---

[1] ჯუსტინო და ლივორნო 1686 წლის 7 ოქტომბერს წმ. კონგრეგაცია "დე პროპაგანდა ფიდეს" კარდინალისადმი გაგზავნილ ერთ-ერთი წერილში, დადებითად ახასიათება მინასს და აღნიშნავს, რომ მინასი კათოლიკობას ეზიარა საქართველოში, თბილისში. ჯუსტინო რეკომენდაციას უწევს მინასს, რომელსაც განიხრახული ჰქონდა წასულიყო ევროპაში, რათა თავი დაეღწია საშინელი დევნისაგან. (დაწერ. იხ.: ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ, I, გვ. 138, 150).

[2] ვართაპეტი – სწავლული ბერი სომხურ ეკლესიაში, არქიმანდრიტი.

[3] ალბათ, უნდა ვიგულისხმოთ აღვანაკის (განძასარის) სომხური ეკლესიის კათოლიკოსატი.

[4] ამ მოხსენების დაწერის დროისათვის აღვანაკის სომხური ეკლესიის კათოლიკოსი იყო ესაია გასან ჯალალი (1702-1728), თუმცა ძნელია მათი იდენტიფიცირება.

წინათ ადგილის შერჩევა თავიანთი რეზიდენციისათვის. როცა მასთან მიაღწია ხმამ კათოლიკური რელიგიის წარმატების შესახებ ამ ქალაქში, გამოფხიზლდა და სასწრაფოდ გაეშურა იმ მხარეში. მივიდა თუ არა იქ, ჯერ კიდევ არ იყო გადმოსული გემიდან, რომ ჩვენმა მამამ დაუყოვნებლივ მიიწვია, მოენახულებინა წმინდა მამების სახლი და დარჩენილიყო იქ საცხოვრებლად, რადგან გაიგო მამამ, რომ ის იყო კათოლიკე. მას

შესთავაზეს ყველა ის კომფორტი, რომელიც იქ იყო. მან უარი თქვა ამაზე და

f. 47r.

საცხოვრებლად გაჩერდა სომხებთან. დრო და დრო მამა მას მოინახულებდა ხოლმე, თვითონაც ერთხელ ესტუმრა ჩვენს მამას. მამა დიდად ეჭვობდა მისი აღმსარებლობის შესახებ და რამდენიმე დღის შემდეგ, ღვთის შეწევნით, ეს ეჭვი დადასტურდა, რადგან მან საჯაროდ გამოამჟღავნა თავი როგორც ერეტიკოსმა. ეს მოხდა მაშინ, როდესაც მან შეაგროვა ბლომად ფული, რათა ადვილად ეჩვენებინა თავისი ძალაუფლება და ეპისკოპოსის ჩინი, მაშინ [როდესაც] მღვდლად აკურთხა ერთი ახალგაზრდა სომეხი, რომელიც იყო არა მხოლოდ ერეტიკოსი და სქიზმატიკოსი, არამედ ასევე ყველაზე მკაცრი მდევნელი, როგორიც კი იმ მხარეში ჰყავდათ კათოლიკეებს და კათოლიკურ რელიგიას. იმავე დროს ის ასრულებდა ყველა მათ წესებს, განსაკუთრებით კი, როგორც მათშია მიღებული, როცა წარმოითქმეოდა რწმენის სიმბოლო. მან, აიძულა ღირსებაში ხელდასხმული დაეფიცა, რომ ის არასოდეს აღიარებდა ქალკედონის კრების[1] გადაწყვეტილებებს, რომელზეც დაგმეს დისკორი[2], რომელსაც თავიანთ ეკლესიაში ეთაყვანებიან, როგორც წმინდანს. ყოველივე ეს მოხდა მამის თანდასწრებით. ამას გარდა მან, ასევე ფულის გულისათვის, ნება მისცა ერთ ქალს მეორედ გათხოვილიყო, მაშინ როდესაც ჯერ კიდევ ცოცხალი იყო მისი პირველი ქმარი. უკვე ეს ორი შემთხვევა იყო საკმარისი მოწმობა იმისა, რომ ის არ იყო კათოლიკე, მაგრამ იყო რაღაც ცუდი. ერთხელ, კვირა დღეს, ეკლესიაში მოიწვია ყველა [სომეხი].

---

[1] ქალკედონის მსოფლიო საეკლესიო კრება (მართლმადიდებლებისთვის — მეოთხე მსოფლიო საეკლესიო კრება) —გაიმართა 451 წელს ქალაქ ქალკედონში, რომის პაპის ლეო I-ის მოწვევით. მას შეხვედრებს 630 ეპისკოპოსი. კრებას უნდა განეხილა დიოფიზიტობისა და მონოფიზიტობის საკითხი. კრება გაიხსნა 8 ოქტომბერს და დასრულდა 1 ნოემბერს. კრებამ დაგმო მონოფიზიტობა და აღიარა ქრისტეში ღვთაებრივისა და ადამიანურის განუყოფლობა – დიოფიზიტობა. კრებამ დაგმო მონოფიზიტების ლიდერი ევტიქი და მისი თანამოაზრენი განკვეთა. მიუხედავად ამისა, სირიის, პალესტინისა და სომხეთის ეკლესიები მონოფიზიტური გახდა. ქალკედონის კრებამ კონსტანტინოპოლს, როგორც იმპერიის დედაქალაქს, განსაკუთრებული უფლებები მიანიჭა. იგი რომის თანასწორ ქალაქად გამოცხადდა, ხოლო კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ მეორე ადგილი დაიკავა რომის შემდეგ.

[2] დიოსკორე-ალექსანდრიის პატრიარქი (444-451). მონოფიზიტური მწვალებლობის ერთ-ერთი ლიდერი. 451 წელს ქალკედონის კრებამ განკვეთა.

დიდი თაყვირილობის დროს მან წარმოადგინა ბრძანება თავისი ეპისკოპოსად ხელდასხმის შესახებ, რის შემდეგ თქვა, რომ ყველამ უნდა აღიაროს იგი და მოითხოვა თითოეულ მათგანს დაედო მის წინაშე ერთგულებისა და მორჩილების ფიცი. სომეხი კათოლიკეები, მამის მოწოდების თანახმად, ამ კრებაზე არ მიეიდნენ. ამიტომ საშინლად განრისხებულმა მინასმა შემდეგ კვირას, დილაადრიან მამასთან გამოგზავნა თავისი დიაკონი, რომელმაც მოიტანა მისი ეპისკოპოსად ხელდასხმის ბრძანება და მოითხოვა, რომ ამ ბრძანებაზე ხელ მოეწერათ იმ სომხებს, რომლებიც ჩვენი მამის ეკლესიაში დადიოდნენ. მამამ არც კი დახედა ბრძანებას და უკან გაუგზავნა, თანაც შეუთვალა, რომ სადილობის შემდეგ თეითონ მიეიდოდა მინასთან. მამა წავიდა მასთან და მრავალი ურთიერთ საყვედურების შემდეგ ვართაბიეტომ უთხრა მამას, რომ თუ ის შემდეგშიც არ მისცემს უფლებას სომეხ-კათოლიკეებს სცნონ ის ეპისკოპოსად, მაშინ [მამა], ასევე სხვებიც მწარედ ინანებენ და ბევრ სიმწარეს ნახავენ. ამ მუქარაზე მამამ უპასუხა, რაც მოსახდენია, უნდა მოხდეს, თავიდან ვერ აიცილებ, მაგრამ სომეხი კათოლიკეები არასდროს და არაფრის გულისთვის არ აღიარებენ მას, ერეტიკოსს, გამთიშველს და ეკლესიიდან განკვეთილ ეპისკოპოსს თავიანთ ეპისკოპოსად.

ცბიერი ვართაბიეტო ჯერ კიდევ მოსკოვიდან წამოსვლამდე, ალბათ გრძნობდა, რაც შეიძლებოდა დამართოდა, ამიტომ [ადრევე მოსკოვში] მოიპოვა მეფის ბრძანება, რომლითაც სომხებს ებრძანათ, დაუმორჩილებისათვის დასჯის შიშით ეღიარებინათ ის ეპისკოპოსად და ყოფილიყვნენ მის სრულ მორჩილებაში. და აი, ბოროტებით აღვსილმა, ეხლა ეს ბრძანება აჩვენა მამას და უთხრა, რომ ამის შემდეგ აღარ შეუქმნას მას დაბრკოლებები, რადგან ახლა უკვე ლაპარაკია არა სუსტ პატრიარქზე, საქმე ეხება დაუმორჩილებას უძლიერესი და ნამდვილ მონარქისადმი. მამამ თავის დაკერით აღიქვა მისი დიდებულების ბრძანება და

f. 47v.

დაუყოვნებლივ გაეშურა ვარტაბიეტოსთან, რომელსაც უთხრა, რომ ის და ყველა სომეხი-კათოლიკე ემორჩილებიან მისი უდიდებულესობის ბრძანებას, მაგრამ მას და მის კათოლიკეებს არ შუძლიათ დაიჯერონ, რომ მისმა უდიდებულესობამ ინება დაუმორჩილოს მინასს სხვა რელიგიის სომხები, რადგან თავის უზარმაზარ იმპერიაში ჰყავს სომხები, რომლებიც გარუსდნენ. დაუჯერებელია, რომ მან მოისურვა ხელხლა დააბრუნოს ისინი სომეხი ეპისკოპოსის ძალაუფლების ქვეშ, რომლის აღმსარებლობა ასე განსხვავებულია. ამგვარად, რამდენადაც შეიძლება მტკიცედ ვარაუდი, გარუსებულ სომხებზე ეს ბრძანება არ ვრცელდება. ზუსტად ასევე უნდა ვიმედოვნებდეთ, მისი უდიდებულესობის კეთილგანწყობას არ ჰქონდა მხედველობაში ბრძანების გავრცელება სომეხ-კათოლიკეებზე, ისინი შეიძლება აღმოჩნდნენ

[ბრძანების] მოქმედების ქვეშ მხოლოდ მისი უდიდებულესობის განსაკუთრებული განცხადების შემდეგ. ვართაბიეტოს დაესვა წერტილი. იოლად შეიძლება წარმოდგენა, როგორი დიდი იყო [მინასის] გულისწყრომა, როცა დაინახა, რომ დაიმსხერა მისი იმედები. როცა დაინახა, რომ ძალით თავისას ვერ მიაღწევდა, მიმართა მოტყუებას, ისე როგორც უკარნახა ცბიერებამ. მან თავისთან სახლში გამოიძახა სომეხი-კათოლიკეები და გააბა მოთათ საუბარი, რათა დაეყოლიებინა ისინი შერიგებაზე, თანხმობასა და გაერთიანებაზე, უწოდებდა რა თავის თავს კათოლიკეს და უჩვენებდა მათ თავის დიპლომებს. ის მათ პირდებოდა, რომ თუ მამას ჩამოშორდებოდნენ და აღირებდნენ მას თავიანთ უფროსად, ის ზოგიერთ მათგანს აკურთხებს მღვდლად; დაპირდა, რომ მამის მსგავსად, არ აიღებს მათგან ფულს არც დაკრძალვისათვის, არც ნათლობისათვის, არც ქორწინებისათვის, არც სხვა ცერემონიალისათვის; გაათავისუფლებს მათ მეათედის[1] [გადახადისგან], მაშინ, როდესაც სხვები გადაიხდიან. მათ ჩააგონებდა და პირდებოდა, რომ უდიდესი სურვილი ჰქონდა ეხილა თავისი ხალხი მშვიდობასა და თანხმობაში. უმტკიცებდა მათ, რომ ორ სხვადასხვა ეკლესიაში სიარული არის ცუდი, სამარცხვინო, მცირეთა ვალდებულების და სამართლიანობის საქმეა გაჰყვნენ უმრავლესობას და უმეტესობას. ამგვარი ეშმაკური ცბიერებითა და ფანდებით, შეძლო თანდათანობით დაპყრობდა ამ მდაბიო ხალხის გონებას. თუ არ ჩაერეოდა ღმერთი, მისიონი ძლიერ დაზიანდებოდა. მამამ, რომელმაც ეს ყველაფერი იცოდა, დაიწყო ღონისძიებათა გატარება. უპირველეს ყოვლისა, აუკრძალა ორივე სქესის სომეხ-კათოლიკეებს მისვლა მინასის სახლში. შემდეგ, საჯარო ქადაგებების დროს ის ამხელდა და ამათრახებდა მის ცბირებას და ტყუილს. მან გააფრთხილა კათოლიკეები, რომ თუ ძვირფასია მათთვის თავიანთი სულები, მაშინ მათ არ უნდა მოისმინონ მისი ცრუ დაპირებები, რადგან ის მათ უღალატებს სულითა და გულით. ამის შემდეგ, მთელი გულმოდგინებით აღჭურვილი მამა წავიდა ვართაბიეტოსთან და დატუქსა მისი უგუნურობისა, ცრუ რწმენისა და ფარისეველობისათვის, ამხილა მისი მზაკვრობა და მაქინაციები, განზრახული კათოლიკური რელიგიის წინააღმდეგ. მამამ მოუწოდა

f. 48r.

მინასს შეეწყვიტა ლაპარაკი სომეხ-კათოლიკეებთან რელიგიასა და რწმენაზე. განუცხადა, რომ უკვე აცნობა რომში კათოლიკური რელიგიის საწინააღმდეგო მის ყველა მოქმედებაზე. უფრო მეტიც. ის პირადადაც აპირებს რომში გამგზავრებას, რათა მიაღწიოს უფრო მოქმედი ღონისძიებების გატარებას. რომს გრძელი ხელები აქვს, მას ეს უნდა ახსოვდეს. ასე რომ ეს ხელები მისწვდებიან მას, როგორ შორს არ უნდა იყოს და დასჯიან მას უგუნურებისათვის. საბრალო და საცოდავი ვართაბიეტო

[1] მოსაელისა და სხვა ყოველგვარი შემოსავლის მეათედი ნაწილი, რომელსაც ეკლესიის სასარგებლოდ იხდიდნენ ფეოდალი'სმის ეპოქა'ში.

შეცბუნდა ამგვარი თავდასხმისაგან და შეეშინდა მუქარის. მან შეწყვიტა მამის, კათოლიკეების წამება და კათოლიკური რელიგიის წყენინება. მალე, ხახამშრალი დაბრუნდა მოსკოვში, სადაც ამუამადაც იმყოფება. ამგვარად, ბოლოს და ბოლოს მისიამ დაიწყო მშვიდობიანი და წყნარი ცხოვრება ღვთის მადლითა და ქალწული მარიამის მფარველობით.

ასეთია მოთხრობა დასაწყისის, შუა და დასასრულის იმ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ამბების, რომლებიც მოხდა ახალი მისიის დაარსებისა და გამტკიცების პერიოდში, რომლის ორგანიზება მოახდინა მამამ ასტრახანში. მიმოვიხალაეთ რა ყველა ამ ამბავს, თითოეულს ცალ-ცალკე და ყველას ერთად, შეიძლება აღფრთოვანდე ღვთიური განგებით და ნათლად დაინახო, ღმერთი თაეისი მუდმივი დახმარებით როგორ თანსდევდა ჩვენს საქმეს. შეიძლება ასევე ითქვას, რომ ღმერთი გამუდმებით ახდენდა სასწაულს და უჩვენებდა, რომ სურს იმ მხარეში იყოს მისი მისიონი კათოლიკური რელიგიის სადიდებლად. მამა, რომელიც ამის მოწმე იყო, მთელი რწმენით აცხადებს, რომ თვითონ მხოლოდ ღვთიური ნების იარაღი იყო.

რაც შეეხება ამ მისიონის შენახვას, მამა პირადი გამოცდილების საფუძველზე ამბობს, რომ ამ მისიონის დასახმარებლად, ასევე მისი გაფართოებისა და განმტკიცებისათვის აუცილებელია, პირველ რიგში: ვართაბიეტო მინასის საჯარო შერცხვენა, რათა ამის შემდეგ თავი შეიკავოს ყოველგვარი მცდელობისაგან, დაშალოს კათოლიკეები, ან ზიანი მიაყენოს კათოლიკურ რელიგიას. ამის შედეგად სომეხი მღვდლები და მათი დამქაშებიც, რომლებიც ცხოვრობენ ასტრახანში, დიდი პატივისცემით მოეპყრობიან წმინდა მამებს და შეწყვეტენ კათოლიკეების დევნას. თუ [მინასი] არ დაისჯება, მაშინ არ უნდა ველოდოთ სხვა რამეს, გარდა ხარალსა და ახალ დაბრკოლებებს კათოლიციზმის გავრცელებისათვის.

მისიონში უნდა გაიგზავნონ თურქული ენის მცოდნე მისიონერები, რადგან ორივე სქესის სომხები სხვა ენაზე არ ლაპარაკობენ. ეს მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს რაც შეიძლება სწრაფად, რადგან მამის მიერ იქ დატოვილმა ორივე მისიონერმა ენა არ იცის.

ასევე აუცილებელია, რომ მისიონერებმა, რომლებიც იქ დარჩებიან საცხოვრებლად, რეგულარულად მიიღონ შემწეობა, რათა შეძლონ საზრდოობა და ცხოვრება; უსრულყოფილი უნდა იყოს ამ შემწეობის [ადგილამდე] დაცულად მიტანა. ყოველივე ამას მამა მოჰყვა სინდისის სიწმინდის, ღმერთის დიდების,

f. 48v.

ჰეშმარიტი, წმინდა და უცდომელი სამოციქულო რომაულ-კათოლიკური რელიგიის ამაღლებისა და გავრცელებისათვის, გადარჩენისათვის სულებისა, რომლებიც გამოსყიდულია იესო ქრისტეს ძვირფასი სისხლით. ამინ.

რაოდენობა

გამთიშველი და ერეტიკოსი სომხებისა, რომლებიც ასტრახანის ახალი მისიის მუშაობის დროს 1718 წლიდან 1723 წლის 27 იანვრამდე მოექცნენ ჩვენს წმინდა კათოლიკურ სარწმუნოებაზე და მამის წინაშე წარმოსთქვეს რწმენის სიმბოლო: 52 [ადამიანი]; იმავე მამის მიერ იმავე პერიოდში მონათლული: 37 [ადამიანი], მათ შორის შვიდი თურქი (ბიჭები და გოგოები), ჩვენი კათოლიკეების მიერ ნაყიდი;

ქორწინების წესი შესრულებული, მის მიერ იმავე პერიდში: 12;

იმავე პერიოდში გარდაცვლილი და მის მიერ დაკრძალული: 45.

№7

წმინდა კონგრეგაციის კარდინალ პრეფექტ პეტრესადმი ივანე და ვახტანგ ორბელიანების ქართულ ენაზე მიწერილი წერილი[1]

თბილისი, 1741 წლის 26 აგვისტო

კარდინალი პეტრა ფრეფეტო[2]

ქ: წმინდასა და დიდებულსა ყოვლად ნეტარებით აღვსილსა ჩუენ მდაბალთათჳს მწედ და მეოხად სასოსა. სულიერსა მამასა და უფალსა ჩუენ წმინდისა რომანელთა ეკლესიისა სარწმუნოებისა მრწმუნებელნი თაყუანისცემით ამბორს უყოფთ ბრწყინვალესა მარჯუენასა თქუენსა. თქუენი პატიოსანი წიგნი 1734 მოვიდა, რომელმან სცა ნუგეში უძლურებასა ჩუენსა რომელსა შინა ეწერნეს სიხარულნი სარწმუნებისა ჩუენისანი და ჩუენ ჟამთა ქცეულებამა მრავალ გვარ განსაცდელი შეგვამთხვია ურუმთაგან და ყიზილბაშთა და ლეკთაგან და ამ ჟამადდმდე არღარა დრო გვეცა რომელ გვეუწყებინა ცხოერებანი ჩუენი აწე ესე სულიერი მამა ეპისკოპოზი ქუეყნისა ჩუენისა ქრისტეფორე წარმოვგზაენეთ ყოელისა სოფლისა მაკურთხეველსა წმინდასა მეუფესა წინაშე, რომლის მიერ დიან მოწყალებისა წყარონი და რწყევენ ყოველსა ქუეყანასა შენდობისა მდინარენი და გვაქუს სასოება. სიწმინდისა

[1] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia" 1708-1760. V. 2., f. 337. ეს წერილი პირველად გამოაქვეყნა მ. თამარაშვილმა (მ.თამარაშვილი, ისტორია..., გვ. 350-351).

[2] უნდა იყოს პრეფექტი.

თქუენისა მინდობილთ, რათა შეწიენეთ უცხობით შეუწეენელობასა მისსა და რომელიცა ეედრებანი ჩენ მიერ მოგახსენოსთ კეთილმან კეთილად შეისმინოთ და გვიმეოხეთ მეოხსა ყოვლისა სოფლისათანა.

თქვენის სიწმინდის მსასოებელნი ორბელიანნი იოანე და ვახტანგ

დაწერილია თბილისში 26 აგვისტოს, 1741 წ.

№8

წმინდა კონგრეგაციის კარდინალ პრეფექტ პეტრესადმი იოანე და ვახტანგ ორბელიანების იტალიურ ენაზე მიწერილი წერილი

თბილისი, 1741 წლის 25 აგვისტო

ყოველადუწმინდესო მთავარო[1]

თქვენი ბრძანებულებებისადმი უმორჩილესნი, ჩვენ ყველანი ვემთხვევით თქვენს ფერხთ და ვეამბორებით თქვენი ფრიად პატივცემულებისა და უგანათლებულესობის წმინდა ხელებს; ჩვენ ყველანი რომაულ-კათოლიკური ეკლესიის ჭეშმარიტი კათოლიკეები ვართ და მას ვემორჩილებით მას შემდეგ, რაც ვსცანით კათოლიკური სარწმუნოების ჭეშმარიტება და ერეტიკული ეკლესიის სიცრუე და სიყალბე. დიდი ხანია, რაც თქვენმა ყოვლადუწმინდესობამ ჩვენ უღირსთ და გლახაკთ გამოგვიგზავნა წერილი 1734 წლის სექტემბერში, რომელიც ჩვენთვის იყო ზეიმი და სიხარული, რადგან მასში დავინახეთ ჩვენდამი უჩვეულო გულმოწყალება და მიუწვდომელი სიყვარული. ჩვენ გვწამს, რომ თქვენი ყოვლადუწმინდესობისათვის რაიმე საგანი არა ვართ და ვიმედოვნებთ, როგორც გაერთიანება, თქვენგან დიდ სულიერ დახმარებას. ახლა თქვენს მამობრივ გულს ვავედრებთ, რომ ჩვენ თურქების 12 წლიანი მონობა გადავიტანეთ და ახლა სპარსელების ხელში საეალალო მდგომარეობაში ვიმყოფებით, რომელთაც ყველა სამფლობელო ჩამოგვერთვა და რაც უარესია, ხშირად ჩვენ ერეტიკოსებისაგან სულიერ და ფიზიკურ დევნას განვიცდით. ამიტომ თქვენი პატივცემული მამობის ფერხთა წინაშე წარმოვაელინეთ თბილისის ჩვენი ეპისკოპოსი, რათა ჩვენმა ეპისკოპოსმა საკუთარი პირით მოგახსენოთ ზოგიერთი რამ ჩვენზე, რადგან წერა გვეკრძალება, როგორც იქნა, ახლა თქვენი ყოვლადუწმინდესობა ჩვენი კეთილისმყოფელი მამაა და ნათლად გვესმის, რომ ჩვენს ახლანდელ საჭიროებებში გვსურს ეისარგებლოთ მისი ჩვეულებრივი გულმოწყალებით, თუმცა ვართ რა

[1] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia" 1708-1760. V. 2., f. 340. იოანე და ვახტანგ ორბელიანების მიერ ქართულ ენაზე დაწერილი წერილის **თარგმანი იტალიურ ენაზე. ორიგინალიდან თარგმანი პირველად ქვეყნდება.**

მისი უღირსი ცოდეილი სამწყსო, ვთხოვთ არ დაგეაგდოს მისი უსარგებლო მსახურები.

თბილისი, 25 აგვისტო, წელი 1741.

უმდაბლესი და უღირსი, უმორჩილესი მსახური ივანე და ვახტანგ ორბელანთები.

№9

რომის პაპისადმი ივანე და ვახტანგ ორბელიანების ქართულ ენაზე მიწერილი წერილი

თბილისი, 1741 წლის 15 სექტემბერი

ნეტარეულო მამა[1]

ქ: მაღლისა მის და ზენა აღმატებულისა და უზენაესსა, ყოველთასა ჭეშმარიტსა, მონაცვლესა მეუფისა ქრისტესსა და მისსავე მოსაყდრესა, ზესკნელთა და მიერთისა, სფერისა ამის სოფლისა და ქვესკნელთაცა მოურნესა, რომლისაგან დიან წყარონი უხვად მომდინარენი მიტევებისა და შენდობისანი, გარემომცველნი სამგერგელიანოსა ჴმეელთანი კლიტეთა მჰყრობელსა სასუფეველისასა, რომლისა ჴელმწიფებითა განეხმიან ბჭენი საუკუნოსა ცხოერებისანი, მორწმუნეთა მართალ მრწმენთათვის დაიჴშეიანეე არ მეარეეთა მისთათეის კლდესა შეურყეველად დაფუძნებულსა, რომელსა ეერა ეერად შეარყეენ ბჭენი ჯოჯოხეთჳსანი, რომლივსა უფლებ მწყემსობ განმგეობითა აწ მართებულ არს ჯეარი ცხოელი ზედა ყოველსა ქეყანასა და რომლისა ქადაგებითა მოედრკების მუჴლი მჴურვალედ ყოველთა ტომოა და ენათანი. უფლისა იესოს და აღუარებენ მჯდომარესა ცათა უმაღლეს უვრცელესსა ერთსა წმიდასა და კათოლიკე სამოციქულო ეკკლესიასა ღედისა მის და დედოფლისა აღმოსაეალ, სამხარ, ჩრდილო, დასაცლისაოა მამისა ყოველთა ადამიერთა დაშენებულთა ჴმელთ ეპიფანიასათა მჩურვალედ მომძიებელისა და მსრუნეელსა მათსა უფალსა უფლითასა.

მათის ქრისტეს მსგაუსის სიმდაბლით შეილად კადნიერი ქმნილნი. მცირე მინანი და მჴურვალედ მორწმუნენი დიდისა შიშით და ძრწოლჳთ წმიდასა

[1] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia" 1708-1760. V. 2., f.336 . ეს წერილი პირველად გამოაქვეყნა პატ. მ. თამარაშვილმა (მ. თამარაშვილი, ისტორია...,გვ. 349-350). რამდენადაც ტექსტი პატ. მ. თამარაშვილთან რიგ ხარვეზებს შეიცავს და თანაც ერთი წინადადება საერთოდ გამორჩენილია, მისანშეწონილად ჩავთვალეთ მისი ხელახლა სრული და გასწორებული სახით გამოცემა.

და მშვიდობისა მახარებელთა ფერჴთა მდუღარჯსა ცრემლითა განწმენდისა მომლოდნენი გონებისა განზრახვითა მრავლისა საეჭვრისა სიტყვითა თაყვანებით შეეხებით და ვითარცა მარიამ მაცხოვრისასა დაჟალებით და ჭეშმარიტად მივიღებთ სათხეელსა ჩვენსა სულჯსა და ჴორცთასა და მდიდარ ეიქნებით უტყულჯსა სასოებითა. Ო, მაღალო და ნეტარო მამაო, ვითარცა სულნი საჴსინადნი ქვესკნელთანი შენგან ელიან გამოხსნასა და შენ ხარ გამომჴსნელი ეგრეთვე შეგვიწყალენ დიდთა ამათ ჭირთა და განსაცდელთა შინა მყოფნი და კეთილად შეიწყნარენ ვედრებანი ჩვენი შორიელთა და განწირულთა მონათანი და მოიხსენენ სიტყვანი ჩვენნი. აჰა, წარმოგვივლინებიეს ეფისკოპოსი ქვეყნისა ჩვენისა წინაშე დიდებულებისა შენისა და ჩვენნი საქმენი ყოველნი პირითა ამისათა ბრწყინვალებამან მეუფებისა თქუენისამან შეისმინენ და ვითარცა ჯერ იჩინოს უცთომელმან შეილმოყვარებამან სახიერსა მამისამან ეგრეთ იყავნ.

მდაბალნი მონანი ორბელიანნი იოანე და ვახტანგ

№10

პაპისადმი ივანე და ვახტანგ ორბელიანების იტალიურ ენაზე მიწერილი წერილი

თბილისი, 1741 წლის 15 სექტემბერი

f. 242r. უნეტარესო მამავ[1]

მოკრძალებით ვემთხვევით თქვენს ფერხთ კურთხეულო და წმინდაო მამაე, როგორც ყველა მორწმუნის საერთო მამას და ჩვენი წმინდა კათოლიკური სარწმუნოების თავს და ქრისტეს მონაცვლეს და წმინდა პეტრეს მემკვიდრეს, ვაღიარებთ მთელი პატივისცემითა და მორჩილებით და გვწამს, რომ მხოლოდ თქვენ ხართ უზენაესი მწყემსი ჩვენი სულებისა დედამიწაზე და ამიტომ ჩვენ, გლახაკნი ვემთხვევით თქვენს წმინდა ფერხთ, ვსცანით რა რომაულ-კათოლიკური ეკლესიის ზუსტი ჭეშმარიტება, ასევე ცდომილება და სიყალბე ერეტიკული ეკლესიისა, რის გამოც წარსული გავატარეთ უმეცრებაში, ვიდრე შეცდომებში. ამიტომ, მტკიცე რწმენით მივმართავთ კათოლიკურ ეკლესიას, რომელიც დახმარების გარეშე არ დაგეტოვებს, როგორც საბრალო კათოლიკეებს, რომლებიც ამ ქვეყანაში

[1] წერილი მიწერილია პაპ ბენედიქტე XIV-სადმი (1740-1758). Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1708-1760. V. 2., ff. 242r-242v. იოანე და ვახტანგ ორბელიანების მიერ რომის პაპისადმი ქართულ ენაზე დაწერილი წერილის **თარგმანი იტალიურ ენაზე.ორიგინალიდან თარგმანი პირველად ქვეყნდება.**

ცხოვრობენ. ამრიგად, წმინდაო და გულმოწყალეო მამაე, წარმოგიდგენთ ჩვენს სიღარიბეს რამდენიმე სტრიქონში. 12 წელი თურქების მონობაში ვეწამეთ და ახლა სპარსელების ქვეშ ვიმყოფებით და ოითქმის მთელი ჩვენი ქონება წაგვართვეს, რის გამოც საეალალო მდგომარეობაში ვართ. ხშირად ერეტიკოსები ცუდად გვეპყრობიან და თუ თქვენი უწმინდესობა გვიბოძებს რომელიმე ადგილს, სადაც შევძლებდით ცხოვრებას, ჩვენ მზად ვართ მთელი ჩვენი ქვეშევრდომებით დაეტოვოთ ჩვენი სამშობლო მანამდე, სანამ შევძლებთ ამ საბრალო სულების ხსნას. თქვენი უნეტარესობა თუ ამას არ ისურვებს, მაშინ იქნებ გვიშუამდგომლოთ ყულიხანთან, რომ მან მეტად არ დაგვჩაგვეროს, რომ ჩვენს წინააღმდეგ განუწყვეტელი დევნა, რომელსაც ერეტიკოსები ახორციელებენ შეაჩეროს, რადგან ამ ბოლო დროს უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში ვგრძნობთ თავს: ამის გამო იძულებული გავხდით ეს ჩვენი არქიმანდრიტი გამოგვეგზავნა,

f. 242 v.

რათა თქვენი უწმინდესობისათვის ჩვენი სავალალო მდგომარეობა გვეუწყებინა. თუ ისურვებს თქვენი უწმინდესობა მამობრივი მზრუნველობით ამ მდგომარეობაში ჩვენთან საუბარს, ჩვენ ულირსნი ვლოცულობთ მასზე, მისი წმინდა ლოცვა-კურთხევით. ტიფლისი, 15 სექტემბერი 1741.

უმდაბლესი და ულირსი, უმორჩილესი მსახური იოანე და ეახტანგ ორბელიანთები

№11

ანტონიო ლოდაკანტის ინფორმაცია წმინდა კონგრეგაციას ქართველი კათოლიკე ეპისკოპოსის ქრისტეფორე ორბელიანის შესახებ[1]

f. 341r.

მე, ანტონიო ლოდაკანტი, აღზრდილი რწმენის პროპაგანდის სასულიერო სასწავლებლის მიერ, წარმოშობით თბილისიდან[2], გაეცანი მონსინიორ[3] ქრისტოფორო ჯორჯანოს[4], თბილისის [კათოლიკე] ეპისკოპოსს, წმ. ბასილის ორდენის წევრს, როცა ეს მონსინიორი, [მართლმადიდებელ] მღვდლად

[1] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1708-1760. V. 2., ff. 341r-342r. **წერილი დაწერილია იტალიურ ენაზე და ორიგინალიდან თარგმანი პირველად ქვეყნდება.**

[2] არ გვაქვს რაიმე მითითება მისი ეთნიურობის შესახებ, რაც საგულისხმოს ხდის, რომ ის სომეხი იყო.

[3] მიმართვა ეპისკოპოსისადმი: თქვენო უგანათლებულესობაე, თქვენო უმაღლესობაე, თქვენო უსამღვდელოესობაე.

[4] ქრისტოფორო ქართველი.

ყოფნისას კათოლიკურ სარწმუნოებაზე მოაქცია წმინდა მამამ ანჯელო მარია და პოპიმ, კაპუჩინმა. ხუთი წლის წინ, ჩვენი, ყველა კათოლიკეს თხოვნით, ის გამოცხადდა ეპისკოპოსად. ის დანიშნა კირილე ანტიოქიელმა[1]. ეხლა მას სურს წაიდეს რომში, რათა დაემხოს წმინდა მამის ტერფებთან და მოილოცოს წმინდა ადგილები, ასევე იმისათვის, რათა მოუთხროს იმ ტანჯვის შესახებ, რომელსაც განიცდიან ადგილობრივი საცოდავი კათოლიკენი, მისი ქვეშევრდომნი. ამისათვის მან მიიღო წერილი ორი კათოლიკე თავადისაგან კარდინალ-პრეფექტისათვის [გადასაცემად], რომლებიც იმავე დროს არიან [ქრისტოფოროს] ნათესავები და ნათესაები ორბელანთა[2] ძველი გვარისა, რომლებსაც დაახლოებით ათი წლის წინათ მისმა მაღალუსამღვდელოსეობამ, კარდინალ-პრეფექტმა გაუგზავნა მისალოცი წერილი. ეს წერილი მათ გადასცეს ზემოხსენებულ ეპისკოპოსს, რომელმაც სცნო იგი მისი მაღალუსამღვდელოსეობის მიერ დაწერილად, იმ ეპისკოპოსთან [გამოგზავნილ] სხვა სარეკომენდაციო წერილებთან ერთად, ასევე ზემოთხსენებული თავადების მიერ ჩვენი ბატონი პაპისათვის გამოგზავნილი წერილები.

ზემოთნახსენებ ეპისკოპოსმა წმინდა კონგრეგაციას უნდა მოახსენოს აგრეთვე, რომ ამჟამად [რომის] სასულიერო სასწავლებელში საქართველოს ჰყავს ორი სტიპენდიანტი[3] და ითხოვს სტუდენტებს მიღების დროს არ შეექმნათ დაბრკოლება, როდესაც მათ აგზავნის კათოლიკე ეპისკოპოსი ან მისიონერი-კაპუჩინები საქართველოდან. უაღრესად აუცილებელია ასეთი მეტი სტუდენტების ყოლა [რომში].

---

[1] კირილე ანტიოქიელი – ანტიოქიის პირველი მელქიტი ბერძნულ-რომაული პატრიარქი (1724-1759). მელქიტების შესახებ (იხ. პეტროზილო პ., ქრისტიანობის ლექსიკონი, თბილისი, 2011, გვ. 192.).

[2] ორბელიანთა.

[3] თბილისის მისიონის უფროსმა–პრეფექტმა, პატრმა სერაფინო და მელიკოკამ 1666 წლის დეკემბერში გაგზავნა რომში თხოვნა, საქართველოში კათოლიკობის გაძლიერებისათვის მოემზადებინათ ქართველი ახალგაზრდები. რომში დათანხმდნენ სერაფინოს წინადადებას: „ვიფიქრეთ მოვანდოთ თქვენს ერთგულებას, ურბანოს კოლეგიაში გამოსაგზავნათ მათშივე (ქართველებში – აეტ.) იპოვოთ ორი ახალგაზრდა, რომელთაც სურდეთ საეკლესიო წოდებაში შესელა და აქ გამოგზავნოთ სანდო მგზავრთან ერთად; მასთანვე გამოატანოთ თქვენი წერილიც. გარნა საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოთ, რაოა რაოდენათაც შეიძლება, კათოლიკე დედ-მამის შვილები იყვნენ, არც 15 წლისაზე ნაკლები და არც 20 წლისაზედ უმეტესი. ნიჭიერნი და გულისხმიერნი იყვნენ, რათა შეძლონ მეცნიერების შესწავლა, მეტადრე ჯანმრთელი და კარგი ხნეობისა უნდა იყვნენ, წყნარნი, მორჩილნი, სათნოებისადმი მიდრეკილნი, რათა შემდგომ უნაყოფოდ არ დარჩეს მათი შენახვა და გაწვრთნა“. (მ. თამარაშვილი. ისტორია..., გვ. 231). როგორც ანტონიო ლოდაკანტის წერილიდან ჩანს, საქართველოდან რომში სასწავლებლად ახალგაზრდების გაგზავნა გარკვეული შეფერხებების მიუხედავად მაინც გრძელდებოდა.

გარდა ამისა, მას უნდა წმინდა კონგრეგაციას და მის უწმინდესობას[1] გადასცეს, რომ საქართველოს აუცილებლად ჰქონდეს რომ'ში თავისი თავშესაფარი, ისევე, როგორც აქვს სხვა ქვეყნებს. ეს ხელს შეუწყობდა საქართველოს მისიონის მუშაობას. ამას დაპირდა ნეტარი [პაპი] კლემენტი მეთერთმეტე [ეპისკოპოსს].

ეპისკოპოსი გაემგზავრება უკან მიიღებს თუ არა წმინდა კონგრეგაციისა და მისი უწმინდესობის პასუხს. მას უნდა რაც შეიძლება სწრაფად დაბრუნდეს თავის დიოცეზში[2], რათა დაამშვიდოს თავისი უბედური კათოლიკეები.

f. 341 v.

ეს ეპისკოპოსი საქართველოდან გაემგზავრა 1741 წლის პირველ სექტემბერს. ის შავი ზღვით გაემგზავრა გემით კონსტანტინოპოლამდე, კონსტანტინოპოლიდან სმირნამდე და შემდეგ კი ლივერნოში.

თიფლისი არის მთელი საქართველოს დედაქალაქი, რომელიც ამჟამად ყველაფერში ემორჩილება სპარსეთს. საქართველოში არის სულ შვიდი თავადი[3]. მათ შორის მთავარია ვაკტანგი[4], ის იყო საქართველოს უკანასკნელი მეფე[5]. ამჟამად მისი ოჯახი ცხოვრობს მოსკოვიაში[6], სადაც იძულებული იყო გაქცეულიყო მას შემდეგ, რაც ქვეყანა დაიკავეს თურქებმა. თვითონ

---

[1] ტიტული ქრისტიანულ ეკლესიაში: მართლმადიდებლურში პატრიარქების, კათოლიკურში პაპების. ამჯერად, რომის პაპი.

[2] საეკლესიო-ადმინისტრაციული ტერიტორიული ერთეული.

[3] ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, ქართლის სამეფო'ში იყვნენ „ჟამთა უწარჩინებულესნი და შემძლებელი" თავადები იყვნენ: მუხრანის ბატონი, არაგვის ერისთავი, ქსნის ერისთავი, ამილახორი და ყაფლანიშვილი, ზემო ციციშვილი, ოღვს გაუქრელი იყო და სომხითის მელიქი. ქართლის ცხოვრება, IV. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა / ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1973, გვ. 35. როგორც ჩანს, ანტონიო ლოდაკანტის მხედველობაში აქვს ქართლის სამეფოს შვიდი მსხვილი სათავადო, თორემ არსებობდა შედარებით მცირე სათავადოებიც, რომლებსაც აღარ ჩამოეთვლებით.

[4] ვახტანგ VI, ქართლის ჯანიშინი – 1703-1714 წლებში, მეფე- 1716-1724 წლებში.

[5] ანტონიო ლოდაკანტი უნდა გულისხმობდეს ოსმალების პერიოდის უმეფობის ხანას ქართლში.

[6] 1724 წელს ქვეყანაში არსებული მძიმე მდგომარეობის გამო ვახტანგ VI იძულებული გახდა რუსეთში გამგზავრებულიყო, სადაც სიკვდილამდე ცხოვრობდა. ვახტანგი გარდაიცვალა 1737 წლის (არა 1738 წელს, არა მოსკოვში, როგორც ანტონიო ლოდაკანტი წერს) 26 მარტს ქალაქ ასტრახანში, დაკრძალულია ასტრახანის მიძინების ტაძარში.

[ეახტანგი] გარდაიცვალა მოსკოვიაში 1738 წელს ბერი-კაპუჩინის ხელებში[1]. ცოცხლები არიან მისი ცოლი და შვილები.

დანარჩენი ექვსი მთავარი ცხოვრობს თავის სამფლობელოში. 4 მათგანი ერეტიკული აღმსარებლობისაა, 2 კათოლიკე, ესენი არიან ხსენებული ორბელიანთა[2]. ერთ-ერთ მათგანს თომაზ ხულიკანმა[3] ძალით წაართვა ასული და თავის შვილს მიათხოვა[4].

რაც შეეხება ხარკს, რომელიც მათ უნდა გადაუხადონ სპარსელებს, იგი შეადგენს ათ ოქროს სკუდოს[5] ქვეყნის ერთ მცხოვრებზე, გინდა დიდი იყოს ან ბავშვი, ბერი ან მღვდელი. გარდა ამისა, ყოველმა ეკლესიამ უნდა გადაიხადოს ოცი სკუდო. ამ ყველაფრის შემდეგ, ქვეყნის ყველა მოქალაქემ, როგორც კათოლიკემ, ისე ერეტიკოსმა ომის დროს უნდა მოიხადოს სამხედრო სამსახური [სპარსელთა ჯარში].

---

[1] ანტონიო ლოდაკანტის ამ მონათხრობის სისწორის დამადასტურებელი სხვა ცნობა არ არსებობს, მაგრამ ხელაღებით მისი უარყოფაც შეუძლებელია.

[2] ჯუსტინო და ლიეორნო სულხან-საბას მოიხსენიებს როგორც „ყაფლანიანთა“. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სულხანი იყო მდივანბეგ ეახტანგ ყაფლანის ძე ორბელიანის შვილი. ანტონიო ლოდაკანტი კი ორბელიანთა გვარის სხვა წარმომადგენელს მოიხსენიებს, როგორც „ორბელიანთა“, ე.ი. ორბელიანთა გვარის წევრად.

[3] თამაზ ყული-ხანი/ნადირ-შაჰი (1688-1747) ირანის შაჰი

[4] შაჰ-თამაზის მიერ გიეი ამილახერის დაპატიმრების მიზეზი, სეხნია ჩხეიძის მიხედვით, ის ყოფილა, რომ მან ამ ქართველ დიდებულს, ამილახვარს ქალიშვილი სთხოვა, რასაც უარი მიიღო. შაჰმა გიეი დააპატიმრა. მიუხედავად იმისა, რომ ამილახვარმა ბოლოს დაუთმო და თავისი ქალიშვილი შაჰს მისცა, იგი მაინც არ გაათავისუფლეს. სხვა ვერსიით, გიეი ამილახერის, ამ ძლიერი ფეოდალის სიძეობა სურდა ქართლის ტახტის მაძიებელს, ბატონიშვილ თეიმურაზს, იესე მეფის ძეს და დაინიშნა კიდეც. მაგრამ ნიშნობა ჩაშალა კახეთის მეფე თეიმურაზ II-ის მეულღემ, დედოფალმა თამარმა. თამარს, როდესაც თეიმურაზ-ანტონთან ერთად ნადირ შაჰთან სტუმრობდა, შაჰისთვის უთქვამს: გიეი ამილახვარს მეტად ლამაზი ქალი ჰყავს, შაჰის ცოლობის ღირსიო. ამით სურდა თეიმურაზისა და გიეის ნათესაობა-მოკავშირეობის ჩაშლა, რადგან თეიმურაზ II-ეს თეითონ ეჭირა თვალი ქართლის ტახტზე. თამარ დედოფალმა მიზანს მიაღწია. 1736 წელს გიეი ამილახვარი იძულებული გახდა შაჰისათვის თეითონვე მიეგვარა თავისი ასული. თეიმურაზ-ანტონი კი იმერეთში გადავიდა და ბერად შედგა (შემდეგში ანტონ I კათალიკოსი. გაჩეჩილაძე კ., ერთი ფურცელი სასულიერო ფეოდალიზმის ისტორიიდან // ქართული დიპლომატია, წელიწდეული, II, თბილისი, 2004, გვ. 510-511. XVIII საუკუნის ანონიმური სომხური ქრონიკა, გადმოგვცემს, რომ 1735 წელს თამაზ ყული-ხანი შემოვიდა საქართველოში. მან ერთ-ერთ კახელ დიდებულს, ზორაბს (ალბათ, ზურაბი) მოსთხოვა, რომ მისთვის ცოლად მიეთხოვებინა თავისი ასული. მაგრამ კახელების სასტიკი წინააღმდეგობის გამო ეს სურვილი ვერ აისრულა. Армянская анонимная хроника 722-1736 гг. Издание второе. Перевод с турецкого и примечания Академика АН Азерб. ССР Буниятова З. М., Баку – Элм – 1988, с. 27.

[5] სკუდო (იტ. Scudo) XVI-XVIII სს. იტალიის რიგ სახელმწიფოებში ვერცხლისა და ოქროს მონეტა. უტოლდება 5 ლირას.

კათოლიკური აღმსარებლობის ორივე თაეადი განიცდის განსაკუთრებულ დევნას, რადგან მათ წინააღმდეგ განწყობილი არიან არა მხოლოდ სპარსელები, არამედ ყველა ერეტიკოსი. ისინი იხდიან მეტ ხარკს და ყოველწლიურად ხულიკანს[1] უნდა მისცენ ხუთი ათასი კაცი. სპარსელებისთვის სულ ერთია, ეს ადამიანები იქნებიან კათოლიკები თუ ერეტიკოსები, მათ ეპყრობიან ერთნაირად. უბედური კათოლიკეები შეეწროებას განიცდიან ძირითადად ერეტიკოსების მხრიდან. როგორც ამბობენ სომეხთა პატრიარქმა-ერეტიკოსმა ეკლესია წაართვა მამა-კაპუჩინებს და გარეკა ისინი და სხვა სერიოზული ზიანიც მიაყენა. როგორც მიაჩნიათ, ეს დევნა ხდება ხულიკანის დაუკითხავად, მხოლოდ ქვეყნის ერთი წინანდელი გუბერნატორის ინიციატივით, რომელიც მოსყიდულია სომეხი პატრიარქ-ერეტიკოსის მიერ.

f. 342r.

ფრიად პატივცემულო და ღირსო ბატონებო

თიფლისის ეპისკოპოსი მონსინიორი ქრისტოფორე ორბალანთი, რომელიც იმყოფება რომში 30 სექტემბრიდან დღემდე, წმინდა კონგრეგაციას მოუთხრობს, როგორ უდიდეს ტანჯვას განიცდის ამჟამად ყველა ის უბედური კათოლიკე, რის შესახებ ინფორმირებულია ბატონი კარდინალ-პრეფექტი, იცის აგრეთვე იმ წერილის საშუალებით, რომელიც მიღებულია ორივე კათოლიკე თავადი ორბელანთისგან, რომლებმაც თაეიანთ მხრივ გაუგზავნეს წერილი მის უწმინდესობას[2].

ზემოხსენებული ეპისკოპოსი ითხოვს, რომ წმინდა კონგრეგაციამ გაატაროს რაიმე ღონისძიება, რათა წინაღუდგეს იმ ზარალს, რომელსაც განიცდიან იქაური კათოლიკენი განსაკუთრებით ერეტიკოსების მხრიდან.

ამას გარდა, ის ითხოეს ქართველებისთვის შეიქმნას თავშესაფარი რომში, ისე როგორც დაპირდა მას კლემენტი მეთერთმეტე. გათვალისწინებულ იქნეს, რომ ეს მოუტანს დიდ სარგებელს ასევე საქართველოს მისიებს.

დაბოლოს ითხოვს, რომ ქართველი ახალგაზრდები, გაგზავნილნი რწმენის პროპაგანდის სასულიერო სასწავლებელში, რამდენადაც საქართველოს აქეს ორი სტიპენდიის უფლება, მიღებული იყვნენ ამ სასწავლებელში დაუბრკოლებლად, როცა მათ გამოგზავნის კათოლიკე ეპისკოპოსი ან მისიონერი-კაპუჩინი. შემდეგ მთხოვნელი ითხოვს დახმარებას, რომ მათმა მაღალმა ყოველად სამღვდელოებამ, გაითვალისწინოს [საქართველომდე] გზის

[1] თამაზ ყული-ხანი/ნადირ-შაჰი (1688-1747) ირანის შაჰი

[2] ე.ი. რომის პაპს

სიშორე და ძალიან დიდი ხარჯები. მაგრამ მას არ ეპარება ეჭვი მათი მაღალი ყოელად სამღედელოთა გულმოწყალებასა და გულკეთილებაში.

№12

კაპუჩინი მისიონერის კლაუდიო და რეჯოს რელაცია წმინდა კონგრეგაციის ერთ-ერთ კარდინალს

მიღებულია 1744 წლის 4 იანვარს

დიდად პატივცემულო და ღირსო მამა, საყვარელო პატრონო[1]

f. 342 v.

თქვენი უსამღედელოესობის 1743 წლის 27 სექტემბრის თაეზიანი წერილი გადმომცა მონსინიორმა არქიეპისკოპოსმა, ეიცე-პატრიარქმა მამა ნიკოლო ჯირჯენტისათვის [განკუთვნილ] წერილთან ერთად...(არ იკითხ.) მამა დამიანე და ლიონესთვის ბრძანებასთან ერთად ჩემი იტალიაში დაბრუნების წინ, რაც განვახორციელე მათი მაღალი უსამღედელოესობის ნებართეით. ამის შესახებ ადრეე მაცნობა ღირსმა მამა პროკურატორმა[2] თაეის 10 სექტემბრის წერილში. ამგეარად, მისცა სწრაფი მსელელობა თქვენი მაღალი უსამღედელოსობის განკარგულებას, ისეე, როგორც ცნობების და წერილების გაგზავნას ახალდანიშნული მამა პრეფექტისათეის. რაც შეეხება წმინდა კონგრეგაციის მიერ მორიგი დასახმარებელი მოწყალების გაგზავნას, მას ეუტოეებ გალათაში[3] აღმოსაელეთის კონგრეგაციის მქადაგებელთა[4] ორდენის ღირს ეიკარიუს-გენერალს მამა ეუსებიო მარია ფრანცოზინის, ჩეენს საიმედო და გამოცდილ სინდიკს[5]. ის ყეელაფერს სრულად მიიღებს ზმოხსენებულ მონსინიორთან და პირეელივე შესაძლებლობისთანაე გადასცემს საქართეელოში. ეს ეხება ფულსაც, რომელიც განკუთვნილია ჩემი დასაბრუნებელი გ'ხის ხარჯებისათეის, რომლიც მე და ჩემს ამხანაგს შეიძლება დაგეჭირდეს ისეე, როგორც დაგეჭირდა აქეოკენ [მგზაერობის დროს]. რაც შეეხება წერილს და გაორელი[6] მამა მისიონერისათეის გადახდეინებას, მიზანშეწონილად იქნა

---

[1] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1708-1760. V. 2., ff.342 v-343r. **რელაცია დაწერილია იტალიურ ენაზე და ორიგინალიდან თარგმანი პირეელად ქვეყნდება.**

[2] პროკურატორი -კათოლიკური ეკლესიის სამართალ'ში, ეს ის სასულიერო პირია, რომელიც მოქმედებს მეორეს სახელით ან ძალით.

[3] გალათიის ოლქი, რომლის დედაქალაქი იყო ანკირა, თანამედროეე თურქეთის რესპუბლიკის დედაქალაქი ანკარა.

[4] კათოლიკური ბერული ორდენი, რომელიც დაარსა ესპანელმა ბერმა წმინდა დომინიკმა. ორდენს სათაეეში უდგას გენერალური მაგისტრი.

[5] შუა საუკუნეების დასაელეთ ეეროპაში სინდიკს უწოდებდნენ რაიმე კორპორაციის (გილდიის, ამქრის, უნიეერსიტეტის და სხე.) არჩეულ მეთარს (უფროსს).

[6] ალბათ, გორელი.

მიჩნეული, რომ მონსინიორმა და ბატონმა საფრანგეთის ელჩმა გამონახონ საშუალება გადასცენ ის გაორში[1], ისე, რომ ხიფათში არ ჩააგდონ იმის ქონება და სიცოცხლე, ვინც მას მიიტანს თანამედროვე პირობებში. მაგრამ ეფიქრობ, რომ დიდი ხნის განმაელობაში გაძნელდება ამის გაკეთება, თუმცა ამ დაგვიანებიდან დიდი ზიანი არ იქნება. იმავე მიზეზით გადაეცი ის ბარგი, რომელიც აუცილებლად ჩაეთვალე შემეძინა აქაური მისიებისათვის. შევაჩერე ვენეციის ბრწყინვალე რესპუბლიკის მიერ ხულიკანისათვის[2] განკუთვნილი ნამდვილად მდიდრული სამეფო იმპერიალის[3] გაგზავნა, რომელსაც დავუბრუნებ უგანათლებულეს დოჟს ან გადაეცემ რომს. ასე

f. 343r.

მოქცევა მოგვიწევს არა იმდენად სურვილის უქონლობის გამო, არამედ იმიტომ, რომ არ ჩავარდნილიყო ხიფათში იმის სიცოცხლე, ვინც წაიღებდა მას ჩვეულებრივი გზით, არამედ უფრო....(არ იკითხ.) აუცილებლობით მას გაჰყვნენ საჭირო ცერემონიალით, ესე იგი იმისთვის რომ...(არ იკითხ.) [ადგილზე] მიტანილი იქნეს უფასოდ. თუ თქვენს მაღალ უსამღვდელოესობას ასე სურს, ღირსი მამა პროკურატორი აგიხსნით იმის შესახებ როგორ მიიღო მან...(არ იკითხ.) მოსკოვის კარი მისიისა და და მისიონერებისათვის საქართველოში...(არ იკითხ.) ხულიკანის[4] დროს. როგორი საშუალებითა და რომელი გზით შეიძლებოდა იქ გაგზავნა...(არ იკითხ.) ერთისა და მეორესი, ყოველთვის, როდესაც იქნება საკმარისი ფული...(არ იკითხ.) იმისათვის, რათა გაიგზავნოს და მიეიღოთ გასაგზავნ-გამოსაგზავნი შიკრიკები, რათა ასევე გადაეიხადოთ...(არ იკითხ.) არსებული ვალები, რომელთაგან ვერ დაგეიცავეს ვერავითარი მფარველობა. მანამდე, ვიდრე...(არ იკითხ.) დაუმორჩილებელი ლეზგები[5] და ქართველები არ იქნებიან...(არ იკითხ.) ხმების მიხედვით, შეასრულებენ იმას, რაზეც მე მწერდა მამა პრეფექტი (მისი წერილები გადაეცი მამა პროკურატორს). ამაზე და სხვა მრავალ საკითხებზე...(არ იკითხ.) აღარ გავიმეორებ, რათა მეტად არ შევაწყინო თავი თქვენს მაღალ უსამღვდელოსოებას, ვხედავ რა მდგომარეობა...(არ იკითხ.) იმ საცოდავი მისიონერების მდგომარეობა არის სასოწარკვეთილი, უპირველეს ყოვლისა, მხურვალე მადლობას ეუხდი ღმერთს...(არ იკითხ.), შემდეგ კი წმინდა კონგრეგაციას იმისათვის, რომ ასე სულგრძელად გამათავისუფლეს...(არ

---

[1] ალბათ, გორში.

[2] თამაზ ყული-ხანი/ნადირ-შაჰი (1688-1747) ირანის შაჰი.

[3] იმპერიალი — დილიჟანსი. სატრანსპორტო საშუალება ქლაქებს შორის მგზავრებისა და ფოსტისათვის. მრავალადგილიანი კარეტა, რომელშიც შებმული იყო ცხენები.

[4] თამაზ ყული-ხანი/ნადირ-შაჰი (1688-1747) ირანის შაჰი.

[5] დაღესტნელების ტრადიციული ქართული სახელწოდება. ძირითადად იგულისხმებოდნენ დაღესტნის სამხრეთში, საქართველოს მოსაზღვრე ტერიტორიაზე მცხოვრები დაღესტნელი ტომები: ლეზგები, ლაკები, ხუნძები და სხვები.

იკითხ.) ვაკეთო რაიმე, სადაც საჭიროა კიდევ ბევრის გაკეთება ასეთ დროს, აღსავსე დევნითა და ომებით, როცა ჩვენი წმინდა რელიგია განიცდის დიდ ხიფათს. ამჟამად არ მაქვს უფრო ძლიერი სურვილი, ვიდრე დაეემხო თქვენი წმინდა პორფირის[1] კიდესთან, და ვიმედოვნებ კიდევ არა ერთხელ ვეღირსები ასეთ ხვედრსა და ღირსებას.

თქვენი მაღალ უსამღვდელოესობის უერთგულესი და უმორჩილესი მსახური დონ კლაუდიო და რეჯო, უღირსი კაპუჩინი.

№13

კაპუჩინი მისიონერის პიერ მარია და ბორგოს ინფორმაცია საქართველოს მისიონის შესახებ

1750 წელი

ინფორმაცია საქრთველოს მისიონისათვის აუცილებელი საგნების შესახებ[2]

f. 444r.

საქართველოს მისიონი არის ისპაანის მონსინიორ[3] ეპისკოპოსის ეპარქიაში, რომელშიც შედის გორი, თბილისი, განჯა, კავკასიის მთიანეთი, ხოლო ქალაქებიდან, ე. ი. ახალციხე და მისი შემოგარენი, კონსტანტინოპოლის მონსინიორ არქიეპისკოპოსის ეპარქიის გამგებლობაშია. მხარეებს შორის დიდი მანძილის გამო, ხსენებული ეპისკოპოსები ვერ ახერხებენ თავიანთი ეპარქიების შემოვლას საქართველოში. შედეგად კი, ჩვენი მამა-მისიონერების მიერ მონათლულნი მოკლებულნი არიან კონფირმაციის საიდუმლოს[4]. ამ მოტივით, მთელი ხალხის სახელით, ჩვენი კათოლიკეების

---

[1] მუქი წითელი ფერის ძვირფასი მატერიის გრძელი წამოსასხამი

[2] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia",1708-1760. V. 2., ff. 444r-446r. **წერილი დაწერილია იტალიურ ენაზე და ორიგინალიდან თარგმანი სრულად პირველად ქვეყნდება.** წერილი ხელმოუწერელია. ამ ხუთგვერდიანი ხელნაწერი რელაციიდან პატ. მ.თამარაშვილმა თავის ცნობილ წიგნში მოიტანა მხოლოდ 21 სტრიქონი (მ. **თამარაშვილი.** ისტორია..., გე.364, 752)

[3] მონსინიორი (Monsignore)-რომაულ-კათოლიკურ ეკლესიაში საპატიო წოდება. იგი ენიჭება განსაკუთრებული ღირსების მატარებელ ეპისკოპოსებს, პრელატებს, კანონიკოსებს. ერთ დროს ასე მიმართავდნენ აგრეთვე პაპებს, მონარქებსა და კარდინალებს.

[4] კონფირმაცია, ანუ მირონცხება (შეიდ საიდუმლოთაგან ერთ-ერთი) სულიწმიდის ნიჭის საიდუმლოა და ქრისტიანული ინიციაციის საბოლოო ნიშანს წარმოადგენს. კათოლიკე ეკლესიაში მირონცხების აღმსრულებელი მღვდელმსახურია ეპისკოპოსი, თუმცა მისი აღსრულება ამგვარი უფლების მქონე სხვა სამღვდელო პირსაც შეუძლია. მართლმადიდებელ ეკლესიაში ამ ფუნქციას ასრულებს მღვდელმსახური, რომელიც მირონცხებას ნათლობასთან ერთად აღასრულებს.

უფროსებმა წერილი გაუგზავნეს წმინდა კონგრეგაციასა და დიდად პატიჟცემულ პროკურატორს[1]. გადადგან პირველი ნაბიჯი, რადგან აუცილებელია საქართველოს ხსენებულ მისიონში დაინიშნოს ადგილობრივი ეპისკოპოსი, ვინაიდან მისიონერების უძალობის გამო, ჩვენი კათოლიკეები მოკლებულნი არიან ამგვარი [მირონცხების] საიდუმლოს. ასეთ ნამდვილ გასაჭირში ჩვენს კათოლიკეებს ურყევი ერეტიკოსები ნიადაგ კიცხავენ ნაკლულად მონათვლის გამო, რომ ისინი სინამდვილეში არ არიან მონათლულები, რადგან მათ აკლიათ [მირონცხების] საიდუმლო. თავიანთი უცოდინრობის გამო ისინი ერთმანეთში ურევენ ნათლისღების საიდუმლოსა და კონფირმაციის საიდუმლოს. ნათლობა და კონფირმაციის საიდუმლო, ეს ყველაფერი შესაძლოა მისიონერებმაც შეამოწმონ, განუმარტონ მათ და ამგვარი შეცდომებისაგან იხსნან ისინი, მაგრამ ეპისკოპოსის დანიშვნა აუცილებელია ზემოთ დასახელებული მიზეზით და თუ წმინდა კონგრეგაცია მიიჩნევს, რომ ეს შეიძლება ჰქონდეს ტომით სომეხს[2], რადგან მას არ დასჭირდებოდა ეპარქიის იმ ნაწილის შემოვლა, სადაც არის ისპაანის მონსინიორის ადგილსამყოფელი, თუმცა სომეხ ერეტიკოსთა

f. 444 v.

განუწყვეტელი დევნის გამო, არასოდეს ყოფილა შემთხვევა, რომ სომეხთა კათოლიკე ეპისკოპოსი და მღვდელი იქ ყოფილიყვნენ, ანდა ეპისკოპოსები ჩასულიყვნენ მათი რიტის საფრთხის გამო და არ დაუშვან ნათლობის აქტის გარეგნული კონფირმაცია. საქართველოს ქალაქის მისიონში, ე. ი. ახალციხესა და მისი შემოგარენის ეპარქიაში, რომელიც ექვემდებარება კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსს, შეიძლება თანაცხოვრება, თუმცა ამასთან ერთად, ეს უფლის დიდებას ვერ მოიტანს; რადგან საჭირო შემთხვევაში სომეხი ეპისკოპოსები ყოველ წელს [ახალციხეში] მოდიან, ამ დროს ერეტიკოსები თავს იკავებენ და პატივს მიაგებენ ჩვენს კათოლიკეებს, საერო პირებს, მღვდლებს და მათ ქვეშევრდომებს და ....(არ იკითხება)... აჯერებენ მათ, რომ ერეტიკული რიტუალები აღასრულონ წმინდა მესაზე[3]. მათ წინაშე შიშის, ან ადამიანური პატივისცემის, ან მრავალგვარი გამომძალველობის გამო, რამდენადაც ფული ადვილად იმორჩილებს მათ, არ სწამთ ქრისტეში ორი ბუნება და წყვეტიან წმ. პაპა ლეონს[4] და მესას, ჩვენი წმიდა

---

[1] პროკურატორი -კათოლიკური ეკლესიის სამართალში, ეს ის სასულიერო პირია, რომელიც მოქმედებს მეორეს სახელით ან ძალით.

[2] იგულისხმება სომეხთა კათოლიკე ეპისკოპოსს.

[3] მესა (Messa)-წირვა კათოლიკურ ეკლესიაში.

[4] იგულისხმება პაპი ლეონ I დიდი (440-461. ქალკედონის მსოფლიო საეკლესიო კრებაზე (451 წ.) პაპმა ლეონ I-მა დიდმა შეასრულა მშვიდობისმყოფელის როლი და თავისი ეპისტოლეთი მხარი დაუჭირა კონსტანტინოპოლის თეალსაჩინოს სამების ბუნებასა და ქრისტეს ბუნებაზე, ე.ი. არაორაზროვნად გაკიცხა ნესტორიანელებიც და მონოფიზიტებიც. პაპმა თავი შეიკავა ფილოსოფიური დავებისაგან და თავის ეპისტოლეში შემოიფარგლა მტკიცებით, რომ ქრისტე არის ძე ღვთისა (მთელი 100

პაპის სახელის ნაცვლად ასახელებენ ერეტიკოსი პატრიარქის[1] სახელს. გასული წლის მარტის[2] თვეში მათ ცილობა დაიწყეს და ახლოს იყვნენ ყველაფერი დაეთმოთ[3] (როგორც მათ თქვეს, არა გულით, არამედ თვალთმაქცურად), თუ არა ერთი იქ მყოფი მგზნებარე, თავგამოდებული და უნარიანი მისიონერი[4]. ამას ემატება ისიც, რომ სომეხი ერი, ეპისკოპოსი და მღვდლი გარკვეულწილად მათი საერო კათოლიკეების მონები ხდებიან; და საჭიროა მათ ეს თავისებურად გააკეთონ, ან კანონიერად, ან უკანონოდ, ან სხვაგვარად, ან გაჯოხონ ისინი, როგორც ეს დიდი ხანი არ არის, რაც საჯაროდ თავს გადახდა ახალციხის მღვდლების უფროსს.

f. 445r.

აქედან კეთდება დასკვნა, რომ ამ მისიონისათვის[5] აუცილებელია, ანდა ძალიან აუცილებელია გამორჩეული ეპისკოპოსი, თუკი გნებავთ მათში კათოლიკური რელიგიის შენარჩუნება და მისი [შემდგომი] წარმატებები. [ეს ეპისკოპოსი] უნდა იყოს ლათინი, რადგან ლათინს არ შეეშინდება ერეტიკოსის, ვინაიდან ის მისიონში იქნება პორტასა და სპარსეთის შაჰის თანხმობით და ამ ხელისუფალთაგან ერთს დაექვემდებარება. რაც შეეხება ამ ეპისკოპოსის[6] შენახვას, როცა საეპისკოპოსო შეიქმნება, ამბობენ, რომ არ არის საჭირო ის იყოს ისეთ ფუფუნებაში, როგორც ეს იყო [ადრეულ] ქრისტიანობაში. მართალია, აქ, ხალხისაგან ყოველგვარი ლამუნის გარეშე, ეყოლებათ რა მხოლოდ აუცილებელი მსახურები, მათ შეეძლოთ მინიმალური შემწეობის მიღებით ცხოვრება. მიიჩნევენ, რომ ყოველწლიურად 300 სკუდო[7] შეიძლება ეყოს მის[8] მოკაზმულობას, ხოლო ჩვენი მისიონერებისათვის, რომ იყვნენ ურყევნი და ღვთისმოსავნი, წლიურად 100 სკუდო საკმარისია. შემოთავაზებულია კიდევ ერთი სხვა საშუალებაც, სახელდობრ: როდესაც წმინდა კონგრეგაცია ხსენებული მისიონისათვის ახალი ეპისკოპოსის დანიშვნაზე იფიქრებს, მისიონის ცენტრებს იქ მოაწყობს, სადაც არის კონსტან-

---

პროცენტით ღმერთია) და განკაცების შემდეგ (მთელი 100 პროცენტით ადამიანია) მიიღო ორი ბუნება-საღმრთო ბუნება და კაცობრიული ბუნება. ამ ორ მდგომარეობას შორის არ არსებობს არანაირი წინააღმდეგობა. ყველაფერი საუსებით ნათელია: ჭეშმარიტი ღმერთი, ჭეშმარიტი ადამიანი, კავშირი. ეს გადაწყვეტილება გახდა და რჩება დღემდე საღვთისმეტყველო ორთოდოქსიად.

[1] იგულისხმება სულიად სომეხთა პატრიარქი, მაგრამ რომელს გულისხმობს ძნელი სათქმელია.

[2] ე. ი. 1749 წლის მარტის თვეში.

[3] ანუ დათანხმებოდნენ.

[4] იგულისხმება კამათისათვის მზად მყოფი მისიონერი.

[5] ცხადია, საქართველოს მისიონისათვის.

[6] ე. ი.საქართველოს კათოლიკეთა ლათინი ეპისკოპოსი.

[7] სკუდო (Scudo) XVI-XVIII სს. იტალიის რიგ სახელმწიფოებში ვერცხლისა და ოქროს მონეტა. უტოლდება 5 ლირას.

[8] იგულისხმება ლათინი ეპისკოპოსის.

ტინოპოლის ეპარქია, ანუ როგორც ისპაანშია, რომლის ეპარქია არის სალიუნის (Saluini) მონსინიორ არქიეპისკოპოსის ქვეშ, რომელიც ასევე ნარკუავის (Narcuav) ეპისკოპოსიცაა. იქნება რა მცირე მანძილით [დაშორებული], მას ხსენებული მისიონებისათვის შეუძლია ნებისმიერი ამოცანა განახორციელოს. ის ადვილად შეძლებს [მისიონის] მონახულებას, უკიდურეს შემთხვევაში ყოველ სამ წელში ერთხელ, რადგან მისი საერქიეპისკოპოსო საქართველოდან 10 ან 12 დღის სავალზეა. აგრეთვე ითქვა, რომ ხსენებული მისიონისათვის აუცილებელია განათლებული, წინდახედული, მგზნებარე და თავდადებული მისიონერები[1], განსაკუთრებით ახალციხეში, სადაც უფრო ბევრი ადგილია კათოლიკეებისათვის. ისინი იმ მღვდელთა მზრუნველობის ქვეშ არიან, რომლებიც მედიდურობის გამო ერთმანეთს არად აგდებენ და ისინი თავიანთ უვიცობას ადვილად მოახვევდნენ თავს კათოლიკეებს, თუკი თავისას არ გაიტანდნენ მამა-მისიონერები, რომლებიც ახალციხეში იმყოფებიან.

f. 445 v.

ამას ისიც უნდა დავამატოთ, რომ ხსენებული ახალციხის ოლქში არის მრავალი სოფელი, კერძოდ, იელიტა (Iwilita), ვალე (Valle), უდე (Ude), ართვინი (Artin), არტაანი (Artan) და სხვ., სადაც ყველა ქრისტიანი კათოლიკეა, მაგრამ რამდენიმე სომეხი კათოლიკე მღვდლის მზრუნველობის ქვეშ იმყოფებიან, რომელთაც ან არ იციან, ან შეუძლიათ იქადაგონ და შეასრულონ საკრამენტები[2] მათი უვიცობისა და დაუდევრობის კეალად, რაც უეჭველია, კათოლიკეების სულს ვერ გადაარჩენს. ასეთი ნაკლის აღმოსაფხვრელად საჭირო იქნება, რომ აქ უფრო იყვნენ (ძლიეს საკმარისი ჩვეულებრივი თავშესაფრები) მისიონერები, რომელთა მზრუნველობამ შეიძლება ეს საბრალო უმეცრები აუცილებლად მისაღებ და სარწმუნო საგნებში გაანათლოს. თქვენ არ იფიქროთ, რომ ამან მღვდლებს შორის შეიძლება წარმოშვას შურიანობა. შარშან ერთი მამა-მისიონერი პიერ და ბორგო (Padre Pier dal Borgo) ამ ადგილებიდან ერთ-ერთში, ე. ი. იელიტაში იყო, სადაც ქადაგებდა და მთელი

---

[1] ადვილად აიხსნება, რომ განათლებული და თავდადებული კათოლიკე მისიონერები თეორიულ დავაში ადვილად ამარცხებდნენ მოწინააღმდეგე ერეტიკოსებსა და სქიზმატიკოსებს. ამას კი, როგორც სხვა წყაროებიდანაც ჩანს, მოჰყვებოდა კათოლიკე მრევლის გამრავლება.

[2] საკრამენტალიები (ლათ. Sacramentali, გეიანლათ. sacramentalis, იტ. sacramento)- ეკლესიის მიერ დაწესებული წმინდა ნიშნები, რომელთა მეშვეობითაც, საიდუმლოთა ანალოგიით, უმთავრესად ეკლესიის ვედრებით, სულიერი შედეგები მიიღწევა. საკრამენტალიათა აღმსრულებელი უმთავრესად შესატყვისი ძალაუფლების მქონე სასულიერო პირია. საკრამენტალიებია: საგანთა თუ პირთა კურთხევა, ეკლესიის მიძღვნა, ექსორციზმი და დამფუძნებელი და მავადრებელი კურთხევა. **პიერო პეტროზილი**, ქრისტიანობის ლექსიკონი, თბ., 2011, გვ.286).

მარხვის განმაელობაში ხალხს კატეხიზმოს[1] ასწაელიდა. მამები და ხალხი ხალისით მეგებებოდა, რომელთაც სურდათ, რომ მათთან დავრჩენილიყავი და იქვე დაეფუძნებულიყავი; მთავაზობდნენ სახლს და სარჩენ მოწყალებას, უკიდურეს შემთხვევაში წმინდა კონგრეგაციის დადგენამდე, მაგრამ მაშინ ქრისტიანობაზე [მათი] დაბრუნების აუცილებლობის გამო, მას შეეძლო გამოეყენებინა ის მღვდლები და კათოლიკეები. და ეს მართალია, წმინდა კონგრეგაციას შეუძლია ინფორმაცია მიიღოს ამ მხარეების კათოლიკეებისაგან, ასევე იმათგანაც, რომელთაც ჯერ არ დაუტოვებიათ რომი და [არ გამომგზავრებულან] მათ[2] ქვეყანაში. როგორც ყველას, მათაც სწყურიათ ჰყავდეთ მისიონერები, რომლებიც ამ ხალხს გაანათლებს.

f. 446r.

მართალია, რომ მისიონერების სიჭარბე უფრო მძიმე ტვირთად დააწვებოდა ახალციხის თაეშესაფარს, მაგრამ ყოველიეე ამ გასაჭირის მოგუარება შესაძლებელია, თუ მათ დაუნიშნავენ მცირე ყოველწლიურ შემწეობას. ამ საშუალებით აწარმოებდნენ ყიდვა-გაყიდვას ამ ხალხთან, რომელიც 4 თუ 5 ათას კათოლიკეს ითვლის. ამას დაემატება მისიონერების მიერ უბირი კათოლიკეების სწაელებისათეის მიღებული [გასამრჯელო]. ასევე ადვილად შეიძლება იქ მცხოერები მცირერიცხოვანი ერეტიკოსების მოქცევა [კათოლიკობაზე]; და ასევე ადვილად შეიძლება ქადაგება და წმინდა სარწმუნოებაზე მოზიდვა ორი თუ სამი ებრაული სოფლისა, რომელიც ამ შემოგარენშია; აქ ებრაელები არ არიან ისეთი ჯიუტნი და კერპნი, როგორც-ქრისტიანები. დაბოლოს, დავასკვენი რომ, თუ მოისურვებთ ამ მისიონების კარგად მოწყობას, ნაყოფი იქნება ძალიან დიდი არა მხოლოდ იქ, სადაც მისიონერები იცხოერებენ, არამედ მეზობელ ადგილებშიც, ასევე მიეარდნილ სოფლებშიც. აგრეთვე შეიძლება მისიონი გავრცელდეს იმერეთის ერცელ პროვინციაშიც, სადაც რამდენჯერმე მიიწვიეს ჩვენი მისიონერები, მაგრამ სიმცირის გამო იქ ვერ შეძლეს წასელა. ადგილები ერცელია, მაგრამ მისიონერები ცოტანი არიან, თუმცა ბევრ მათგანს არა აქვს მგზნებარე გულმოდგინება, როგორიც უნდა ჰქონდეს თაეგამოდებულ მისიონერს, ამიტომ ზოგიერთს შეუძლია თქვას: "რატომ დგახართ აქ მთელი დღე უსაქმურად" ("quid hic statis tota die otiosi."). ამიტომ ეეეედრები წმინდა კონგრეგაციის ყოელად უწმინდეს [კარდინალებს], რომ ამ მისიონებს დაუნიშნოს მეთაური, რათა თაედადებულად მართოს იგი და მგზნებარე და ერთგული მისიონერები გააგზავნონ, რათა მთელი ძალები ჩააქსოვონ აქ ფესვგადგმული მანკიერების

[1] კატეხიზმო – (Catechismo. ბერძნ. katechismos, შემდეგ საეკლესიო ლათ. catechismus) რელიგიის არსებით ჭეშმარიტებათა სპირ და მარტივ, ძალდაუტანებელი სწაელება ბავშეებისა და განათლების არმქონე ზრდასრულთათეის, რასაც ნათლისღების შემდეგ ხდება. (**პიერო პეტროზილი**, ქრისტიანობის ლექსიკონი, თბ., 2011, გვ.152).

[2] ე. ი. ახალციხის მისიონებს.

ამოძირკვასა და ერთგულ და მგზნებარე კათოლიკეებში წმინდა სარწმუნოების გაძლიერებას.

№14

კაპუჩინი მისიონერის რუდოლფო და ბორმიოს რელაცია წმინდა კონგრეგაციის ერთ-ერთი კარდინალისადმი[1]

თბილისი, 1751 წლის 26 თებერვალი

f. 457r.

თქვენო უგანათლებულესობაე, შეიძლება ფიქრობთ, რომ მე დიდხანს დაეაყოვნე კავკასიის მთიანეთის მისიონში და ვთანამშრომლობდი მთიელთა [კათოლოკობაზე] მოსაქცევად, მაგრამ ახლა თბილისში ვიმყოფები და გწერთ ჩემს ნაფიქრალს. მე არ ვიცი რა ვიფიქრო და არც ის, რომ უფლის განკარგულებები ძალიან ღრმა და ანაზდეულია. ეს ჩემი წაუსელელობა, ცხადია, არ იყო ის, რომ გაეექეცი გასაჭირსა და საფრთხეებს, არამედ [მინდოდა] მხოლოდ პრეფექტთან ვყოფილიყავი. როცა 1748 წლის 28 დეკემბერს ჩაველი ახალციხეში, მაშინვე აქ მოიყვანეს რამდენიმე ახალგაზრდა და მთხოვეს წავსულიყავი განჯაში, რათა ფეხზე დამეყენებინა მისიონი და მომეძებნა მიტოვებული ღვთისმოსაეი ერისკაცები. მე რამდენიმე ხანი, დაახლოებით ექვსი წელი ვიცხოვრე განჯაში. ეს იყო ის დრო, როცა სპარსეთის მეფე[2] ნადირ შაჰი[3] იბრძოდა დაღესტნის წინააღმდეგ და დიდი უბედურება და უკიდურესი შიმშილობის დრო იდგა.

შემდეგ, როდესაც განჯიდან გავემართე ევროპისაკენ, იქ დაეტოვე მამა სპურანდიო და მერჩა (Spurandio da Mercia), რომელმაც, ჩემი წასელიდან რამდენიმე დღის შემდეგ, დატოვა განჯა, ეკლესია და სახლი ერისკაცებს გადასცა. ამიტომ, დაეყევი ღირსეული პრეფექტის ნება-სურეილს, რათა ამ მისიონისათვის გაგვეკეთებინა კარგი საქმე, მაგრამ დადგა ზამთრი და ეერ შეეძელი რა თოელიანი კავკასიის მთიანეთის მისიონში წასელა, კვლაე განჯაში წაეედი. ასე რომ, დავტოვე ახალციხე და ჩაეედი გორში მამა ჯიროლამო და ნორჩასთან, რომელიც აქ იწერთნებოდა. მას გადავეცი ყველა

---

[1] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1708-1760. V. 2., ff.457r-460v. **წერილი დაწერილია იტალიურ ენაზე და ორიგინალიდან თარგმანი სრულად პირველად ქვეყნდება.** ამ ერცელი რელაციიდან პატ. მ. თამარაშვილმა თაეის ცნობილ წიგნში მოიტანა მხოლოდ 17 სტრიქონი (მ. **თამარაშვილი, ისტორია...,** გვ. 365-366).

[2] ცხადია, ირანის შაჰი.

[3] ირანის შაჰი, ნადირ შაჰი (1736-1747).

ჩვენი ნიეთი, ძალიან ცოტა ტფილისში გაეგზავნე და ტფილისიდან კელავ განჯაში წავედი, სადაც 1749 წლის წმინდა

f. 457 v.

შაბათს, 25 მარტს, ჩავედი. მამა პრეფექტი დამპირდა, განჯაში გააგზავნიდა კიდევ ერთ ბერს, რომელსაც ეკლესია და სახლი დაეუდგინე, მაგრამ ამ მიტოვებული მისიონისათვის არასოდეს არსებობდა შესაძლებლობა, თუნდაც წლის განმავლობაში დროებით, დიდი პატივით მსახურებისა. თავს ძალა დავატანე და განჯაში კიდევ ოცი თვე დაეყავი. ბევრჯერ მიეწერე მამა პრეფექტს, რომ გამოეგზავნა მისიონერი. მან კი ჯერ მიპასუხა, რომ უკვე გამოაგზავნა, მერე, რომ ახლა ისინი ურჩობენ, შემდეგ მომწერა, რომ არ უნდა განჯაში წასვლა და როგორც სხვა პრეფექტურები, ესეც მიტოვებულია...(არ იკითხება)... მან გაგზავნა განჯის მისიონის წინამძღვარი. მან[1] მომწერა, რომ [მისიონერს] არ უნდა წამოსვლა, ხოლო მას[2] მისწერა, რომ მე არ წავედი განჯაში, როგორც ეს მე ამ პრეფექტისადმი მამა პრეფექტის მიერ მოწერილ წერილში ვნახე. ასე რომ, განჯაში ვიმყოფებოდი უკიდურეს სიდუხჭირეში: ჩემთვის ვიყავი მარტო ყოველგვარი აღიარების გარეშე: პრეფექტი არ აგზავნის არც ბერს და არც მოწყალებას...(არ იკითხება), ხოლო მე მინდოდა წავსულიყავი იმ მისიონში, რომელშიც წმინდა კონგრეგაციამ გამამწესა, მაგრამ გულმა არ გამიშვა მიმეტოვებინა საბრალო კათოლიკეები ამ საფრთხეში, რომლებიც დარჩენილნი იყვნენ ეკქარისტიის გარეშე, რადგან იმ დროს განჯაში ექვსიდან ხუთი მოძღვარი გარდაიცვალა და ჩემი ხელით დაეკრძალე ისინი, ხოლო [მეექვსე] განჯიდან შორს საავალზე იყო წასული რაღაც საქმეების მოსაგვარებლად. გარდა ამისა, ოცდაათზე მეტი მძიმედ იყო დაავადებული და დიდი ხნის მანძილზე სიკვდილის ზღვარზე მყოფნი აქ ჩამოეიდნენ. მათ ეაზიარებდი და მომაკვდაეთ ამგვარად ვემსახურებოდი. ამიტომ, მე რომ არ ვყოფილიყავი განჯაში, ეს საბრალო კათოლიკეები, რომლებიც დაიხოცნენ და სიკვდილის პირას იყვნენ, რა უნდა ექნათ. სინამდვილეში განჯაში ცოტაა კათოლიკე. ამიტომ აქ მისიონერები მუდმივად არ ჩერდებოდნენ, თუმცა ეს მისიონი, რომლის ეკლესია საესეა უბრალო და შეძლებული ადამიანებით, ბევრჯერ დარჩენილა მისიონერების გარეშე. რადგან ეს ქალაქი არის ძალიან მერკანტილური, აქ კათოლიკე ვაჭრები ყველა მხრიდან მოდიან: ტფილისიდან, გორიდან, ახალციხიდან, არწრუმიდან, ტოკატიდან, დიარბექირიდან, ანგურიადან[3], ყირიმიდან, ასტრახანიდან, თაერიზიდან. ამის გამო, განჯაში მისიონერებზე დიდი

[1] ე.ი. პრეფექტმა.

[2] ე. ი. ამ რელაციის ადრესატს.

[3] d'Anguria. ამ ეტაპზე ვერ დგინდება ადგილის ლოკალიზაცია. იქნებ იყოს "გურიიდან"? ძნელი სათქმელია.

f. 458r.

მოთხოვნილებაა და თუ მისიონერები იქ მუდმივად იქნებიან, შეიძლება ძალიან ბევრი ჭეშმარიტი კათოლიკე გაჩნდეს, მით უმეტეს, რომ განჯა განძასარის სომეხთა პატრიარქის იურისდიქციის ქვეშაა და მას ძალიან უყვარს კათოლიკური სარწმუნოება. როცა 1750 წლის ოქტომბრის თვეში ის განჯაში ჩამოვიდა, მე ბევრჯერ ვიყავი მასთან სტუმრად და თვითონაც ბევრჯერ მიმიწვია სადილზე და თავისუფლად საუბრობდა [კათოლიკობაზე], ერთი ერთზე კი კათოლიკური სარწმუნოების მიმართ დიდ სიყვარულს აცხადებდა და ამ საგანზე საუბრობდა ისე, რომ ის შინაგნად კათოლიკე იყო. ეს კი ხდებობდა მისი ეპისკოპოსების, ვართაპეტებისა და სხვა ადამიანების თანდასწრებით, რომლებიც კათოლიკურ სარწმუნოებაზე ბევრ რამე კარგს ამბობდნენ. ის ბევრს მეკითხებოდა რომის პონტიფექსის საქმის გარშემო, ე. ი. იმაზე, თუ როგორი იყო მისი სამოსელი, როგორ და როდის ზეიმობდა, ვისთან ტრაპეზობდა, რას ეძახდნენ პონტიფექსის მმართველობას და სხვა საკითხებზე, რომელთაც ეუპასუხე იმდენად, რამდენადაც ვიცოდი. ამ პატრიარქს ჰქვია ნერსესი, რაც იტალიურად ნიშნავს ნარჩისს, ძალიან მოხუცია, შეიძლება 90 წლის იყოს, ან უფრო მეტიც. ერთ დღეს მან მითხრა: მინდა რომ ჩემს მონასტერში მოხვიდეთ და გამოგიგზავნით საჯდომ ცხენს. მისი მონასტერი განჯიდან სამი დღის სავალზეა. შემდეგ მან სხვა ვერაფერი გააკეთა, რადგან პრეფექტმა უკან თბილისში გამიხმო, როგორც ქვემოთ ვიტყვი და ის დაბრუნდა თავის მონასტერში, ხოლო როდესაც გაემგზავრა, მან ჩემდამი დიდი სიყვარული გამოხატა.

იმ პერიოდში, როდესაც განჯაში მარტო ვიყავი, მიწვევდა სარწმუნოების შესახებ ეპისკოპოსებთან, ვართაპეტებთან და სხვა ადამიანებთან საუბარი. ისინი თითქმის ყოველთვის მეუბნებოდნენ: როგორც თქვენ ამბობთ, წირავთ აღსარების გარეშე, რადგან ჩვენი მღვდლების წინაშე აღსარებას არ ამბობთ, ხოლო თქვენ კი აქ მარტო ხართ დარჩენილი. ასე რომ, უფლის წინაშე სინდისი საამურად არ მქონჯნიდა, მიუხედავად ამისა, მაინც ყველა კითხვაზე, რომელზეც შემეძლო მეპასუხა, პასუხი გავეცი. ამასთან იმ კითხვაზე, ე. ი. მესაზე აღსარების გარეშე, ვცდილობდი თავი ამერიდებინა და ხან ერთს ვამბობდი და ხან მეორეს.

f. 458 v.

იმ დროს, როცა განჯაში ვიყავი, ხუთი პირი გახდა კათოლიკე და მათ შორის ერთი მღვდლის შვილი იყო. მისიონს უძველესი დროიდან ჰქონდა ერთი სახლი და სახლთანვე ერთი ზვარი, სადაც ასევე აშენდა ეკლესია. მისიონერთა ეს ადგილი განჯაში გამოძალვის გარეშე თურქების[1] ხელში ჩავარდა და ოცდახუთ წელზე მეტი დაკარგული იყო. სხვა ბერებმა სცადეს

[1] იგულისხმება მუსლიმების.

მისი დაბრუნება, მაგრამ მათ ეს ვერ შეძლეს. მე გამოვეგლიჯე იგი თურქებს ხელიდან, როცა საკმაოდ დაერწმუნდი მასზე 70 სკუდო დამეხარჯა. ეს ადგილი ძველად კათოლიკეებმა იყიდეს 300 სკუდოდ და მამებმა ცოტაც დამიმატეს, როგორც ეს ჩემს დროს გააკეთეს კათოლიკეებმა, როცა შეიძინეს პატარა თანდართული ადგილი, რაც ძალიან მოსახერხებელი იყო და ეკლესიას შესწირეს. ასე რომ, დაახლოებით ორი წლის განმავლობაში, როცა განჯაში ვიყავი, შევინარჩუნე მისიონი აურზაურის დროს სულიერად და უფრო მეტად გავაუმჯობესე, ვიდრე ეს [მანამდე] იყო. მე იქ სახლი დიდად მოვაწესრიგე და როგორც ეთქვი, ძველი სახლი უკან დავიბრუნე, განჯის ერეტიკოსი ხალხის მიმართ კეთილგანწყობა გამოვავლინე და ის, რაც ზარის მიზეზით გამწვავდა, ვთქვი, ეს არ განმეორდებოდა. და ამ დროს მამა პრეფექტს არც ერთხელ არ გამოუგზავნია მოწყალების გროშიც კი, რომელსაც უფალი მიგზავნის, რათა ბოლომდე შემესრულებინა მისია განჯაში, როგორც არაერთხელ ეწერდი ამის შესახებ. ვიყავი მარტო, თუმცა ეირწმუნე, რომ პრეფექტი ვალდებული იყო ეზრუნა ჩემს მძიმე შრომაზე და რაც შეეხება განჯის მისიონის კეთილდღეობას, პრეფექტმა აქ ორი მისიონერი გამოგზავნა, რომელთაც მიბრძანეს განჯის დატოვება. გარდა ამისა, პრეფექტი მწერდა, რომ მამა პროკურატორის ლუდოვიკო ტურინელის ბრძანებით ამიერიდან არ მიედიეარ კავკასიის [მთიანეთის] მისიონში, ებრუნდები თბილისში იმ პირობით, რომ მხოლოდ აქ

f. 459r.

მეძლევა [საქმიანობის] უფლებამოსილება. ანდა სიმართლეა, რომ აქედან მაბრუნებენ ევროპაში მას შემდეგ, როცა მოვაწყვე პურისა და ღვინის სახლი, შესაძლოა 50 სკუდოზე მეტი ღირებულების, რომელიც გადავეცი ახალ მამებს და თბილისში ჩამოვედი. განჯის დატოვებით ჩემთვის არაფერი განახლებულა, რადგან უკვე მსურდა წმინდა კონგრეგაციის მიერ განწესებულ მისიონში წასვლა, თუმცა ვწუხდი იმაზე, რომ განჯაში მოსულმა მამებმა არ იცოდნენ ქვეყნის ენა, ე. ი. სომხური და თურქული, ფლობდნენ მხოლოდ ქართულს და ნაკლებად შეეძლოთ მსახურება. გარდა ამისა, მამებმა არ იცოდნენ ქვეყნის ზნე-ჩვეულებები. დიდად ეეჭვობდი, რომ ისინი შეძლებდნენ სულიერად მისიონის შენარჩუნებას აურზაურის დროს, როცა მე განჯა დაეტოვე. ამ მამებმა ძლივს ორი თვე დაჰყვეს [განჯაში] და [უკან] თბილისში დაბრუნდნენ და მისიონი მისიონერების გარეშე დარჩა და ეს არის მამა კლაუდიო და რეჯოს ბრძნული მმართველობა. მან გაგზავნა თბილისიდან ეს ორი მამა, რომელთაც იცოდნენ ქართული ენა და თბილისის მისიონში არავინ დარჩა ქართული ენის მცოდნე. მან გამომიხმო განჯიდან და იქ არ დარჩა არავინ, რომელმაც იცოდა სომხური და თათრული ენა. ამის გამო 1750 წლის შობას განჯაში ბევრი ისევ აღსარების გარეშე შეხვდა. ამ ორი მამის წასვლის შემდეგ თბილისში სომეხ და ქართველ კათოლიკეებს, ასევე სქიზმატიკოსებს შორის

დიდი ჭორაობა დაიწყო: ქართველი კათოლიკეები [იმაზე] ჩიოდნენ, რომ მა-მებს მათი მიტოვება სურდათ. და სწორედ იმ დროს, როცა თბილისში არაერთ იყო ქართული ენის მცოდნე პატრი, ორი ქართველი არისტოკრატი სასიკ-დილოდ ავად გახდა და უსიარებელნი გარდაიცვლებოდნენ, თუ თბილისში შემთხვევით არ აღმოჩნდებოდა უცხოელი კათოლიკე მღვდელი, რომელმაც მათგან ერთს აღსარება ათქმევინა. მეორე ქართველი მაშინ გახდა ავად,

f. 459 v.

როცა [ეს] მღვდელი წავიდა და საჭირო იყო ამ სნეულის მიერ აღსარების თქმა. ამიტომ ღირსეულმა მამა ნიკოლო და ჯირჯენტიმ (Nicolo da Girgenti), რომელსაც მრავალი წელია უჭირდა სიარული, მითხრა, რომ [სნეულთან] ოთხმა კაცმა წაიყვანა. შემდეგ განჯის მისიონი მიტოვებული აღმოჩნდა. წუთისოფლის გასაოცრად და ჩვენდა სასირცხეოდ [იგი დარჩა] მისიონერების გარეშე. აი, მამა კლაუდიო და რეჯო, ასე მართავს მისიონებს: რასაკვირ-ველია, ის ანაწილებს, მაგრამ უნდა მისი ახირებისადმი მორჩილები და ეს ამარცხებს მას. წერილობით ბევრჯერ გავაპროტესტე, თითქოსდა მე მინდოდა თბილისის მისიონის დანგრევა: როგორც სხვებისაგან გავიგე, ის ბევრ რამეებს ამბობდა... (არ იკითხება)... მხედველობაში მქონდა მისი ახირება. ახლა როგორც ხედავს, ჩადენილი საქმეების გამო იბრძვის ჩემს წინააღმდეგ ყველა და უმეტესად იმის გამო, რომ განჯა მოკლებული აღმოჩნდა მისიო-ნერებს, როცა თითქმის ორი წლის მანძილზე დამტოვა განჯაში უსახსროდ, უაღსარებოდ და ახლა განჯის მისიონი მისიონერების გარეშე დარჩა. ახლა ვამბობ, ერთხელ მან ჩვეულებისამებრ თვალთმაქცურად, მაგრამ ალერსიანად მომწერა: თბილისის შინაურებში დამიდასტურეს, რაც თქვენ გადაგხდათ განჯის მისიონის კეთილდღეობისათვის და ამაზე არ შემიძლია მადლობა არ გადაგიხადოთო. დავაძალე მას განჯის წინამძღოლი წარედგინა... (არ იკითხება)... მაგრამ ის, რაც ვერ გავაკეთე მაშინ, მე შემიძლია მომავალში გავაკეთო, ასეთია მამა კლაუდიო და რეჯოს პროცედურა. თუკი ვინმეს ჰქონდა უდიდესი შეცდომები მისიონის მმართველობის ირგვლივ, ის სხვა არაფერს ეძებს, გარდა შურისძიებისა და რაც შეიძლება ბევრი უსარგებლო მაგალითების მოტანისა. ჩემს ერთ-ერთ წერილში, სხვა საკითხებთან ერთად, მე მას გულახდილად ვუთხარი, რომ მას აქვს უნარი მართოს მისიები, თუ სურდა სულების ხსნა, რითაც პრეფექტურა გაიმარჯვებდა. ჩემზე შურის-ძიების მიზნით, ჩუენს მამა პროკურატორთან, მისიონერებთან მაძაგებდა, თუმცა მისი არაფის სჯეროდა: განჯაში დიდხანს, როგორც უბადრუკი, დამტოვა უსახსროდ და ამიკრძალა ვალის აღება, წამართვა უფლება-მოსილება, ამიკრძალა წმინდა

f. 460r.

კონგრეგაციის მიერ გამწესებულ მისიონში წასვლა. და ამის შემდეგ ახლა მწერს, რომ სურს დამნიშნოს განჯის [მისიონის] უფროსად, რადგან

ხედავს, რომ იქ წასელა არავის სურს, ვინაიდან ბევრმა მისმა ხელქვეითმა უარი თქვა განჯაში წასვლაზე. დაახლოებით რვა წელი დაეყავი განჯაში და ყოველთვის ეხელმძღვანელობდი ამ მისიონს როგორც სულიერად, ასევე აურზაურის დროს. დღემდე ვამბობ, თუ მე კავკასიის მთიანეთის მისიონისათვის, სადაც წმინდა კონგრეგაციამ გამამწესა, კარგი ვარ, განჯისათვის ან სხვა ადგილისათვის არ ვარგივარ? მართლაც, გადაეწყვიტე ევროპაში დაბრუნება, რადგან პრეფექტმა განჯაში გამგზავნა და მომწერა: ან დაუბრუნდი თბილისის ოჯახს, ანდა დაბრუნდი ფრაკიაში. მართლაც, გადაჭრით გადაეწყვიტე ევროპაში დაბრუნება. რადგან, როცა წაველი განჯაში, მე ჩვენი ნივთები გორში დავტოვე მამა ჯიროლამო და ნორჩასთან, [სადაც მას ჰქონდა] მხოლოდ პატარა სახლი წირვა-ლოცვის აღსავლენი და ასევე მეორე პატარა სახლი. შემდეგ [ეს ნივთები] წავიღე თბილისში, რადგან მაშინ ვფიქრობდი, კავკასიის მთიანეთში გამგზავრებისათვის, საჭიროა თბილისში დაბრუნება და სხვების მოლოდინში [ნივთები] დავტოვე თბილისში. ასე რომ, სრულიად ცარიელი წაველი განჯაში, რადგან, როგორც პრეფექტმა მითხრა, იქ ორ თვეზე მეტი არ მომიწევდა დარჩენა. ახლა მამებმა, რომლებიც წავიდნენ იმერეთში, თბილისის სახლიდან წამიყვანეს და თითქმის ყველაფერს მოკლებული ვარ. არ მაქვს მღვდლისა და მისიონერის მოწმობა, ყველა [ნივთი] დარჩა თბილისში და არ ვიცი რა დავტოვე გორში, რადგან იქ მისვლა და ნახვა არ ძალმიძს. ვამბობ, რომ გადაეწყვიტე ევროპაში დაბრუნება, რადგან პრეფექტი არ მაგზავნიდა წმინდა კონგრეგაციის მიერ გამწესებულ მისიონში და ამას ის შურისძიების გამო აკეთებდა. მაგრამ შემდეგ ითვალისწინებდა, რომ მე

f. 460 v.

მისიონში წმინდა კონგრეგაციის ბრძანებით მოვედი, პატივს ვცემ წმინდა კონგრეგაციის წესებს, რომ უკან არ დავბრუნდები კავკასიის მთიანეთში წაუსვლელად და აქამდე იქ წასელა პრეფექტის მიზეზით ვერ მოხერხდა. თუკი წმინდა კონგრეგაცია მიბრძანებს, რომ არ წავიდე კავკასიის მთიანეთში, თქვენს ფრიად პატივცემულებას ვთხოვ, დამაბრუნეთ ჩემს პროვინციაში ანდა დაებრუნდები რომში, რათა ანგარიშით წარვსდგე ჩემი მუშაობის შესახებ და ეს სწორედ იმიტომ მსურს რომ, თუ რამეში დამნაშავე ვარ, დავისაჯო. თუკი პრეფექტმა გააკეთა ცუდი რამე შურისძიების მიზნით, რათა მორჩილი ვყოფილიყავი მისი ახირებების მიმართ, ასევე მოითხოვს მასზე მართლმსაჯულებას მისიონების საერთო ამოცანებისათვის. მე მაროებულად ვაფასებ თქვენი უწმინდესობის გაფრთხილებას: რამდენად სწორად დავხარჯე ყოველწლიური ფულადი დახმარება, რომელიც ხელში მიცვიღე რომში წმინდა კონგრეგაციისაგან. [იგი დაეხარჯე] რამდენჯერმე სწორად: პირველი დაიხარჯა მგზავრობისას, როცა ავიღეთ რა მრავალი ნივთი კავკასიის მთიანთის [მისიონში] წასაღებად, რადგან იქ ხდება გაქურდვა და, კერძოდ, არა [მხოლოდ] ფულისა. იგი დავხარჯე განჯაში ცხოვრებისას, რადგან პრეფექტი

არაფერს მაძლევდა. იგი დავხარჯე იმაში, რომ განჯის სახლი თურქებისაგან[1] დამებრუნებინა. დავხარჯე იგი იმაზეც, რომ განჯის მისიონი უფრო უზრუნველყოფილი დამეტოვებინა, ვიდრე [მანამდე] იყო...(არ იკითხება). მიუხედავად ამისა, ახლა კიდევ მთელი [თანხა] მიჭირაეს [ხელში]. დაბოლოს, ვიმეორებ, რომ სანამ მამა კლაუდიო და რეჯო იქნება პრეფექტი, შეუძლებელია მისიონის საქმეები კარგად წავიდეს. პირველ რიგში პრეფექტი, ეს-ეს არის აქ ჩამოსულ ყველა მისიონერს აიძულებს, მასთან ხლებას; მეორე, მან ყველა მისიონერი ჩააგდო სასოწარკვეთილებაში, ანდა უკიდურეს შემთხვევაში აიძულებს ყველას გული აუცრუოს სამოციქულო მსახურებაზე; მესამე, საეჭვოა, მას რომელიმე სამრევლო მღვდელი აფასებდეს. რაც არ უნდა წეროს, მას სხვა არაფერი გაუკეთებია მისიებში. ნაცვლად იმისა, რომ იზრუნოს ბერებს შორის ერთიანობაზე, წერს რაღაც სიახლეებს, რათა მაენე და უსარგებლო ნამოქმედარი დამალოს. არ დამიჯერა და თქვენს ფრიად პატივცემულებას წერს და გმობს ერთს, ხოლო როცა დამიჯერა, ამასობაში ბოროტება გაიზარდა. კურთხეული ღმერთი მას დააფარებს თავის წმინდა ხელს. ღირსეული ძმა რუდოლფო და ბორმიო.

ტფილისი, 26 თებერვალი, 1751.

№15

კაპუჩინი მისიონერის ჯუზეპე და მოდენას რელაცია წმინდა კონგრეგაციის ერთ-ერთი კარდინალისადმი[2]

1756 წლის 3 იანვარი

f. 487r.

მიუხედავად ჩემი მხრიდან მორჩილებისა, მოვიდა თქვენი დიდად პატივცემულებისა და ფრიად უგანათლებულესობის ყველაზე ცნობილი ბრძანებები, ასევე სხვა მისი მსგავსი [ბრძანებები]. თუმცა მეტად ღონემიხდილი ვარ და არ ვიცი დადებითი რა ვთქვა საქართველოს მისიონის შესახებ, რადგან ბევრი დრო გავიდა, რაც იქედან წამოვედი და განსაკუთრებულ სიახლეებს ჩემამდე არ მოუღწევია. ამიტომ არ ვიცი ამ მომენტში იქ რა ხდება. მაინც გაუწყებთ იმ მდგომარეობის შესახებ, რომელიც ჩემს წამოსვლამდე იყო.

---

[1] უნდა გაეიგოთ მუსლიმებისაგან.

[2] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1708-1760. V. 2., ff.487r-491r. **წერილი დაწერილია იტალიურ ენაზე და ორიგინალიდან თარგმანი სრულად პირველად ქვეყნდება.** რელაცია ხელმოუწერელია. ამ ცხრაგვერდიანი ხელნაწერი რელაციიდან პატ. მ.თამარაშვილმა თავის ცნობილ წიგნში მოიტანა მხოლოდ 55 სტრიქონი (მ. თამარაშვილი, ისტორია..., გვ. 368-370)

მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ მისიონერები და კათოლიკეები [საქართველოში] დავტოვე ძალიან დაღონებულნი და შეშინებულნი, რაც მომდინარეობდა კონსტანტინოპოლის ბერძენთა პატრიარქისაგან, რომლის მიზეზით გასულ წელს[1] მისიონმა კაეკასიის მთების ძირას დაკარგა რაჭის მისიონი და არსებობდა საფრთხე სხვა დანარჩენის დაკარგვისა. ამიტომ ჩემმა მამა პრეფექტმა აქედან გამგზავნა კონსტანტინოპოლში, საიდანაც მოვედი ამ სამთაეროში[2]. მაგრამ გარკვეული წინსელისათვის [საჭიროა] რაღაცა ფორმის განკარგულება, რათა არ დაიკარგოს მთელი მისიონები და მთელი ჩვენი თავშესაფრები, პირველ რიგში ვამბობ განჯის მისიონზე, რომელიც მისიონერების გარეშეა დარჩენილი. მისი მიტოვების მიზეზი ის გახლდათ, რომ 1751 წლიდან საქართველოს ჯარი, რომელიც იქ იმყოფებოდა, მტერმა გაანადგურა, ხოლო თვით ქალაქი გაძარცვა და ნაწილობრივ დაანგრია. უფრო უარესიც, აქ მცხოვრები ათასობით ორიენ სქესის ადამიანი დახოცეს, ხოლო სხვები დაატყვევეს და უცხო ქვეყნებში მონებად წაასხეს. ასე რომ, მამა როდოლფო და ბორმიო (Rodolfo da Bormio) მამა ფედელე და ტორინო (Fedele da Torino) მაშინ დიდ გასაჭირში ჩაეარდნენ და მოუწიათ თურქების[3] წნეხის ქვეშ ყოფნა. ამათგან

f. 487 v.

მათ სიკვდილი ელოდათ, მაგრამ აღადგინეს თავშესაფარი ეკლესიასთან ერთად და შემდეგ იმ ქალაქის გუბერნატორისაგან სიკეთეს ნახავდნენ, თუ აქედან სომხების სისაძაგლეს არ ექნებოდა ადგილი..

მას შემდეგ, რაც ამ უბედური ქალაქის დაუდეგრობა დასრულდა, პრეფექტი და სხვა მისიონერები რამდენიმე წელი მსახურებას ეწეოდნენ თაეიანთ განახლებულ სახლში, რათა სხვა მუშაკებთან [ერთად] ჰქონოდათ ამ მისიონის გაგრძელების შესაძლებლობა, მაგრამ უშედეგოდ. იმიტომ, რომ...(არ იკითხება)... აქ მღედლის სამოსელს სჭირდება დიდი თანხა...(არ იკითხება)...ასე რომ, რამდენადაც მისიონს არ ეძლეოდა ფულადი თანხა, ამ მიზეზით ეს მისიონი დარჩა მისიონერების გარეშე. მიუხედავად ჩვენი დიდი და საყოველთაო უკმაყოფილებისა, ბევრისთვის შეება მოჰქონდა ეაჭრობას, რადგან აქ მსოფლიოს ყველა მხრიდან მოდიან და არ ჰყავთ, ვინც მათ სარიტუალო საჭიროებებს დააკმაყოფილებდა. სხვა მისიონებთან შედარებით თბილისის მისიონზე შეუძლებელია რბილად...(არ იკითხება)... სადაც

[1] ე.ი. 1755 წელს. რაჭის მისიონი დაარსებული უნდა იყოს 1750 წლის ახლო ხანებში. აქ კათოლიკე მისიონერებმა, კერძოდ, ონში 1751 წელს საკუთარი სახსრებით ააგეს ეკლესია და მონასტერი. 1753 წლისათვის ონში კათოლიკეთა რიცხვმა 35-მდე მიაღწია (მ. თამარაშვილი, ისტორია..., გვ. 367; მ. პაპაშვილი, საქართველო-რომის ურთიერთობა, თბ., 1995, გვ. 267).

[2] ე.ი. ქართლის სამეფოში.

[3] უნდა იყოს მუსლიმების.

ოთხნახევარ წელზე მეტი ვიცხოერე და არ შემიძლია იმაზე მეტი ვთქვა, რაც განჯის მისიონზე. ეს[1] მუდმივად მოცულია საფრთხეებითა და უბედურებით როგორც ქართველების, ისე სომხების მიზე'ზით. და თქვენო დიდად პატივცემულებაე, ცოტა ვინმეს შეეძლო მასზე ზრუნვა, როგორც ვამბობდი დროის იმ მონაკვეთში, რადგან ნებისმიერ მომენტში, რაც მე გამოვცადე, მჯეროდა ამ ქვეყნებიდან მისიონებს გააძევებდნენ.

1752 წლის ნოემბრის მიწურულს თბილისში გარდაიცვალა ერთ-ერთი ჩვენი კათოლიკე სახელად ვახტანგი[2] (Vactan), რომელიც საქართველოს თავადთა ოჯახის წარმომადგენელი იყო; რადგან ის კათოლიკე იყო, შესაძლებელია, ამიტომ

f. 488r.

ჩამოერთვა ქონება და ამის გამო გახდა ერთი ძალიან ღარიბი ადამიანი. მაშასადამე, იმ დროს, როდესაც პატრები გარდაცვლილის დაკრძალვაზე მსჯელობდნენ, მათ წინააღმდეგ ამხედრდნენ ქართველები. ასე რომ, ჩვენს თავშესაფართან მრავალმა [ადამიანმა] მოიყარა თავი და ჩანდა, უნდოდათ მკაცრად გასწორებოდნენ მამებს, მაგრამ მათ აღშფოთებას აღვირი ამოსდო კითხვაზე [პასუხმა], როცა ეუთხარი, რომ თავადს არ უბრძანებია, რომ მიცვალებული ჩვენ დაგვეკრძალა და მე მტკივა ის, რომ იგი ძაღლების ლუკმა არ გახდეს: რომ ეს ამბავი კარგად არ დამთავრდა. მაგრამ სამი დღის... (არ იკითხება)...უკვე დაიწყო [გვამმა] ხრწნა, ღამით წაასვენეს ერთ მინდორზე და იქ დაასაფლავეს, როგორც ნადირი. შემდეგ დიდხანს ეუგდებდი ყურს მოსახლეობის შეურაცხმყოფილ [სიტყვებს] და სადაც სურდათ, ჩვენ

---

[1] იგულისხმება თბილისის მისიონი.

[2] ვახტანგ ორბელიანი, რომელიც დაიბადა 1700 წელს იყო თავისი დროის ცნობილი პოეტი და ფილოსოფოსი, სახელმწიფო მოღვაწე. თუ როდის მიიღო მან კათოლიკობა უცნობია, მაგრამ 1741 წლამდე, რომ მოექცა კათოლიკობაზე ცხადია. დოკუმენტები (№11 და №12)-დან ჩანს, რომ 1741 წლისათვის ის კათოლიკეა. შესაძლებელია, მას კათოლიკობა მიეღო ამავე საუკუნის 20-იან წლებში, ან 1737 წელს, პეტერბურგიდან დაბრუნების შემდეგ. მან ლათინურიდან თარგმნა თხზულება "სარწმუნოების სითბოს შესახებ" (Духовный вестник Грузинского экзархата, 1891, №10-11.). თუ ერთ ცნობას ვირწმუნებთ, ვახტანგ ორბელიანი 50-იან წლებში იმერეთის სამეფოში გადასულა და გაუკათოლიკებია იმერეთის მეფე ალექსანდრე V (1720-1752), აფხაზეთ-იმერეთის კათალიკოსი ბესარიონი (1742-1769), მისი ძმა როსტომ რაჭის ერისთავი (1749-1769) და სხვა წარჩინებულები (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №70, ფურც. 50; 74; **მ. თამარაშვილი,** ისტორია..., გვ. 368; **მ. პაპაშვილი,** ეპისკოპოს ქრისტეფორე ორბელიანის რომში სტუმრობის მიზანი. ჟურნ.: "საისტორიო ეერტიკალები", №8, 2005, გვ. 93). თუ როდის გარდაიცვალა ვახტანგ ორბელიანი, დღემდე უცნობი იყო. როგორც წინამდებარე რელაციის აეტორი, რომელიც კარგად იცნობდა ვახტანგ ორბელიანს და მისი დაკრძალვის ამბების მოწმე იყო, პირდაპირ გვაუწყებს, რომ ის გარდაიცვალა 1752 წლის ნოემბრის მიწურულს. არ შეიძლება ამ ცნობის აეტორს არ ეერწმუნოთ.

გვაძაგებდნენ, მაგრამ დროთა განმავლობაში ხმაური შეწყდა. მაგრამ ეს ყველაფერი ატეხა იმ ქართველმა მღვდელმა[1], რომელიც დიდი იდეებით მათ გვერდითაა და კათოლიციზმის მტერია.

1753 წელს პატრების წინააღმდეგ ამხედრდნენ სომხები და მათი მეთაური სახელად აღა მელიქი (Agà Melik) ერთხელ ეწვია თბილისში საქართველოს პატრიარქს[2], რომელსაც წინ დაუდო 500 თუმნით საესე ქისა, რაც ჩვენს ფულზე 51 000 სკუდოს უდრის და სთხოვდა მას, თუ პატრებს ვერ გააძევებდა, მათთვის ეკლესია მაინც ჩამოერთვა: მაგრამ მას პატრიარქმა უპასუხა, რომ პატრების საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა და ამიტომ თავისი ფული შეენახა, რადგან ის მათ მიმართ ასეთ უსამართლობას არასოდეს ჩაიდენდა. და ის ასე ცოტა შერცხვენილი გაისტუმრა.

იმავე 1753 წელს ეჩმიაძინიდან თბილისში მოხვდა ერთი სომეხი ვართაპეტი. მისი ჩამოსვლიდან რამდენიმე დღის შემდეგ სომხებმა დაიწყეს მისიონერების ძაგება და, სადაც ნახავდნენ, ეუბნებოდნენ: მოიცადეთ კიდევ ორი თვე და მერე

f. 488 v.

ნახავთ რაც დაგემართებათო. მისიონერები ვერ მიხვდნენ საუბრის ასეთ მანერას, მაგრამ ბოლოს და ბოლოს კვანძი გაიხსნა, როცა ერთხელ დილით ჩვენთან მოვიდა საქართველოს პატრიარქი[3] და თქვა: ახლად [მოსულმა] სომეხმა ვართაპეტმა სთხოვა მას ჩვენთან საუბარი სარწმუნოების შესახებ და ამიტომ სადილის შემდეგ მასთან მიესულიყავით, სადაც თავადთა თანდასწრებით იქნებოდა შეხვედრა[4]. მამებს ის განცდა დაეუფლათ, რომ ლოცვაკურთხევა ეძლევათ, რომ სიტყვებით ამცნონ მწარე სიმართლე: "როდესაც წარსდგეთ მეფეთა წინაშე" ("Cum steteritis ante Reges"). მართალია, ისინი მომზადებულნი არ იყვნენ, მაგრამ მიწვევა მიიღეს, რადგან კარგად იცოდნენ ერთმანეთის მიმართ კეთილგანწყობა და უღმერთობა. ასეთი ხერხით სომეხთა ვართაპეტი დარჩა დაბნეული, თუმცა ურყევი, და არ იცოდა რა ეპასუხა, ასე შერცხვენილი წავიდა. გაერცელდა ხმა, რომ სომეხი ვართაპეტი დაეჯერეთ[5],

---

[1] ალბათ, იგულისხმება ზაქარია გაბაშვილი (1705-1780), ქართლის მეფის თეიმურაზ II-ის კარის მოძღვარი, ქართული ეკლესიის ორთოდოქსული ფრთის მეთაური.

[2] ალბათ, გულისხმობს საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს ანტონ I-ს (1744-1756; 1763-1788)

[3] ცხადია, საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ანტონ I.

[4] დიდად მნიშვნელოვანი ინფორმაციაა. ჩვენი აზრით, უკვე კათოლიკობისკენ მიდრეკილმა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, ანტონ I ბაგრატიონმა, სომეხ სასულიერო პირთან კათოლიკე მისიონერების დისკუსია, რომელშიც კათოლიკე მამების გამარჯვება ანტონ I-ს, ალბათ, არც ეჯჭვებოდა, იმ საშუალებად მიიჩნია, რომ ქართველ დიდებულთა (წყაროს ენით "თავადთა") წინაშე კათოლიკობის უპირატესობის დემონსტრირება მოეხდინა.

[5] უნდა გავიგოთ ჩვენს აზრზე მოვაქციეთ.

რის შემდეგაც ბრბომ ისე ძლიერ შემოგვიტია, რომ მთავარი[1], რათა მათგან დაეცფარეთ, იძულებული გახდა თავისი კაცები ეახლებინა სახლამდე; გზაზე ისინი გეესროდნენ ქვებს, ტალახს და მსგავს თავხედობას სჩადიოდნენ; ამგვარად ისინი დიდხანს იქცეოდნენ და ამ დროის მანძილზე მათი სირცხვილი არც აწუხებდათ. აქედან, თქვენს ფრიად პატივცემულებასა და ღირსებას შეუძლია ნახოს, აუცილებელია თუ არა ამ მხარეებში სწაელული ბერმონაზვნების გაგზავნა, რადგან აქ მეტ-ნაკლებად ყოველთვის საჭიროა ბჭობა. მართალია, დროის გასვლის შემდეგ სომხები დამშვიდდნენ, მაგრამ არასოდეს ამბობდნენ უარს ჩვენდამი სიძულვილზე და ეწადათ აქედან ჩვენი განდევნა. რადგან ვერ მიაღწიეს მიზანს ვერც ფულის ძალით, ვერც პაექრობით, მათ სხვა სტრატაგემა მოიფიქრეს, რომელიც სინამდვილეში ყველაზე ძლიერი იყო.

f. 489r.

1754 წელს გორის სომხები გაერთიანდნენ თბილისის სომხებთან და ყველა ერთად მივიდა მეფესთან[2] და არასერიოზული საბაბით, რომ [მამები] ყველას აფრანგებენო[3], აქედან ჩვენი გაძევება მოსთხოვეს; რამდენადაც ერეკლე მეფე წინააღმდეგი იყო ამისა, ისინი დედოფალთან მივიდნენ საჩუქრებით, თუმცა მისი მეშვეობით მეფისაგან ვერ მიიღეს ის, რაც უნდოდათ. მაგრამ მათ [მეფისაგან] მიიღეს წერილი, რომელშიც მეფე[4] ბრძანებდა, რომ მომავალში არავის მიეღო კათოლიკობა და ის, ვინც გაკათოლიკდებოდა, დაუყოვნებლივ გაეძევებინათ საკუთარი სახლიდან და მთელი ქონება ჩამოერთვათ. შემიძლია ვთქვა, რომ ამ წერილით დიდად გაბედნიერდნენ სომხები. საკმარისია ითქვას შემდეგი: ისინი[5] ყველა თავის ეკლესიაში[6] ამას ისე გაყალბებულად კითხულობდნენ და ამის გამო დანარჩენებს ისეთი შიში დაეუფლათ, რომ არ სჯეროდათ, თუ ოდესმე ჩვენთან კავშირს შესძლებდნენ. მოკლედ რომ ვთქვათ, ისინი ყოველდღე ჩვენს საწინააღმდეგოს ლაპარაკობდნენ და ყოველ წუთს ეძებდნენ საშუალებას, რათა საწადელისათვის მიეღწიათ. მაგრამ უფალი, რომელსაც არ სურს ამ მისიონის წაშლა, ყოველთვის ანგრევს მათ ხრიკებს და ამდენ მტრებს შორის კათოლიკური სარწმუნოება კიდევ უფრო აყვავდება.

ამჟამად თბილისში კათოლიკეთა რიცხვი დიდ-პატარიანად 400-ს შეადგენს. მათ შორის, როგორც ეს ბევრ ქვეყანაშია, არიან კარგებიც და

---

[1] ალბათ, ქართლის მეფე თეიმურაზ II (1744-1762).

[2] ცხადია, ქართლის მეფე თეიმურაზ II-სთან.

[3] ე. ი. აკათოლიკებენო.

[4] უნდა ვიგულისხმოთ ქართლის მეფე თეიმურაზ II.

[5] ე.ი. სომხები.

[6] ალბათ, თბილისისა და გორის სომხურ ეკლესიებში.

უმანკონიც, თუმცა...(არ იკითხება)...მართალია, რომ კარგები ბევრად აღემატებიან მეგობრების რიცხვს, ასევე...(არ იკითხება)...

უგანათლებულესო და დიდად პატივცემულო ბატონო, ყველა ცდილობს პატივი სცეს მათ წეს-ჩვეულებებს, მე ვითხოვ მარხვის დაცვას და მარხვისას უმთავრესად ეიღებ თევზს, როგორც მთელს აღმოსაელეთშია, ერზერუმში,

f. 489 v.

ტოკატში, ტრაპეზუნდში, კონსტანტინოპოლში, სმირნასა და ბარიში. მართალია, თბილისის მისიონში ის მიუთითებს კათოლიკეებს, რომ [მარხვისას] სიფრთხილით მოეკიდნენ ჭამას, რადგან [აქ] ყველა[1] აბსოლუტურად არაფერს ჭამს და აკრძალულია ერთ მაგიდასთან არაკათოლიკე სომხებთან ჭამა. როგორც უკვე ვთქვი, ყველა ჩვენი კათოლიკე იცავს თავის წეს-ჩვეულებას, რაც არ იწვევს განსაკუთრებულ გართულებებს, თუმცა ზოგიერთ კათოლიკეს აიძულებენ დაიცვას ორი ცნობილი მარხვა, ე. ი. ნათლისღების... (არ იკითხება)... მაგრამ... (არ იკითხება)... ჩემს დროს მისიონის განსაზღერების წინააღმდეგ პირდაპირხაზოვნად დავადგინე, რომ მისიონერებს ეკრძალებათ ამ დღეებში[2] ხორცის ჭამა, რასაც მისიონერები დათანხმდნენ და ყველა ჩემი მეთვალყურეობის ქვეშაა.

ის, რაც ხდება თბილისში, ჩვეულებრივ ასე ხდება [მთელს] საქართველოში და ის, რასაც ამბობენ თბილისის სომხები და ქართველები კათოლიკეების წინააღმდეგ, იგივეს ამბობენ და აკეთებენ გორშიც.

1753 წელს თბილისის არქიეპისკოპოსი კირილე, ეროვნებით ქართველი, გორში ჩავიდა და დაიწყო კათოლიკე მღვდლების დევნა, ზოგი [კათოლიკე] ცემეს, ზოგი ციხეში ჩააგდეს, სხვები კა ხახლში ჩაკეტეს: ამის შესახებ თბილისის პატრიარქს, რომელმაც მას გაუგზავნა ბრძანება, რომ ბევრი ხმაურის გარეშე... (არ იკითხება)...

f. 490r.

თუმცა იმ დროს, ხუთი თვის მანძილზე, ის ყველაზე მეტად დევნიდა კათოლიკეებს, მაგრამ დაბრუნდა რა აღიარებულ სომეხ მღვდელ სახელად საკასთან[3] (Don Sacha), ასევე კათოლიკეების მთავარ მტერთან [ერთად], რათა გაეხრიკათ ისინი, როგორც უწინ, მაგრამ...(არ იკითხება) თბილისში კათოლიკეებიდან ზოგიერთმა მეფესა და პატრიარქს მიმართეს არქიეპისკოპოსის წინააღმდეგ, რომელმაც მრავალი დევნა და უსამართლობა დაატეხა თავს [კათოლიკეებს]. ის ხელახლა გამოიძახეს თბილისში და იძულებული

[1] იგულისხმება მართლმადიდებელნი, რომლებიც მკაცრად იცავენ მარხვას.
[2] იგულისხმება მარხვის დღეებში.
[3] ალბათ, ისააკი.

გახდა კათოლიკეებისათვის დაებრუნებინა ის, რაც მათ წაართვა დიდძალი ფულის სახით.

ახლა გორში 100 კათოლიკეა, თუმცა ზოგიერთი ამა თუ იმ სოფელშია გაფანტული. ამ დროს გზები უსაფრთხოა და თუ გაიგეს რომელიმე ქარავანი მიედინება, მისიონერები მათ შესახვედრად მიდიან, რათა რამდენიმე სულიერი საუბარი ჩაუტარონ და წმინდა საიდუმლოებები შეასრულონ. თითქმის ყველა კათოლიკე, როგორც გორის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ, არის ქართული ტიპიკონის და ცხოერობენ მის შესაბამისად: მართალია, ისინი ცოტანი არიან, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ კარგი კათოლიკეები არიან და ყველაფერში თავის სულიერ მმართველს ემორჩილებიან. მათ ისინი ხვდებიან, როგორც მისიონერებს და როგორც ზემოთ ვთქვი, ზოგიერთებს თბილისიდან, სამწუხაროდ, უნდოდ ხვდებიან. თქვენო უგანათლებულესობავე და ფრიად პატივცემულებავე, იმერეთში რაჭის მისიონზე არაფერს ვამბობ, რადგან კონსტანტინოპოლის ბერძენთა პატრიარქმა თავისი წერილით დაიწყო კათოლიკე მისიონერების დევნა. ეს მისიონი დაიკარგა, რადგან მამები, რომლებიც იქ იყვნენ, სამარცხვინოდ გააძევეს, სახლი და ეკლესია მიწასთან გაასწორეს. ყველაზე მეტად ამაზრზენი იყო ტილოზე

f. 490 v.

შესრულებული ჯვარცმის ხატის დანაკუწება და ეკლესიის საკურთხეველზე დაყრა. ამ მისიონის დაკარგვამ, უწინარეს ყოვლისა, ძლიერ დაამწუხრა ყველა მისიონერი, რადგან ამ მხარეში მისგან დიდი ნაყოფის მიღებას მოელოდნენ. მაგრამ კაცთა საუკუნო ცხონების მეტისმეტად მოშურნე სატანამ, ძლიერი ცეცხლი დაანთო და მისი ჩაქრობა მარტივი არ იქნება, რადგან ნათქვამია: ბჭენი ჯოჯოხეთისანიც ვერ ერეოდა მასო. საქართველოს სხვა დანარჩენმა მისიონებმაც იწუნიეს ასეთი დაპირების ნაყოფი. საქართველოში კონსტანტინოპოლის ბერძენთა პატრიარქის მიერ გამოგზავნილმა სამმა ბერმა იმერეთში რაჭიდან ყველა მისიონერი განდევნა. [ბერძენი ბერები] იმერეთიდან თბილისში წავიდნენ, რათა აქაც ზიანი მიეყენებინათ კათოლიკური სარწმუნოებისათვის, როგორც ეს გააკეთეს რაჭის მისიონში, თუმცა დამარცხდნენ და შერცხვენილნი წავიდნენ აქედან, რადგან ვერც მისიონერებისა და ვერც კათოლიკეების წინააღმდეგ ვერაფერს გახდნენ. ეს იმიტომ, რომ [საქართველოს] პატრიარქმა[1] და თავადებმა ჩვენი განდევნის ნაცვლად, ისინი განდევნეს, რადგან ჩვენდამი დიდი სიყვარული ჰქონდათ და არაერთხელ დაგვიფარეს რომაულ კათოლიკური ეკლესიის მტრებისაგან, როგორც ეს ამ წერილიდან ჩანს. თქვენი უგანათლებულესობისა და დიდად პატივცემულის წინაშე დამდაბლებული ვბედავ და გთხოვთ წყალობას, რომელსაც ორი წელია გთხოვთ მამა-პრეფექტი, რომ რომის პაპმა, ან წმინდა

[1] ცხადია, ანტონ I კათოლიკოს-პატრიარქი.

კონგრეგაციამ [საქართველოს] პატრიარქს, ასევე მეფე ერეკლეს წერილი ანდა წმინდა კრების კურთხევა მოკლე

f. 491r.

ეპისტოლეთი გამოუგზავნონ. [ეს] მეფე ერეკლემ სამჯერ მთხოვა. ასე რომ, ეს არანაკლები უპირატესობა და სულიერი სარგებელი იქნებოდა აქაური საბრალო მისიონისათვის.

ისევ გაეიმეორებდი ახალციხის მისიონის შესახებ: რამდენადაც ეს [მისიონი] არანაირად არაა დამოკიდებული მამა მისიონერების...(არ იკითხება)... სხვა ხელმძღვანელზე და მეთაურზე, რადგან ეს ეპარქია [შედის] კონსტანტინოპოლის მონსინიორ ეიკარიუსის საპატრიარქოში და ამიტომ არ შემიძლია მასზე ეისაუბრო, თუნდაც რომ მქონდეს ძალიან აუცილებელი მოტივები, რათა ღვთის დიდებისათვის გულმოდგინედ და პატივით შემესრულებინა თქვენი უგანათლებულესობისა და დიდად პატივცემულის ბრძანებები.

№16

კაპუჩინი მისიონერის ჯულიო ბონავენტურა და ტრენტოს რელაცია წმინდა კონგრეგაციას

1757 წლის 21 სექტემბერი

[რელაციის] ასლი

რელაცია მისიონერებისა და კათოლიკეების დევნის შესახებ, რომელიც საქართველოს დედაქალაქ თბილისში 1755 წლის 12 დეკემბერს დაიწყო[1]

f. 498r.

კონსტანტინოპოლის ამჟამინდელი პატრიარქის მონაზონ კირილეს[2] წინამორბედი[3], როგორც კი პატრიარქის ტახტზე ავიდა, მუდმივად ეძებდა უფრო და უფრო მაცდურ ხრიკებს, რათა მთელი საქართველოდან კაპუჩინი

---

[1] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1708-1760. V. 2., ff. 498 r-499v. **წერილი დაწერილია იტალიურ ენაზე და ორიგინალიდან თარგმანი სრულად პირველად ქვეყნდება.** პატ. მ.თამარაშვილმა თავის ცნობილ ნაშრომში (**მ. თამარაშვილი.** ისტორია კათოლიკობისა..., გვ. 373-375) ბოლო გვერდის გარდა იგი მთლიანად მოიტანა. როგორც ირკვევა, მან ტექსტის ზოგიერთი ადგილი ზუსტად ვერ ამოიკითხა და ამიტომ თარგმანი ნაკლულოვანი გამოდგა. ჩვენ შევეცადეთ, რაც შეიძლებოდა დედნიდან ზუსტი თარგმანი გაგვეკეთებინა, რამაც საშუალება მოგვცა მ. თამარაშვილთან დაშვებული უსუსტობები აღმოგვეფხვრა.

[2] კონსტანტინოპოლის პატრიარქი კირილე V კარაკალოს ნიკეელი (1752-1757).

[3] საუბარია კონსტანტინოპოლის პატრიარქ პაისი II ქიუმურჯიოღლუზე (1751-1752).

მისიონერები გაეძევებინა. ამ მიზნით კონსტანტინოპოლიდან ყოველ წელს ორ ბერს აგზავნიდა, რომლებიც მოწყალების მიღების საბაბით ყველგან აბნევდნენ ხსენებული პატრიარქის მიერ ხელმოწერილ ჩვენს წინააღმდეგ მიმართულ ცირკულარულ წერილებს. 1753 წელს მან[1] მიაღწია იმას, რომ გაგვაძევეს რაჭის, რომელიც მდებარეობს კავკასიის მთიანეთში, ახალი სამკვიდრებლიდან; ამით უფრო გალაღდა, რადგან სერიოზული წინააღმდეგობა არ შეხვედრია, თუმცა იქ[2] ჩვენს წინააღმდეგ ეინმეს გაგზავნას უარყოფდა. მან ისევე გამოგზავნა წერილები და მაცნეები და ბოლოს და ბოლოს მიაღწია იმას, რაც ეწადა.

აქამდე[3] კათოლიკეებს იცავდა საქართველოს პატრიარქი[4], რომელიც საკუთარ თავს ყველასაგან დამოუკიდებლად მიიჩნევდა და ჩვენ კეთილი თვალით გვიყურებდა. [მან] დამალა მისადმი [კონსტანტინოპოლიდან] გამოგზავნილი წერილი და კონსტანტინოპოლელი ბერები საქართველოდან თავაზიანად გაისტუმრა. ბოლოს და ბოლოს, ღვთის მადლით აღძრულმა რომის წმინდა სარწმუნოება მიიღო და აღთქმა მისცა ჩვენს მისიონერს, გორის [მისიონის] უფროსს ჯიროლამო და ნორჩას. მან აღიარა რა ჭეშმარიტება, ცდილობდა სხვების გულში მის თანდათან მოხერხებულად ჩანერგვას; ამიტომ ამ ქვეყნის ერთი ქალბატონი, რომელიც თავის დროზე მისი სულიერი შვილი იყო, დარწმუნდა წმინდა ეკლესიის[5] წიაღში შესვლაზე. როცა ეს ქალბატონი მძიმედ დასნეულდა, ნათესავები, მეგობრები და სხვ. მიეიდნენ მის სანახავად. ასევე მათ შორის იყო მეფე თეიმურაზის, საქართველოს დიდი ნაწილის მფლობელის[6] ქალიშვილი. არ შემიძლია ვთქვა, რა გამოეცხადა აეადმყოფს, როცა ასეთი სიტყვები ამოაფრქვია: "ო! რომის წმიდა მამავ, ილოცე ჩემთვის, რადგან დიდხანს ვიყავი ცრურწმენით სიბნელეში". მეტი არ იყო საჭირო მეფის ასულს გაეგო, რომ ეს ქალბატონი კათოლიკე იყო; მიუბრუნდა გარშემომყოფთ და [უთხრა]: "ეჰ! ხედავთ, დასძინა მან, ეს ფრანკი[7] ყოფილა; მაშ კარგი, მამაჩემი დაბრუნდება ლეკებთან ომიდან და შემდეგ ვნახოთ".

f. 498 v.

მართლაც, როგორც კი მეფე, მამამისი, თბილისში დაბრუნდა, მეფის ასულმა აუწყა მას[8] ამ წარმატების[9] შესახებ და [მეფემ] ყურადღებით

---

[1] საუბარია კონსტანტინოპოლის პატრიარქ კირილე V კარაკალოს ნიკეელზე.

[2] ე. ი. რაჭაში.

[3] ე. ი. დევნის დაწყებამდე.

[4] იგულისხმება საქართველოს პატრიარქი ანტონ I ბაგრატიონი (1744–1755; 1764–1788).

[5] იგულისხმება კათოლიკობა.

[6] იგულისხმება აღმოსავლეთ საქართველო.

[7] ე.ი. კათოლიკე.

[8] ე.ი. მეფე თეიმურაზ II-ს.

[9] ქალბატონის მიერ კათოლიკობის მიღებაზე.

განიხილა, ვის შეეძლო ქალბატონის [კათოლიკობაზე] მოქცევა. ეჭვი პატრიარქზე მიიტანა, რადგანაც კარგად იცოდნენ, რომ ის [ქალბატონი] პატრიარქის სულიერი შვილი იყო, მისიონერებს კი არასოდეს ჰქონდათ ურთიერთობა ამ ოჯახთან, რომელიც თითქმის საქართველოს სახღვართან ცხოერობდა. პირველ რიგში პატრიარქზე ეჭვობდა, რადგან უწინ შეეტყო, რომ მათი პატრიარქი ნამდვილად კათოლიკე იყო. ამიტომ სიმართლის გასარკვევად დაქრთამეს მეფე, მისი წინამძღვარი ერასტი[1] (Erasto) და მათი ერთი მონაზონი, რომელმაც თავი ისე მოაჩვენა თითქოსდა სარწმუნოებაზე ბევრი ეჭვი ჰქონდა, პატრიარქთან წავიდა მის განსაქარვებლად. მოაჩვენა რა თავი ისე, რომ სრულიად კმაყოფილი იყო პატრიარქის გადაწყვეტილებითა და პასუხებით, მეფესა და მის მოძღვარს მომხდარზე ყველაფერი მოახსენა. მეფე თეიმურაზმა მოისმინა რა ცრუ მონაზონისაგან ყოველივე, განრისხებულმა ბრძანა, რომ დაუყოვნებლივ მოეწეიათ არქიეპისკოპოსების, ეპისკოპოსებისა და თბილისის ბერ-მონაზონთა მეთაურების კრება. მეფისა და კრების სახელით შეკრებილებმა პატრიარქთან გაგზავნეს ორი ეპისკოპოსი, რათა გაეგოთ, რომელ სარწმუნოებას მისდევდა ის. და პატრიარქმა, როგორც მათი კრების მეთაურმა, მისვლა ითხოვა, მაგრამ მეფემ და შეკრებილებმა ის არ დაუშვეს შიშის გამო. [ეს იმიტომ], რომ პატრიარქის დასწრებით არ შერცხვენილიყვნენ მისი მეტოქეები და ის გამარჯვებული არ წასულიყო ამ ადგილიდან, სადაც სურდათ მისი გაკიცხვა. ამიტომ მათ მეორედ მიუგზავნეს ორი ეპისკოპოსი, რათა კელავ ეკითხათ, რომელ სარწმუნოებას მისდევდა. განმეორებით თხოვნას სულგრძელად და მხნედ უპასუხა, რომ ის კათოლიკეა და ვისაც უნდა ცხონება, მან ეს სარწმუნოება სრულად უნდა მიიღოს და დაიცვას. ასეთმა პასუხმა უფრო მეტად განარისხა მეფე და პატრიარქის მტრები, რომელთაც მაშინვე აჰყარეს ღირსება, ხოლო მერე ჯერ ბევრი პირფერობით, შემდეგ მუქარით უნდოდათ, რომ ისევ თავის მხარეზე მოექციათ, თუმცა მუდმივად ძლიერი და ურყევი იყო. [ამიტომ] ის ერთ სოფელში გაგზავნეს მონანიებისათვის, თუმცა მისი შეურაცხყოფისაგან თავი შეიკავეს.

f. 499r.

ეს უბრალო პოლიტიკა იმ მიზანს ისახავდა, რომ მისი ოჯახი და ნათესაობა არ გაეხელებინათ, რადგან თვით მეფეს შეიძლება საფრთხე დამუქრებოდა. მაგრამ მათ ჯაერი იყარეს სამ კათოლიკე სასულიერო პირზე, რომელბიც პატრიარქის სამსახურში იდგნენ. მათ სამი დღე დაატარებდნენ ქალაქის ქუჩებსა და მოედნებზე, ყოველნაირად შეურაცხყოფდნენ და ლანძღავდნენ, ისე ძლიერ გაჯოხეს ორი კათოლიკე ქალი, რომ ტკივილისაგან ერთი მესამე დღეს გარდაიცვალა.

---

[1] პატ. მ. თამარაშვილმა, ჩანს, დედნიდან სწორად ვერ ამოიკითხა და მას რაბუთის უწოდებს (**მ. თამარაშვილი.** ისტორია..., გვ. 374)

ამ ხმაურის გაძლიერებას ხელი შეუწყეს საქართველოს ყველა მხარის ქორეპისკოპოსებმა[1], მსაჯულებმა, მეფემ და უმეტესად სომეხმა სქიზმატიკოსებმა. მათ წააქეზეს მეფე ჩვენს წინააღმდეგ, იმდენი უჩიჩინეს, იმდენი ოქრო შესთავაზეს, რომ ბოლოს და ბოლოს მან ბრძანება გამოსცა მისი სამეფოდან ჩვენი გაძევების შესახებ; მეფემ არც ჩვენი მიღება ისურვა.

კონსტანტინოპოლის ბერძენი ბერები, რომელთაგან ერთ-ერთი ეპისკოპოსი იყო, თბილისთან ძალიან ახლოს იყვნენ დამალულნი და როგორც კი ერთი მხრით წავედით, მეორე მხრიდან ისინი შევიდნენ ქალაქში, ეკლესიაში საჯაროდ წაუკითხეს მათ პატრიარქის[2] წერილი და დაანგრიეს მთავარი ტრაპეზი, [ეკლესია] მათებურად აკურთხეს და იქ დააყენეს ქართველი მღვდელი, რათა მისთვის მოეელო. მეფემ[3] ადგილობრივ არქიეპისკოპოსზე გააჩუქა გორის ჩვენი მეორე ეკლესია. ორი წლის უკან ჩვენ გაგვაძევეს რაჭიდან და ახლა საქართველოში არაფერი არ დაგვრჩა. განჯაში, დაახლოებით რვა წლის წინ, ჩვენი ორი ღირსი მამა-მისიონერის სიკვდილით, იქ განადგურდა ჩვენი ეკლესია და სახლი. როცა დანარჩენი მამები ახალციხის თავშესაფარს ტოვებენ, მათი ერთსულოვანი მოწონებით მამა-პრეფექტმა გამაგზავნა რწმენით, რომ როგორმე ეპოვათ ამდენ ბოროტებაზე რაიმე წამალი, რომელიც ამაოდ იკურნება კონსტანტინოპოლში; ევნაში გაურკვეველი ომის გამო, რომელშიც რუსეთის იმპერატრიცა იქნება ჩაბმული, ღვთის წყალობით ხედავენ ავსტრიის იარაღის... (არ იკითხება)... გვიწევს

f. 499 v.

მიტოვებული და საფრთხეში ჩავარდნილი კათოლიკეების გამო ქვითინი და ვევედრები თქვენს ფრიად პატივცემულობას წყალობას...(არ იკითხება)... ასე რომ, მონსინიორ ნუნციოსთან მუშაობის გამო ევნაში ვბინადრობ და ვეყრდნობი მათ კეთილგონიერებას, რომ მოეიპოვო მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის სარეკომენდაციო წერილი მოსკოვის იმპერატრიცასადმი; რომ რუსეთის დიდმა მეფემ ჩვენს სასარგებლოდ მოსწეროს საქართველოს მეფეს[4], რომელიც ძალიან საჭიროებს მის მხურვალე ერთგულებას, რათა საკუთარი სახელმწიფოს ტახტზე მყარად იჯდეს. ჩვენ მარტო [დავრჩით] სომხებთან, რომელიც ყოველთვის მხარდაჭერილი იყო მეფისაგან.[5] დღემდე მჯერა, რომ საქართველოს სამეფო ოჯახი, წმინდა ტახტი, მოძღვრები და სათნოების დამცველები, განსაკუთრებით მისი ყოვლადუწმინდესობა, ყველანაირ სწრაფ და ძალიან ფასეულ დახმარებას აღმოუჩენენ საქართველოს

---

[1] პატ. მ. თამარაშვილი მათ უწოდებს მეფის ნაცელებს, რაც სწორი არაა (**მ. თამარაშვილი**. ისტორია..., გე. 375).

[2] იგულისხმება კონსტანტინოპოლის პატრიარქის.

[3] ცხადია, ქართლის მეფე თეიმურაზ II-მ

[4] ცხადია, ქართლის მეფეს თეიმურაზ II-ს.

[5] ე. ი. ქართლის მეფე თეიმურაზ II-საგან.

საბრალო კათოლიკეებს, რომლებიც უკვე გახდნენ საძულველნი არსებანი, რომ თქვენი ყოვლად უწმინდესობისა და ყოვლად ღირსშესანიშნავის უმორჩილესი მსახური.

ძმა ჯულიო ბონავენტურა და ტრენტო. კაპუჩინი მისიონერი საქართველოში.

საქართველო

დაასკვნა პარიზში მონსინიორმა ნუნციომ

21 სექტემბერი 1757.

№17

მეფე ერეკლე II-ის წერილი კაპუჩინ მამა-მისიონერს ლეონარდოს[1]

1761 წლის 21 აპრილი

ლეონარდოს!

ქ: ჩვენ მაგიერად ჩვენს დიდს იმედს დიდათ იმედათ მისაჩენელს, მისახედავს და არაოდეს ჩვენგან არ დასაიწყარს ახალციხის თემის უფროსს და დიდებულის ეპისკოპოზის[2] მაგიერს პატრი უფროსს[3]. მრავალი მათის სრულის თავის საკადრი მოკითხვა და უმიზეზოდ ბრძანებს სიხარული მოეხსენოს ამხანაგად. თქვენი წიგნი მოგვეიდა, დიდათ გვეამა და რაც მოგეწერათ ყველა ეუწყით და მანამ ჩვენ კახეთიდამ მოვიდოდით, თქვენ წასულიყავით. ახლა ამას გაუწყებთ. ცოტა ხანი არის, რომ ჩვენი სახლი შეუძლოთ არის. არა ვიცით ხველა-სურდო არის თუ ისე სხვა ცხელება რომ არის. ჩვენი ეშიგაღასი ბაში რევაზ გამოგვიგზავნია თქვენის სიკეთისა და ღ-თის მოყვარულობისაგან ამას მოგელით, რომ არ დაზარდეთ და ამას გამოყვეთ. ვიცით, რომ მანდ ბევრი საქმეები გაქვს, მაგრამ ჩვენის ხათრისათვის მანდ ერთი ვინმე ან ეართაპეტი და ვინც იცოდეთ ხუცესი ცოტას ხანს მანდ თქვენ მაგიერად დააყენოთ და თქვენ წამოხვიდეთ. ვიცით, რომ ქრისტიანების მოყვარული ხართ და ქრისტეს გულისათვის არ დაზარდეთ

---

[1] Archivio della SCPF, «Persia", t. III, № 7. ეს წერილი პირველად გამოაქვეყნა პატ. მ.თამარაშვილმა (**მ. თამარაშვილი.** ისტორია..., გვ. 379-380)

[2] უნდა გავიგოთ ახალციხის ეპარქიუსი.

[3] ლეონარდო და ეიტერბო იყო ახალციხის კაპუჩინთა მისიონის ეიცე-პრეფექტი, დროებით ეპარქიუსის თანამდებობაც ეკავა. პატრი ლეონარდო თავიდანვე თბილისში ან გორში ცხოვრობდა სამისიონერო საქმიანობას და ახალციხეში მხოლოდ 1755 წლის შემდეგ გადავიდა (დაწერ. იხ: **მურმამ პაპაშვილი, ზურაბ გამეზარდაშვილი.** ერეკლე II-ის წერილი ლეონარდო ეიტერბოელისადმი. ჟურნ.: "საისტორიო ეკლესიკალები", 2011, №22, გვ. 42-47)

ხვალეე ამგვარებს. ამიტომ შემოგიკეეთეთ თუ ჩვენც გამოგველი რასმე და ან ჩვენი ხათრი და სიყვარული გაქვს ამას მოგელით, რომ მალე წამოხვიდეთ ღ-თის მოწყალებით მაგისთანა [სნეულება არ არის], მაგრამ თქვენი მოსვლა მუნასიბი ენახეთ. ახლა ღმერთის შეწეენით მაგ გზაზე მშვიდობა არის და კარგად წამოხვალთ და როდესაც წასვლა გინოდესთ ღ-თით კარგად მშვიდობით გაგისტუმრებთ. ეს რევაზ ეშიგაღას ბაში რომ გამოგეიგზავნია თუნდა ჩვენ მოვსულვართ მანდ. თუნდა ეს ასე უნდა დაიჭიროთ ღ-თსამცა ნუღარ დაზარდებით ამას გამოყვენით და ამას წინათ ჩვენ აქ არ ვიყავით და თქვენთვის ჯორი მოერთმევინათ იმის ჯარიმათ ერთი ჯორი მოგვირთმევია კარგი და ერთიცა ცხენი მოგვირთმევია, რომ მამდედამეე ამავე ცხენით უნდა წამოხვიდეთ და ერთი სხვა ჯორიც გამოგვიგზავნია თქვენის ბარგის ასაკიდებლად და სამოცი ზარ მაჰმუდი ფლური მოგვირთმევია წამლიანა და რიგი ნახეთ რასაც დაეშურებით წამოსვლას თქვენ იცით.

აპრილს კა. ქეს. უმეი". ერეკლეს ბეჭედი.

№18

კაპუჩინი მისიონერის ალიოზ და პრაგას რელაცია წმინდა კონგრეგაციის ერთ-ერთი კარდინალისადმი

ახალციხე, 1767 წლის 18 მარტი[1]

f. 179r.

უღრმესი პატივისცემით ვისურვებ თქვენს გამოჯამრთელებას და გაუწყებთ, რომ აქამდე ზუსტად ხუთჯერ მიეწერე რომში წერილი, მაგრამ პასუხი არც ერთზე არავის უნახავს. ამბობენ, შეიძლება გზაზე რომელიმე არაკეთილმოსურნე გადაელობა. ამაეე დროს, როცა სასოწარკეეთილნი ვიყავით და ხსნას ვერ ეხედავდით, უფალმა უიმედოდ არ დატოვა კაპუჩინები, რადგან კაპუჩინებსა და გატანჯულ მორწმუნეებს (რასაც ისინი აქამდე განიცდიან) ნუგეში მოუვლინა. თქვენს ფრიად პატივცემულებას იმედიანად გაუწყებთ, რომ იმერეთის პირველმა ერისთავმა[2] (princeps Eristavi Imeretanus) მონსინიორ კათალიკოსთან[3] ერთად წერილობით სამჯერ მთხოვა ძმა დიონისო და ერთი მღვდელი გამეგზავნა მის ქვეყანაში, რათა იქ სამუდამოდ

---

[1] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1761-1778. V. 3., ff.179r.-180r. **წერილი დაწერილია ლათინურ ენაზე და ორიგინალიდან თარგმანი სრულად პირველად ქვეყნდება.** პატ. მ.თამარაშვილმა თავის ცნობილ ნაშრომში მოტანილი აქვს ამ წერილის ერთი ნაწილი (**მ. თამარაშვილი.** ისტორია კათოლიკობისა..., გვ. 385-386)

[2] იგულისხმება როსტომ რაჭის ერისთავი (1750-1769).

[3] იგულისხმება დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ბესარიონი (1742-1769).

დარჩენილიყვნენ. ამასთან ერთად ღირსეულმა მამამ იერონიმემ[1], ჩემმა წინამორბედმა, დამაჯერა, რომ ადვილად არ მერწმუნა მათი წერილები, უწინარეს ყოვლისა, ახლა გამეფებული ომებისა და ბერი აკადებულის (monachum Akadebuli)[2] გამო, რომელიც მზად იყო ძალის გამოყენებით ხელახლა დაეწყო ჩვენი დევნა. როცა მესამედ მომწერა [წერილი] თაეადმა[3] და კათალიკოსმა[4], იერონიმესთან მოთათბირებითა და ფაშას[5] (Baschae) ბრძანებითა და სარეკომენდაციო წერილით, იმერეთში გაეგზავნე ძმა დიონისიო, რომელსაც

f. 179 v.

გადავეცი ბეჭედდასმული ინსტრუქცია იტალიურ და ქართულ ენაზე, რომელსაც დასახელებულმა ძმამ და ბატონებმა ღიად, ფიცის ქვეშ უნდა მოაწერონ ხელი. ასევე ძმა დიონისიომ ორი სანუგეშო წერილი მომწერა, რომელშიც მაუწყა, რომ ყველა დიდებულმა თანხმობა დაადასტურა და ბატონმა კათალიკოსმაც[6] (ასევე თვით ბერ-მონაზონმა აკადებულმა), რომელმაც, ავადმყოფობისაგან უფლის შემწეობით განკურნებულმა, ასევე თანხმობა განაცხადა წერილობით და გვეეედრება ონსა და რაჭაში უწინდელი მდგომარეობა ეფექტიანად აღვადგინოთ დასახული მიზნით. ბოლოს, მას[7] იქ სამი სავანე აუშენებია, ასევე დაუწყია ეკლესიის [აგება] და მოიწადინა ამის [გადმოცემა], მაგრამ ამას არ დაეეთანხმე, სანამ არ გამომიგზავნის თვით მთავარ დადიანისა (princips Thadiani) და ახალი მეფის[8] წერილობით თანხმობას. აქამდე ვერ მოხერხდა ჩვენი წასვლა იმის გამო, რომ თურქებმა იარაღი მიმართეს სოლომონის წინააღმდეგ და [მეფე] განშორებულია სამეფოს. ამის გამო წასვლა მისი[9] ვერ მოხერხდა. სუსხიანი ზამთარია, მაგრამ თუ წერილს მივიღებ იქ მღვდელს გავგზავნი და [ამის შესახებ] ვაუწყებ ფრიად პატივცემულ მამებს. ამავე დროს მეფე ერეკლემ (Rex Heraclius) ჩემდამი წერილში გორის პატარა თემისათვის, რომელსაც მისცა სახლი, როგორც ცნობილია თბილისში, მთხოვა ღირსეული მამა გიორგის გაგზავნა. მასში[10] გამართეს საკურთხეველი და კათოლიკეები ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე

---

[1] ალბათ, იერონიმე და ნორჩა.
[2] ბერი დაყუდებული?
[3] იგულისხმება როსტომ რაჭის ერისთავი.
[4] იგულისხმება დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ბესარიონი.
[5] იგულისხმება ახალციხის ფაშა.
[6] იგულისხმება დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ბესარიონი.
[7] ე. ი. აკადებულს.
[8] იგულისხმება იმერეთის მეფე სოლომონ I (1752-1784).
[9] ე.ი. დიონისიოს.
[10] იგულისხმება გორის სახლში.

f. 180r.

ასრულებენ საიდუმლოებებსა და სხვა საეკლესიო მსახურებას. მამა ლაურენტის (P. Laurentius) (რომელსაც განუზრახავს თავის პროვინციაში დაბრუნება, რის გამოც ეწუხვარ, რადგან მას შეეძლო საკუთრივ პროვინციის მშენებელი ყოფილიყო) თვით უფალმა უბოძა მეფის (principe) წყალობა. ამ მიზეზით ამაეე მამა გიორგისთან გავგზავნე კაცი, რათა უკან გამომეხმო ართვინიდან, სადაც უკვე 6 თვეა მისიონში დიდი გულმოდგინებით ასრულებს თავის მოვალეობას, გამართა სკოლა და ასწავლიდა ბავშვებს, ხოლო იქაურ პირველმღვდელმთავრებს უსწორებდა ცდომილებებსა და ნაკლოვანებებს.

ორი კვირის წინ გავგზავნე მამა გიორგი გორში, მაგრამ მისი მისელის შესახებ ჯერ არაფერი მოსულა. ღირსმა მამა დომინიკემ (R. P Dominicus) და მამა ლაურენტიმ (P. Laurentius) მომწერეს, რომ აღდგომის შემდეგ მამა გიორგი მთავარმა თუ მეფემ[1], როგორც ქართველები უწოდებენ, თბილისში იხმო. ამის გამო საჭირო იყო მის ადგილზე სხვა მღვდელი გამეგზავნა. ეს ეუთხარი მამა ანდრიას, რომ მომზადებულიყო წასასვლელად. სხვა არავინ მყავს საქართველოში ახლა ისეთი, რომელმაც იცის ქართული ენა და მედიცინაშიც იყოს განსწავლული.

ფრიად ღირსეულსა და პატივცემულ მამას მორჩილი მსახური.

ძმა ალიოზ და პრაგა პრეფექტი, კაპუჩინი მისიონერი.

№19

კაპუჩინი მისიონერის დომენიკო და ტრიესტეს რელაცია წმინდა კონგრეგაციის ერთ-ერთი კარდინალისადმი[2]

საქართველო, თბილისი, 1775 წლის 24 ნოემბერი

f. 331r.

უწინ მქონდა პატივი ჩემი ღრმა პატივისცემა გამომეხატა მისადმი და მადლობა გადამეხადა თქვენთვის სომხურ და ლათინურ ენებზე ბეჭდური გამოცემის გამოგზავნისათვის. გაცნობებთ ზოგიერთ სიახლეს საქართველოს მისიონის შესახებ. რადგან რომიდან ჩემს წერილებზე არაფერს მპასუხობენ, მაქვს საბაბი ეჭვი შევიტანო, რომ ისინი შეიძლება [გზაზე] დაიკარგა. ამჟამად

---

[1] ცხადია, მეფე ერეკლე II-მ.

[2] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1761-1778. V. 3., ff. 331r-339v. წერილი დაწერილია იტალიურ ენაზე და ორიგინალიდან თარგმანი სრულად პირველად ქვეყნდება. პატ. მ.თამარაშვილმა თავის ცნობილ ნაშრომში მოტანილი აქვს ამ რელაციის ერთი ნაწილი (მ. თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა..., გე. 388-391)

ჩვენი მისიონი სომეხთა სასტიკი დევნის გამო მეტად დაცემულია. ეს მოხდა ეჩმიაძინის ანტიპატრიარქის, რომელსაც სიმონს[1] (Simone) ეძახიან, დიდძალი ფულის გაღებით, წაქეზებითა და მხარდაჭერით. ვალდებული ვარ თქვენს ფრიად პატივცემულებას მივაწოდო მოკლე და უტყუარი ინფორმაცია ამ უსამართლო დევნის შესახებ, რათა იგი შემდეგ თავაზიანად აუწყოთ პროპაგანდა ფიდეს ყოელადუწმინდეს მამებს, რომელთაც ჩვენ ვთხოვთ დახმარებას, მითითებებსა და განკარგულებებს, თუ რარიგ მოვიქცეთ, რომ ახლანდელი მტკივნეული მდგომარეობა დავამშვიდოთ.

გასული წლის მაისის[2] თვეში მეფე ერეკლემ თავისი მეორე ვაჟიშვილი ლევანი[3] დააქორწინა. ქორწილზე მოწვეული იყო არა მხოლოდ ამ ქვეყნის ყველა დიდებული, არამედ მრავალი უცხო [მხარის წარმომადგენელიელი], რომელთა შორის დაპატიჟებული იყო სომეხთა ზემოხსენებული ანტიპატრიარქიც; თუმცა ის ქორწილში თვითონ არ მოვიდა, მაგრამ თავის მაგიერად გამოაგზავნა ორი ეპისკოპოსი ვართაბეტი[4] (მათ შორის იყო ის ვართაბიეტი, რომელმაც რვა წლის წინათ ახალციხეში კათოლიკეების დევნა წააქეზა), რომელთაც 300 თუმნის, რაც ჩვენს ფულზე დაახლოებით 3000 სკუდოს უდრის, საჩუქრები გამოატანა. როგორც კი ქორწილი დამთავრდა, ორმა სომეხმა ვართაბიეტმა თავისი ხალხის[5] მღვდლებთან და დიდებულებთან იფიქრეს, რომ იმ საჩუქრების წყალობით, რომელიც ერეკლეს მიართვეს, ის[6] ნებისმიერ უსამართლო გადაწყვეტილებას მიემხრობოდა და ამით ესარგებლათ. ამიტომ ზემოხსენებული საჩუქრების გარდა, მათ [მეფეს] შესთავაზეს 700 თუმანი, ანუ 7000 სკუდო, იმ პირობით, რომ ერეკლე მეფე ნებას დართავდა, იძულებით ისევ სომხურ სარწმუნოებაზე მოექციათ არა მარტო 20 წლის მანძილზე კათოლიკობაზე მოქცეულნი, არამედ ამ ქალაქიდან[7] მამა-მისიონერების განდევნის შემდეგ სომეხი მღვდლების მიერ მონათლულთა მშობლებიც. მეფეს თვალი აუხვია არა იმდენად სომხების მაცდურმა დაპირებებმა, რომ ისინი ფულითა და საკუთარი სისხლით საჯაროდ დაიცავდნენ მას მტრებისაგან, რომლებიც ტახტის წართმევით ემუქრებოდნენ, რამდენადაც უფრო აცდუნა 700 თუმანმა მათ შეთავაზებაზე, რომ თითოეულ სომეხს, ვინც კი კათოლიკობასთან დათმობაზე მიდიოდა ისეთი გამძვინვარებით მოქცეოდნენ, როგორც მოისურვებდნენ.

---

[1] ეჩმიაძინის კათოლიკოს-პატრიარქი სიმეონ I (1763-1780).

[2] ე. ი. 1774 წლის მაისში.

[3] ლევან ბატონიშვილი (1756-1781).

[4] ვართაპეტი-სწავლული ბერი სომხურ ეკლესიაში, არქიმანდრიტი.

[5] ცხადია, იგულისხმება თბილისში მცხოვრები სომეხი მღვდლები და წარჩინებულნი.

[6] ე. ი. მეფე ერეკლე II.

[7] იგულისხმებიან თბილისში მცხოვრები სომხები.

ამრიგად, 3 ივნისს (ე. ი. ამ წერილის დაწერის, 1775 წლის 24 ნოემბერი, თარიღიდან გამომდინარე, ამაეე წლის 3 ივნისს) ზარების რეკვით სომეხმა ეპისკოპოსებმა იხმეს თავიანთი ხალხი და დახურეს ყველა დუქანი და სახელოსნო. [შეკრებილებმა] ერთხმად განაცხადეს, ენახოთ კათოლიკეები თუ როგორი სიმხდალითა და სიამაყით მოგვეპყრობიან და ამგვარად ვიხილავეთ, ვინ მიემხრო ჩვენს წმინდა სარწმუნოებას[1], რადგან შეშინებულნი გაგვშორდებიან, ხოლო ვინც მტრულადაა ჩვენი სარწმუნოებისადმი[2], ისინი კიდევ უფრო სასტიკნი გახდებიან. ყველა სომეხი შეიკრიბა და გაემართა მეფის სასახლის ერთ ძალიან ვრცელ ადგილზე, სადაც მეფე თავის რამდენიმე უკეთურ მოსამართლეს ხელმძღვანელობდა და [აქედან] გაგზავნილ პოლიციის ჩაფარს ხან ერთ, ხან მეორე, თითქოსდა განაწყენებული კათოლიკე მიჰყავდა; არ იბრალებდნენ ფეხმძიმე ქალებსაც, რომელთაგან ორს, შიშისა და ცუდი მოქცევის გამო, მალე მუცელი მოეშალა. აქ არ შემიძლია აღვწერო ის, თუ როგორი შეურაცხყოფით, დაცინვითა და გინებით მიათრევდნენ საწყალ კათოლიკეებს ამ არჩეულ მოსამართლეებთან. მათ წინაშე თუკი რომელიმე თავის დაცვას შეეცდებოდა, ყველა ხმას უწევდა და მათ ლანძღავდა და წყევლიდა; ის, ვინც უშიშრად განაცხადებდა, რომ სურს იცხოვროს და მოკვდეს ამ ორთოდოქსულ სარწმუნოებაში[3], მას დიდხანს უმოწყალოდ სცემდნენ, შემდეგ სატუსაღოში აგზავნიდნენ და მანამ არ ათავისუფლებდნენ, სანამ დიდძალ ფულს არ გადაახდევინებდნენ. ამის გამო ზოგი ჩვენი კათოლიკე დიდ გასაჭირში ჩავარდა, ხოლო ზოგი ვალებში ჩაეფლო. რამდენადაც ბევრი იყო კათოლიკობაში ბრალდებული, დევნა და სასამართლო პროცესი ორი თვე გაგრძელდა, რომლის განმავლობაში საშინელი მუქარითა და არაადამიანური მოპყრობით მათ ორივე სქესის 8 პირს უარი ათქმევინეს წმინდა სარწმუნოებაზე[4] და აიძულეს სომეხთა მწვალებლობა მიეღო. საჯაროდ ჩემი შერცხვენის მიზნით სამჯერ დამიბარეს ამ უკეთურ სასამართლოში, სადაც მაძლევდნენ ზოგიერთ ისეთ კითხვას, რომელიც უაზრობა იყო და მიზნად ისახავდა ჩვენი წმინდა სარწმუნოების აბუჩად აგდებას. მეფე ერეკლე მაშინ არ დასწრებია[5] სასამართლოს, რადგან ჩემი ძალიან რცხვენოდა, როგორც ეს მან ერთ თავის მესაიდუმლესთან აღიარა, 12 წლის მანძილზე ჩემი ერთგულებისა და მსახურების გამო.

---

[1] იგულისხმება კათოლიკური სარწმუნოება.

[2] იგულისხმება კათოლიკური სარწმუნოებისადმი.

[3] ე. ი. კათოლიკურ სარწმუნოებაში.

[4] ე. ი. კათოლიკურ სარწმუნოებაზე.

[5] ამ ინფორმაციის მიხედვით ჩანს, რომ ამ სამი დაკითხვის დროს მეფე ერეკლე II სასამართლოში არ მისულა.

როგორც კი ერეკლე მეფის უსამართლობა ყველასათვის ცხადი გახდა, ქართველ მართლმადიდებელთა დიდმა და საუკეთესო ნაწილმა, განსაკუთრებით ბერებმა, ეპისკოპოსებმა და მათმა კათალიკოსმა, ანუ პატრიარქმა[1] დაუფარავად გაიცხეს მეფის უსამართლო მოქცევა. არა მხოლოდ [ქართველი] მართლმადიდებელი ბერები, არამედ თვით პატრიარქიც, ასევე მეფის უფროსი შვილი, რომელთაც ევბრალებოდით ხანგრძლივი უსამართლო ჩაგერის გამო, მოვიდნენ ჩვენთან, რათა ევნუგეშებინეთ ჩვენს მწუხარებაში. მათ ეს ვერ გაეგოთ, თუ როგორ დააბრმავა და გაამძვინვარა ფულმა მეფე ერეკლე ისე, რომ ყურს არ უგდებდა საპატიცემლო ხელქვეითებს, როცა ისინი ჩვენს დახმარებაზე საუბრობდნენ. ამავე დროს, როცა სასტიკად გვდევნიდნენ, მუდამ მატყუარა მეფე ერეკლემ ერთი თავისი კარისკაცი ჩემთან გამოგზავნა და მამცნო: "ყოველგვარი ორგულობის გარეშე გარწმუნებთ, რომ ძალიან დაეალებული ვარ უფროსი პატრის, რომელიც მრავალ შემთხვევაში ერთგულად მემსახურა; ვიცი, რომ დამწუხრებული

f. 332r.

იქნება უსიამოვნებებითა და კინკლაობით, რომელიც ხდება კათოლიკეებსა და სომხებს შორის, მაგრამ უნდა მოითმინოს, რადგან ამას საჭიროებს ქვეყნის საქმეები; თუმცა, როგორც მამებისათვის, ასევე მათი ხალხისათვის შედეგი კარგი იქნება". ამის შემდეგ, როგორც უწინ, დიდი უსამართლობითა და სიამაყით აგრძელებდა საბრალო კათოლიკეების დევნას, რის შედეგად, ის ტირანს დაემსგავსა.

ამით არ დასრულებულა მეფე ერეკლეს მთელი უსამართლობა. ასრულებდა რა სომხებისადმი მიცემულ სხვა ხელსაყრელ დაპირებებს, მან კათოლიკეების წინააღმდეგ გამოსცა რამდენიმე უკეთური ბრძანება, [რომელიც] მჯერა, ეშმაკმა ჩააგონა. ამ ბრძანებებში მოჭორილი და ცრუ დაპირებების შემდეგ, ცუდად და ირიბად იყო რა ნათქვამი ჩვენს კათოლიკურ სარწმუნოებაზე, მან გადაჭრით დაადგინა: თუკი მომავალში რომელიმე სომეხი მიიღებს კათოლიკურ სარწმუნოებას, მას ორი თვით მიუსჯიან სატუსაღოს, სადაც სარჩოდ მხოლოდ პური და წყალი ექნება, ხოლო ერთი თვის აქ ყოფნის შემდეგ 300 კაცი გაწკეპლის, მთელი ქონება ჩამოერთმევა, მერე სახლიდან გააძევებენ სიცოცხლის ბოლომდე ერთ სოფელში, საიდანაც გაქცევას ვერ შეძლებს. პატრმა, რომელმაც კათოლიკობაზე მოაქცია რომელიმე, ჯარიმად უნდა გადაიხადოს 50 თუმანი, რაც უდრის 500 სკუდოს

[1] ცხადია, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ I ბაგრატიონი. ეს ნათლად ადასტურებს იმას, რომ ანტონ I-ს, როგორც თავისი დროის ყველაზე დიდ პროგრესულ ადამიანს, მეორედ მცხეთის ტახტზე ასვლის შემდეგაც არ შეუწყვეტია კათოლიკე სასულიერო პირთა მიმართ ლოიალური დამოკიდებულება და ქრისტესმიერი სიყვარულის გამოვლენა.

და ბოლოს, მეფის ქვეყნიდან[1] უნდა იქნეს გაძევებული. ეს არის მოკლედ ბარბაროსული ბრძანებები, რომელიც საინტერესოა, რაც ერეკლემ ფულის გამო გააკეთა. პროპაგანდა ფიდეს ყოველადუწმინდეს მამებს ვთხოვეთ, რომ

f. 333v.

აღმოგვიჩინონ ძალუმი დახმარება და ქმედითი მფარველობა მიმდინარე ამ საეალალო ვითარებაში, რათა ჩვენი წმინდა სარწმუნოების უფრო და უფრო მძვინვარე მტრების შემდგომი შეურაცხყოფისაგან გვიხსნან და გაგვათავისუფლონ. ამ მეტად ტანჯულ კათოლიკეებს, თუ უფლის განგება რამეგვარად არ შეეწევა, ადამიანურად რომ ვთქვა, ძალიან მეშინია, რომ ეს მისიონი, რომელიც ყველაზე მრავალრიცხოვანია მთელი სპარსეთის მისიონებში, ერთ დღეს ვერ ვიხილოთ იმ ძალის ამგვარი ხერხის გამო, რაც ანტიპატრიარქის[2] გულმოდგინე ეერაგულ იდეაშია მოცემული. დარწმუნებული ვარ, რომ მათი უწმინდესობის ბრძნულ გონებას უკეთ, როგორც ეს მორჩილს შეუძლია გაიგოს, ხელეწიფება ჩვენი მტრების რისხვა დააოკოს, თუმცა მათ, პატივსცემდნენ რა ყველაზე მორჩილს, კეთილგანწყობილი დანანებით მომისმინეს, რამდენადაც კათალიკოსმა ანდა ბერძნების პატრიარქმა[3] (Patriarcha delli greci), რომელსაც ძალიან სწყურია ნახოს მოთვინიერებული სომხები, მირჩია, რომ ამ ჩვენი საბრალო მისიონისათვის ძალიან სასარგებლო იქნება, თუკი საფრანგეთის კონსტანტინოპოლელი ელჩი და იმპერატორის[4] ინტერნუნციო[5] ჩაერეოდნენ. (რადგან ეს ორი სამეფო კარი, როგორც მეფე ერეკლესათვის, ასევე ანტიპატრიარქისათვის არის უფრო პატივსაცემი და მოსარიდებელი). მათ[6] ამ თემაზე ორივეს მოსწერეს, უჩიოდნენ პირველს, ე. ი. მეფე ერეკლეს, მისი პიროვნებისათვის შეუფერებელ საქციელს და კათოლიკეებისადმი უსამართლო დამოკიდებულებას, რომელმაც დროთა განმავლობაში შეიძლება მოუტანოს მას ბევრი ზიანი. ანტიპატრიარქს შეეძლო ეჩივლა ხსენებული ელჩებისათვის, რადგან ის კათოლიკეების დევნისთვის იყენებს ფულს, რომელიც იკრიბება დიდი ბატონის[7] ქვეყანაში, მაგრამ თუ ის თავს შეიკავებდა ასეთი უსამართლო საქმისაგან, ცხადია, დაკარგვის საფრთხის ქვეშ დააყენებდა [ფულის აკრეფის] ნებართვას, რომ მისმა ბერებმა დიდი ბატონის ქვეყანაში თავისი ხალხისა და ეკლესიისაგან მოაგროვოს [ეს ფული]; ასეთივე საჩივრით შეეძლო

---

[1] იგულისხმება აღმოსავლეთ საქართველოდან.

[2] იგულისხმება ეჩმიაძინის კათოლიკოს-პატრიარქი სიმეონ I (1763-1780).

[3] ცხადია, კონსტანტინოპოლის პატრიარქი.

[4] იგულისხმება რომის სალვთო იმპერიის იმპერატორი და ავსტრიის ერცერცოგი იოსებ II (1765-1790).

[5] ინტერნუნციო (internunzio /internuncio) - პაპის დიპლომატიური წარმომადგენელი, რანგით ნუნციუსზე დაბალი.

[6] საფრანგეთის ელჩმა და ინტერნუნციომ.

[7] ე. ი. ოსმალეთში.

მიემართა ორივე დესპანს კონსტანტინოპოლის სომეხთა პატრიარქისათვის, რომელიც იქ არის ეჩმიაძინის ანტიპატრიარქის აგენტი და შემდეგ ყოვლად უწმინდესი [კარდინალები] იფიქრებდნენ გამოსავალზე. მისწერდნენ წერილს შედეგის მისაღწევად ქერიმხან ვექილს (Charimchan Vechile), ანუ სპარსეთის სამეფოს ეიკარს. მჯერა, რომ იგი რაყამით ანუ ფირმანით, რომლის ძალით შემოვედი საქართველოში 13 წლის წინ, დაავალდებულებდა მეფე ერეკლეს და ეჩმიაძინის ანტიპატრიარქს, სპარსეთის ეიკარს დამორჩილებოდნენ. რუსეთის სამეფო კარის რეკომენდაციები ვერ მოგვცემს რაიმე ეფექტს, რადგან იგი უკმაყოფილო და ნაწყენია მეფე ერეკლესაგან და არც ესენი მოეკიდებიან [დადებითად] ამ სამეფო კარის რეკომენდაციებს. მეფეს გაამხნევებს თქვენი უგანათლებულესობისა და უწმინდესობის ის ინფორმაციები, რომლისაგან შემდეგ ულირსეულესი მამემი გაიგებენ, რა აიღონ ყველაზე წმინდა...(არ იკითხება)... ამ მისიონისათვის სასარგებლო და შეების მომტანი.

f. 338r.

დიდი ხნის მანძილზე ეცდილობდი მომენახულებინა ახალციხე. ბედმა მაშინ გამიღიმა, როცა ეისარგებლე ჩვენს მეფესა[1] და ახალციხის ფაშას შორის ზაეით განმტკიცებული ეითარებით და ვეწვიე ახალციხეს. ეიმედოვნებდი აქ ეიპოვიდი რაიმე დახმარებას თბილისის ამ სახლის ვალების დასაფარად, მაგრამ იმედები გამიცრუედა. ახალციხის სახლი ძალიან ღარიბული და მეტწილად ვალებში ჩაფლული ენახე, რადგან 1774 და 1775 წლის სუფსიდიებმა ჩვენამდე ვერ მოაღწია. ამის მიუხედავად, ვემორჩილები რა წმ. კონგრეგაციის საპატიო ბრძანებებს, ხელიდან არ გაეუშვი გზის გამონახეის საშუალება და მამა ფედელე და რიეოლტო და მორჩილი ძმა ფელიჩე და ფულინო დაუყოვნებლივ გავგზავნე გილანის პროეინციაში, რომელთა მგზავრობისათვის აუცილებელი იყო 500 პიასტრი, ვამბობ ხუთასსხეა ნიეთებთან ერთად. ეს სხეა ნიეთები, რომელიც მიეცი იმ სახლისათვის და ეს ფული, ასევე ეალად ავიღეთ პროცენტებში. მე არ ეფიქრობ, რომ წმინდა კონგრეგაცია ამ ხანგრძლივ მოგზაურობაზე გაღებულ ხარჯებს გადაჭარბებულად ჩათელის, რადგან ყოეელთვის ტერიტორიაზე, სადაც მისიონერებმა უნდა გაიარონ, ძვირია მებარგულები, აუცილებელია საჩუქრები, რომელიც უნდა მიართვა ხანს, სადაც უნდა ჩაეიდნენ აღმოსაელური ტანსაცმლით, აუცილებელია მედიკამენტები, რომლის გარეშეც არ მოგზაურობენ, ასევე სხეა საგნები და ფულიც, რომელთა უქონლად აქ შეუძლებელია რამდენიმე ხანი თაეი შეინახონ. ამასთან გარწმუნებთ, რომ საქართველოდან გილანში მისიონერების მგზაერობისათვის ორჯერ მეტი ხარჯია საჭირო, ეიდრე ეს მისიონერს ეეროპიდან საქართველომდე სჭირდება. ამ მიზეზით ჩვენი მისიონი მძიმე ვალებში იმყოფება. თქვენს უგანათლებულესობას და

[1] იგულისხმება მეფე ერეკლე II.

ყოველად პატიეცემულებას ეთხოვე, რათა გასული ორი წლის ფულადი დახმარება და მომაეალი წლის 500 პიასტრი, რომელიც გამოვიყენეთ გილანში ორი მისიონერის გაგზავნისათვის, რაც შეიძლება ჩქარა გამოაგზავნოთ ახალციხეში, რათა მისიონის ვალები არ გაიზარდოს პროცენტებისა და ასევე ფულის სესხად აღების, ან სხვა რაღაც აუცილებლობის გამო. თავს ვალდებულად მიეინნე ვთქვა სიტყვა იმ ფაქტზე, რაც მოხდა ამ ქალაქში[1], დევნის შემდეგ დღემდე მონსინიორ ისაიასთან, სპარსეთში სალმასტიის ეპისკოპოსთან დაკავშირებით, რომელიც რამდენიმე წლის წინ ნესტორიანელობიდან კათოლიკურ სარწმუნოებაზე მოექცა. ამ ეპისკოპოსს 13 წლის წინ გაეცანი ქერიმ ხანის[2] სპარსეთის სამეფოში ჩასელისას. ეს ეპისკოპოსი ისაია 8 წლის წინ ჩამოვიდა ამ ქალაქში მეფე ერეკლესთან, რომელსაც სურდა მის გაუკაცრიელებულ ქვეყანაში სხვადასხვა მეზობელი ქვეყნებიდან მრავალი ადამიანი ჩამოესახლებინა. ამ საქმეზე

f. 338 v.

ხსენებული ეპისკოპოსი ამ ქალაქში ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში დარჩა. ამ ხნის მანძილზე ის ყოველთვის ჩვენს სახლში თავის მღვდელ სახელად აბრაამთან ერთად წირვას აღავლენდა და მე არ ძალმიძდა მოემსახურებოდი [მათ] და პატივი მიმეგო ისე, როგორც ამას სახელმწიფო და სარწმუნოება ითხოვდა. თუმცა ერთხელ, ვიყავი რა უკმაყოფილო იმით, რომ ღამით სომხური რიტის სამ კათოლიკეს ფარულად უბოძა მღვდლის ხარისხი, გავაფრთხილე, რომ უმაღლესი პონტიფექსის[3] მიერ ბოძებული განსაკუთრებული პრივილეგიის გარეშე, მას არ შეეძლო სხვა რიტის მქონე პირის ხელთდასხმა. ამ ქალაქში მან ერთ წელზე მეტი დაჰყო, თუმცა თავისი პროექტი ვერ განახორციელა და გაემგზავრა თავის რეზიდენციაში ერევნის გავლით. აქ მან გაიარა სომეხთა ანტიპატრიარქთან, რომელმაც ის დონ აბრაამის გარეშე ეჩმიაძინში წაიყვანა, სადაც მე არ ვიცი რა მიზეზით, ან რა ხასიათის იყო დოკუმენტი ქალდეურ ენაზე, მონსინიორმა ისაიამ გადასცა ანტიპატრიარქს და არ ესვა რა მას ბეჭედი, ახლა იგი უკან გააგზავნეს ერევანში ანტიპატრიარქის კაცთან ერთად, რათა მას მოეწერა ხელი დოკუმენტზე. დონ აბრაამმა დაინახა რა, რომ დოკუმენტი დალუქა და ეჩმიაძინის კაცს გადასცა (არ ვიცი, წაიკითხა თუ არა მისი შინაარსი), თავისი ეპისკოპოსი ერეტიკოსად შერაცხა და შიშობდა, სალმასტის გზაზე ამ ორ მცველს შორის ჭკუაზე არ შეშლილიყო, მაგრამ ჩავიდა თუ არა ადგილზე, განხეთქილებამ იფეთქა. ასე რომ, ეპისკოპოსისაგან განდგომილი ზოგიერთი ადამიანი ხშირად დადიოდა დონ აბრაამის სახლში, რომელიც ეკლესიის

[1] იგულისხმება ქალაქი თბილისი.

[2] ქერიმ ხან ზენდი- ირანის შაჰი (1750-1779).

[3] ე. ი. რომის პაპის.

მაგიერობას ეწეოდა, ხოლო სხვები დადიოდნენ ეპისკოპოსის ეკლესიაში, რომელმაც არაერთხელ განკვეთა ეკლესიიდან დონ აბრაამი. ამ გათიშულობის დროს, რომელმაც თითოეულ კათოლიკე მგზაერში აღშფოთება გამოიწვია, მონსინიორ ისაიას ხორის ხანმა (Chano di Chori) ბრალი დასდო და ამ დანაშაულისათვის დააკისრა 30 თუმნის, ანუ 300 პიასტრის ჯარიმა; მე არ ვიცი მონსინიორი ამაში იყო თუ არა დამნაშავე, ან ეს იყო ტყუილი, რაც აღმოსაელეთში ხშირად ხდება. მონსინიორ ისაიას დადანაშაულებამ და დასჯამ, მეტად გაამძაფრა მტრობა დონ აბრაამთან, რომელზეც ისაია ეჭვობდა და, ყოველ შემთხვევაში, მას ადანაშაულებდა. ორი წელი გაეიდა, რაც ხორის ხანმა მეფე ერეკლეს მოწყალება სთხოვა, რომელმაც რამდენიმე ხნით გამოგზავნა მამა გიორგი და ტორინო, რათა მოთათბირებოდა მათ სოგიერთი მტრის შესახებ, რომელიც ჩვეულებრივ აწუხებდა მას. მეფე ერეკლე ხორის ხანს მოწყალე თვალით უყურებს და მამა გიორგიმ, რომელიც რამდენჯერმე დაბრუნდა მითხრა, რომ ის დიარბექირის მონსინიორისაგან, რომელიც, როცა ქალაქ ხორის მახლობლად სალმასტში იმყოფებოდა, რათა მონსინიორ ისაია და დონ აბრაამთან შეერიგებინა, ბრძანებებით ძალიან დაიღალა; ეს უკანასკნელი[1] კეთილად განეწყო, რაშიც მან

f. 339r.

მამა დაარწმუნა, მაგრამ მონსინიორ ისაიას, არ იხვედა რა უკან თავისი მრწამსიდან, არასოდეს სურდა თავის მღედელთან შერიგება და არ ემორჩილებოდა თავის კანონიერ წინამძღვარს, დიარბექირის მონსინიორს, რომელმაც, როგორც განსვენებული მამა გიორგი წერდა, კეთილგონიერულად ვერ გამოიყენა ეპისკოპოს ისაიასთან სიმკაცრე, ვინაიდან სჭარბობდა ჟინიანობა, რაც დიდ ზიანს არ აყენებს კათოლიკე საკრებულოს, მაგრამ ახდენს მათზე ზეწოლას. ეფიქრობ, ყველა ეს ინფორმაცია წარედგინება წმინდა კონგრეგაციას და თუ ირწმუნებენ მას, იგი უნდა შეფასდეს იმ ფაქტის მიხედვით, რაც ბოლო წლებში მოხდა თბილისში.

გასული მაისის თვეში ამ ქალაქში[2] ხსენებული მონსინიორი ისაია დაბრუნდა, რათა მეფე ერეკლეს მიერ სხვა წლებში გაკეთებული მსგავსი გეგმა განეახლებინა. შეეცადე ფრთხილად ჩაწვდომოდი მისი ჩამოსვლის [მიზანს]; რამდენადაც ის პირველად ასრულებდა ამას, ჩვენი სახლისა და ეკლესიის გარდა სხვას არას ხედავდა. ვხედავდი რა, რომ ამ მონსინიორის მეორე ჩამოსვლა საეჭვოთ სხვა სახეს იღებდა, გადაეწყვიტე, რომ მას მოეცა რაღაც ნამდვილი ჩანაწერი [იმის შესახებ], თუ რა იყო ნათქვამი ეშმიაძინის ანტიპატრიარქთან, მაგრამ ორი სომეხი ბერი ეპისკოპოსის წინაშე შიშით, რომლებიც იმ დროს ქალაქში აღმოჩნდნენ, არ მოვიდა ჩვენს ეკლესიაში. ჩემი

[1] იგულისხმება დონ აბრაამი.

[2] იგულისხმება თბილისი.

აზრი არ იყო დაუფიქრებელი, რადგან დევნის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე, მე ვეწვიე მეფე ერეკლეს და ის საუბრობდა რა მონსინიორ ისაიას ჩამოსვლის შესახებ, მკითხა: ეს ეპისკოპოსი იყო თუ არა ჩვენთან ეკლესიაში? ვუპასუხე როგორც ჭეშმარიტება ითხოვდა, რომ ეს მეორედ ჩამოსული ეკლესიაში არ ყოფილა, მეფემ საიდუმლოდ მითხრა: იცოდეთ, როცა პირველად ამ ქალაქში ჩამოვიდა სალმასტის ეპისკოპოსი, მე ვკითხე მას, როგორ გახდა ის კათოლიკე და მან მიპასუხა: მე ერთხელ მომატყუეს კათოლიკეებმა და სხვა რა ურთიერთობა უნდა მქონდეს მათთან. სომხებისგან კათოლიკეთა დევნა შემდეგ გზას მიუყებოდა; სომეხი ეპისკოპოსები მთელი სომეხი ხალხისა და დამღვდელოების თანდასწრებით მოუხმობდნენ ესაიას თავისკენ და ეკითხებოდნენ მიზეზს, თუ რატომ არ დადის სომხურ ეკლესიაში ღვთისმსახურებაზე, მისცა თუ არა მათ პატრიარქს წერილი, რომელიც სომხურ რწმენას აღიარებდა? ამდენი ადამიანის დასწრებით შეცბუნებულმა ეპისკოპოსმა ისაიამ სცადა პასუხებისგან თავი აერიდებინა, ხოლო ბოლოს მკვეთრად თქვა: დღეს ვსაჭიროებ იმაზე დაფიქრებას, რათა გავცე ადეკვატური პასუხი, თქვა ეს და მეტი არაფერი უთქვამს. მე მაინც ვერ შევძელი გამეგო, თუ რით დაასრულა მან საქმე სომხებთან, რომელიც გასული წლის აგვისტოს ბოლოს წავიდა თავის ქვეყანაში და ის მე მეტად არ მინახავს. თქვენს ფრიად პატივცემულობას და უგანათლებულესობას მე ამ ფაქტს მარტივად ვულაგებ, რადგან წმინდა კონგრეგაცია ამ ეპისკოპოსის საქციელზე გულუბრყვილოდ იყო ინფორმირებული და, თუკი გადმოვეცი ისეთი ფაქტი, რომელიც ჩემს თვალწინ მოხდა, ვშიშობდი ის არ გამომრჩენოდა. რამდენი არ ვეძიე, მაგრამ ვერ გავიგე, სპარსეთის მონსინიორ ეპისკოპოსი კორნოლიო

f. 339 v.

ევროპიდან დაბრუნდა თუ არა, ან ჩათელის ღირსად აქ, საქართველოში მყოფს, მკითხოს ჩემი გეზით მიწოდებული ინფორმაციის შესახებ, თუმცა ერთადერთმა ვიკარიუსმა გამოხატა ჩემდამი მადლობა.

თქვენს ფრიად პატივცემულებას და უგანათლებულესობას უმორჩილესად ვთხოვ, წმინდა კონგრეგაციამ გამოიყენოს თავისი ქმედითობა ამ საბრალო მისიონის საჭიროებებზე და გამოიჩინოს მისდამი მამისეული სიყვარული, რათა მან შეძლოს მიიღოს დახმარება, აღიდგინოს და გაიუმჯობესოს მდგომარეობა, მოკრძალებით გიკოცნით ხელს და მაქვს პატივი რწმენას მიესდიო.

თქვენს ყოველად პატივცემულებას და ფრიად უგანათლებულესობას

თბილისი, საქართველო, 24 დეკემბერი 1775

უმდაბლესი მსახური

ფრა. დომენიკო და ტრიესტე, კაპუჩინი, პრეფექტი ქალაქში.

№20

კაპუჩინი მისიონერის რელაცია წმინდა კონგრეგაციის ერთ-ერთ კარდინალს

საქართველო, თბილისი, 1777 წლის 24 იანვარი

ყოველადუწმინდესო ბატონო დიდად თაყვანსაცემო პატრონო[1]

f. 357r.

ჩემი სული მეტად ანუგეშა მიმდინარე წლის 20 იანვარს თქვენი ყოველადუწმინდესობის[2] გასული წლის 31 აგვისტოს წერილმა, რომელშიც წავიკითხე მწყემსებრივი ზრუნვა ამ გაჭირვებულ მისიონზე[3]; რომ მიმდინარე 1777 წელს მისიონს გასამრჯელოდ ეძლევა 500 პიასტრზე მეტი, რომელიც ჭრიად პატივცემულმა მამა-პროკურატორმა მოაგვარა და კონსტანტინოპოლში ძმა ფორტუნატო ტრენტოელთან უნდა გაეგზავნა. მას[4] არ მიუღია არანაირი დახმარება ამ დიდი მისიონის საჭიროებისათვის და ჩვენი კეთილისმყოფლისგან ისესხა 500 პიასტრი და გააგზავნა ახალციხეში იმ იმედით, რომ მისი მზრუნველობა გამოიწვევს კმაყოფილებას და საკმაო ფული მიეცემა. ამ კეთილ-სინდისიერი, გულითადი და გულმოდგინე ძმა ფორტუნატოს მსახურებითა და მზრუნველობით ესარგებლობ ამ მისიონში. ამ სასოწარკვეთილი კათოლიკეების დევნა დღესაც ისეთივე გაცხარებით გრძელდება, როგორც გასულ წელს[5] ეჩმიაძინის ერეტიკოსი პატრიარქის მიზეზით. მან საჩუქრების გაღებით, მოისყიდა მეფე ერეკლეს მსაჯულები და ამით შეეძლო ყველაფერი გაეკეთებინა, რასაც მძვინვარე გული უკარნახებდა. სამწუხაროდ, ერთი ამ მეტად ამაყი მეთაურის[6] მოსათვინიერებლად სხვა არანაირი საშუალება არსებობს, გარდა იმისა, რომ რომელიმე კათოლიკე ელჩმა ოსმალეთის კარზე გამონახოს საშუალება, რათა კონსტანტინოპოლის სომეხთა პატრიარქმა მიმართოს მასზე დამოკიდებული ეჩმიაძინის საკუთარ პატრიარქს, რომ საქართველოში კათოლიკეთა დევნას შეეშვას და არ დამორჩილდნენ თურქების მიერ მათ[7] დევნას კოსტანტინოპოლში. ...(არ იკითხება)... თქვენს ყოველადუწმინდესობას უკვე აუწყეს... მამა ფედელე და რივალტოს გილანში გარდაცვალების შესახებ აქ ჩამოსულიდან რამდენიმე თვის შემდეგ. დაღონებული ძმა ფელიჩე და ფულინო (Felice da Fuligno) დამწუხრებული მწერდა, რომ მარტო

---

[1] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1761-1778. V. 3., ff.357r-358r. **წერილი დაწერილია იტალიურ ენაზე და ორიგინალიდან თარგმანი პირველად ქვეყნდება**

[2] წმინდა კონგრეგაციის ერთ-ერთი კარდინალი.

[3] საუბარია თბილისის მისიონზე.

[4] ე. ი. ძმა ფორტუნატო ტრენტოელს.

[5] ე. ი. 1776 წელს.

[6] იგულისხმება ეჩმიაძინის პატრიარქი.

[7] ე. ი. კათოლიკეების.

f. 357 v.

დარჩა. გარდა ამისა, ის მატყობინებდა, რომ გილანის ხანთან, ან მთავართან, მცხოვრებ ხსენებულ მამას[1] ისინი დაპირდნენ მცირეოდენ სახსრებს, მაგრამ მან არ იცის, ამ ხალხის[2] მერყეევი ხასიათის გამო, რამდენ ხანს ექნება იგი დანიშნული. მე არ მიეიჩნიე, რომ მისთვის დაუყოვნებლივ გამეგზავნა მემკვიდრე-მისიონერი, რადგან აქამდე არ მიმიღია სრული ინფორმაცია ხსენებული ძმის[3] სტატუსის შესახებ, ან ამ ხანის პასუხისმგებელი პირებისაგან წერილი. თუნდაც იმიტომ, რომ გზაზე ხარჯების გარდა, აქედან გილანამდე აუტანელი გზაა, სადაც მისიონერი განიცდის თავდასხმასა და შეურაცხყოფას იმ ხანებისგან, რომელიც მას იმ გზაზე შეხვდება, როგორც ეს პირველ ორ მისიონერს გადახდა, რომელთაც ამ მთავრის[4] ბატონი[5] იცავდა, მაგრამ ისინი[6] ასევე [მათ] დაპატიმრებას ცდილობდნენ. ამიტომ მივენდობი რა თქვენი ყოლადღუწმინდესობის ბრძნულ გამჭრიახობას, ღირს დაფასება მოსკოვის ყველაზე იოლი გზისა, ასტრახანიდან გემით კასპიის ზღვაზე გილანისკენ, რომელიც დღეს ძალიან პოპულარულია და ამ მისიონის პრეფექტს სხვა დაბრკოლებებს მოუხსნის. მიუხედავად ბოლო დროს კარგი ურთიერთობისა, ამ მოგზაურობაში ყველა ხიფათის გამო, მე არ შევთავაზებ ამ გზას სხვა მისიონერს, რადგან საპირისპირომ [ამაში] დამარწმუნა.

ჩემი სხვა წერილი ოთხი თვეა ფრიად პატივცემული მამა პროკურატორის პრეფექტურაშია, რომელშიც ვთხოვე ჩემს პროვინციაში დაბრუნების ნებართვას არა მხოლოდ იმიტომ, რომ მეტის ატანა არ შემიძლია ამდენი გაჭირვებისაგან, ან უსარგებლო გახდა სერიოზული უძალობისა და შავი ჭირისაგან, ან ასაკისაგან, არამედ იმიტომ, რომ მამა ანდრია და პალერმოს უსრულდება თავისი ათწლეული და მომიწოდებს წასვლაზე, რადგან იცის, რომ ამ მისიონში არ შემწევს მეტი უნარი მსახურებისა, განსაკუთრებით დევნის ვითარებაში. რაც შეეხება მამა

f. 358r.

ანდრეას[7] მის კარგ დოქტრინაში, მისიონისა და ქვეყნების საქმეებზე, არის ღრმა წინდახედულობა და სარწმუნოებრივი სამაგალითოობა. უმორჩი-

---

[1] ე. ი. კაპუჩინ მისიონერს.
[2] იგულისხმება სპარსელების.
[3] იგულისხმება ძმა მისიონერი.
[4] იგულისხმება ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II.
[5] ე.ი. ერეკლე მეფის ვასალი.
[6] ე. ი. ხალები.
[7] საუბარია მამა ანდრეა და პალერმოზე.

ლესად ვთხოე თქვენს ყოელადუწმინდესობას, გამათავისუფლოთ პრეფექტობისაგან[1] და გაიღოთ წყალობა დაებრუნდე...(არ იკითხება)... ქრისტიანული მდგომარეობა, 16 წლის დაქანცული შრომის შემდეგ, რამდენადმე დაეტკბე ამ დასვენებით. დაახლოებით 40 წელი გავიდა, რომ კათოლიკეები მოკლებულნი არიან საიდუმლოების კონფირმაციას, რადგან ისპაანიდან აქამდე დიდი მანძილისა და სიძნელეების გამო, ვერ ხერხდება შესაფერისი ეპისკოპოსის მოელინება. მთელი ჩემი შეგნებით უმდაბლესად ვემორჩილები თქვენს ყოელადუწმინდესობასა და წმინდა კონგრეგაციის ნება-სურვილს, ვიტყოდი, რომ პრეფექტმა დროებით, თქვენს ყოელადუწმინდესობასთან შეთანხმებით, ისარგებლოს მისიონერებისადმი მინიჭებული პრივილეგიით "როცა ეკლესიაში ეპისკოპოსი არ არის, ურწმუნოები მან უნდა განაწესოს", ("mi partibus infdelium, ubi non adest Episcopus cattolicus"), რათა ამ ხალხს არ წაერთვას მირონცხების [საშუალება], რასაც სულმოუთქმელად ითხოვენ. ამ ვალდებულების ქვეშ მათი ამ მნიშვნელობით გამოყენებას ვგულისხმობ, თუმცა ამას არ იმსახურებს, მაგრამ მსურს მერწმუნოთ, მე ულირსი უმორჩილესად ვეამბორები თქვენს წმინდა ბისონს.

თქვენს ყოელადუწმინდესობას.

თბილისი, საქართველო, 24 იანვარი 1777.

№21

კაპუჩინი მისიონერის დომინიკო და ტრიესტეს რელაცია წმინდა კონგრეგაციის ერთ-ერთ კარდინალს[2]

თბილისი, 1779 წლის 10 აპრილი

f. 11r.

შეუძლებელია იმ დიდი ნუგეშის გადმოცემა, რომელიც განეიცადე [წერილის] ბოლო ფურცლების კითხვისას, რომელშიც მაუწყებენ რომიდან 18 მღვდლის გამოგზავნას, რომელთა შორისაა მამა ანდრეა, რომელსაც არაერთხელ ვთავაზობდი წმინდა კონგრეგაციას. ამიტომ სწრაფად მოეემზადე კონსტანტინოპოლში გასამგზავრებლად, სადაც იმედი მქონდა მიეუსწრებდი ორ ახალ მამა-მისიონერს და მიეიღებდი ევროპაში ჩემი გაგზავნის ბრძანებას, მაგრამ ჩემი გამგზავრებისათვის დანიშნულ წინა დღეს იმდენი

---

[1] ეს რელაცია ხელმოუწერელია. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამ რელაციის ავტორი თბილისის მისიონის პრეფექტია, ის უნდა იყოს დომინიკო და ტრიესტე, რადგან ეს უკანასკნელი შეცვალა ანდრია და პალერმომ.

[2] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1779-1790. V. 4., ff.11r-11v. **წერილი დაწერილია იტალიურ ენაზე და ორიგინალიდან თარგმანი სრულად პირველად ქვეყნდება.** ამ რელაციის პირველი ფურცელი მოტანილი აქვს პატ. მ. თამარაშვილს თავის ცნობილ წიგნში (**მ. თამარაშვილი.** ისტორია..., გვ. 392-393).

დარდი შემხვდა, რომ ვიფიქრე, სამუდამო დატუსაღება მომესაჯა, რადგან მეფე ერეკლემ იცოდა ჩემი დადგენილი გამგზავრების შესახებ, გადაჭრით შეეწინააღმდეგა ჩემს გადაწყვეტილებას და გამომიგზავნა თავისი ორი დიდი თანამდებობის პირი, რომელთაც მიმანიშნეს მიზეზზე, თუ რატომ არ მიშვებდა მეფე, ხოლო შემდეგ მეფემ ოფიციალურ მიღებაზე დაასახელა მისეზები, ე. ი. (ეს მეფე ერეკლეს სიტყვებია): 1. ვერ დაგუშვებ თქვენს გამგზავრებას, რადგან თქვენი პიროვნება მე მჭირდება; 2. ქართველ საერო მღვდლებსა და ბერ-მონაზვნებს აქ სურთ თქვენი ყოფნა; 3. მიუხედავად იმისა, რომ სომხები კათოლიკეების დიდი მტრები არიან, მაგრამ აფასებენ თქვენს პიროვნებას და ძალიან უყვარხართ; 4. თქვენმა კათოლიკე ხალხმა წერილობით მთხოვა, რომ არ გაგიშვათ, რადგან ითვალისწინებენ სულიერ ზიანს, რომელიც შეიძლება თქვენი წასვლით მიადგეთ. შემდეგ, ბოლოს, მან ასე დაასრულა: "ძალას ვერ დაგატანთ ნაწილობრივ თქვენდამი სიყვარულის გამო, ნაწილობრივ იმის გამო, რომ თქვენ არ ხართ ჩემი ქვეშევრდომი, თუმცა წინასწარვე ვხედავ, თუ თქვენ წახვალთ, ძალიან სწრაფად იმძლავრებს უწესრიგობა სომხებსა, რომლებიც ამ ქალაქში ძალიან მრავალრიცხოვანი და ძლიერნი არიან და მცირერიცხოვან კათოლიკეებს შორის. ამით კათოლიკეებს მიადგებათ ფიზიკური და სულიერი ზიანი და ყოველივე ამის მიზეზი თქვენი დაჟინებული გამგზავრება იქნებაო". ვერ წარმოიდგენთ, თუ რამდენი ეეხვეწე

f. 11 v.

ხსენებულ მეფეს[1], რათა დამერწმუნებინა, რომ გადაწყვეტილი გამგზავრების შესახებ ნება მოეცა, მაგრამ მუდმივად იმეორებდა დასახელებულ მიზეზებსა და დასკვნას, ასევე დამპირდა, მომავალში ჩემზე წყალობას გაიღებდა...(არ იკითხება)...ზემოხსენებული წერილობითი დასკვნით შეშინებულმა ვერანაირად ვერ მოვახერხე მეპოვა პიროვნება, რომელიც მეფე ერეკლესთან...(არ იკითხება)... ჩემი ნამუსი, რომ ამას გვერდს ვერ ავუვლიდი, რომ ამ მისიონის მონად ვარ მიჩნეული, რომლისთვისაც ელოცულობ, რომ უზენაესს სურდა ეს მონობა ჩემი ცოდვების მისატევებლად დაეშვა...(არ იკითხება)... როგორ იქნება ჩემი გათავისუფლებით გახარებული. ნებისმიერ შემთხვევაში მე არ დავრჩები პრეფექტად, უფრო სწორად, გთხოეთ დაუყოვნებლივ გამიწვიოთ, გამიწიეთ რეკომენდაცია სხვა სამეფო კარზე, თუ რა და როგორ შეგატყობინებთ...(არ იკითხება)... არაფერი არ დამრჩა, გარდა თქვენი ლოცვებისა, რომ სამეფოების მბრძანებლებმა[2] გამათავისუფლონ ამ ქვეყნისაგან[3].

მინაწერი

დიდად პატივცემულო მამაო: ერთი ჩვენი კონსტანტინოპოლელი კათოლიკე ასატურას შეილმა გააკეთა ვერცხლის ძაფი, აიღო აქ იგი თბილისში

[1] ე. ი. მეფე ერეკლე II-ს.

[2] ალბათ, იგულისხმება დასავლეთ ევროპის მონარქებმა.

[3] ე. ი. საქართველოს მისიონისაგან.

ჩემგან, რაზეც მან მისწერა მის სიძეებს, რომელთაგან ერთს ჰქვია სიმონი. ეს უკანასკნელი კონსტანტინოპოლ'ში აკეთებს ჩიბუხებს, ხოლო მეორე მარჯვედ ეაჯრობდა შეკერილი გორგლებით...(არ იკითხება)..პატივისცემის ნიშნად მისცენ სახლი და ითხოვეს თავის წილად, რომ სახლი გადასცენ მის უწმინდესობას და შემდეგ შემატყობინეთ, რამდენი არის მისაცემი, რაზე მიანიშნოს, როგორ სურს მას ეს გადასცეს. ეს ალექსანდრე კარგი ადამიანია და ამიტომ გეეედრებით, რომ წყალობა უყოთ. ის გეტყვით ამის შესახებ, საკუთრიე წარმოგიდგენთ თავს და ამის გარეშეც ვალდებულია ისინი ეძებოს. საეარდისთვის[1] ჩემს მემკვიდრეს დაეუტოვე საფასური.

უმორჩილესი მსახური, ძმა დომენიკო და ტრიესტე, კაპუჩინი, პრეფექტი და მთავარი ეიკარი საქართველოში.

№22

კაპუჩინი მისიონერი მაურო და ვერონას რელაცია რომის ერთ-ერთ კარდინალს

თბილისი, 1781 წლის 14 მარტი ძველი სტილით

თქვენო ყოელადუწმინდესობა[2]

f. 44 r.

დღეანდელი ამ ქვეყნის აბსოლუტური პატრონის, მეფე ერეკლეს, საპატიო ბრძანებები მაძლევს შემთხვევას თქვენი ფრიად პატივცემულების წინაშე წარვსდგე. ამ მეფეს სურს, რომ მის იმპერატორობით უდიდებულესობას[3] წარუდგინოს თავისი რამდენიმე საგანგებო საქმე. [ისარგებლა რა იმ] შემთხვევით, რომ ამ მისიონის ექსპრეფექტი დომინიკო და ტრიესტე, რომელსაც [მეფე] პატივისცემით ეკიდებოდა, როგორც გულითად ადამიანს, ვისაც დიდი ოსტატობით შეეძლო რთული საქმეების მოგვარება[4], მას მიანდო

---

[1] "საეარდე" ("Rosario")-მარიამისადმი მიძღვნილი ლოცვა, ჩამოყალიბებული 1400 წლის ახლოს. შედგება ათეულებად დაყოფილი 150 გიხაროდენისაგან, რომლებიც ერთმანეთისაგან გამოიყოფა მამაო ჩვენოს და დიდების ლოცვებით და "საიდუმლოდ" წოდებული ქრისტეს ცხოერების რომელიმე ფაქტის ხსენებით, რომლის შესახებაც გრძელდება მედიტაცია ათეულის წარმოთქმისას. (**პიერო პეტროზილო.** ქრისტიანობის ლექსიკონი, თბ., 2011, გვ. 283).

[2] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1779-1790. V. 4., ff. 44r-45r. **წერილი დაწერილია იტალიურ ენაზე და ორიგინალიდან თარგმანი სრულად პირველად ქვეყნდება.** ამ რელაციის ორი ფურცელი მოტანილი აქვს პატ. მ. თამარაშვილს თავის ცნობილ წიგნში (**მ. თამარაშვილი.** ისტორია..., გვ. 398-399). შეეცადეთ წინამდებარე რელაციის თარგმანი უფრო ზუსტი ყოფილიყო, ეიდრე ეს პატ. მ. თამარაშვილთან არის.

[3] იგულისხმება რომის საღეთო იმპერიის იმპერატორი და ავსტრიის ერცჰერცოგი იოსებ II (1765-1790).

[4] როგორც ამ ინფორმაციიდან ირკვევა, დომენიკო და ტრიესტე, ტერჯესტის მისიონის ყოფილი პრეფექტი, ფლობდა დიპლომატიური მოლაპარაკებების უნარს და

მისი შესრულება. ამიტომ მას უბრძანა, რომ პირველად მიეიდეს თქვენს ყოვლადუწმინდესობასთან[1], რათა ჩემი ეს წერილი წარმოგიდგინოთ; [მეფე ერეკლემ წერილში] მეც მიბრძანა, შეევედრო თქვენს ყოვლადუწმინდესობას, რომ გვერდზე გადადოს მისიონში მრავალი წლის მანძილზე ყველა მისი[2] პირადი დამსახურება და მიიღოს ის, როგორც მეფის მიერ გაგზავნილი [დესპანი] არა მხოლოდ მის ყოვლადუწმინდესობასთან, რომლისადმი უნდა გამოხატოს თავისი ერთგულება და გულმოდგინება, არამედ კელავ გააგზავნოს მის იმპერატორობით უდიდებულესობასთან, რათა აწარმოოს [დიპლომატიური] მოლაპარაკება მის რამდენიმე საჩქარო საქმეზე. ამ მიზნით ის[3]

f. 44 v.

კიდევ ერთხელ ევედრება თქვენს უწმინდესობას, რომ მას[4] სურს მის უდიდებულესობასთან [დომენიკოს] თან აახლოს სარეკომენდაციო წერილი, რომელიც მის უდიდებულესობას არა მხოლოდ სულიერად შთააგონებდა, არამედ მნიშვნელოვანი საქმის მქონე ადამიანებთან მოლაპარაკების, პატივისცემისა და მზრუნველობის სურვილს აღუძრავდა. ეს მეფე, როგორც მადლიერი და ძალიან კეთილი გულის პატრონი, საჯაროდ აცხადებს, რომ უფრო განუხრელად და მხურვალედ დაიცავს კათოლიკე ეკლესიას[5], ვიდრე ეს ოდესმე იყო. ნებისმიერი შუამდგომლობა, რასაც თქვენი უწმინდესობა გასწევს მისი უდიდებულესობა იმპერატორის წინაშე, საჯაროდ აცხადებს მეფე და ფიცავს, რომ თქვენი უწმინდესობა არ ინანებს, არამედ პირიქით, ისინი ბლომად ნახავენ შესაბამის ეფექტსა და სამსახურს. ყველაფერი, რაც დავწერე, ამაეე მეფე ერეკლეს პირითაა [ნათქვამი] და მისი გრძნობებითაა [გადმოცემული].

მე უფრო მეტად, ვიდრე ნებისმიერი სხვა, ვაგებ პასუხს ამ წერილზე, რადგან მისი ღირსება, მამა პრეფექტი ამ ქალაქში[6] არ ბინადრობს, არამედ გორშია. ძმა ალესიოს, რომელიც ასევე იმყოფება თბილისში, არა აქვს კავშირი სამეფო კართან და მის შესახებ ბევრი არ იცის.

ამ ნიშნით შეარჩია ის ერეკლე მეფემ, რომ დიპლომატიური მისიით გაეგზავნა დასაელეთში. დომენიკო და ტრიესტეს ამ მისიის შესრულება არ დასცალდა, რადგან დასაელეთის გზაზე, ის 1781 წლის 3 იელისს, კონსტანტინოპოლში გარდაიცვალა (მ. თამარაშვილი. ისტორია..., გე399; ი. ტაბაღუა. საქართველო საერთაშორისო არენაზე XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, თბილისი, 1979, გვ. 62).

[1] ანუ წმინდა კონგრეგაციის კარდინალი, უფრო შესაძლებელია, კარდინალ-პრეფექტი.

[2] დომენიკო და ტრიესტეს.

[3] მეფე ერეკლე II.

[4] მეფე ერეკლე II-ს.

[5] ცხადია, რომის საღეთო იმპერიის იმპერატორის იოსებ II-ის მიერ ერეკლე მეფის თხოვნისადმი სათანადო დახმარების აღმოჩენის სანაცვლოდ.

[6] იგულისხმება ქალაქი თბილისი.

f. 45r.

ამის გამო, თავს უფლებას ვაძლევ მიეუნდო აგრეთვე მათ წმინდა მანტიას, რათა პატივის მიგებით საჯაროდ განეაცხადო.

თბილისი, 14 მარტი-ძველი სტილი, 1781.

თქვენს უწმინდესობას.

P.S.

ამ დილით, 16 მარტს, მეფე ერეკლემ მიბრძანა, თქვენს უწმინდესობას შეეატყობინებინა, რომ წერილის მიმტანი მამა-მისიონერი დომენიკო ვენაში, რაც შეიძლება მალე გაგზავნოს.

ძმა მაურო და ვერონა[1]

№23

მორჩილი ფორტუნატო და ტრენტო მამა დომენიკო და ტრიესტეს შესახებ[2]

კონსტანტინოპოლი, 1781 წლის 18 აგვისტო

f. 45 v.

ძმა ფორტუნატო და ტრენტო[3] ბევრს წერს მამა დომენიკო და ტრიესტეს შესახებ. ის 3 ივლისს[4] მოვიდა მის სამყოფელში[5], როცა მან[6] დაასრულა

---

[1] კაპუჩინი მისიონერი მამა მაურო და ვერონა, ვერონასა და ვენეციის პროვინციის მოქადაგე და სამოციქულო მისიონერი, საქართველოში ჩამოვიდა 1776 წელს (ი. ტაბაღუა. საქართველო საერთაშორისო.., გვ. 82. დოკუმენტი №5). ერეკლე მეფეს მამა მაუროს კანდიდატურა წარუდგინა საქართველოში კაპუჩინთა მისიონის პრეფექტმა ანდრეა და პალერმომ (ი. ტაბაღუა. საქართველო საერთაშორისო.., გვ. 85. დოკუმენტი №8).

[2] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1779-1790. V. 4., f. 45v. **წერილი დაწერილია იტალიურ ენაზე და ორიგინალიდან თარგმანი პირველად ქვეყნდება.**

[3] ჩანს, კაპუჩინი ძმა ფორტუნატო და ტრენტო რომაულ-კათოლიკური ეკლესიის კონსტანტინოპოლის სამოციქულო ვიკარიატში ეწეოდა სასულიერო საქმიანობას.

[4] პატ. მ. თამარაშვილის თანახმად, დომენიკო და ტრიესტე კონსტანტინოპოლში ჩავიდა 1781 წლის 20 ივნისს და იქვე, პერაში, მოულოდნელად გარდაიცვალა 3 ივლისს. "ხსენებული ძმა ფორთუნათო (უნდა იყოს ფორტუნატო-ავტ.), მისი სიკვდილის შემდგომ უგზავნის კარდინალს აქ მოყვანილ წერილს იმპერატორის წიგნს და სთხოვს, წიგნი იმპერატორს მიაწვდინოს"- წერს პატ. მ. თამარაშვილი (მ. თამარაშვილი. ისტორია...,გვ. 399). დღემდე უცნობია, თუ რა ბედი ეწია ერეკლე მეფის წერილებს, თუ წერილს, რომელიც დომენიკე და ტრიესტეს მიჰქონდა. არც ისაა ცნობილი, თუ დასაელეთის რამდენ მონარქთან მიჰქონდა წერილი დომენიკოს. მ. პაპაშვილის აზრით, "...პატრ დომენიკეს მიჰქონდა წერილი რომის პაპისა და ავსტრიის იმპერატორისათვის, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ კონსტანტინოპოლში დაიკარგა" (მ. პაპაშვილი. საქართველო-რომის..., გვ. 277)

[5] ე. ი. კონსტანტინოპოლში.

[6] იგულისხმება დომენიკო და ტრიესტე.

თავისი მისია საქართველოში[1] და კონსტანტინოპოლში დაბრუნდა. მეფემ[2] [მას] იმპერატორთან[3] სასწრაფო საქმეები [დაავალა]; თქვენი მეფის ერეკლეს წერილი გადასცა და ამის უფლება ჰქონდა, რადგან პატრის[4] სჯეროდა.

მეფე ერეკლე, როგორც თბილისში მისიონერი მამა მაურო და ეერონა წერს წმინდა კონგრეგაციას, სთხოვს მასზე[5] მზრუნველობას და ყველას მადლობას აღუთქვამს.

[კონსტანტინოპოლი] 18 აგვისტო, 1781.

№24

კაპუჩინი მისიონერის ანდრეა და პალერმოს რელაცია რომის ერთ-ერთი კარდინალისადმი

გორი, 1782 წლის 25 აგვისტო

ყოვლადუწმინდესო ბატონო[6]

£ 99r.

1779 წლის აგვისტოს ბოლოს, იმერეთის მეფე სოლომონისაგან[7] სასწარაფოდ გამოგზავნილი [შიკრიკის] მიზეზით, არ მქონდა შესაძლებლობა თანდართული წერილი[8] გადამეწერა და მის შინაარსს გაეცნობოდი; რადგან არ შემეძლო წერილი დამეყოვნებინა, ან უკან გამეგზავნა, მას მსვლელობა მიეცი. ცოტა ხნის შემდეგ, როცა წავიკითხე სოლომონის თარგმნილი წერილი[9] და მისი უწმინდესობის მიმდინარე წლის 5 ივლისის ეპისტოლე[10],

---

[1] ამ ინფორმაციით ირკვევა, რომ დომენიკო და ტრიესტეს საქართველოში სამისიონერო ვადა ამოწურული ჰქონდა.

[2] იგულისხმება მეფე ერეკლე II-მ.

[3] იგულისხმება რომის საღვთო იმპერიის იმპერატორი და ავსტრიის ერცერცოგი იოსებ II (1765-1790).

[4] იგულისხმება დომენიკო და ტრიესტე.

[5] ე.ი. დომენიკე და ტრიესტეზე.

[6] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1779-1790. V. 4., ff. 99r-102 v. **წერილი დაწერილია იტალიურ ენაზე და ორიგინალიდან თარგმანი პირველად ქვეყნდება.**

[7] იმერეთის მეფე სოლომონ I (1752-1784).

[8] საუბარია იმერეთის მეფე სოლომონ I-ის 1779 წლის 15 აგვისტოს წერილზე, რომელიც მისწერა რომის პაპ პიუს VI (1775-1799) და ითხოვდა ორი ექიმისა და ერთი საათის გამოგზავნას (დაწერ. იხ: მ. თამარაშვილი. ისტორია..., გვ. 395).

[9] სოლომონ I-ის მიერ პაპ პიუს VI-სადმი ქართულ ენაზე მიწერილი წერილის იტალიურ თარგმანს პატ. მ. თამარაშვილმა მიაკვლია პარიზის ბიბლიოთეკაში (მ. თამარაშვილი. ისტორია..., გვ.395).

[10] თუ ეს ინფორმაცია სწორია, ჩანს, 1781 წლის 27 იანვრის წერილის შემდეგ (მ. თამარაშვილი. ისტორია..., გვ. 396), რომის პაპმა 1781 წლის 5 ივლისს სოლომონ

რომელიც მიეიღე ანტონ გორელის[1] ხელით...(არ იკითხება)... მონსინიორ კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსის მოკლე მითითებით საათთან ერთად, რომ ამ მხარეში დაკარგული მისიონის

f. 99 v.

დაბრუნება იქნებ საათის მირთმევით არ ღირდეს. ამ შემთხვევაში საათი წმინდა კონგრეგაციის ახალ ბრძანებამდე [ჩემთან] უნდა შევინახო.

1779 წლის ივნისის თვეში მეფე სოლომონთან ვითათბირე დაკარგული მისიონის[2] დაბრუნების შესახებ. ჯერ კიდევ ორი წელი არ გასულა, რაც [კათოლიკე] მამები გააძევეს[3], ხოლო ეკლესია ბერძენი ბერების მეცადინეობით ჩამოგვერთვა. ამა წლის თებერვლის თვეში სოლომონის სიძის მეშვეობით გავიგე, რომ მამები [იმერეთში] მიხმობდნენ. დღეს მამა-მისიონერები იმყოფებიან იმერეთის ქალაქ ქუთაისში და რელიგიურ მსახურებას თავისუფლად ეწევიან. ეკლესია მეტადრე არ დაგვიბრუნდება, რადგან ბერძნების მფლობელობაშია, მაგრამ ქალაქში შემოგვთავაზეს ადგილი, რათა გვქონოდა შესაძლებლობა, რომ ჩვენი სახსრებით აგვეგო ეკლესია.

f. 100r.

სომეხი ერეტიკოსები ეწინააღმდეგებიან ჩვენს რიტს[4], რომლის [თავისუფლება მეფე] სოლომონმა გვიბოძა და ამ წელს სახელმწიფოს მოქრთამული მსახურები დეევნიდნენ. ამ თვის ბოლოს მეფე ერეკლე და მეფე სოლომონი სამხრეთის მთებში შეხვდნენ ერთმანეთს და მათ შორის წარმოიშვა რამდენიმე უსამოვნება და მეც ასევე მჭირდება ცოტა მომზადება, რომ [ამ] არაკეთილგანწყობისას, [არ] ვისაუბრო იქ მისიონის[5] დაფუძნებაზე. თუმცა იმერეთის [სამეფოს] სისტემაც ისეთივე არასტაბილურია. თუკი თქვენი

მეფეს, ახლა მეორედ მოსწერა წერილი. თუ ეს ასეა, ირკვევა, რომ ანტონ გორელი (პაპის ეპისტოლეს დაწერიდან-5 იელისი, ანდრია და პალერმოს ამ რელაციის დაწერამდე-25 აგვისტო) რომიდან ძალიან სწრაფად ჩამოსულა საქართველოში.

[1] მორჩილი ძმა ანტონ გორელი კაპუჩინებთან შემონაზვნებული ქართველია. საფიქრებელია, მან დაამთავრა წმინდა კონგრეგაციის კოლეჯი. ანტონმა სამისიონერო მსაქმიანობა თბილისში დაიწყო. შემდეგ ის 1779 წელს თბილისის კაპუჩინთა პრეფექტმა, რაღაც საჭირო საქმის გამო, რომში გაგზავნა, სადაც 1781 წელს კაპუჩინთა ორდენში შევიდა. ამავე წელს ანტონი საქართველოში დაბრუნდა. როგორც ირკვევა, ის საუკეთესო მკურნალი ყოფილა. ანტონ გორელი რიგით მეოთხე ქართველი იყო, რომელიც კაპუჩინთა ორდენში შევიდა (მ. ბაბაშვილი. საქართველო-რომის..., გვ. 173).

[2] ცხადია, ქუთაისის მისიონი.

[3] ირკვევა, რომ ქუთაისში კათოლიკეებს 1777 წელს, თუ 1778 წელს ჩამოართვეს ეკლესია.

[4] იგულისხმება კათოლიკური ლიტურგია.

[5] ალბათ, გულისხმობს ეკლესიის დაბრუნებას.

ყოველადწმინდესობა ნებას მომცემს თავისუფლად მოგწეროთ, გარწმუნებთ, თუ იმერეთში ეცოდინებათ, რაც აქ მოხდა [პაპის] ეპისტოლესთან[1] და საათთან ერთად (როგორც მათ რუსეთიდან გაიგეს, რომ წმინდა მამა ეუნაში ჩავიდა), მე ვიქნები მატყუარა, ვინაიდან ვარ გულქვა და არ წარვადგინე ეს საათი[2], რომელიც მგზაერობის დროს ცოტაოდენ გატყდა და

f. 100 v.

მას მოწონებით არ შეხვდებოდნენ, როგორც ეს მოსალოდნელი იყო ამ ორი მეფის ბანაკიდან. საათი, რომელიც რეკავს და ღირსია მონარქის სასახლისა, მან საჩუქრად მიიღო ახალციხის ფაშასა და ეჰმიაძინის სომეხთა ერეტიკოსი პატრიარქისაგან. მე ვარჩევდი (თუკი მეცოდინებოდა სოლომონის თხოვნის შესახებ), რომ საგამოფენო საათი განზრახვის კარგად შესრულებისათვის ბრწყინვალე გაკეთილი იქნებოდა. სხვა მხრივ, მივენდობი იმას, რასაც თქვენი ყოველადწმინდესობა მიბრძანებს; ამასობაში, აქ იმ გარემოებებს შევეხები, რომელიც უფლისათვის ასე მნიშვნელოვანი იქნება. ვერასოდეს ვერ ვეტყვი [მეფე] სოლომონს, რომ მისი უწმიდესობა მას [არ] უგზავნის ექიმს. მე კი იმერეთიდან განშორება არ მინდა და არც სოლომონი სიცოცხლეში მას არ დაითხოვს... (არ იკითხება)...საჩუქარზე.

f. 101r.

1781 წლის აპრილის თვეში მამები იმერეთიდან გააძევეს. ამ სახელმწიფოს[3] საზღვარი იწყება დადიანის სამთავროდან, რომლის შემადგენლობაში შედის ლეჩხუმის რაიონი, სამეგრელოს ოდიში, კავკასიის აფხაზეთის ნაწილი ჩერქეზეთამდე. რაც შეეხება ქუთაისის [კათოლიკე] მოსახლეებს, რომელნიც დარჩნენ სამრეელო მღვდლის გარეშე, სოლომონ [მეფესთან] ხმამაღლა ჩიოდნენ. დაეთანხმდი მთავარ დადიანს და შემდეგ მისგან მიეიღე მსგავსი ბარათი, რომელშიც მპირდება სარწმუნოებრივი საქმიანობის აღსრულებას, სახლსა და ეკლესიას, რომელიც ფაქტობრივად მოგვცა; [ასევე დადიანი გვპირდება] ჩვენი წმინდა სარწმუნოების მიღების თავისუფლებას, ბერძნების, ვინც არ უნდა იყოს სომეხი ერეტიკოსის, წარმართი ებრაელების ალაგმვას. დეკემბრის თვეში ექიმის სახით გავგზავნე ერთი მისიონერი, რათა ქუთაისთან ახლოს მღვდელს შესძლებოდა მიეღო ცოტაოდენი... (არ იკითხება)... სჭირდებათ ქუთათელებს

---

[1] ჩანს, პაპის 1781 წლის 5 იელისის ეპისტოლე სოლომონ მეფისათვის არ გადაუციათ.

[2] ეს საათი რომიდან ჩამოიტანა ანტონ გორელმა (მ.პაპაშვილი. საქართველო-რომის..., გვ. 273). ჩანს, გზაზე იგი დაზიანდა. როგორც ირკვევა, პრეფექტმა ანდრია და პალერმომ უხერხულად მიიჩნია იგი მიერთმია სოლომონ მეფისათვის. თანაც ჩანს, ეს საათი ვერ შეედრებოდა ახალციხის ფაშასა და ეჩმიაძინის პატრიარქის მიერ სოლომონისათვის საჩუქრად ბოძებული საათისაგან.

[3] იგულისხმება იმერეთის სამეფო.

f. 101 v.

კათოლიკეები. იმ შემთხვევაში, თუ იმერეთის მისიონი განმტკიცდება, სხვა უფრო მეტის მიღება დადიანის სამთაეროდან მოსალოდნელი არაა, გარდა იმედისა, რომ რამდენიმე წარმართი და ერეტიკოსი მოექცევა წმინდა სარწმუნოებაზე. სხვა მხრივ, ჩვენ მთავარ დადიანს[1] ვუყვარვართ და მთელი [მისი] დავალება მეფე სოლომონის საწინააღმდეგოა. არაეითარი ცვლილებები არ მოხდება მანამდე, სანამ არ დავინახავთ იმერეთისა და სადადიანოს ორ ხსენებულ ალაგას როგორ დაედგამთ ფეხს. რაც შეეხება საქართველოს ამ მისიონს[2], ამ წელს ექვსი თვის მანძილზე ხანგრძლივ დევნას განვიცდიდით. იგი დაიწყო იანვრის თვეში აქ გორში, როცა მე თბილისში ვიმყოფებოდი. მან დიდი მხარდაჭერა მიიღო ერეტიკოსებისაგან.

f. 102r.

სხვადასხვა ცხოერებისა [წესისა] და წარმოშობის ერეტიკოსნი გაერთიანდნენ და ახალ ეკლესიას დაუწყეს ქეების დაშენა. კათოლიკეთა ოჯახის უფროსები გაიქცნენ თბილისში, მიმართეს მეფეს[3] და ექვსი თვის შემდეგ გამოტანილი იქნა კათოლიკეთა სასარგებლო გადაწყვეტილება. ერეტიკოსები მოითხოვდნენ, რომ ისინი, რომლებიც 27 წლის წინათ გახდნენ კათოლიკეები, არმენიზმს[4] დაბრუნებოდნენ; და მეფის ბრძანებამ, რომ 1779 წლის დევნის შემდეგ ახალი კათოლიკეები დაბრუნებოდნენ სომხურ [სარწმუნოებას], ხალხში ვერანაირი მხარდაჭერა ვერ პოვა. უკვე სერიოზულად აკრძალულია რომელიმე ერეტიკოსისა და სქიზმატიკოსის მიერ წმინდა სარწმუნოების მიღება.

აღმოსაელელების თვისებას წარმოადგენს [ხასიათის] ხშირი ცვალებადობა. ყველა ხელსაყრელ შემთხვევაში რამდენიმე წუთის განმაელობაში ისინი იცვლიან საკუთარ აზრს. ამიტომ მყისვე არ ვიჯერებ იმას, რასაც აქ იტყობინებიან და ინფორმაცია რომ მივაწოდო, უწინარეს ყოელისა, საჭიროა ბედს მივენდო, რადგან

f. 102 v.

აქ ყველაფერი [სწრაფად] იცვლება. გარდა ამისა, მე მხედველობაში უნდა მქონდეს მათი როგორც...(არ იკითხება)...იმერეთსა და სადადიანო'ში ორი მოწინავე პოზიციის ზოგიერთი საჭიროებისათვის არც იმდენად ბეერია დანახარჯები, რადგან ის ვერ მიიღებს ვერანაირ მადლიერებას....(არ იკითხება)... სწორედ ამიტომ მე მჭირდება 165 პიასტრის გადახდა. ვალი კონტრაქტის

[1] ამ დროს სამეგრელოს, ანუ ოდიშის მთავარი იყო კაცია II დადიანი (1744-1788).

[2] საუბარია, ცხადია, გორის მისიონზე.

[3] ე.ი. ერეკლე II-ს.

[4] "...ritornassero all'Armenismo...". უეჭველია, მამა ანდრეა და პალერმო "არმენიზმის" ქვეშ გულისხმობს სომხური გრიგორიანელი ეკლესიის მოძღვრებას.

მიხედვით, რომელიც ჩემი წინამორბედის დროიდან ახალციხის სახლს ორ კრედიტორთან ჰქონდა, უფრო ნაკლებად იზრდება, ვიდრე წლიური სუფსიდიის ჯამი. თუკი თქვენი უწმინდესობისა და წმინდა კონგრეგაციის გულკეთილობა ჩათვლის, რომ რაიმე არაორდინალური შემამსუბუქებელი დახმარება მოისურვოს, მისიონი დიდად მადლიერი დარჩება, ხოლო მანამდე ვერ იქნება კმაყოფილი, სანამ არ მიიღებს წყალობას. უმორჩილესად და მთელი პატივისცემით ეკოცნი თქვენს წმინდა მანტიას.

თქვენს უწმინდესობას.

გორი, 25 აგვისტო, 1782

უმორჩილესი და უმდაბლესი მსახური

ფრა ანდრეა და პალერმო, მამა კაპუჩინი.

№25

კაპუჩინი მისიონერის ანდრეა და პალერმოს რელაცია წმინდა კონგრეგაციის ერთ-ერთი კარდინალისადმი

თბილისი, 1782 წლის 14 ნოემბერი

უგანათლებულესო და დიდად პატივცემულო ბატონო[1]

f. 103r.

...დღეს მაურო და ვერონა საქართველოს ამ მეფის[2] მითითებით გავათავისუფლე კავკასიის...(არ იკითხება)...რათა მან [ერეკლე მეფის] მითითებით ორი მოტივით აწარმოოს მოლაპარაკებები და...(არ იკითხება) ვწერ ძალიან ჩქარა. გთხოვთ, მამა მაუროს, რომელმაც ამ მისიონის[3] გულისათვის ბევრი მსხვერპლი გაიღო, გაუწიოთ ვენაში რეკომენდაცია, რადგან მას სთხოვენ ამის გაკეთებას დროული ფულადი დახმარების გასაწევად... (არ იკითხება)... რომელიც გათვალისწინებულია ამ მისიონისათვის და რადგან მამა მაურო უნდა დაბრუნდეს ამ მისიონში, მას აუნაზღაურდეს ხარჯები. ერწმუნეთ მას და გამოუცდელობით ვამბობ, რომ ასეთ დიდ საქმეებში მონაწილეობა არ მიმიღია, რადგან არ გამოვირჩევი ამგვარი

---

[1] Archivio della Sacra Congregazioné per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1779-1790. V. 4., ff. 103r-103 v. **წერილი დაწერილია იტალიურ ენაზე და ორიგინალიდან თარგმანი პირველად ქვეყნდება.**

[2] იგულისხმება ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II.

[3] ალბათ, იგულისხმება თბილისისა და გორის მისიონი.

f. 103 v.

უნარით[1], მაგრამ ეს უფალმა ისურვა, ვინაიდან მეფე ერეკლე იმდენად ვერ ითმენდა, რომ არას დაგიდევდა ყურადღება მიექცია მკაცრი სეზონისა და სავალად კატასტროფული გზებისათვის. მას[2] დღეს უნდა, რომ დანიშნულების ადგილზე გაგზავნოს მამა მაურო, რომელმაც უფლის სიყვარულისა და მისიონის სარგებლობისათვის ხალისით მიიღო ეს [დავალება].

თქვენს უგანათლებულესობასა და ფრიად პატივცემულებას უმორჩილესად გიკოცნით ხელს.

თბილისი, 14 ნოემბერი, 1782.

უმორჩილესი მსახური, ფრა ანდრია და პალერმო, კაპუჩინი მისიონერი.

№26

კაპუჩინი მისიონერის ანდრეა და პალერმოს რელაცია წმინდა კონგრეგაციის ერთ-ერთი კარდინალისადმი

თბილისი, 1782 წლის 14 ნოემბერი

თქვენო ყოელადუწმინდესობაე[3]

f. 118 r.

გორში ჩემი ყოფნით გაბრაზებულმა მეფე ერეკლემ, სადაც ვალდებული ვიყავი კეთილი მამის ფედელე და ბესკოპაგანოს[4] (Fedele da Bescopagano) გარდაცვალების შემდეგ [ჩაესულიყავი], გამომიგზავნა 30 კაცი და ჩამიყვანა თბილისში, სადაც მაიძულა ორი დღის განმავლობაში მამა მაურო დავერონა [გამეგზავნა] მოსკოეის გზით. [ასევე დამევალა] წერილების თარგმნა,

[1] იგულისხმება დიპლომატიური მოლაპარაკებების უნარი.

[2] მეფე ერეკლე II.

[3] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1779-1790. V. 4., ff. 118r-121r. წერილი დაწერილია იტალიურ ენაზე და ორიგინალიდან სრული თარგმანი პირველად ქვეყნდება. ამ რელაციის დიდი ნაწილი პირველად გამოაქვეყნა პატ. მ. თამარაშვილმა თაეის ცნობილ წიგნში (მ. თამარაშვილი. ისტორია..., გვ. 400-401). სამწუხაროდ, პატ. მ. თამარაშვილის თაეისუფალი თარგმანი რიგ უზუსტობებს შეიცავს. ამიტომ მიზანშეწონილად ჩავთვალეთ სრული ტექსტის გამოქვეყნება, ცხადია, პატ. მ. თამარაშვილთან დაშვებული უზუსტობების გასწორებით.

[4] ამ მისიონერის საქართველოში მოღვაწეობა აქამდე უცნობი იყო.

რომელსაც [ერეკლე მეფე] უგზავნის იმპერატორს[1], წმინა მამას[2], საფრანგეთის[3], სარდინიის[4], ნეაპოლის[5] მეფეებსა და ვენეციის[6] რესპუბლიკას; ამასთან [მეფე ერეკლე] მოიპოვებს რა იმას, რასაც იმპერატორისაგან ითხოვს, მაუროს ნებას აძლევს, რათა მან წერილები გაუგზავნოს

f. 118 v.

ან პირადად წავიდეს დანარჩენ სახელმწიფოებში და როგორც მიეწერე მათ აგვისტოს [თვეში], ის ითხოვს კავშირსა და დახმარებას ურწმუნოების წინააღმდეგ და ჰპირდება ჩვენი ეკლესიების [დაბრუნებას]. დღეს დიდი სიფრთხილით ვთხოვე [ჩვენი ეკლესიების დაბრუნება] და საკუთარი ხელით დაწერილი ნაჩუქრობის წერილი მივიღე. ეს იყო რა ძალიან საფრთხილო საქმე, მას არ სურდა ეს მიენდო რომელიმე თაეისი მდივნისათვის, რადგან ის ასევე დაგეპირდა სომეხი ერეტიკოსების დევნისაგან დაცვას. ზემოხსენებული მამა მაუროს თან ვაახლე იმპერატორთან[7] ჩემი წერილი თხოვნით, რომ გაემართა მისთვის აუდიენცია, რის შესახებ ბევრჯერ ვაუწყე წმინდა კონგრეგაციას.

f. 119 r.

ვალდებული ვიყავი თქვენთვის მეახლებინა მეფის თარგმნილი წერილების ასლები და სახელდობრ, ჩვენი ეკლესიების შესახებ ნაჩუქრობის საბუთის ასლი, მაგრამ მცირე დრომ არ მომცა ამის საშუალება და მეტი სიცხადისათვის, არსებითად გწერთ იმას, რასაც ის ამჩნევს და რასაც მოელის.

ვარაუდობენ თურქების წინააღმდეგ ომის დაწყებას; მეფე ერეკლე, რომელიც ოდესღაც სპარსეთის მოხარკე იყო და ახლა დამოუკიდებელია, ნახა რომ სპარსეთი დაყოფილია სუსტ სამფლობელოებად, მაგრამ სკვითებისაგან განუწყვეტელ თავდასხმებს განიცდის. ამიტომ იმპერატორისაგან ითხოვს ორ პოლკს, საფრანგეთისგანაც-ორ პოლკს, სარდინიისაგან-ერთ პოლკს, ასევე ერთ პოლკს ნეაპოლისაგან და ერთს-ვენეციისაგან, მაგრამ ჯართან შედარებით, უფრო ფულით დახმარებას ითხოვს. ამიტომ შუამდგომლობას სთხოვს წმინდა მამას დასახელებულ ხელმწიფეთა წინაშე და ხელშეკრულების დადების [შემთხვევაში]

---

[1] იგულისხმება რომის საღეთო იმპერიის იმპერატორი და ავსტრიის ერცერცოგი იოსებ II (1765-1790).

[2] ე. ი. რომის პაპს. ამ დროს რომის პაპი იყო პიუს VI (1775-1799).

[3] ამ დროს საფრანგეთის მეფე იყო ლუი XVI (1774-1792).

[4] ამ დროს სარდინიის მეფე იყო ვიტორიო ამადეო III (1773-1796).

[5] ამ დროს ნეაპოლის მეფე იყო ფერდინანდ IV (1759-1799; 1799-1806).

[6] ამ დროს ვენეციის რესპუბლიკის მმართველი იყო დოჟი პაოლო რენიერი (1779-1789).

[7] ე. ი. რომის საღეთო იმპერიის იმპერატორ და ავსტრიის ერცერცოგ იოსებ II-სთან.

f. 119 v.

მის პრინციპებს შეასრულებს, როგორც სპარსეთის დაპყრობისათვის, ასევე ოსმალეთის წინააღმდეგ თავისი ძალებით დახმარებისას, რადგან უკუაქციოს ეს სკვითები, რომლებიც ახლა ხელშეუხებელნი გახდნენ. ამ ქვეყნების[1] გამოყენების საკითხი დიდად მართებულია, რადგან ისინი რიგითებსაც[2] მცირედით აკმაყოფილებენ.

ნაჩუქრობის საბუთში ჩვენი ეკლესიების [დაბრუნების] შესახებ ის[3] დაგვპირდა, თუნდაც პირობითად, თუკი [მას დაეხმარებიან] ევროპის სამეფო კართან დაახლოებაში, რომ დაგვიბრუნებდა ეკლესიებს, ჩამორთმეულ სახლებს, მამებსა და კათოლიკეებს მფარველობას გაუწევდა. ის გვპირდება ხუთი თუ ექვსი მამის სამუდამოდ აქ, თბილისში, დატოვებას და თავისი ხარჯით შენახვას, რასაც ასე გამოხატავს: თუ დაპირებას არ შეგისრულებთ, მაშინ ის იქნება საკუთარი სიტყვის გამტეხი და არ იმსახურებს ქრისტიან ხელმწიფეთაგან არანაირ თანაგრძნობას.

f. 120 r.

თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ თუ სულ არა, უკიდურეს შემთხვევაში მოგვცემს ეკლესიებს, ოღონდ მისმა წერილებმა [დასახელებული მონარქებისადმი] მოიპოვოს საგანგებო ხელშეწყობა. მაშ ასე, იესო ქრისტეში ვეყრდნობით მის უწმინდესობას, ჩვენს პაპს, ზემოხსენებული სახელმწიფოების წინაშე გააკეთოს ის, რასაც მისი წმინდა გულმოდგინება უკარნახებს. ამ მეფის წერილის პასუხად მის უწმინდესობას[4], პირველი, ეძლევა საბაბი, რომ მოითხოვოს ჩვენი ეკლესიების დაბრუნება. პირობები, რომელიც ამ მეფემ წამოაყენა [იმაში მდგომარეობს], რომ ეკლესიების[5] ეფექტიანად დაბრუნების შემთხვევაში, თავისი სამღვდელოების წინაშე იმართლოს თავი, როგორც ეს ერთ-ერთ კერძო საუბარში გვითხრა.

მეორე, ამ ხერხით[6] ცდილობს გააუქმოს ზეპირი განცხადება თუ ბრძანება,

f. 120 v.

რომელიც 1775 წელს გასცა სომეხი ერეტიკოსების სასარგებლოდ და მამებისა და კათოლიკეების წინააღმდეგ, რაც თავისი დაპირების საბუთში

---

[1] იგულისხმება დასახელებული დასავლეთ ევროპის ქვეყნები.

[2] ავტორი გულისხმობს პატარა ქვეყნებს.

[3] მეფე ერეკლე II.

[4] ე. ი. რომის პაპს.

[5] პატ. მ. თამარაშვილი ასახელებს 18 ეკლესიის დაბრუნებას (მ. **თამარაშვილი**. ისტორია..., გვ. 401), რაც დედანში არ წერია. აქ საუბარია თბილისსა და გორში ჩამორთმეულ ეკლესიაზე, ე. ი. სულ ორ ეკლესიაზე.

[6] დასაელეთ ევროპის ზემოხსენებულ მომარქთა თხოვნის საფუძველზე.

ნახსენებიც არ იყო. [ამის გაუქმებას] აქვს დიდი მნიშვნელობა, რადგან ეს ბრძანება სერიოზულ შეცდომებს შეიცავს სარწმუნოების მხრივ, ვინაიდან დიდ სასჯელს უწესებს ნებისმიერ [პირს], რომელიც კათოლიკე გახდება, ასევე მას აკისრებს ჯარიმას 350 რომაული სკუდოს ოდენობით და მოითხოვს იმ მისიონერის განდევნას, რომელიც ნებისმიერ სომეხ ერეტიკოსს კათოლიკობაზე მოაქცევს.

ეს არის ჩემი მოკრძალებული აზრი [შეცდომების] გასწორების შესახებ, რაც უნდა განსაჯოს თქვენმა ყოელადუწმინდესობამ და წმინდა მამამ, რომლის წინაშე პირქვე დამხობილი უმორჩილესად ვითხოვ მის წმინდა კურთხევას.

f. 121 r.

[წმინდა კონგრეგაცია დე] პროპაგანდა ფიდე; ვენაში მამა მაუროს ზოგიერთ საჭიროებაზე აქედან გთხოეთ მხარი დაუჭიროთ მას იმის შესაბამისად, როგორც თქვენ განსჯით უფლის დიდებასა და ამ მისიონის კეთილდღეობას. რამდენიმე ხნის წინ [აქ] მოხედა რუსეთის პოლკოვნიკი, რომელიც მეფე სოლომონს უგზავნის ლუთერან ექიმს წმ. ფონდუკო ოუდის ორდენიდან (l'Ordine di S.Fonduco Oud) და მეეჭვება რა ქუთაისის მისიონი მტკიცე იქნება, დღესვე დაუყოვნებლივ მივწერ წერილს უზენაეს პონტიფექსს[1] საათთან [დაკავშირებით], რომელიც, როგორც მე შევნიშნე, ჩემი წინამორბედის მიერ მისი მნიშვნელობა ზუსტად არ იქნა შეფასებული.

№27

კაპუჩინი მისიონერის ანდრეა და პალერმოს რელაცია წმინდა კონგრეგაციის ერთ-ერთი კარდინალისადმი

ღრმად პატივცემულო და ფრიად საპატიო ბატონო[2]

თბილისი, 1783 წლის 19 სექტემბერი

ფურც. 205r.

თქვენმა ყოვლადუწმიდესობამ რომ იცოდეს იმ სიდუხჭირის შესახებ, რომელშიც ვიმყოფები ამ მისიონში[3], ის თანაგრძნობით მისწერდა რომს, რათა გაგზავნონ დიდი ხნით [დაყოვნებული] ფულადი დახმარება. დღეს კავკასიაში მცხოვრები ლეკების მიერ, რომლებიც ამხედრდნენ რუსეთისა და

[1] ე. ი. რომის პაპს.

[2] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1779-1790. V. 4., ff. 205r-205v. **წერილი დაწერილია იტალიურ ენაზე და ორიგინალიდან თარგმანი პირველად ქვეყნდება.**

[3] იგულისხმება საქართველოს მისიონი.

საქართველოს წინააღმდეგ, საქართველოს ძარცვა და მკვლელობები ევროპის [საგაზეთო] ფურცლების საგანი გახდა. ბოლო წელს [ლეკებმა] აიღეს ორი სიმაგრე, საიდანაც ათასი ოჯახი გაიხიზნა. [ლეკები] ყოველ წელს კლავდნენ და მონებად აქცევდნენ, გაანადგურეს ამ მეფის[1] ოქროს, ვერცხლისა და სპილენძის საბადოები. ამ ომმა გაანადგურა და გააღარიბა ამ სამეფოს ორი რეგიონი[2]. აქ არ დარჩა არც ერთი ადამიანი, რომელიც თავისი სიღატაკის გამო არ ტირის. ახლა ჩვენ ვმონაწილეობთ და ვართ იგივე გასაჭირსა და სიღატაკეში, რომლითაც იტანჯება ქვეყანა[3] უფლის სიყვარულის[4] გამო. ჩვენ ვზრუნავთ მათზე, მაგრამ ვერ ვპოულობთ ვერავის, ვინც ფულს პროცენტად გაასესხებდა. თუკი თქვენი ფრიად პატივცემულება ქმედითად მისწერდა რომ-ში, შეუძლებელია აქამდე, როცა კარგად იციან, რომ ამ მისიონს არ გააჩნია

ფურც. 205v.

არც შემოსავალი, არც სარგებლობა, არ ნაყოფი და ცხოვრობს უფლის განგებით ყოველწლიური ფულადი დახმარებითა და ცოტაოდენი წამლობის შედეგად გაღებული წყალობით, გადაედოთ ყოველწლიური დახმარების გამოგზავნა. ახლანდელ გაჭირვებაში წამლობამ დაკარგა თავისი ფასი, ფულადი შემწეობა უკან დარჩა და საბრალო მისიონერები მწერენ, რომ წელს თავს ვერ შეინახავენ. სინამდვილეში ნაკლებად მესმოდა მამა ჯამბოლა და როვიგოს (Giambolla da Rovigo) წერილი, რომელშიც დაჟინებით მწერს, რომ საჭიროების გამო ის იძულებულია ჭამოს ზეთში შეუზავებელი პარკოსანნი, თავი შეიკავოს ღვინოსაგან, რადგან არაეინაა ისეთი, ვისგანაც შეიძლება მისი ყიდვა.

თქვენს ფრიად პატივცემულებას

ტიფლისი, 19 სექტემბერი 1783

P.S. ზოგიერთი საგანი, რომელიც იყიდა ამ მისიონისათვის, უნდა გადაიხადოს ფულადი შემწეობიდან, რომელიც მოგვიანებით მოხდება.

უმორჩილესი მსახური ფრა.

ანდრეა და პალერმო.

---

[1] მეფე ერეკლე II-ის.

[2] ცხადია, იგულისხმება ქართლი და კახეთი.

[3] იგულისხმება ქართლ-კახეთის სამეფო.

[4] იგულისხმება ქრისტიანული სარწმუნოების დაცვა და შენარჩუნება.

№28

კაპუჩინი მისიონერის ანდრეა და პალერმოს რელაცია წმინდა კონგრეგაციის ერთ-ერთი კარდინალისადმი

გორი, 1783 წლის 19 ნოემბერი

ღრმად პატივცემულო და დიდად ღირსეულო ბატონო[1]

f. 128r.

მას შემდეგ, რაც მაურო ეერონელი გარდაიცვალა...(არ იკითხება)...მას ინფორმაციას მიაწვდიან ყოველადუწმინდესი პროკურატორები...(არ იკითხება)... ჩვენ ძმას[2], რომელსაც მიჰქონდა მეფის [წერილები] არ დაკარგულა და მეფის ამ [დიპლომატიური მისიის] შესახებ თქვენ აქამდე მიიღებთ...(არ იკითხება)... რომ, თუკი, სამწუხაროდ, მეფის [წერილებთან] ერთად აგრეთვე დაიკარგა ჩემი საბუთი, ელოცულობდი მასზე მოწყალებით.

იელისის[3] თვეში რუსეთის ჯარის ეიცე პოლკოვნიკმა ტამარამ[4] შემატყობინა, როგორ გაგზავნა წმინდა მამამ პეტერბურგში ელჩი. ამ მეფემ[5] ჩემთან საიდუმლოდ აღიარა, რომ სურს დაგვიბრუნოს ჩვენი ეკლესია, მაგრამ უნდა რომელიმე სახელმწიფოსაგან მიიღოს თხოვნა ამაზე და ეს შეიძლება იყოს გერმანია, ასევე რუსეთი. თუ მართალია ის, რომ ზემოხსენებული ელჩი[6] გაგზავნილია და მას მისმა უწმინდესობამ[7] დაავალა, რომ [პაპის] სახელით

---

[1] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1779-1790. V. 4., ff. 205r-205v. **წერილი დაწერილია იტალიურ ენაზე და ორიგინალიდან თარგმანი პირველად ქვეყნდება.**

[2] იგულისხმება მაურო და ეერონა. დომინიკე და ტრიესტეს პერაში გარდაცვალების შემდეგ მეფე ერეკლე II-მ 1782 წლის აგვისტოში დასაელეთში ახლა დიპლომატიური მისიით გააგზავნა მაურო და ეერონა. მოსკოვის გავლით დასაელეთისკენ მიმავალ დესპანს მიჰქონდა მეფე ერეკლეს ქართულ ენაზე დაწერილი წერილები რომის პაპთან, რომის საღვთო იმპერიის იმპერატორთან, საფრანგეთის მეფესთან, სარდინიის მეფესთან, ნეაპოლის მეფესთან და ვენეციის რესპუბლიკის მმართველთან. არც ამ ელჩობას ეწერა ბედი. 1783 წლის მაისში მამა მაურო და ეერონა პოლონეთის ქალაქ ბერდიჩევში გარდაიცვალა (დაწერ. იხ: **ი. ტაბაღუა**. საქართველო საერთაშორისო..., გვ. 62-63; **მ. პაპაშვილი**. საქართველო-რომის..., გვ. 277-279).

[3] 1783 წლის იელისში.

[4] ვასილ სტეფანეს ძე ტამარა/ტომარა (1740-1813), რუსი დიპლომატი. მან 1783 წლის 3 იენისს ეიცე პოლკოვნიკის ჩინით ერეკლე II-სთან გენერალ-ფელდმარშალ გ. პოტიომკინისაგან ჩამოიტანა გეორგიევსკის ტრაქტატის პროექტი. მეორედ მან 1784 წლის 17 იანვარს თბილისში ჩამოიტანა გეორგიევსკის ტრაქტატის რატიფიცირებული რუსული ტექსტი, რომლის რატიფიცირება ერეკლე II-მ მოახდინა 24 იანვარს.

[5] იგულისხმება მეფე ერეკლე II.

[6] საუბარია პაპის ნუნციუსის პეტერბურგში გაგზავნაზე.

[7] რომის პაპმა.

იმპერატრიცას[1] სთხოეოს ამ მეფეს[2] მისწეროს წერილი, რომელშიც უჩვენებს მამებისადმი ეკლესიების დაბრუნებით გამოწვეულ კმაყოფილებას, ეს მეფე დაუყოვნებლივ დაუბრუნებს მათ [ეკლესიებს].

f. 128 v.

რუსეთის პოლიტიკური მთავრობა თავის სახელმწიფოში ბევრად უფრო დასაშვებად მიიჩნევს ყველა სარწმუნოებას და ბოლო დროს თვით იმპერატრიცამ ასტრახანში [კათოლიკე] მამებს უბოძა ახალი ეკლესია.

მართალია, ამ მეფეს[3] სურდა, რომ ჩვენი ეკლესიები მისი უდიდებულესობა ავსტრიის იმპერატორისათვის ეჩუქებინა[4], მაგრამ, თუ ეს გზა უფლის მიერ წინასწარ შეზღუდულია, ამის [მიღწევის] ნაკლები შესაძლებლობაა და საჭიროა, სხვა გზა მოვსინჯოთ.

ჩემი წადილი და ჩვენი საკრებულოს მგზნებარე სურვილები უნდა გამეზიარებინა ყოველადუწმინდეს კარდინალ პრეფექტისათვის, მაგრამ არ ვიცი, არის თუ არა რუსეთის სამეფო კარზე პირი, რომელიც ამას უპასუხებდა. ვიცოდი რა კარგად და ეალიარებდი, რომ ასეთი ეფექტისათვის ხელსაყრელი გარემოებაა, ამიტომ მე თქვენს უწმინდესობას ვთხოვდი, რომ ის არ დალოდებოდა ჩემს ახალ არზას. თუკი თქვენ არ წააწყდებით ამგვარ სირთულეებს, რასაც არ ველოდები, ის თვითონ შესთავაზებს წმინდა კონგრეგაციას ასეთ საშუალებას. ამ მიზნით მას, პირველ რიგში, საზოგადო პროკურატორის წერილის საშუალებით შეეძლო სხვა საგნების გამორკვევა და ნებისმიერი სხვა დამაბრკოლებელი გზის აღმოჩენა. ეს იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ სახელმძღვანელო მუშაობა ჩატარდება. მჯერა, რომ სარწმუნოებისა და უფლის სადიდებლად ამ ტანჯული კათოლიკეების სულის მოთქმა უპირველესია, რადგან 28 წელია ისინი განდევნილნი არიან თავიანთი ეკლესიებიდან და იძულებულნი არიან საერო სახლებში შეასრულონ მღვდელმსახურება.

f. 129r.

შარშან ამ მეფეს[5] მივართვი მოხსენებითი ბარათი, რომელშიც მოვახსენე ჩვენი სახლის ნგრევით გამოწვეულ განსაცდელზე და ვთხოვე ადგილი ან საცხოვრებელი სახლი. მან საჯაროდ მითხრა, რომ მზადაა ეკლესიები დამიბრუნოს; მაგრამ დიდებულთა და სამღვდელოთა წინაშე საკუთარი თავის

---

[1] იგულისხმება რუსეთის იმპერატორი ეკატერინე II დიდი (1762-1796).

[2] ე. ი. ერეკლე II-ს.

[3] ე. ი. ერეკლე II-ს.

[4] უნდა გაეიგოთ იმპერატორის თხოვნის საფუძველზე თბილისისა და გორის კათოლიკეებს დაუბრუნდათ.

[5] ე. ი. ერეკლე II-ს.

გამართლებისათვის სურდა, რომ დიდ პიროვნებას[1] მისთვის თხოვნით მიემართა. სანამ ეს მამა[2] ცოცხალია [ეკლესიების] დაბრუნება მარტივია, შემდეგ კი გაძნელდება, რადგან [მეფეს ერეკლეს] უფროს შვილს[3] მისმა მოძღვარმა საწინააღმდეგო მოვალეობა დააკისრა; ის დღეს ჩვენს [ჩამორთმეულ] ეკლესიაში დეკანოზი და იღუმენია და იღებს თავის გასამრჯელოს. ასე რომ, კარგი შემთხვევაა, თუ ზემოაღნიშნული გზით წყალობას მიეიღებთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, წმინდა კონგრეგაციის ნებართვით, ჩვენ მეორედ წარეადგენთ არზას, რომ სახლი მოგვცეს და უსაფრთხოდ ჩვენის ეკლესიების დაბრუნება ვითხოვო.

თქვენი ყოელადუწმინდესობისა და უგანათლებულესობის წმინდა ხელებს მოწიწებით ეკოცნი. უმორჩილესი და უმდაბლესი მსახური

ფრა ანდრეა და პალერმო, მამა კაპუჩინი.

მინაწერი

სარწმუნოებისადმი გულგრილობის გამო ცნობილ არუთინს სახელად პასკუალეს უკვე თბილისში [ცუდი საქმე] დაემართა; მე არ ვიცი ის რომელ მხარეს წარმოადგენს. შობის შემდეგ წავალ თბილისში და გავიგებ ის არის თუ არა წმინდა კონგრეგაციის მოწაფე.

№29

კაპუჩინი მისიონერის ანდრეა და პალერმოს რელაცია რომის ერთ-ერთი კარდინალისადმი

ყოელადუწმინდესო ბატონო[4]

თბილისი, 1784 წლის 23 ნოემბერი

f. 163r

დიდი ხანია, რაც აქ შეკრული გზების პირობებში მომიწია ყოფნამ და ჩემდა გასაკვირად ოქტომბრის თვეში მარტოოდენ თქვენი ყოვლადუწმინდესობისაგან მივიღე ერთადერთი [წერილი], რომელშიც მიბრძანებს, მივაწოდო ინფორმაცია ამ კათოლიკეების[5] წეს-ჩვეულებებისა და თვითნებობის

[1] იგულისხმება დიდი სახელმწიფოს მონარქი.

[2] საუბარია მეფე ერეკლე II-ზე.

[3] ცხადია, გიორგის-შემდეგში ქართლ-კახეთის მეფე გიორგი XII (1798-1800).

[4] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1779-1790. V. 4., ff. 163r-164r. **წერილი დაწერილია იტალიურ ენაზე და ორიგინალიდან თარგმანი პირველად ქვეყნდება.**

[5] აეტორი საქართველოს კათოლიკეების შესახებ, ალბათ, არ საუბრობს, მაგრამ "ამ კათოლიკეებში" რომელი მხარის კათოლიკეებს გულისხმობს, ძნელი სათქმელია.

შესახებ. სიჩქარეში, რამდენადაც იძულებული ვიყავი კურიერისათვის ჩემი წერილი გადამეცა, ამაზე ნებართვა საერთოდ დამავიწყდა. დიახ, მართალია, რომ ფულისადმი კუმანელთა[1] (nazione Cumena) თანდაყოლილი სიხარბე მუდამ მაიძულებდა ეს თემა გამომეკელია და შემესწავლა. ომებისა და მტრების შემოსევების გამო მათი საფრთხეები უცვლელია; ჰო, სამეფო საბაჟოს მენარდეების მეტისმეტი გაიძვერობა და უნამუსობა. მომავლის აშკარა საფრთხეებმა, მოღალატე სასამართლოებმა, ძირითადად სესხზე წმინდა კონგრეგაციის ბრძანებამ, რომელიც დაამტკიცა პაპმა ინოკენტი X-მ 1645 წელს, შემაჩერა არ შემეწუხებინა ეს კათოლიკეები, რომლებიც ამ ქვეყნების პრაქტიკაში არსებულ [სესხებზე] ნაკლებ სარგებლობას ითხოვენ. მაგრამ დღეს, ისინი ჩვენი შიშით გარდაიქმნენ, რომელთაც ეაგრძნობინეთ, რომ დაასამარებდნენ საკუთარ თავს იმ შემთხვევაში, თუ არ გამოასწორებდნენ უსარგებლო დატირების[2] რიგიანობას და ღვთის განგებაზე შეურაცხმყოფელ ჩვეულებებს. მისდევენ რა ჩვენს მაგალითს, დღეს აგრეთვე სხვადასხვა წეს-ჩვეულების ადამიანები თითქმის ყველგან გარდაიქმნენ. რომ ვაღიაროთ სიმართლე, მათი ღვთის გმობა უფერული მასალა და ამიტომ ისინი არ წარმოადგენენ იმას,

f. 163 v.

რომ მათ უპირატესობა მივანიჭოთ. და იმიტომ, რომ ისინი მიისწრაფვიან ადამიანები დაარწმუნონ...(არ იკითხება)... მათ ტკივილს რიტმითი მისამღერით ენაცვლება პაუზა, რომელსაც ამ მიზნისათვის დაქირავებული მომღერალი[3] ქალები აკეთებენ ჯგუფად მყოფი ქალების წინაშე. იქვე ეჯიბრებიან, შენიშნავენ და აქებენ, ან განსჯიან, რასაც ტირილით გამოთქვამენ. გარდა ამისა, ზემოხსენებულ ძველ რბილში გამჯდარ წეს-ჩვეულებებში, ვერ ვპოულობ სხვა ისეთ რამეს, რომელიც უნდა გამოსწორდეს. დიდი პატივით წავიკითხე წმინდა კონგრეგაციის ეს ინსტრუქცია და როგორც მარიგებენ, თუ ზოგიერთი ფარული კათოლიკეს მიმართ შემწყნარებლობაზე [ჩემს მოქმედებაში] თქვენი ყოლადუწმინდესობა აღმოაჩენს ისეთს, რომელიც ეწინააღმდეგება მისი უწმიდესობის პაპ ბენედიქტე XIV-ის ენციკლიკას, მაშინ მე საკუთარ თავს მოვიყვან წესრიგში. პირველი, ამ ფარული კათოლიკეების გარემოება უჩვენებს, რომ ისინი მხოლოდ მალავენ [იმას], რომ კათოლიკეები არიან და არა ქრისტიანად ყოფნას. მეორე, ამ დაფარულობის გამო, ვერ ვპოულობ მიზეზს, რომ მოყვასს შეუძლია ჰქონდეს სკანდალის მიზეზი, რადგან მან არ იცის ამის შესახებ და თუ მან ეს იცის, ის მას შეიწყნარებს

---

[1] აეტორს, ალბათ, მხედველობაში აქვს ყუმუხები, თურქულენოვანი ხალხი, რომლებიც ცხოვრობენ ჩრდილოეთ დაღესტანში.

[2] საუბარი უნდა იყოს ფარული კათოლიკეების დატირების წესზე, მაგრამ ძნელია სუსტად ითქვას აეტორს, რომელი ეროვნების ფარული კათოლიკე ქალები პყავს მხედველობაში.

[3] უნდა იყოს მიმტირალი.

იმიტომ, რომ იგი[1] თავს ვერ დაიხსნის მთელი ქონების ჩამორთმევისა და გაძევებისაგან, გარდა ამისა, შეურაცხყოფის, სატუსაღოსი და წამებისაგან. ამის შესახებ მცირე რამ ვიცი[2], რადგან ჩვენ ამ საზოგადოებაში არ ვართ აღიარებული, გარდა იმ გამონაკლისისა, რომ მე არ მთხოვენ დავგმო ღმერთი და შევურაცხყო თვით სარწმუნოება[3]. მესამე, მე დავასკვენი, რომ ეს დაფარულობა[4] შეიძლება დევნისაგან თავის დაღწევის ერთგვარი სახეობაა. დღეს ჩვენ, საფრთხის გამო, მეტად არ შეგვიძლია არც საჯაროდ და არც ფარულად[5] ვინმეს მიღება [კათოლიკობაში], რათა არ გამოვიწვიოთ [მათი] დევნა. და მანაღვლებს ის, რომ არ ვიცი რა გადავწყვიტო ზოგიერთი ადამიანის მიმართ, რომლებიც სრულად ითხოვენ ცოდვების მიტევებასა და აღსარებას. მაშ ასე, ფარული კათოლიკეები არ არიან სრულქმნილნი, რადგან დევნის დროს, როცა მათ, მართალია, არ ეძებდნენ, მაგრამ შიშის გამო არ ჩნდებოდნენ.

აქამდე ვერ შევძელი მეპასუხა, რადგან მას შემდეგ, რაც განჯა აჯანყდა, მათ განდევნეს ამ მეფის[6] გუბერნატორი და შუშის ხანი (Kan di Sciuscia) და დღემდე ამ ორმა მთავარმა[7] ვერ შეძლო აჯანყებულების მიერ დაკავებული ციხესიმაგრის აღება. თავის დროზე ვიზრუნებ სრულად მოგაწოდოთ თქვენი მოთხოვნის შესაბამისი ინფორმაცია, რათა მათ პასუხი გაეცეს.

f. 164r.

განურჩევლად, ამ ხალხთა[8] წეს-ჩვეულებებად მიიჩნევა სიცრუე, ყალბი ლაპარაკი, მლიქვნელობა, თვალთმაქცობა, სიხარბე, ცრუმორწმუნეობა, თანხის დაქვითვა[9], მზაკვრობა, უსამართლობა. კეთილსინდისიერება მოითხოვს, ახლა ჩვენი კათოლიკეებისათვის დამახასიათებელ ერთ-ერთ ზემოაღნიშნულ ნაკლზე მივუთითო. მაგრამ დღეს, შემიძლია სრული ჭეშმარიტება მოგახსენოთ. მისიონერები რაიმე ფიცისაგან, [წესების] ამაო შესრულებისაგან და ცრურწმენისაგან თავს იკავებენ და ამასთანავე მათ მიიჩნევენ, როგორც უწესრიგობაში გახვეულ ბიწიერთ, რადგან ამ წელს, საჭიროებისამებრ, დაიფარეს რამდენიმე სხვადასხვა უხამსი ჩვეულების ადამიანი. შეიძლება მხოლოდ ითქვას, რომ ისინი ყოველთვის ენერგიულად უჭერდნენ მხარს უფლის კანონების დაცვას, ზიარების სიწმინდეს, თავს იკავებენ ცხოვრების სააქვეყნო სარგებლობაზე, მაგრამ მე მათში ვერ ვიპოვე

[1] ე. ი. ფარული კათოლიკე.
[2] ალბათ, გულისხმობს სატუსაღოში არსებული წამების წესებს.
[3] იგულისხმება კათოლიკობა.
[4] იგულისხმება ფარული კათოლიკობა.
[5] ჩანს, კათოლიკობაში ფარულად მიღება მისიონერთა პრაქტიკაში ესესებობდა.
[6] იგულისხმება მეფე ერეკლე II.
[7] იგულისხმება მეფე ერეკლე II და შუშის ხანი.
[8] ჩანს, ამას მარტო სომეხთა თეისებად არ მიიჩნევდა რელაციის ავტორი.
[9] იგულისხმება, ალბათ, ანგარიშიშას თანხაში მოტყუება.

უწინდელი ქველმოქმედება. სხვა უსარგებლო წესების შესახებ მე არ ვიცი. მე უკვე გავაგზავნე ერთი მორჩილი და ერთი მღვდელი დადიანთან ოდიშში, მაგრამ ნიკოლოს, დადიანის ძმის, გარდაცვალების გამო აქამდე არანაირი ინფორმაცია არა მაქვს ამ მამების შესახებ; კიდევ მეტი, იმერეთში მიმდინარეობს გადატრიალებები დავითის, სოლომონის ძმისწულის გამეფებისათვის. [მეფე სოლომონი] 23 აპრილს გარდაიცვალა აპოპლექსიური დამბლისაგან რწმენის სიმბოლოს [წარმოთქმის] გარეშე.

დაბოლოს, თქვენ და ჩემს სხვა შემკეთებს მორჩილებით გწირავთ მადლობას თქვენი კეთილმოსურნეობისა და სათნოებისათვის, რომელმაც შემაძლებინა ამ მისიონის შენახვა უჩვეული 100 სკუდოს შემწეობით. მძაგს ეს, მაგრამ მსახურებას უწყობს ხელს და თავის მხრივ არასოდეს დავიღლები წმინდა ეკლესიის დიდებისა და პრელატებისადმი ღვთაებრივი დახმარებისათვის შრომაში. ღრმა პატივისცემითა და მორჩილებით ვკოცნი თქვენს მეწამულ მანტიას.

თქვენს ყოელადუწმინდესობას.

ტფილისი, 23 ნოემბერი 1784.

უმორჩილესი და უმდაბლესი მსახური

ფრა. ანდრეა და პალერმო, მამა კაპუჩინი.

№30

კაპუჩინი მისიონერის ანდრეა და პალერმოს რელაცია წმინდა კონგრეგაციის ერთ-ერთი კარდინალისადმი

თბილისი, 1784 წლის 29 ნოემბერი

ღრმად პატივცემულო და დიდად ღირსეულო ბატონო[1]

f. 158r.

ოქტომბრის თვეში...(არ იკითხება)...მაგრამ ჩემი წერილი რომელშიც იგივე მაქვს მხედველობაში, რაც მონსინიორ სტანისლაოს[2], რომელმაც ამიკრძალა წმინდა კონგრეგაციის უმაღლეს ხელმძღვანელებთან მიმოწერა, რაც ფრანგულ ენაზე დაწერილ წერილშია [ნათქვამი]. მთლიანობაში იგი დაუსაბუთებელია, რადგან ბრედნარსომ (Brednarso), უწინარეს ყოელისა, რუსეთის

[1] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1779-1790. V. 4., ff. 158r-159r. **წერილი დაწერილია იტალიურ ენაზე და ორიგინალიდან თარგმანი პირველად ქვეყნდება.**

[2] ცხადია, სტანისლაე იან სესტრენცევიჩი (Stanislaw Jan Siestrzencewicz-Bohusz-1731-1826). რუსეთის იმპერატორმა ეკატერინე II დიდმა 1773 წელს დაარსა ბელორუსიის კათოლიკური ეპარქია, რომლის ცენტრად გამოცხადდა მოგილიოვი. 1774 წლის 12 მაისს სტანისლაე იან სესტრენცევიჩი დაინიშნა ამ ეპარქიის ეპისკოპოსად.

იმპერიაზე დამოკიდებულ მისიონებზე მიანიშნა. ხელწერის, შინაარსისა და წერის ნიშნის მიხედვით, ეჭვი მაქვს, რომ ეს წერილი ყალბია. მე მმართებდა, რომ ადრე გამეფრთხილებინა ისინი, უკიდურეს შემთხვევაში ზემოხსენებული არქიეპისკოპოსი ჩვეულებრივი ფორმის ცირკულარული წერილით. ადგილზე კი სინამდვილეში აღმოვაჩინე თვალთმაქცობა. რაც შეეხება ჯარს, იგი კავკასიაში საქართველოდან 4 დღის სავალზეა, საიდანაც იუწყებოდნენ...(არ იკითხება)...[რომ] გარდაიცვალა თავადი ერნესტო რეინფელის უმცროსი ძმა კარლო ემანუელ ლანგრავიო როტენბურგი. მე მიხმო გენერალმა[1] და მიბრძანა, რომ ის[2] დამეკრძალა (და მიმელო კათოლიკედ) და იცოდა რა, რომ ჩვენ ეკლესია არ გვაქვს, მან სთხოვა ამ მეფეს[3] საქართველოს მეფეების საძვალესთან ადგილი, რაზეც უარით უპასუხეს. თავად ამ მეფემ მიბრძანა, რომ ის დამეკრძალა ჩვენს ეკლესიაში, სადაც [ახლა] ღვთისმსახურებას ქართველები ასრულებენ. მეფესა და სასულიერო პირებს შორის უთანხმოების გამო, ცხედარი ექვსი დღე დაუმარხავი დარჩა. დაბოლოს, იმავე მეფისაგან მიეიღე წერილი, რომ მევიდოდი [კათოლიკეთა ყოფილ ეკლესიაში] ოლარის ჯვრით, ავწევდი [მას] მაღლა და ვაკურთხებდი საფლავს, ხოლო ეკლესიაში შესულს არ შემეძლო ხმამაღლა ფსალმუნის გალობა, მაგრამ მთელი შენდობა ხმადაბლა უნდა მეთქვა.

ამ მეფისადმი[4] ხალხის ერთგულებამ, რომელსაც ასევე სურდა ციხე-სიმაგრე ბენჯოვინოს[5] (Bengiovino) ღირსეული დაცვა და...(არ იკითხება)... ქალაქის მილიციის, ოფიციალური პირების განსაკუთრებულმა თავმოყრამ, არ მომცა საშუალება რაიმესთვის წინააღმდეგობა გამეწია, გარდა ჩვენი ეკლესიის შიგნით ოლარის ჯვრით ზემოხსენებულ დაკრძალვაზე თანხმობისა, რომლის წინააღმდეგ გამოვიდნენ სასულიერო პირები. თუკი დაკრძალვაზე უარს ვიტყოდი, ეს სკანდალის გარეშე არ ჩაიელიდა და მე კი, ამ მეფის სამეფოში, ბევრისა და ყველასაგან განურჩევლად, მეტი პასუხისმგებლობა მეკისრა. ამიტომ გთავაზობთ

f. 158v.

ჩემს გადაწყვეტილებას. მინდა მოვსინჯო მეორე ხერხი, რითაც შევძლებ ჩვენი ეკლესიების დაბრუნებას. აქედან რთულია, რადგან არ შემიძლია მივმართო რუსეთს, რა თქმა უნდა, გზაზე შეჰყრობის შიშით. იმედი მაქვს, ეს ჩემი გეგმა შედეგიანი იქნება, თუკი ჩემი წერილობითი თხოვნა მოწონებული იქნება ნებისმიერი მათი რეკომენდაციებით. მართალია, რამდენიმე დღეში

---

[1] რუსეთის ჯარის გენერალმა.

[2] ე. ი. კარლო როტენბურგი.

[3] იგულისხმება მეფე ერეკლე II.

[4] იგულისხმება მეფე ერეკლე II.

[5] ამ ეტაპზე მისი ადგილმდებარეობისა და სახელწოდების დადგენა ვერ მოხერხდა.

ველოდები პეტერბურგიდან პოლკოვნიკის[1] დაბრუნებას, რომელიც აქედან ივნისის დასაწყისში წავიდა. მასთან ერთი წელი ვიმსახურე, რათა იმ სამეფო კარზე[2] გამოქომაგებოდა და ხელი შეეწყო ჩემი წერილების გაგზავნისათვის, მაგრამ თუ მივიღებ პირველი მინისტრის წყალობის წერილს ამ მეფისადმი[3], როგორც ამას დამპირდა გენერალი პოტიომკინი, ხსენებული მინისტრის ნათესავი, თავისი პირით, თუმცა ნაკლებად ვიმედოვნებ, რომ ეს მეფე[4] ყველა თავის დაპირებას შეასრულებს. სანამ ჩემს წერილებს პეტერბურგში გაეგზავნიდი, მსურდა ამ მეფესთან[5] პირადად ამის შესახებ გულღიად და ცხადად მეთქვა, რომ ყოველთვის მეეჭვებოდა იმისა, რასაც მპასუხობდა: კარგი დაწერეთ, თუ თქვენი ეკლესიები არ დაგიბრუნდებათ, თქვენ მიიღებთ ამ ეკლესიების საფასურს ფულით. ეს არის იდეა და არა ინსინუაცია; უფრო მეტიც, [ერეკლე მეფის] უფროსი შვილის გიორგის დაჟალება, რომელმაც არაერთხელ მითხრა, რომ ეკლესიები უკვე კურთხეულია ჩვენგან (ე.ი. დალოცვილია) და არ შეგვიძლია ამიერიდან მათი დაბრუნება, თუმცა ვალდებულნი ვართ დაგიბრუნოთ საფასური. იმ შემთხვევაში, თუკი ეკლესიების საფასური შემომთავაზეს, მსურს მათ წინასწარ შემატყობინონ, რა უნდა ვუპასუხო. მოვალეობა მდგომარეობს არა იმაში, რომ მივიღოთ ეკლესიებისა და მონასტრების საფასური, არამედ იმაში, რომ ეკლესიების, როგორც მე ვიცი, დაბრუნება გამუდმებით უნდა მოვითხოვოთ, რადგან იმავე უფლისწულმა გიორგიმ განაცხადა: "ჩვენ ვერ მოვაგროვებთ დიდ თანხას". ამიტომ ამბობენ, რომ თბილისის ერთი [კათოლიკური] ეკლესია ღირება 4 ათასი თუმანი, ხოლო ერთი თუმანი უდრის დაახლოებით 7 სკუდოს[6]. თუკი ისინი მართლაც გაჯიუტდებიან და არ დაგვიბრუნებენ ჩვენს ეკლესიებს, მე გადმოგიგზავნით მათ, როგორც ზემოთ ვთქვი, ისე დაბალ საფასურს, რადგან მათ თვითონ იმსჯელონ [ამის შესახებ]: ამ შემთხვევაში ჩვენ ორივეს დაეკარგავთ და ამ კათოლიკეებს სამუდამოდ დაისაკუთრებენ, რომლებიც ამ ნგრევის პირას მყოფი მისიონის უბედურებას ვერ ითმენენ.

f. 159r.

მეფე ერეკლე უკვე წლოვანებით 65 წლამდეა. თავის მთავრობაში ის მისიონერების მიმართ ყოველთვის ავლენდა მადლიერების ნიშნებს. [ესაუბრობ] წინდახედულ პოლიტიკოსზე და იშვიათ ადამიანზე, მხედველობაში მაქვს განსვენებული მამა მაუროს [დიპლომატიური მისიით] გაგზავნა, როცა ამაში დამარწმუნა და საკუთარი ხელით დაწერილი წერილით დამპირდა,

[1] მეტი ალბათობით ეს უნდა იყოს ეასილ სტეფანეს ძე ტამარა/ტომარა.
[2] იგულისხმება რუსეთის იმპერიის სამეფო კარზე.
[3] მეფე ერეკლე II-სადმი.
[4] ე. ი. მეფე ერეკლე II.
[5] მეფე ერეკლე II-სთან.
[6] სკუდო (Scudo) XVI-XVIII სს. იტალიის რიგ სახელმწიფოებში ვერცხლისა და ოქროს მონეტა. უტოლდება 5 ლირას.

რომ მხოლოდ მე ვიცი ეს და სხვა არავინ; გასული მაისის თვეში, ზემოხსენებული მამის[1] გარდაცვალების გამო დაკარგა რა იმედი, მეფე ერეკლესთან მქონდა რამდენიმე კერძო საუბარი და წარვუდგინე მეფე ერეკლეს მისი წერილი, აი, როგორ ვერ შეძლო მან ჩემთვის რაიმე სასარგებლო გზის გამოძებნა, მაგრამ არ ინდომა წერილის უკან გამორთმევა და თქვა: "შეინახეთ იგი". ვითვალისწინებ, რომ მისი სიკვდილის შემდეგ (უფალმა დაიფაროს) ჩვენი საქმე, გარდა უფლის განგებისა, უარესობისაკენ წავა: ეს არის ყველაზე ხელსაყრელი დრო, რომ დაჟინებით მოვითხოვოთ ჩვენი ეკლესიების დაბრუნება და თუ მან ფესვები სხვაგვარად გაიდგა, რაც არ დაახანებს დიდხანს, ისინი ისარგებლებენ მზაკვრული რეცეპტებით და [ეკლესიების] სამართლიანი ფლობის რაღაც სხვა საფუძველს გამოძებნიან. ჩემი პრეფექტობის [ვადის ამოწურვამდე] ერთი წელი და რამდენიმე თვე დარჩა. რამდენადაც შეეძლებ, არ გადაეუხვევ ამ გზიდან და ყველა საშუალებებით ვეცდები ეკლესიები დავიბრუნო. უფლის დიდებისათვის სანამ პრეფექტის მოვალეობას ვასრულებ, მე ამ საქმის შედეგზე ხელი არ ამიღია. თავს ვიკავებ ერცლად საუბარზე, მაგრამ უმორჩილესად გთხოვთ, რომ აიღოთ პასუხისმგებლობა მიზეზებზე, რომელიც შეესაბამება თქვენს გულმოგინებას უფლის მსახურებისათვის. მე მორჩილი გიკოცნით წმინდა ხელს.

თქვენს უწმინდესობას, უგანათლებულესობასა და ფრიად პატივცემულებას.

თბილისი, 29 ნოემბერი, 1784

უმორჩილესი და უმდაბლესი მსახური ფრა ანდრეა და პალერმო, მამა კაპუჩინი.

№31

კაპუჩინი მისიონერის ანდრეა და პალერმოს რელაცია წმინდა კონგრეგაციის ერთ-ერთ კარდინალისადმი

თბილისიდან, 1784 წლის 19 დეკემბერი

ღრმად პატივცემულო და დიდად ღირსეულო ბატონო[2]

f. 148 r.

გაიხსნა აქ ჩაკეტილი გზები, მაგრამ არ ვიცი, როგორ მოვიდა ჩემთან მისი უწმინდესობა პრეფექტის პასუხი: სხვა წერილები მე არ მიმიღია, გარდა

[1] იგულისხმება მაურო ეერონელი.

[2] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1779-1790. V. 4., ff. 148r-149r. წერილი დაწერილია იტალიურ ენაზე და ორიგინალიდან თარგმანი პირველად ქვეყნდება.

მიმდინარე წლის 24 აპრილისა, რომელსაც ჯერჯერობით ვერ ეუპასუხე, რადგან ასეთია ვითარება. უბრალოდ მინდა მოგახსენოთ ძალიან საინტერესო ამბები. იანერის თვეში მონსინიორ არკეტის[1] (Archetti), საგანგებო ნუნციოს მიეწერე [წერილი]; ახლა მივხედი, რომ ყველაზე გამორჩეულია მოგილიოეის არქიეპისკოპოსი, რომელსაც კვლავ მიეწერე [წერილი] და ვთხოვე, ამ სამეფო კარის მფარველობა ჩვენს ეკლესიებზე. ოქტომბრის ბოლოს, როცა აქ ჩამოვიდა გენერალი პოტიომკინი[2], გადმომცეს მონსინიორ სტანისლაოს[3] (Stanislao) პასუხი [წერილობით]. იგი დაწერილია მოგილიოეში 8 აპრილს ფრანგულ ენაზე, რომლითაც მაუწყებს, თუ როგორ გადაეცა მას ამ მისიონზე[4] იურისდიქცია. მან დამიშალა [ამის შესახებ] წერა ანდა აპელირება წმინდა კონგრეგაციასთან, რადგან ამ ყველაზე დიდად პატივცემულ არქიეპისკოპოსს განზრახული აქვს ეკლესიების შესახებ გარიგება დადოს, რომელიც უკვე უგანათლებულესი მსახურის პოტიომკინის მეშვეობით გზას იკაფავს. ამის შესახებ ვკითხე ამ გენერალს, რომელმაც დამიდასტურა წერილის შინაარსი და შემდეგ ბრუნდებოდა რა უკან, დამპირდა, რომ ეკლესიებისადმი ჩვენს ინტერესს ხელს შეუწყობდა. მოზდოკისა და ასტრახანის მამები ზემოხსენებული წერილის შესაბამისად მწერენ. მაქვს ყველა მიზეზი მჯეროდეს, რომ ეს წერილი და დახეული ბეჭედი ნამდვილია, ასევე მისი შინაარსი და მისწრაფებაც, რომელიც ზუსტად და მძლავრად გეიჩევნა ყოვლისშემძლე რასის წარმომადგენელმა ლუთერანმა ექიმმა, ამ წერილის ფრანგულ ენაზე შემდგენელმა და ავტორმა.

f. 148 v.

ეს მონარქი, მოსკოვის იმპერიაზე დამოკიდებულ ყველა მისიონზე მონსინიორ არკეტის მიერ მოგილიოეის მონსინიორისათვის იურისდიქციის გადაცემის შესახებ ინფორმირებული იყო. მან დიდად შეაქო ნუნციოს ქცევა და წინდახედულება და ხუმრობით მითხრა, რომ უგანათლებულეს მამას არ გაუძნელდება ნუნციატურის მსგავსი სასარგებლო საქმეების გამართვა. მიუხედავად ამისა, მაინც არ ეიცით, ეს ბრძანება გავრცელდება თუ არა საქართველოზე. ეს შემიძლია გითხრათ, რომ ეს სამეფო[5] უკვე გახდა რუსეთის ფეოდალური სამფლობელო და ჩვეულებრივ ამბობენ, რომ მოგილეეის მთავარეპისკოპოსის იურისდიქცია ზემოხსენებულ ფრანგულ წერილში მოცემულ საზღვრებს გარეთ შორს ერცელდება, რასაც აშკარად ამბობს ის [ამ წერილში] და არ მაქვს დაეჭვების მიზეზი, რომ იგი გაყალბდა. აქედან გამომდინარე მსურს, რომ თქვენი უგანათლებულესობა ინფორმირებული

[1] ჯოვანი ანდრეა არკეტი (1731-1805) კარდინალი. სამოციქულო ნუნციუსი პეტერბურგში.

[2] გენერალი პაველ პოტიომკინი (1743-1796).

[3] იგულისხმება სტანისლავ იან სესტრენცევიჩი.

[4] საქართველოს მისიონზე.

[5] იგულისხმება ქართლ-კახეთის სამეფო.

იყოს და ჩვენი წესდების თანახმად, გაგვაფრთხილოთ რაა სიცრუე და რაა სინამდვილე; გვიბრძანეთ და მზად ვიქნებით დაგემორჩილოთ.

f. 149r.

მონსინიორ მთავარეპისკოპოსმა ფრაკიამ[1] მიბრძანა, რომ დამენიშნა მამა მისიონერი ახალციხის ეპარქიის სოფელ ველში, სადაც გასული წლიდან იმყოფებოდა მამა პოლიკარპო, რომელიც მე მემსახურებოდა, მაგრამ არ სურდა იქ დარჩენა. ბერძნულ-კათოლიკური წესების საკრებულომ მომმართა [თხოვნით], რომ არ სურთ მათი მამის მოშორება [იქიდან] და ამას დაჟინებით იმეორებენ, წინააღმდეგ შემთხვევაში გაუკუღმართების საფრთხე დადგება. მე მივწერე კონსტანტინოპოლის ზემოხსენებულ მონსინიორ პატრიარქს, რომ ის ან კარგად მოაწყობს ამ მამა პოლიკარპოს, ან სხვაგვარად გამოასწორებს საქმეს, რადგან მისიონს არ ძალუძს 6 სხვადასხვა ადგილს გაუწიოს დახმარება. დიდად მინდოდა მის შეთანხმებაში მონაწილეობის მიღება. მოწიწებით და მორჩილებით ქედის მოხრით გიკოცნით წმინდა ხელს.

თქვენს უწმინდესობას, უგანათლებულესობასა და ფრიად პატივცემულებას.

თბილისიდან, 19 დეკემბერი, 1784.

უმორჩილესი და უმდაბლესი მსახური

ფრა ანრდეა და პალერმო, მამა კაპუჩინი.

№32

კაპუჩინი მისიონერის ანდრეა და პალერმოს რელაცია წმინდა კონგრეგაციის ერთ-ერთი კარდინალისადმი

თბილისი, 1786 წლის 31 მარტი

ღრმად პატივცემულო და ფრიად ღირსშესანიშნაო ბატონო[2]

f. 208r.

დიდად პატივცემულმა მონსინიორმა [ანტონიო] ფრაკიამ, კონსტანტინოპოლის [კათოლიკეთა] პატრიარქმა, მაუწყა, რომ წმინდა კონგრეგაცია მოხარულია მამა პოლიკარპო და მანტოვასთან შეთანხმებით, მაგრამ ის მანამ არ დაიძვრება ველში იქ სულებზე საზრუნაოდ, სანამ ახალციხისათვის

[1] ფრანჩესკო ანტონიო ფრაკია-კონსტანტინოპოლ'ში სამოციქულო ვიკარი და თეოდოსიპოლის არქიეპისკოპოსი.

[2] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1779-1790. V. 4., ff.208 r-210r. **წერილი დაწერილია იტალიურ ენაზე და ორიგინალიდან თარგმანი პირველად ქვეყნდება.**

განკუთვნილი ყოველწლიური ფულადი დახმარების 29 სკუდოდან მესამედს არ მისცემენ. ასევე წმინდა კონგრეგაციამ შეასრულოს გასული წლის 16 აგვისტოს ბრძანება, რომლის თანახმად, მათ არ შეუძლიათ სრულ სკოლაში 7 წლის ასაკამდე ყმაწვილები დაუშვან. რაც შეეხება ველის მისიონს, პირველი უწყება, რომელიც მივიღე ხსენებული მონსინიორისაგან ველში მაშინათვე დაინიშნა მამა პოლიკარპო და მას დღემდე მისიონისათვის მოწყალებით ეინახავ. იგივე მონსინიორი წმინდა კონგრეგაციის ტრიბუნალში ამტკიცებდა, რომ ველის მისიონი უნდა მიეკუთვნოს საქართველოს[1] პრეფექტურას. მე ეუპასუხე, რომ ეს საქმე თქვენ უკეთ იცით და მე არ დაეწერ, თუ წმინდა კონგრეგაცია მე არ ამირჩევს, ამ გადაწყვეტილებით კმაყოფილი ეიქნები. მაგრამ, სიმართლე რომ ვთქვა, ამ მხარეებში საუბარი არა იურისდიქციაზეა, არამედ ერთ საკითხზეა, ანუ უკეთ რომ ვთქვა იმაზე, რომ ამდენ მგლებში ამ საბრალო ცხვრებზე უკეთ როგორ ეიზრუნოთ. აი ფაქტი, რომელსაც მოკლედ და მარტივად აღვწერ. განსვენებულმა მამა ნიკოლო და ჯირჯენტიმ (თუ კარგად მახსოვს მისი სახელი) რომის სარწმუნოებას შემოუერთა ქართველთა პირველმღვდელმთავარი[2] და მოაქცია [კათოლოკობაზე] მოსახლეობა. მათ, როცა მღვდელი არ ჰყავდათ, ყოველთვის [სულიერ] სამსახურს მამა-მისიონერები უწევდნენ.

1755 წელს განხორციელებული დევნის შემდეგ, მამების რიცხვი არ კმაროდა და ნელ-ნელა ახალციხის მღვდლებმა დაიწყეს შეღწევა. საჭიროებისდა მიხედვით, ხან მამები მიდიოდნენ სახარებისეული უბრალოებით და ხან [ახალციხელი] მღვდლები მრევლში სულიერი მსახურებისათვის და ყურადღებას არ აქცევდნენ იურისდიქციის საკითხს, არამედ ის მოქმედებდა ამ ხალხის მოთხოვნილების შესაბამისად ყოველგვარი პრეტენზიისა და ეჭვის გარეშე.

f. 208 v.

დროთა განმავლობა'ში ახალციხის პროეიკარი მთლიანად დაეუფლა იქ უფროსობას და ამაზე ხმა არავის ამოუღია. მაგრამ, სამწუხაროდ, 1780 წელს მათ ხელთ იგდეს [კათოლიკურ] სარწმუნოებაზე მოქცეული ერთი თბილისელი საბრალო მკერავი, რომელიც ახალციხიდან მოტყუებით გაგზავნეს და ლიბანში ბერძნულ წესზე მღვდლად აკურთხეს, საიდანაც დაბრუნდა ახალციხეში და აქედან გადავიდა ველ'ში, სადაც ეს უმეცარი ადამიანები დააქცია; ამ მიზე'ზით საესებით გარკვეული პასუხებით მომმართეს მე და ყოველიეე ეს ვაცნობე მონსინიორ [ანტონიო] ფრაკიას, რომელმაც ბოლოს და ბოლოს დანიშნა მამა პოლიკარპო, რომელმაც, თუ არ ყცდები, ბერძნულ სქიზმაში მყოფი 7 ოჯახი ვერ გააკათოლიკა. როგორც ზემოთ აღვნიშნე,

[1] იგულისხმება თბილისის პრეფექტურა.

[2] საუბარია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ I ბაგრატიონ'ზე.

ისინი[1] მამა თადეომ გადაიყვანა [მართლმადიდებლობაზე], რომელიც ახლა ბერძნული წესის მღვდელია. ამ დროის განმავლობაში ველის მოსახლეობა, რომელიც აპროტესტებდა, განუწყვეტლივ მომმართავდა, რომ მათ არ უნდათ სხვა მღვდელი, გარდა მამა მისიონერისა და მე მუდამ ვპასუხობდი, რომ მიემართათ კონსტანტინოპოლში მონსინიორისათვის. ამ საკითხზე მეტს არ ვისაუბრებ და მოკრძალებით მოგახსენებთ ჩემს აზრს, რომ ველის ალაგას სასწრაფოდ დაინიშნოს სამრევლო მღვდელი და მიეცეს მუდმივი საცხოვრისი მღვდელ-მისიონერს. ველის მოსახლეობა შედგება უბრალო, ღარიბი ხალხისაგან, ძირითადად, ცხვრის ფარის მწყემსებისაგან, რომელთაც, ალბათ, აოცებთ ბერძნულიდან სომხურზე და სომხურიდან ლათინურზე ტიპიკონის ცელილებები. თუ მამა-მისიონერი დიდხანს დარჩება ველში, ისინი არასოდეს ისურვებენ სომხური რიტის სამრევლო მღვდელს, რადგან ბერძნული რიტის ოჯახები მათ ცუდი თვალით უყურებენ. თუკი წმინდა კონგრეგაციას სურს, რომ კონსტანტინოპოლის არქიეპისკოპოსმა უნდა დანიშნოს ველის მამა-მისიონერი, ამ შემთხვევაში, მან კარგად უნდა გაითვალისწინოს ის დაბრკოლება, რომელიც შეიძლება მღვდლებსა და მამებს შორის გაჩნდეს. თუკი ველზე ზრუნვა [მისიონის] პრეფექტურას დაევალება, მაშინ საჭირო გახდება ორი მამა მისიონერის დანიშვნა, რომელთაც ეცოდინებათ თურქული და ქართული ენები, რათა საჭიროების მიხედვით, როცა ერთი [ენა] ვერ გამოდგება, მეორე [ენა] გამოიყენონ. მრევლის მღვდელს უნდა დაენიშნოს საკმარისი სარჩო-საბადებელი, რათა თავისი მოსახლეობა არ დააეალდებულოს შემწეობის გაღებით და ამით არ გახდეს საძულველი სიცრუის მაძიებელთა მხრიდან, რადგან ამ ქვეყნებში საკუთარ თავზე ზრუნვის ინტერესი, [საქმეს] ადვილად აფუჭებს. მიზეზი, თუ რატომ არ უნდა არც ერთ მღვდელს იმ ალაგას წავიდეს სამრევლო მღვდლად, რომელთა შენახვა მრევლს არ შეუძლია, იმიტომ, რომ მათ საკუთარი მმართველები ძარცვავენ, რის გამო ღატაკდებიან.

f. 209r.

რაც შეეხება იმ დარიგებებს, რომელიც მე ამ მისიონში ცხოვრების 20 წლის მანძილზე მივიღე, ბევრი რამ ვისწავლე და ამ საბრალო სულების კეთილდღეობის მიზნით მათ შესახებ მოხსენებებს ვუგზავნიდი [კონგრეგაციას]. ამასთან ერთად, უფლის გულისათვის, ჩემი პრეფექტობის მიწურულს და აქამდეც მე არ გამიჩაღებია იურისდიქციაზე პრეტენზიები. რამდენად კარგად იქნება ეს მიჩნეული წმინდა კონგრეგაციის მიერ, დაე, ნუ დაველოდებით სხვა რამეს, გარდა ბრმა შესრულებისა. მე ჩავთვალე, ახალციხის მომსახურების პრეტენზიაზე ანგარიშის მეორე პუნქტის მიხედვით, წმინდა კონგრეგაციამ ზედმეტი თანხები უნდა დახარჯოს ახალ მამა მისიონერებსა და ღირსეულ მღვდლებზე. ეს ესაა საეკლესიო დოქტრინებში სასიამოვნოდ

[1] ე. ი. ეს 7 ოჯახი.

მიიჩნიეს დაესვათ საკითხი, სამართლიანობასა და იურისდიქციაზე და... (არ იკითხება)... ცუდად და უგონოდ დასაბუთებულმა ასეთმა პრინციპებმა მონსინიორ არქიეპისკოპოსს [ანტონიო] ფრაკიას მისცა საფუძველი, დაეწერა ხარჯები და ეცნობებინა დეკრეტის შესახებ მანამდე, სანამ ჩემთვის ცნობილი გახდებოდა ამ დეკრეტის შესახებ და ახალციხეში გამოაგზავნიდა ბრძანებას მის შესრულებაზე. ასე რომ, მე პირველად მაუწყეს (ვარაუდზე დაფუძნებული სურვილი, ანდა, სულ მცირე უხსოვარი დროის ბრძანება, რომ მამა მისიონერები ზრუნავდნენ მსახურების სფეროზე) და პირველ ბერმონაზონს, რომელიც მზად იყო დაეწერა [ამის გამო], მაგრამ აღასრულა მისი ბრძანება, ფრთხილად შეეჩიელე, რომელმაც რამდენადმე წყენანარევი შემდეგი სიტყვები მითხრა: "მან არ დააფასა მისი ვალდებულება, რომ თავიდან აეცილებინა ში... (არ იკითხება)... ადამიანების მიმართ, რომლებიც მე მექვემდებარება". სიმართლე რომ გითხრათ, თუკი მექნებოდა მცირეოდენი ინფორმაცია იმაზე, რომ არქიეპისკოპოსს ჩვენს ეკლესიაში გამწესებულ ოთხ საბრალო მომსახურე ბერ-მონაზონზე ჰქონდა პრეტენზია, ასევე ჩვენს მიერ მამა მისიონერების შემოსვასა და სარიტუალო [საგნების] შეკერვაზე, მათ ცალ-ცალკე ცხოვრებაზე, მამების მსახურების მიერ სამრეველო საკრამენტების შესრულებაზე, მიუხედავად იმისა, რომ მონსინიორი ამის წინააღმდეგი იყო, მე პირს არ დავაღებდი. მაგრამ უფრო დიდი გონებისათვის საჭიროა ამ მომსახურების სფეროს ცოდნა, რათა ჰქონეს აუცილებელი წარმოდგენა. ერთგული ახალციხელები დავტოვე და სამუშაოდ ჩვენს ეკლესიასთან მახლობლად გადავედი და... (არ იკითხება)... რათა რომელიღაც საწყალი უსახლკარო ქალბატონი შემეფარებინა. ეს მიწური ქოხმახი შედგება ოთხი თუ ხუთი ოთახისაგან, რომელშიც სინათლე სახურავიდან შედის. აქ მათ შეუერთდა ზოგიერთი ღარიბი ქალი და მამა ჯიროლამო და ნორჩამ უკეთ მოწესრიგებისათვის, მონასტრის წინაძღვრისაგან განსხვავებით, უფრო მეტი

f. 209 v.

რაციონი შეადგინა და, როცა ახალციხეში აღმოვჩნდი, ამ ხნიერი ქალებიდან, ორმა უმანკოების უბრალო აღთქმა დადო. ახლა შეიძლება იყოს სამი ან ხუთი, ზუსტად არ ვიცი. და ამ ქოხს, როგორც მიწისქვეშეთს ანდა სოროს შეიძლება მონასტერი ეუწოდოთ და მე მქონდა სამი თუ ოთხი მარტივი აღთქმა წელიწადში... (არ იკითხება)... მთელს იმ დროში, რაც აქ ვცხოვრობ, არ მომისმენია სივიწროვის გამო ვაჟიშვილებისა და ქალიშვილების ერთმანეთში აღრევა, რადგან მასწავლებლები მათზე გულმოდგინებით ზრუნავენ და ისინი ყოველთვის განცალკევებულნი არიან, თუნდაც ერთ ოთახში. ზიანი, რომელიც მიადგა ჩვენს ეკლესიას იმაში მდგომარეობს, რომ აქ მეტად არ არიან მოწაფეები, რომლებიც იელიდნენ ლოცვაზე მსახურებისათვის და იკარგება საჯარო ლოცვიდან საღამოს ლოცვამდე გამოყენების შესაძლებლობა. ჩვენს ეკლესიაში მეტად შეუძლებელია ლათინურად ღვთისმსახურების შესრულება, რადგან არავინ ისწავლა ლათინურად კითხვა,

რადგან აქ უკვე არ არიან მოწაფეები 7 წლამდე, რომელთაც ასწავლიდნენ [ლათინურად კითხვას], ვინაიდან კვირაობით საღამოს ყმაწვილების სწავლება სარგებლობას ვერ მოიტანს.

მიზეზები, რამაც უბიძგა წმინდად ბენედიქტე XIV-ს[1] აეკრძალა წმინდა მიწაზე კილიკიის სომხური საპატრიარქოს მიერ მესამეულის[2] გამოყენებაზე, ასეთი რამ საქართველოში ვერ გამოდგება. თუ ახალციხეზე ვისაუბრებთ, აქ არ არის არც აღტაცება და არც აღშფოთება, რაც კარგი მაგალითია თურქებს[3] შორის, რომლებიც მხედავენ, როგორ მივდივარ ადათ-წესებით ძაძებით შემოსილ ქალებთან. თუ საქართველოში, აქ თბილისში, ასე რომ ვოქვათ, ყველა სოფელსა და ქალაქში,

f. 210r.

მეტადაა ნახევრად ბერმონაზენური პირები, ვიდრე სომხური, ასევე ბერძნული წესის ქვრივები, რომელსაც სომხები უწოდებენ კუსის (Cusi), ე.ი უბიწოებს, ხოლო ქართველები მოლოზანებს (Molosani), ე.ი მონაზონებს. ახალციხის მოსარჩელეებში მე ვერ ვხედავ ძირითადად სხვა რამეს, გარდა არგუმენტაციის გენიალობისა და სხვაგვარად მოაზროვნის მიმართ მიზეზის გამოძებნისა, რომელსაც არავითარი ეფექტი არა აქვს, გარდა იმისა, როგორ შეასუსტოს ეკლესიის მსახურთა ქველმოქმედება. თავის მხრივ, მე შევასრულე მონსინიორ [ანტონიო] ფრაკიას ბრძანებები როგორც ბავშვების, ასევე მესამეული პირების მიმართ, რომ, პირიქით, ავკრძალე ამ უკანასკნელთათვის (თუ შეიძლება ასე ითქვას) სამოსელის მიცემა, სანამ წმინდა კონგრეგაცია თავის ნებას არ გამოხატავს. ბევრი რამ ვიცოდი მის შესახებ, მაგრამ ვსაჭიროებდი წმინდა კონგრეგაციისაგან ინფორმაციას შეწყნარებით, რასაც თქვენ გწერთ სიჩქარეში, მორჩილად ვეამბორები მის წმინდა ხელებს და პატივისცემით და უსიტყვოდ ქედს ვიხრი.

თბილისი, 31 მარტი, 1786. უმორჩილესი და უმდაბლესი მსახური. ფრა ანდრეა და პალერმო, კაპუცინი მისიონერი.

---

[1] ანტიპაპი ბენედიქტე XIV (1423-1430).

[2] ნახევრად ბერმონაზენური ორდენის უბრალო რელიგიური თემები.

[3] აქ "თურქი" გამოიყენება, როგორც მუსლიმებისათვის საერთო ტერმინი. ე. ი. თურქი გათანაბრებულია ისლამთან.

№33

კაპუჩინი მისიონერის ანდრეა და პალერმოს რელაცია წმინდა კონგრეგაციის ერთ-ერთი კარდინალისადმი

თბილისი, 1787 წლის 3 აგვისტო

ღრმად პატივცემულო და დიდად ღირსეულო ბატონო[1]

f. 307r

გასულ წელს სამრეველო მღვდლის, რომელიც მე დავაყენე გორში, უძალობისა და შეუწროების გამო, მომიხდა სკანდალი მას შემდეგ, როცა ერთი ახალგაზრდა ღამით [სახლში] მიუვარდა ქალიშვილს, რომელზეც დაქორწინება უნდოდა, რადგან მან მოიჯრა დალალი...(არ იკითხება)... ნათესავებს ამის გამო რცხვენოდათ. ქალიშვილი შეურაცხყოფას გაუძალიანდა; გამუდმებით უარს ეუბნებოდა ქორწინებაზე მასთან ახალგაზრდის მიერ მიგზავნილ სამრეველო მღვდელს. რადგან ვერაფერს გახდა ხვეწნით, მან ღამით ძალით, ზოგიერთი მაცდური ქალის დახმარებით, რომლებიც ემუქრებოდნენ, როგორც შებღალულს, შეარცხვენდნენ, თუკი არ დათანხმდებოდა ჩანაფიქრს. მათ ბოლოს და ბოლოს ქალიშვილი გამოიყვანეს სახლიდან, მოიყვანეს ჩვენს ეკლესიაში და სამრეველო მღვდელმა, რაც სრულად აღიარა, მალულად ჯვარი დასწერა. როცა მან იმავე საღამოს შენიშნა ქალიშვილის ძმა შეიარაღებული მაშხლებითა და ხანჯლებით, თუკი სამრეველო მღვდელი ვერ მოახერებდა იოანე ნატორეს[2] (Giovano Nattore) დამალვას, შემდეგ ცოტა რჩებოდა, რომ სიკვდილს არ ეზეიმა. ქალიშვილის ძმა გორის ყველაზე ცივილური ოჯახიდანაა. სამართლიანობას ჩემგან მოითხოვდნენ; პირველ რიგში მეძებდნენ, არის თუ არა ასეთი ქორწინება ევროპაში კათოლიკეებთან მიღებული; იოანე ნატორე იკვეხნიდა, რომ სურდა დაქორწინება ფრანგზე, უფრო სწორად ევროპული გამოყენებისათვის; ის, რომ თქვენ ქცევებითა და სკანდალით ამკობთ ერეტიკოსებს, ვერასოდეს გახდებით ამ ქვეყნებში ვერც კათოლიკე[3] და ვერც ერეტიკოსი[4].

f. 307 v.

ყოველგვარი ხმაურის გარეშე, მე შევცვალე სამრეველო მღვდელი არა მხოლოდ ამ შეცდომისათვის; ახალი სამრეველო მღვდელს მივეცი ეკლესი-

---

[1] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1779-1790. V. 4., ff.307 r-308r. **წერილი დაწერილია იტალიურ ენაზე და ორიგინალიდან თარგმანი პირველად ქვეყნდება.**

[2] იოანე ნატორე წარმოშობით სომეხი ჩანს.

[3] უნდა გაეიგოთ ფრანგი.

[4] უნდა გაეიგოთ სომეხი.

იდან განკვეთისა და ცოდვების მიტევების შენდობა, პირადად იოანე ნატორესა და სხვა ქალებზე, ასევე ზემოხსენებულ ორ დანაშაულში თანამონაწილესაც. 5 ივნისს წამლობის მიზესით მე გამაგზავნეს გორში, სადაც პირადად უფრო მეტი რამ გავიგე ამის შესახებ; რადგან ვფიქრობდი, რომ ახალი პრეფექტის შესახებ ბრძანება მალე მოვა, ჩემი ყველა საქმის უკეთ მოგვარებისათვის ეის'ქარე და ამავე ივნისის 16-ში უკვე თბილისში ვიყავი და დამხვდა რომიდან წერილი პრეფექტის დამტკიცებით. მე შენდობით ვუპასუხე ყოველადუწმინდეს კარდინალ პრეფექტს; მას ჯერ კიდევ არ წარუდგენია წერილი, როცა არამზადები ჩემს წინააღმდეგ შეკუჩდნენ; მალე მას შემდეგ, რაც მათ მოინანიეს, მითხრეს, ეს-ესაა პირველი ქარი'შხალი დაწყნარდა, მაგრამ მეორე უფლის ხელიდან ამიმხედრდება. ავთვისებიანი სენით დაავადებული ორი ჩემი ამხანაგი გამექცა, რადგან აქ ყველა გადამდები ციებ-ცხელებითაა დაავადებული. მე მხოლოდ ვეხმარებოდი და ვემსახურებოდი ორ მძიმე დაავადებულს და ჩემი ცოდვების სასჯელით 14 დღის განმავლობაში მწვავე ციებ-ცხელებისაგან გარდაიცვალა კარგი ფრა ანტონ გორელი (fra Antonio di Gori).

